ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

არქეოლოგიის ინსტიტუტი

სადოქტორო პროგრამა: არქეოლოგია

კობა კობერიძე

# ახ. წ. I-III საუკუნეების ადგილობრივი კერამიკული ჭურჭელი საქართველოში

არქეოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

**დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა**

სამეცნიერო ხელმძღვანელი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი ვახტანგ ლიჩელი

თბილისი

2023

# აბსტრაქტი

სადოქტორო ნაშრომი „ახ.წ. I-III საუკუნეების ადგილობრივი კერამიკული ჭურჭელი საქართველოში“ ნოვატორული სამეცნიერო კვლევაა, რადგან აღნიშნული თემის სპეციალური შესწავლა ჯერ-ჯერობით არ ჩატარებულა საქართველოში.

ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოს ტერიტორიაზე ახ.წ. I-III სს-ის არქეოლოგიურ ძეგლებზე (ტაბ. I) აღმოჩენილი ადგილობრივი კერამიკული ჭურჭლის თავმოყრას და კომპლექსურ შესწავლას.

კერამიკა მატერიალური კულტურის ყველაზე ინფორმატიული პროდუქტია წარსულში მისი ყოველდღიური გამოყენებიდან, და შესაბამისად, ფართო წარმოებიდან გამომდინარე და სწორედ მისი დაწვრილებითი მეცნიერული შესწავლით არის შესაძლებელი ახ.წ. I-III საუკუნეების წარმოების, ორგანიზაციის, საზოგადოების განვითარების, ეკონომიკის დონის, კულტურული იდენტობის, საერთაშორისო ურთიერთობების მასშტაბების და ხასიათის მარკირება მაშინდელი მსოფლიოს წამყვან ქვეყნებსა და რომაული პერიოდის საქართველოს შორის. ამ საკითხების შესწავლამ შესაძლოა პასუხი გასცეს ისეთ მნიშვნელოვან სამეცნიერო პრობლემას, როგორიცაა ახ.წ. I-III სს-ის საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური კუთვნილების საკითხი დასავლურ და აღმოსავლურ სამყაროსთან მიმართებაში.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი კერამიკული მასალის შესწავლა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ჰუმანიტარული მეცნიერებებისთვის, არამედ, ისეთი თითქოსდა შორს მდგარი სამეცნიერო დარგისთვის, როგორიცაა მედიცინა და მედიცინის ისტორია. როგორც ჩანს, მინისა და ლითონის ჭურჭელთან ერთად, მედიკამენტების შესანახად თიხის ჭურჭელიც იყო გამოყენებული. გარდა ამისა, ზოგიერთ კერამიკულ ჭურჭელში ათავსებდნენ პარფიუმერიას და ამ კუთხითაც ინფორმატიულია აღნიშნული მიმართულებით კვლევა.

ნაშრომში განხილულია ასევე არქეოლოგიური მასალა, რომლის მეცნიერული შესწავლა არასოდეს მომხდარა და პირველად ჩვენს მიერ იქნება გამოქვეყნებული.

ზოგიერთი კერამიკული ფორმის (დოქების, ხელადების, ჯამების, კოჭობების) სხვადასხვა მახასიათებელი (მორფოლოგიური, ტექნოლოგიური) პროცენტულად

იქნება დათვლილი და ამის მიხედვით შეიქმნება შედარებითი სტატისტიკური ცხრილი, რომელიც ნათლად ასახავს აღნიშნული ჭურჭლის მსგავსება-განსხვავებებს სამი საუკუნის განმავლობაში.

საქართველოს ტერიტორიაზე, ახ.წ. I-III სს. სამაროვნებსა და იშვიათად ნამოსახლარებზე, ყოველდღიურად გამოსაყენებელი კერამიკული ფორმების (დოქები, ჯამები, დერგები, ქოთნები, კოჭობები და სხვა) გვერდით დასტურდება გამორჩეული კერამიკული ნაწარმი, რომელიც, სავარაუდოდ, არ არის ყოველდღიური მოხმარების პროდუქტი. ისინი წარმოდგენილია ირმის (ხარ-ირმის) გამოსახულებიანი სასმისებით, ასკოსებით, ამფორისკებით, ორმუცლიანი ხელადებით, რომლებიც გამორჩეული მორფოლოგიური ნიშნებითა და არქეოლოგიურ ძეგლებზე იშვიათად აღმოჩენის გამო ცალსახად გამოიყოფიან ხშირად მოხმარებადი კერამიკული ნაწარმისგან.

ადგილობრივი კერამიკული ჭურჭლის კვლევით დგინდება, რომ გვიანანტიკურ ხანაში ბაზრისთვის სერიულად მზადდება ყოველდღიურად მოსახმარი კერამიკული ჭურჭელი, ხოლო მათ გვერდით იწარმოება მათგან მორფოლოგიურად და ფუნქციურად განსხვავებული კერამიკული ჭურჭლის გარკვეული ჯგუფები, რომელთაც სხვა, განსაკუთრებული ფუნქციური დატვირთვა უნდა ჰქონოდათ.

ნაშრომში შევეცდებით კომპლექსურად შევისწავლოთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ახ.წ. I-III სს. არქეოლოგიურ ძეგლებზე გამოვლენილი ადგილობრივი კერამიკული ჭურჭელი, რაც თავის მხრივ, საშუალებას მოგვცემს გადავჭრათ სხვადასხვა მნიშვნელოვანი სამეცნიერო საკითხი.

# Abstract

PhD thesis - ‘’ 1st-3rd centuries AD. local pottery vessels from the territory of Georgia” is an innovative scientific research. 1st-3rd centuries AD. earthenware discovered on the territory of Georgia have not been totally explored by the scientists yet.

Ceramic ware is the most informative material among the archaeological discoveries. Ceramic production was the most widespread branch of the craftsmanship in old Georgia. Pottery is a material culture, which contains the widest information about the development of the economic and industrial aspects of the society. An interdisciplinary research of the pottery is the most important task, which can solve the most important scientific problems, such as 1st-3rd centuries AD. organization and manufacturing features; development of the society and economic aspects; The identity of the Georgian culture; International relation scales between Georgia and leading countries of this period. Investigation of these important scientific problems will enable us to clear the issues, such as cultural-political belongings of Georgia to the western and eastern cultural areas in the 1st to 3rd centuries AD. Thus, the PhD thesis is urgent for the implementing the Georgian science into the international scientific space.

It should be mentioned, that ceramic ware are the most informative product for the archaeologists, because of their frequent, daily usage and accordingly, their wide production in the past. Thoroughly research of the pottery vessels with the modern scientific methods is necessary. Results of the PhD thesis research will develop not only archaeology, but also many related or non-related scientific branches, such as Ethnology, Ethnography, social sciences; scientific fields related to the medicine and history of the medicine etc. For this reason, the research will be interdisciplinary, which boosts the problem actuality.

As it seems, the pottery vessels, except for their main purposes, were also used for keeping the medical liquids or medicinal powders, along with the glass and metal vessels. Beside this, the perfume powders or liquids were also kept in the pottery. These facts increase the scientific meaning of the PhD thesis. The studding of the 1st-3rd centuries AD. Pottery vessels with these interdisciplinary methods are novelty in the Georgian scientific space and

none of the archaeologists had tried to done such investigations till today. This is the most important scientific novelty of my investigation.

With the pottery vessels of daily uses (Bowls, jugs, pitchers, pots, jars etc.), different groups of the ceramic products were discovered on the Late Classical period settlements and cemeteries of the eastern Georgia. These vessels are interesting for their rarity and distinctive morphological features and definitely distinguish from the pottery vessels that were used for daily life. Some of them, presumably, were prepared for ritual purposes, while others were used for practical aims.

They are represented by the deer shaped pottery figures (Rhytons-drinking vessels); bicorporal jugs; amphoriskoi and askoi-shaped vessels; glazed vessels and jugs with zoomorphic depictions (snake, pig).

Their rarity and context of discovery proof, that they were not produced serially, and were not used for daily life. Presumably, they were prepared for special occasions.

Several features of some ceramic forms (Jugs, pitchers, tumblers, bowls) will be calculated in percentage (according to morphological and technological features), according to which the comparative statistical tables will be created, which will show the vessels similarities and differences within three centuries.

I will attempt to explore all these pottery vessels in the thesis, and determine their importance and functional assignment.

# შ ი ნ ა ა რ ს ი


**შესავალი** .......................................................................................................... 1

**ნაწილი I. ახ.წ. I-III საუკუნეების ადგილობრივი კერამიკული ჭურჭელი აღმოსავლეთ საქართველოში**.............................................. 4

**თავი I. სუფრის ჭურჭელი**.........................................................................4

§ 1. დოქები და ხელადები........................................................................ 4

§ 2. ჯამები................................................................................................. 33

§ 3. სასმისები........................................................................................... 39

**თავი II. სამზარეულო ჭურჭელი**........................................................... 41

§ 1. ქოთნები............................................................................................. 41

§ 2. კოჭობები........................................................................................... 44

§ 3. ჩაფები ............................................................................................... 49

**თავი III. სამეურნეო ჭურჭელი**…………………………………………….. 52

§ 1. ქვევრები............................................................................................ 52

§ 2. დერგები............................................................................................. 64

§ 3. ჭრაქები……………………………………………………………..71

**თავი IV. იშვიათი ფორმის ჭურჭელი**................................................. 74

§ 1. კერამიკული სასმისი ირმის გამოსახულებით გუდაბერტყას გვიანანტიკური ხანის სამარხიდან.......................……………… 75

§ 2. გვიანანტიკური ხანის მოჭიქული კერამიკული ჭურჭლის საკითხისთვის..................................................................................... 93

§ 3. ასკოსის ფორმის ჭურჭელი………………………………….…..... 107

§ 4. სამედიცინო დანიშნულების ჭურჭელი………………………….. 114

**ნაწილი II. ახ.წ. I-III საუკუნეების ადგილობრივი კერამიკული ჭურჭელი დასავლეთ საქართველოში**..................................................120

**თავი I. სუფრის ჭურჭელი**.....................................................................120

§ 1. დოქები და ხელადები.....................................................................120

§ 2. ჯამები.................................................................................................. 136

**თავი II. სამზარეულო ჭურჭელი.........................................................140**

§ 1. ქოთნები...............................................................................................140

§ 2. კოჭობები...............................................................................................143

§ 3. ჩაფები ..................................................................................................145

**თავი III. სამეურნეო ჭურჭელი............................................................146**

§ 1. ქვევრები............................................................................................. 146

§ 2. დერგები.............................................................................................. 149

§ 3. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ახ.წ. I-III სს-ის ადგილობრივი კერამიკული ჭურჭლის მორფოლოგიურ-ტექნოლოგიური თვისებების მოკლე შეჯამება ....152

დასკვნა......................................................................................................156

გამოყენებული ლიტერატურა................................................................166

შემოკლებათა სია....................................................................................181

ტაბულების აღწერილობა........................................................................182

ტაბულები................................................................................................ 186

დიაგრამები.............................................................................................. 226

ქრონოლოგიური შკალა.......................................................................... 235

# შესავალი

კაცობრიობის ისტორიაში თიხის ჭურჭლის გაჩენა ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. ამ დროიდან მოყოლებული იგი ადამიანის პირველმოხმარების პროდუქტია ყველა ეპოქაში.

საქართველოს ტერიტორიაზე, ისევე როგორც მრავალ სხვა ქვეყანაში, თიხის ჭურჭელი პირველად ნეოლითურ პერიოდში ჩნდება. ამიტომაც, ნეოლითი აღიარებულია როგორც კერამიკის წარმოების საწყისი ხანა. მეჭურჭლეობის პირველ საფეხურზე თიხის ჭურჭელი ხელით მზადდებოდა. ამ პერიოდის პრიმიტიულად და ტლანქად ნაკეთებ ჭურჭელზე შეინიშნება ამოკაწვრით გამოყვანილი გეომეტრიული ორნამენტები (სპირალები, ტალღისებრი ხაზები და სხვა).

შემდგომ პერიოდშიც, ენეოლითის, ადრე და შუა ბრინჯაოს ხანაში, თიხის ჭურჭელს აკეთებდნენ იმავე არქაული წესით - ხელით, მაგრამ კერამიკული წარმოება ბევრად უფრო განვითარებულია: ჭურჭელი ხასიათდება მდიდრული და მრავალფეროვანი ფორმებით; კარგად გაპრიალებული ზედაპირით, რელიეფური გეომეტრიული და ფიგურული ორნამენტით.

საქართველოში განსაკუთრებული თვისებებით ხასიათდება გვიანბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭელი, რაც დაკავშირებული იყო სამეთუნეო ჩარხის გამოყენებასთან. ეს იყო პირველი მნიშვნელოვანი გამოგონება კერამიკულ წარმოებაში, რომელმაც მკვეთრად გაზარდა კერამიკის წარმოება. ჩარხმა შეამსუბუქა ხელოსნის შრომა და გააუმჯობესა ნაწარმის ხასიათი. მბრუნავი ჩარხი იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ თხელკედლიანი, ერთგვაროვანი და სიმეტრიული ნაკეთობის ჭურჭელი დამზადებულიყო [ჯაოშვილი 1958: 10].

გვიანბრინჯაოს ხანისთვის დამახასიათებელია მრავალგვარი, სამეურნეო და სუფრის კერამიკული ჭურჭელი. კარგად გამოყვანილი და ლამაზად ნაკეთები, შავპრიალა ზედაპირიანი, სადა ან ორნამენტირებული, რელიეფური თუ ამოკვეთილი ორნამენტით შემკული ჭურჭელი.

ამრიგად, გვიანბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლის წარმოებაში მკვეთრი გარდატეხა დაკავშირებული იყო ჩარხის გამოგონებასთან. ამიტომ, ამ პერიოდში მრავალნაირი სერიული ჭურჭელი მზადდება. ამავე დროს, მეურნეობის სხვადასხვა დარგის (მესაქონლეობა, მიწათმოქმედება) განვითარებასთან ერთად მდიდრდება თიხის ჭურჭლის ფუნქციონალური დანიშნულებაც და შესაბამისად, იცვლება მათი ფორმებიც. კერამიკული წარმოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე ჭურჭლის გარეგნულ მხარეს, მის შემკულობას [მიწიშვილი, 1969: 6].

ანტიკურ ხანაში კიდევ უფრო მრავალფეროვანი ხდება კერამიკულ ჭურჭელთა ფორმები, მათი დამზადებისა და მორთვის ხერხები. საქართველოს ტერიტორიაზე, ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის პროცესში, ყველაზე დიდი რაოდენობით სწორედ კერამიკული პროდუქცია გვხვდება, რაც იმის მანიშნებელია, რომ ამ პერიოდშიც კერამიკა ღრმად იყო შეჭრილი იმდროინდელი ქართველი ხალხის ყოფაში. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ თიხის ჭურჭელი უფრო მისაწვდომი გახლდათ მოსახლეობის ფართო ფენებისთვის, ვიდრე ლითონის მხატვრული ნაკეთობანი, სამკაული, ძვირფასი ქსოვილები და სხვა.

თუ წინაანტიკურ პერიოდში გაბატონებული იყო შავად, რუხად, მონაცრისფროდ გამომწვარი კერამიკული ნაწარმი, ანტიკური ხანისთვის, ძირითადად, დამახასიათებელია თხელკედლიანი, წითლად, ჩალისფრად ან მოვარდისფროდ გამომწვარი ჭურჭელი. აღმოსავლეთ საქართველოში ამ პერიოდში მრავლად გვხვდება წითელი ან მოყავისფრო წერნაქით შეღებილი კერამიკული ჭურჭელი. წერნაქი, ანუ წითელი ანგობი იგივე თიხაა (წერნაქის ფხვნილს ხსნიდნენ წყალში, რომელშიც მრავლად ურევდნენ რკინის ჟანგს), ოღონდ ეს თიხა ძირითად მასაზე უფრო წმინდა სტრუქტურისაა. ანგობით იფარება თიხის ჭურჭლის ზედაპირი გამოწვამდე. ბუნებაში იგი მზა სახით მოიპოვება და ყვითელი ფერი აქვს, ხოლო გამოწვის შემდეგ ის მის ბუნებრივ ფერს იცვლის და მუქ წითელ ფერს ღებულობს.

წერნაქს საზოგადოდ იყენებდნენ თიხის ჭურჭლის შესამკობად, რისთვისაც ან მთლიანად დაფარავდნენ ჭურჭლის ზედაპირს, ან მოხატავდნენ სხვადასხვა ფორმით. წერნაქით ასევე ჭურჭლის მსხვილმარცვლოვან ზედაპირს ათანაბრებდნენ, რომელიც ნიღბავს და ასწორებს ზედაპირის ხორკლიანობას [ჯაფარიძე, 1956: 11].

აღმოჩენილია წერნაქის შესანახი ჭურჭელიც; ამ მხრივ აღსანიშნავია კარსნისხევის ნამოსახლარზე გამოვლენილი თიხის ჭურჭელი, რომლებიც ძირითადად თხელკეციანია და გამომწვარია მოჩალისფრო-მოვარდისფროდ. მათი შიდაპირი წითელი, ხასხასა საღებავითაა დაფარული, რაც იმის მანიშნებელია, რომ აქ წერნაქი დიდი ხნის განმავლობაში ესხა [ნიკოლაიშვილი, 1993: 41].

ანტიკურ ხანაში ვხვდებით ასევე ზედაპირგაპრიალებულ ჭურჭელსაც (ზედაპირის გაპრიალება, ძირითადად, სუფრის ჭურჭლისთვის არის გამოყენებული), ე.ი. ხელოსანი იყენებდა შემკობის ისეთ მეთოდს, რომლის მეშვეობითაც ჭურჭელი უფრო ნატიფი, მაღალი ხარისხის ჩანს [მიწიშვილი 1979: 28].

შუა საუკუნეებში ისევ წითლად გამომწვარი ჭურჭელი გვხვდება, რომელსაც აღარ ახასიათებს ნატიფი ფორმები. თუმცა, სამზარეულო კერამიკა, უმეტეს შემთხვევაში, კვლავ მუქი ფერისაა. ამ პერიოდში მასიურად იწყება მოჭიქული ჭურჭლის წარმოება (განსაკუთრებით, განვითარებული შუასაუკუნეების პერიოდში), რომელსაც საფუძველი, როგორც ჩანს, სწორედ გვიანანტიკური ხანიდან ეყრება.

არქეოლოგიური მასალის სახით ჩვენ საქმე გვაქვს მეჭურჭლეობის მზა პროდუქციასთან. ამიტომ, ის რთული და აუცილებელი პროცესები თიხის დამუშავებისა, რაც წინ უსწრებს ჭურჭლის დამზადებას (თიხის გახმობა, გადარჩევა, დალბობა, დაზელვა, გარჩევა, ჭურჭლის ჩამოყალიბება, გამოშრობა, გამოწვა) გამქრალია დაკვირვებისათვის, მაგრამ მზა პროდუქციის მიხედვითაც აშკარად ჩანს, რომ მეჭურჭლეები თიხის შერჩევას სათანადო ყურადღებას აქცევდნენ.

თიხის დამუშავების პროცესს მოსდევდა ჭურჭლის ჩამოყალიბების, ფორმირებისა და შრობის პროცესი, რომლის შემდეგაც გამშრალი ჭურჭელი დანიშნულების მიხედვით უნდა შემკულიყო. აშკარად ჩანს, რომ მეჭურჭლეობა ძველ საქართველოში ემყარებოდა თიხის ბუნების საფუძვლიან ცოდნას, რომელიც თავისი განსაკუთრებული თვისებების გამო, მეტად საჭირო ნედლეულს წარმოადგენს და ფართოდ არის გამოყენებული მეურნეობის სხვადასხვა დარგში [ჯაფარიძე, 1956].

# ნაწილი I.

# ახ.წ. I-III საუკუნეების ადგილობრივი კერამიკული ჭურჭელი აღმოსავლეთ საქართველოში

## თავი I.

## სუფრის ჭურჭელი

### § 1. დოქები და ხელადები

გვიანანტიკური ხანის კერამიკაში გამოიყოფა რამოდენიმე ფუნქციური ჯგუფი, კერძოდ: სუფრის, სამზარეულო და სამეურნეო დანიშნულების კერამიკული ნაწარმი.

ახ. წ. I-III სს-ში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული კერამიკული ჭურჭლის ერთ-ერთი დამახასიათებელი ფორმა დოქები და ხელადებია, რომლებიც მრავლად გვხვდება როგორც სამარხეულ კომპლექსებში, ასევე ნამოსახლარებზე.

ამ პერიოდის დოქები და ხელადები მათი კორპუსის ფორმის მიხედვით შესაძლებელია დავყოთ ოთხ ჯგუფად:

I **ჯგუფში** ერთიანდება სფერულმუცლიანი დოქები და ხელადები. თითქმის ყველა მათგანს ახასიათებს დაბალი ან შედარებით შემაღლებული ყელი, რომელსაც პროფილში შეზნექილი ან ცილინდრული ფორმა აქვს. ძირი ბრტყელია.

პირის ფორმის მიხედვით ამ ჯგუფის დოქები იყოფა ორ ქვეჯგუფად:

I-1  - დოქები მრგვალი, გადაშლილი პირით (ტაბ. XVII-2).

I-2 - სამტუჩა დოქები და ხელადები (ტაბ. XVII-3).

I-1  ქვეჯგუფი ყურების რაოდენობის მიხედვით იყოფა ორ ტიპიად:

I-1-1- ცალყურა დოქები და ხელადები

I-1-2 – ორყურა დოქები და ხელადები (ტაბ. XVII-4).

I-1-1 ტიპი ყურების მიძერწვის მიხედვით იყოფა სამ ქვეტიპად:

I-1-1-1 – ყური მიძერწილი ყელზე და მხარზე (ტაბ. XVIII-1)

I-1-1-2 - ყური მიძერწილი მხარზე და მუცელზე (ტაბ. XVIII-2).

I-1-1-3 - ყური მიძერწილი პირზე და მუცელზე (ტაბ. XVIII-3).

I-1-1-1 ქვეტიპი ორნამენტაციის მიხედვით დაიყოფა ორ სახეობად:

I-1-1-1-1 სახეობა- დოქები და ხელადები წიბოიანი ყელით  (ტაბ. XVIII-1; XVII-2)

I-1-1-1-2 სახეობა-  სადა დოქები და ხელადები წიბოს გარეშე.

I-1-1-2 ქვეტიპის დოქები ორნამენტაციის მიხედვით დაიყოფა ორ სახეობად:

I-1-1-2-1 სახეობა- ხელადების ტანი შემკულია რელიეფური კოპებისგან შემდგარი  ერთი ან რამდენიმე სარტყელით (ტაბ. XVIII-2).

I-1-1-2-2 სახეობა-  უორნამენტო, სადატანიანი დოქები და ხელადები.

I-1-1-3  ქვეტიპის დოქები ასევე ორ სახეობად დაიყოფა:

I-1-1-3 -1  სახეობა- ყელწიბოიანი დოქები

I-1-1-3 -2  სახეობა-  უორნამენტო დოქები ყელზე  წიბოს გარეშე.

I-1-2 – ტიპი  (ორყურა დოქები) ყურების მიძერწვის მიხედვით იყოფა ორ ქვეტიპად:

I-1-2-1 ქვეტიპი- ყურები მიძერწილი მხარზე და მუცელზე ერთმანეთის სიმეტრიულად (ტაბ. XVII-4).

I-1-2-2  ქვეტიპი- ყურები მიძერწილი ყელზე და მხარზე (ტაბ. XVIII-4).

I-1-2-1 ქვეტიპის დოქები და ხელადები ორნამენტაციის მიხედვით იყოფა ორ სახეობად:

I-1-2-1-1 სახეობის დოქების კორპუსი შემკულია რელიეფური კოპებისგან შემდგარი  ერთი ან რამდენიმე სარტყელით (ტაბ. XVIII-5).

I-1-2-1-2 სახეობის დოქები სადაა, ორნამენტაციის გარეშე.

I-2 ქვეჯგუფის (სამტუჩა) დოქებს ყური როგორც წესი მიძერწილი აქვთ პირზე და მხარზე. უმრავლეს მათგანს ყურის პირთან შეერთების ადგილას ამოყვანილი აქვს სხვადასხვა ზომის შვერილი. ორნამენტაციის მიხედვით ამ ქვეჯგუფის დოქები ორ ტიპად იყოფა (ტაბ. XVII-3).

I-2-1- ტიპის დოქების  კორპუსი შემკულია რელიეფური კოპებისგან შემდგარი რამდენიმე სარტყელით (ტაბ. XVII-3; XVIII-6).

I-2-2- ტიპის დოქების ტანი სადაა.

**II ჯგუფში** ერთიანდება მსხლისებურმუცლიანი დოქები და ხელადები. მათ აქვთ მკვეთრად დაქანებული მხრები, ტანი გაფართოებულია ძირისკენ, რის გამოც კორპუსი მსხლისებურ ფორმას იღებს.

ამ ჯგუფის დოქები და ხელადები პირის ფორმის მიხედვით იყოფა ორ ქვეჯგუფად:

II-1 –  დოქები მრგვალი, გადაშლილი პირით (ტაბ. XIX-1).

II-2 -  დოქები სამტუჩა პირით (ტაბ. XIX-2).

II-1  ქვეჯგუფის დოქები და ხელადები ყურის მიძერწვის მიხედვით დაიყოფა ორ ტიპად:

II-1-1 ტიპი- ყური მიძერწილი ყელზე (ან პირს ქვემოთ) და მხარზე.

II-1-2 ტიპი- ყური მიძერწილი მხარზე.

II-1-1 ტიპის დოქებსა დახელადებს, როგორც წესი, ყელზე წიბო შემოუყვება და რელიეფური კოპებით მათი ტანის გაფორმება არ გვხვდება. ძალიან იშვიათია ამ ტიპის დოქები ყელზე წიბოს გარეშე. II-1-2 ტიპის ხელადები ძირითადად უორნამენტოა.

II-2 ქვეჯგუფის დოქებს ყური, როგორც წესი, მიძერწილი აქვთ პირზე და მხარზე. ყურის პირთან მიერთების ადგილას, ხშირ შემთხვევაში, ვხვდებით მორჩისებურ შვერილს. მათი ტანი უმეტესად სადაა, ორნამენტის გარეშე, თუმცა ვხვდებით შემთხვევებს, როცა სამტუჩაპირიან, მსხლისებურტანიანი დოქების ტანს რელიეფური კოპებით ამკობენ, ან გაფორმებულია ისინი ირიბი ნაჭდევებით. მათთვის ყელზე წიბო არ არის დამახასიათებელი.

III **ჯგუფში** ერთიანდება მაღალი, ოვალური კორპუსის მქონე დოქები. მათ ახასიათებთ მრგვალი, გადაშლილი პირი; მაღალი, ცილინდრული, წიბოიანი ყელი; ბრტყელი ძირი. ყური, როგორც წესი, დაძერწილია მხარსა და პირზე. სახელურის პირთან დაძერწვის ადგილზე, როგორც წესი, დასმულია მორჩისებრი შვერილი (ტაბ. V, 1-4).

ახ.წ. III საუკუნის მეორე ნახევრიდან ან მიწურულიდან გავრცელებული დოქების აღნიშნული ჯგუფი, როგორც ჩანს, მნიშვნელოვნად ენაცვლება ახ.წ. I-III საუკუნეებში გავრცელებულ უფრო დაბალი პროპორციების ხელადებსა და დოქებს (I-II ჯგუფებს) და გვიანანტიკური ხანის ბოლოს, იბერიაში, სრულად დომინირებს III ჯგუფის დოქები [მირიანაშვილი 1983].

ამ ჯგუფის დოქები აღმოჩენილია III-IV სს. დათარიღებულ მრავალ სამაროვანზე: ზღუდერი, ურბნისი, ახალი ჟინვალი, გრაკლიანი გორა და სხვა.

IV **ჯგუფში** ერთიანდება კვერცხისებურტანიანი დოქები. მათ ახასიათებთ გადაშლილი პირი, დაბალი შეზნექილი ყელი, ბრტყელი ძირი. ყური მიძერწილია პირზე და მხარზე (ტაბ. XIX-3).

შეიძლება ითქვს, რომ კვერცხისებურტანიანი დოქები არ არის დამახასიათებელი გვიანანტიკური ხანის აღმოსავლეთ საქართველოსთვის და ძალიან იშვიათად, გამონაკლის შემთხვევებში გვხვდება (ამ ჯგუფის დოქები აღმოჩენილია გადრეკილის ახ.წ. I-II სს. სამაროვანზე; ჟინვალის ახ.წ. III ს-ით დათარიღებულ სამარხში).

დოქები და ხელადები სუფრის ჭურჭელში ერთიანდებიან, რომლებიც წყლისა და ღვინისთვის იყვნენ განკუთვნილნი. ისინი მორფოლოგიურად და ფუნქციურად ერთი ტიპის ჭურჭელს წარმოადგენენ და ერთმანეთისგან მხოლოდ ზომებით და მოცულობით შეიძლება გამოირჩეს. დოქი და ხელადა რომ ერთი ტიპის ჭურჭელია, ამას კახეთის ეთნოგრაფიული მასალაც ადასტურებს [ბოჭორიშვილი 1949: 66].

დღევანდელ არქეოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში არ არსებობს მკაფიო გამიჯვნა დოქს და ხელადას შორის. ამის გამო შეიძლება შევხვდეთ ისეთ შემთხვევებს, როცა ერთი და იგივე ზომის და მოცულობის ამ ტიპის ჭურჭელს დოქიც ეწოდოს და ხელადაც.

ხელადა დოქთან შედარებით მცირე ზომის და შესაბამისად, მცირე ტევადობის ჭურჭელია. მას სითხის საწყაოდ და შესაძლებელია სასმისადაც იყენებდნენ. ჩვენი აზრით, ხელადა უნდა ეწოდოს 20 სმ-მდე სიმაღლის, ზემოთ აღწერილი მორფოლოგიური ნიშნების მქონე ჭურჭელს, ხოლო დოქი შესაძლებელია ეწოდოს ამავე ფორმის ჭურჭელს, რომლის სიმაღლე 20 სმ-ზე მეტია [კობერიძე 2013].

გვიანანტიკური ხანის დოქებისა და ხელადების I და II ჯგუფები წარმოადგენენ აბსოლუტურ უმრავლესობას აღმოსავლეთ საქართველოში. რაც შეეხება III და IV ჯგუფებს ისინი შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება.

დოქებსა და ხელადებზე დაკვირვების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ მათი დამზადების დროს გარკვეული კანონზომიერებაა დაცული კორპუსის ფორმის, პირის მოყვანილობის, ყურის მიძერწვის, ორნამენტირების და სხვა მორფოლოგიური ნიშნების ურთიერთმიმართების მხრივ და, როგორც ჩანს, ამ წესებს მკაცრად იცავდნენ მეთუნე-ხელოსნები ამ პერიოდში. მაგალითად: სფერულმუცლიან დოქებს, რომელთა ტანი რელიეფური კოპებით არის გაფორმებული, ყური ყოველთვის მიძერწილი აქვთ ან მხარზე, ან მხარზე და მუცელზე, ხოლო ყელწიბოიან დოქებს ყურის თავი, როგორც წესი, მიძერწილი აქვთ ყელზე - წიბოზე (III ს-ის ბოლოდან კი პირზე და მხარზე). სამტუჩაპირიან დოქებს ყური ყოველთვის პირზე და მხარზე აქვთ დაძერწილი. შედარებით იშვიათად ვხვდებით მსხლისებურტანიან დოქებს, რომელთა ტანი რელიეფური კოპებით არის გაფორმებული, ამგვარი დოქების უმეტესობა ყელწიბოიანია [კობერიძე 2013].

პირგადაშლილ, სფერულმუცლიან დოქებს ახასიათებს ორივე ორნამენტი (წიბო ყელზე და რელიეფური კოპებისგან შემდგარი სარტყლები მუცელზე), ხოლო სამტუჩა, სფერულმუცლიანი დოქების ტანი, როგორც წესი, გაფორმებულია წნევით ამოყვანილი რელიეფური კოპებით (უფრო ხშირად კოპების სამი რიგი გვხვდება). ასევე აღსანიშნავია, რომ სამტუჩა დოქებს არ ახასიათებთ ყელზე წიბო. ამგვარი დოქები ხშირად დასტურდება ახ.წ. I-III სს. ნამოსახლარებსა და სამაროვნებზე [კობერიძე 2013].

სამტუჩაპირიანი დოქების აღმოჩენა მრავალ პუნქტშია დამოწმებული, როგორც საქართველოში, ისე მთელს სამხრეთ კავკასიაში. განსაკუთრებით ხშირია მათი აღმოჩენის შემთხვევები სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში.

სამტუჩაპირიანი დოქები აღმოჩენილია კამარახევის სამაროვანზე, ერთმანეთის მომდევნო საუკუნეებით დათარიღებულ სხვადასხვა სამარხებში და ძვ. წ. VI-III სს. თარიღდება. ასევე მიკვლეულია თრიალეთში, ბეშთაშენის მახლობლად გათხრილ სამაროვანზე, რომელსაც ბ. კუფტინი ადრეაქემენიდური ხანით ათარიღებდა [Куфтин 1941: 41]. ამ ფორმის ჭურჭელი გვხვდება ხოვლეგორაზეც, რომელიც ძვ. წ. VI-V სს. დათარიღდა [მუსხელიშვილი 1978: 44].

როგორც ჩანს, სამტუჩაპირიანი ჭურჭელი აღმოსავლეთ საქართველოში ძვ. წ. VII ს-ის ბოლოს ჩნდება და შემდგომ საუკუნეებშიც განაგრძობს არსებობას [თოლორდავა 1980: 49]. ჭურჭლის პირის ასეთი გაფორმება დამახასიათებელია როგორც ბერძნული წარმომავლობის ოინოხოიებისთვის, ასევე ურარტული კერამიკისთვისაც [თოლორდავა 1980: 49]. ეს უკანასკნელი შესაძლოა გენეტიკურად უკავშირდება აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილ ანალოგიურ ჭურჭელს.

ბერძნულ ოინოხოიებსა და ადგილობრივ სამტუჩა დოქებს შორის გარკვეული ფუნქციონალური განსხვავებაც შეინიშნება: ბერძნულ ოინოხოიებს სამივე ტუჩი ტოლფასოვანი აქვთ, რომელთა საშუალებით შეიძლება სითხის ჩამოსხმა სამივე მხრიდან ხელის მდგომარეობის შეუცვლელად. იბერიულ ჭურჭელს კი სამუშაო მხოლოდ შუა ტუჩი აქვს, რომელიც მეტ-ნაკლებად წინაა წამოწეული. ეს გარემოებაც, თითქოს, მათ არაბერძნულ წარმომავლობას უნდა უჭერდეს მხარს [თოლორდავა 1980: 49] (განსხვავებით კოლხეთისგან, სადაც საგრძნობია ბერძნული კერამიკული ფორმების გავლენა).

გვიანანტიკურ ხანაში (ელინისტური ხანის მსგავსად) ვხვდებით წერნაქით მოხატულ სამტუჩა ხელადებს: დედოფლის გორაზე აღმოჩენილი ექვსი სამტუჩა დოქიდან ოთხი მოხატულია წითელი და მოყავისფრო ფერის წერნაქით (სწორი, ტალღური ან წერტილოვანი სარტყლებით). ისინი მთლიანადაა მოხატული პირის და ყურის ჩათვლით (ტაბ XIX-4). აღნიშნულ დოქებს შემსწავლელი ძვ.წ. I-ახ.წ. I სს. ათარიღებს [Iberia and Rome 2008: 68]. სავარაუდოდ, ამგვარად მოხატული სამტუჩაპირიანი დოქები უფრო ახ.წ. I საუკუნეს უნდა მიეკუთვნოს, რადგან, ანალოგიურად არის მოხატული (წერტილოვანი, სწორი და ტალღისებური სარტყლებით) აქვე დადასტურებული ახ.წ. I ს-ის ყელწიბოიანი ხელადებიც.

მოხატული სამტუჩა დოქების ახ.წ. I ს-ით დათარიღების სასარგებლოდ მეტყველებს ასევე ერთ-ერთ სამტუჩა დოქზე წერნაქით შესრულებული კიბის მოტივი (ტაბ. XX-1). ასეთი მოტივი ახ.წ. I ს-ზე ადრე (ანუ ელინისტურ ხანაში) არ გვხვდება და, როგორც ჩანს, ამ მოტივს მხოლოდ ახ.წ. I ს-დან იყენებენ. ანალოგიური ორნამენტი (კიბის გამოსახულებით) გვხვდება ასევე აქვე დადასტურებულ ყელწიბოიან დერგზე, რომელიც, მისი ორნამენტის მიხედვით (წიბო ყელზე) კარგად თარიღდება ახ.წ. I ს-ით [Iberia and Rome 2008: 70], რაც თავისთავად აზუსტებს წითელი წერნაქით შესრულებული კიბის მოტივის თარიღს - ახ.წ. I საუკუნეს.

I-1-2 ტიპის (ორყურა) დოქები და ხელადები არც თუ ისე ხშირად გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე: სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ამგვარი დოქები მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით I-1-2-1 ქვეტიპში შეგვიძლია გავაერთიანოთ (დამახასიათებელია გადაშლილი პირი; დაბალი, შეზნექილი ყელი; მომრგვალებული, სფერული ფორმის ტანი; ბრტყელი ძირი. ყურები (ძირითადად ოვალურგანივკვეთიანი), როგორც წესი, მიძერწილია ტანზე. დოქები გამომწვარია მოწითალოდ. აქ აღმოჩენილ, ახ.წ. II ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებულ ერთ-ერთ ორყურა დოქს ტანზე კოპების სამი რიგი შემოუყვება (ტაბ. XVIII-5) [Иващенко 1980: სურ. 97-100].

მსგავსი ორყურა დოქები აღმოჩენილია ჟინვალის სამაროვანზე, ახ.წ. II საუკუნის სამარხებში. ზოგიერთი დოქის ტანს რელიეფური კოპებისგან შედგენილი სამი სარტყელი შემოსდევს, ხოლო ყურებზე სამ-სამი, სიმეტრიულად დაძერწილი მეჭეჭი აქვს [ჩიხლაძე 2015: 17;18].

ამავე სამაროვანზე აღმოჩენილია ორყურა დოქები, რომელთა ყელიც ორ-ორი წიბოთია შემკული, ხოლო ყურები მიძერწილი აქვთ ყელზე- ერთ-ერთ წიბოზე ან წიბოებს შორის და მხარზე (ისინი ერთიანდებიან I-1-2-2 ქვეტიპში) [ჩიხლაძე 2015: 77;85;103]. ზოგიერთ მათგანს, მუცელზე, წნევით ამოყვანილი რელიეფური კოპებისგან შემდგარი სამი სარტყელი შემოსდევს. ამგვარი ორყურა დოქები ახ.წ. III ს-ით თარიღდებიან (ტაბ. XX-2).

ორწიბოიანი დოქები, როგორც ჩანს, მხოლოდ ახ.წ. III ს-ის მეორე ნახევრიდან ჩნდება. I-II სს-ით დათარიღებულ ნამოსახლარებსა და სამაროვნებზე არ დასტურდება დოქები რომელთაც ყელზე ორი წიბო აქვთ.

ყურადღებას იქცევს ჟინვალის სამაროვნის ის ორყურა დოქები, რომლებიც ორნამენტირებულია როგორც რელიეფური კოპებისგან შემდგარი სარტყლებით მუცელზე, ასევე წიბოებით ყელზე. როგორც წესი, ახ.წ. I-III სს-ში, დოქების ორნამენტირება ხდება მხოლოდ ერთ-ერთი მათგანით და თითქმის არ ფიქსირდება ფაქტი, რომ ყელწიბოიანი დოქის ტანი რელიეფური კოპებით იყოს შემკული და პირიქით.

სამთავროს ახ.წ. II ს-ით დათარიღებული ორყურა დოქის ანალოგიური ჭურჭელი აღმოჩენილია ურბნისში და ჟინვალის სამაროვანზე № 1 სამარხში. ურბნისში ამგვარი დოქი ახ.წ. I-II სს. დათარიღებულ სამარხში დასტურდება (აბსოლუტურად ემთხვევა როგორც მორფოლოგიური მახასიათებელი, ასევე ორნამენტაცია). განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ ურბნისის ორყურა დოქს კოპების ოთხი რიგი ამკობს და შეღებილია წითლად (ტაბ. XX-3) [ჭილაშვილი 1964:50], ხოლო ჟინვალის სამაროვანზე აღმოჩენილ ამგვარ ხელადის ტანს ირიბი, მეჩხერი ნაჭდევების სამი მიწკრივი შემოუყვება, ხოლო ყურებზე დაძერწილი აქვს მეჭეჭისებური თითო კოპი.

შემსწავლელი ახალი ჟინვალის №1 სამარხს და შესაბამისად აქ აღმოჩენილ ორყურა ხელადას ახ.წ. III ს-ის დასასრულით ათარიღებდა [რამიშვილი 1983:118], თუმცა, სამარხში დადასტურებული ზოგიერთი ნივთი მის შედარებით ადრეულობაზე უნდა მიგვანიშნებდეს: მაგ. ასეთია მინის ორყურა ჭურჭელი (სანელსაცხებლე), რომლის მსგავსი ნაწარმი დადასტურებულია ახ.წ. I ს-ით დათარიღებულ კომპლექსებში (მცხეთა; ურბნისი); სამარხის ადრეულობაზე უნდა მეტყველებდეს ასევე აქვე აღმოჩენილი გოტარზეს (40-51 წწ.) ვერცხლის მონეტა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელადის დათარიღება ახ.წ. III ს-ის ბოლოთი საეჭვოა და იგი უფრო ახ.წ. I ს-ის ბოლო- II საუკუნით უნდა დათარიღდეს.

ორყურა დოქები აღმოჩენილია ასევე არმაზისხევის ერისთავთა სამარხებთან გათხრილ ღარიბულ სამარხებში, რომლებიც ზოგადად ახ.წ. I-III სს-ით არის დათარიღებული [აფაქიძე...1955:133].

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ერთ-ერთ ღარიბულ სამარხში მეორადი დაკრძალვა იყო გამოყენებული, ხოლო სამარხეული ინვენტარიდან ერთ-ერთი ორყურა დოქი იდო არა სამარხში, არამედ სამარხს მიდგმული ჰქონდა გარედან და ამიტომ, როგორც ჩანს, მეორედ დაკრძალული ჩონჩხის ინვენტარს წარმოადგენდა, ან

მიცვალებულებისთვის შეწირული იყო უფრო მოგვიანო პერიოდში. აღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე და სამთავროს და ურბნისის ანალოგიურ ჭურჭელზე დაყრდნობით, არმაზისხევში აღმოჩენილი დოქის თარიღი, შესაძლებელია, ახ.წ. II-III საუკუნეებით განისაზღვროს.

ამგვარი დოქები აღმოჩენილია ჭერემის გვიანრომაული ხანის სამაროვანზე. მორფოლოგიურად ისინი ემსგავსებიან ზემოთ განხილულ ორყურა დოქებს. აქ გამოვლენილი ორივე დოქი გამომწვარია მოყვითალო-მოვარდისფროდ. ერთ-ერთი დოქის მხარს ირიბი ნაჭდევების ორი რიგი შემოუყვება, მათ შორის კი ზიგზაგისებური ზოლია ამოღარული, ხოლო მეორე დოქის ტანს სამ რიგად შემოუყვება რელიეფური კოპების სარტყელი. დოქები ახ.წ. III ს-ის სამარხში დადასტურდა [მამაიაშვილი... 1984:78].

ორყურა, ყელწიბოიანი დოქები აღმოჩენილია დედოფლის გორის სასახლეშიც, რომელთა სიმაღლე 22-28 სმ-ია (ტაბ. XVIII-4), თუმცა, ზოგიერთი მათგანი მოცულობით საკმაოდ დიდია და უფრო ჩაფებს მოგვაგონებს. ამ უკანასკნელის დანიშნულება კი, სავარაუდოდ, წყლის ან სხვა სითხის შენახვა უნდა ყოფილიყო. მათ ორლულიანი ყურები ახასიათებთ. ისინი კარგად თარიღდებიან ახ.წ. I საუკუნით.

საყურადღებოა, რომ განსხვავებით საქართველოს სხვა სამაროვნებისგან, სოფ. აღაიანში, რიყიანების ველის სამაროვანზე, შედარებით ხშირია ორყურა დოქების გამოვლენის შემთხვევები. ადრეული ორყურა დოქები აქ ძვ.წ. I საუკუნით თარიღდებიან. გვიანელინისტური ხანის სამი ამგვარი დოქია აქ დადასტურებული. მათთვის დამახასიათებელია გადაშლილი პირი; ვიწრო, შედარებით მომაღლო ყელი; სფერული კორპუსი და ბრტყელი ძირი. ყურები მუცელზეა დაძერწილი. არ აქვთ ორნამენტი. გვიანელინისტური ორყურა დოქები წითლად არიან ანგობირებულნი, ან წითელი საღებავის ირგვილი ზოლებით არიან მოხატულნი. ყველა მათგანი მოვარდისფროდაა გამომწვარი [მირიანაშვილი 1983: 35].

ამავე სამაროვანზე გამოვლენილია ახ.წ. I საუკუნის დასაწყისით დათარიღებული ორყურა დოქი, რომელიც, მორფოლოგიურად დიდად არ განსხვავდება გვიანელინისტური ხანის ამგვარი ჭურჭლისგან. ის გამომწვარია შავად. ძვ.წ. I ს-ის ცალებისგან განსხვავებით, შედარებით მოგრძო მუცელი და ბრტყელი ძირი

აქვს. მუცელზე დაძერწილია ბრტყელგანივკვეთიანი ყურები. ზედაპირი სუსტად არის ნაპრიალები და უორნამენტოა (ტაბ. XX -4) [მირიანაშვილი 1983: 22].

ორყურა დოქი დასტურდება ასევე „წიწამური III“-ის უბანზე (მცხეთა), ახ.წ. II-III სს. დათარიღებულ მარანში [ნიკოლაიშვილი... 1995:93].

ორყურა ჭურჭელი საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში იყო გავრცელებული: ისინი დადასტურებულია ძვ.წ. XII-VI სს. დათარიღებულ აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე [Нариманишвили 1991: 17].

შესამჩნევი ქრონოლოგიური ხარვეზის შემდეგ, მსგავსი ტიპის ჭურჭელი ჩნდება უკვე სამადლოს ნაქალაქარზე, ძვ.წ. III ს-ით დათარიღებულ ფენაში [გაგოშიძე 1979: 80] და აქედან მოყოლებული, როგორც ჩანს, უწყვეტად არსებობს გვიანანტიკური ხანის ჩათვლით. თუმცა აღსანიშნავია, რომ ანტიკური პერიოდის ორყურა ჭურჭელი მზადდება უკვე განსხვავებული ტექნოლოგიით (მაგალითად, თუ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ამგვარი ჭურჭელი მზადდებოდა მსხვილმარცვლოვანი, შავად ან მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისგან, ანტიკურ ხანაში ვხვდებით უკვე ღია ფერის, კარგად განლექილი თიხისგან დამზადებულ ჭურჭელს).

ანალოგიური ფორმის ორყურა დოქები დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი იალუილუთეფეს კულტურის ძეგლებზე, მინგეჩაურის ქვევრსამარხებში, რომელთა თარიღი ძვ.წ. II- ახ.წ. II საუკუნეებში ექცევა.

I-III საუკუნეებში, აღმოსავლეთ საქართველოს დოქების და ხელადების აბსოლუტური უმრავლესობისთვის დამახასიათებელია ორი სახის ორნამენტული მოტივი: I- წიბო ყელზე, რომელიც წარმოადგენს რელიეფურ ზოლს, შემოვლებულს ყოველთვის ყელის შუა ნაწილზე (ტაბ. XVII-2, XIX-1); II- მუცელზე შემოვლებული კოპების ერთი ან რამდენიმე რიგი.

კოპები, როგორც წესი, მუცლის შიგნიდან დაწნევის გზითაა მიღებული. აღნიშნული ტექნიკის გამოყენება დამახასიათებელია მხოლოდ გვიანანტიკური ხანისთვის (ტაბ. XVII-3, XVIII-6). ამ პერიოდში კოპები დაძერწვის გზითაც არის გამოყვანილი (მცხეთიჯვრის სამაროვანი) [ბრაგვაძე... 2000:130], მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ორნამენტის დაძერწვით მიღება გვიანანტიკურ ხანაში იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს.

საინტერესოა ამ ორნამენტული მოტივების განვითარების ეტაპები: უკვე ძვ. წ. I საუკუნეში ხელადების ყელზე, ყურის მიერთების ადგილას ჩნდება წიბო, თუმცა, ამ პერიოდში წიბო სუსტადაა გამოხატული. ყელწიბოიანი ჭურჭელი სისტემატურად იწარმოება ახ. წ. VI ს-ის ჩათვლით [ბრაგვაძე... 2002: 143].

ძვ. წ. I ს-ის ყელწიბოიანი ჭურჭელი შედარებით იშვიათად დასტურდება აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე: მათ ვხვდებით ჟინვალის სამაროვანზე [ჩიხლაძე 2015: 6-7]; სოფ. აღაიანთან, რიყიანების ველის სამაროვნზე; ასევე ცნობილია ძეგვიდან და ნასტაკისიდან [მირიანაშვილი 1983: 40,47]. ყელწიბოიანია სამთავროს ქვევრსამარხში დადასტურებული, აღნიშნული პერიოდის, კონუსურძირიანი, უყურო ჭურჭელი (ვარდისფრადაა გამომწვარი და წითლად შეღებილი) (ტაბ. XX-5) [თოლორდავა 1980: 55]. ასეთივე ორნამენტი ამკობს ამავე სამაროვანზე აღმოჩენილ ყურმილიან ხელადას, რომელიც, ჩვენი აზრით, წელთაღრიცხვათა მიჯნით უნდა დათარიღდეს (აღნიშნულ ხელადაზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი).

კონუსურძირიანი, ყელწიბოიანი ჭურჭელი, როგორც ჩანს, საკმაოდ ადრეული პერიოდიდან არის ცნობილი მახლობელი აღმოსავლეთის არქეოლოგიური ძეგლებიდან. კერძოდ, ამგვარი ჭურჭელი მიკვლეულია ისრაელში, გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდის კულტურულ ფენებში [Finkelstein 1988:272].

ახ. წ. I საუკუნიდან აღმოსავლეთ საქართველოს დოქებსა და ხელადებზე წიბო შედარებით მკვეთრი, რელიეფური ხდება, თუმცა წიბოს უფრო გამკვეთრება ახ.წ. II ს-დან შეინიშნება და მკვეთრწიბოიანი ხელადები, ძირითადად, ახ.წ. II-III საუკუნეებში გვხვდება. შესამჩნევია ასევე მორფოლოგიური ცვლილებებიც: ახ. წ. I საუკუნიდან ყელწიბოიანი ჭურჭელი შედარებით დაბალია, ჩნდება ფართო ძირი და მუცელი. ფართოვდება პირი, ქობა ხდება შედარებით მასიური და წახნაგოვანი.

კერამიკულ მასალაზე დაკვირვების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახ.წ. I ს-ში კვლავ განაგრძობს არსებობას ელინისტური ტრადიციები. მრავლად დასტურდება ამ პერიოდის წითელი წერნაქით მოხატული ყელწიბოიანი დოქები: ყურადღებას იქცევს ახ.წ. I ს-ით დათარიღებული ამგვარი დოქები და ხელადები დედოფლის გორის სასახლიდან. ისინი მოხატულია ძვ.წ. I- ახ.წ. I საუკუნეებისთვის დამახასიათებელი მოტივებით (ტაბ. XX-6) [beria and Rome 2008: 68]. ყელწიბოიანი დოქების მოხატულობა

(სწორი, ტალღური და წერტილოვანი სარტყლები), ზოგ შემთხვევაში, ემთხვევა აქვე დადასტურებულ სამტუჩაპირიანი დოქების მოხატულობას და ისინი ახ.წ. I ს-ით თარიღდება. აქ აღმოჩენილ ყელწიბოიან მოხატულ დოქებს ზუსტი პარალელი არ მოეძებნებათ.

გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ახ.წ. I საუკუნეში დოქების და ხელადების დიდი ნაწილი ინარჩუნებს წითელ ანგობს, ხოლო ახ.წ. II ს-დან ამ ტიპის ჭურჭლის წითლად ანგობირება აღარ ხდებოდა. აღნიშნული იყო ასევე, რომ სუფრის ჭურჭელი გახდა შედარებით უხეში და მძიმე ახ.წ. I ს-ის შემდეგ [მირიანაშვილი 1983: 48]. თუმცა, აღმოჩენები ცხადყოფს, რომ წითლად შეღებილი, თხელკედლიანი, კარგად გამომწვარი და განლექილი სუფრის ჭურჭელი II-IV სს-შიც განაგრძობს არსებობას. ამას მოწმობს ახ.წ. II-IV სს-ით დათარიღებულ ნამოსახლარებსა და სამაროვნებზე (მცხეთა, გრაკლიანი გორა, ურბნისი, ზღუდერი, ჟინვალი, ყოღოთო, არაგვისპირი, გუდაბერტყა და სხვა) აღმოჩენილი საკმაო რაოდენობის დოქები და ხელადები და ზოგადად, კერამიკული სუფრის ჭურჭელი [კობერიძე 2013].

ახ. წ. I-III საუკუნეებში ყელწიბოიანი დოქების სახელურის თავი, უმეტეს შემთხვევაში, ყელზე შემოვლებულ წიბოზეა დაძერწილი (ტაბ XIX-1). III საუკუნის მიწურულიდან ამგვარი ჭურჭლის მორფოლოგია ძირეულად იცვლება და კვლავ ვრცელდება შედარებით მაღალი ფორმები: დოქის ტანი და ყელი მნიშვნელოვნად იზრდება წინა პერიოდთან შედარებით. დოქებს, ზოგ შემთხვევაში, უჩნდებათ ქუსლი, რაც ძალიან იშვიათი მოვლენაა ახ.წ. I-III სს-ში. შეინიშნება ყურის ზედა ნაწილის წიბოს ზემოთ, პირზე მიძერწვის ტენდენციის გაჩენა (ტაბ. V, 1-4) (თუმცა ადრეშუა საუკუნეებშიც შესაძლებელია შეგვხვდეს წიბოზე მიძერწილი ყურის თავი). ამავე პერიოდიდან ჩნდება ორმაგწიბოიანი დოქები. სამთავროს გვიანანტიკური ხანის ბოლო ეტაპის სამარხებში აღმოჩენილია დოქები, რომლებსაც ყელზე სამი წიბო აქვთ [მირიანაშვილი 1983].

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ჟინვალის სამაროვანზე, ახ.წ. III ს-ით დათარიღებულ სამარხებში აღმოჩენილი ყელწიბოიანი ხელადები [ჩიხლაძე 2015: 52;101], რომელთაც ყურის თავი მიძერწილი აქვთ პირზე და არა წიბოიან ყელზე. ამასთან, ზოგიერთი ხელადის ტანი, დამატებით, ირიბი ნაჭდევებით ან ზიგზაგისებური ორნამენტით არის გაფორმებული, მაშინ როცა ახ.წ. I საუკუნისა და

III საუკუნის დასაწყისის ყელწიბოიანი დოქების ტანი, როგორც წესი, სადაა. აქვე დასტურდება ხელადები, რომელთაც ყელზე ორი წიბო აქვთ [ჩიხლაძე 2015: 103]. აღნიშნული მორფოლოგიური ნიშნების მქონე ხელადები ახ.წ. III საუკუნის ბოლოთი ან IV საუკუნის I ნახევრით თარიღდება.

არქეოლოგიურ კომპლექსებში, რომელთა თარიღი ახ.წ. III-IV საუკუნეებით არის განსაზღვრული, დასტურდება ყელწიბოიანი ხელადები, ან მათი ფრაგმენტები, რომლებიც ხშირი ტალღური ორნამენტითაა გაფორმებული (ტაბ. XX-7). ზოგ მათგანს ყელთან წვრილი ღარები შემოუყვება და ბრტყელ ძირთან წვრილ ზოლად რელიეფური ქუსლი შემოსდევს. [ნემსაძე 1991: 125].

ყოღოთოს სამაროვნის ამავე პერიოდით (III-IV სს. მიჯნა) დათარიღებულ სამარხში აღმოჩნდა მოვარდისფროდ გამომწვარი, ყელწიბოიანი დოქი, რომელსაც ყელზე, წიბოს ორივე მხარეს, ჭდეების ორი სარტყელი აქვს [სინაურიძე, 1967: 113].

I-III სს-ში ტალღურ ან სხვა გეომეტრიულ ორნამენტს ძალიან იშვიათიად იყენებენ, უმეტეს შემთხვევაში კი აღნიშნული პერიოდის ყელწიბოიან დოქებზე სხვა ორნამენტს არ ვხვდებით და მათი ტანი სადა რჩება. როგორც ჩანს, III ს-ის დასასრულიდან ეს ტრადიცია ირღვევა და ამგვარ დოქებზე უკვე ვხვდებით ტანის ტალღური ორნამენტით, ყელის წვრილი ღარებით, ყელზე წიბოს ჭდეებით გაფორმებას. ჟინვალის ახ.წ. III ს-ის სამარხში დადასტურდა ყელწიბოიანი დოქი, რომელსაც მხარზე ამოკაწრული აქვს მცირე ზომის წრეები, ხოლო ტანი ღრმა კანელურებითაა შემკული [ჩიხლაძე 2015:62]. ამგვარად ორნამენტირებული ყელწიბოიანი დოქები ახ.წ. III საუკუნის მეორე ნახევრით და მიწურულით - IV საუკუნით თარიღდებიან. თუმცა, ყელწიბოიანი ხელადების ტანი შემდგომ პერიოდშიც, მეტწილად, ისევ სადა რჩება (რაც ურბნისში აღმოჩენილი ახ. წ. IV ს-ით დათარიღებული სამარხებიდან მომდინარე ამგვარი დოქების მაგალითიდანაც ჩანს).

სიახლეა ახ. წ. III ს-ის მეორე ნახევრიდან - IV ს. დასაწყისიდან ხელადებზე ქუსლის გაჩენაც: სამთავროს სამაროვნის გვიანანტიკური ხანის სამარხში დადასტურდა ჩალისფრად გამომწვარი ხელადა, გადაშლილი პირით და მაღალი ყელით, მას აქვს მრგვალი მუცელი და ამოღარული ქუსლი. მხარზე შვიდი კოპი აზის. მუცელზე კანელურები დაუყვება. ყურზე დაძერწილია რქისებური შვერილი (ტაბ.

XXI-1) [მანჯგალაძე 1985: 75]. აღნიშნული ხელადა, ამოღარული ქუსლის ჩათვლით, პერიოდისთვის არადამახასიათებელი მრავალფეროვანი ორნამენტითაც გამოირჩევა.

მხარზე შვიდი კოპით გაფორმებული ხელადა აღმოჩენილია მოგვთაკარის ახ.წ. I-III სს. დათარიღებულ სამარხშიც. მის ტანზე ოთხი ღრმა ჩანაზნექია. ოვალური ყური მიძერწილია მუცელზე. მხარზე, კოპებს ქვემოთ, შემოუყვება ჩხირით დატანილი ტალღისებური სარტყელი. ყური ჩაღარულია ასიმეტრიულად მთელს სიგრძეზე. ღარს ზემოდან აზის სამი დანაძერწი კოპი. ყურის ორივე მხარე შემკულია ნაჭდევების თითო რიგით (ტაბ XXI-2) [სიხარულიძე... 1985: 121].

ზემოთ აღწერილი, სამთავროს და მოგვთაკარის სამაროვნებზე აღმოჩენილი ხელადები გამოირჩევიან ხშირი ორნამენტაციით და პერიოდისთვის არადამახასიათებელი მორფოლოგიური ნიშნებით. გამონაკლის შემთხვევებში გვხვდება ასევე ქუსლამოღარული ხელადებიც (სამთავრო) და ეს მოტივი ახ.წ. I-III სს-ში მხოლოდ ჯამებისა და ამფორისკებისთვის არის დამახასიათებელი. არ არის გამორიცხული, რომ ზემოთ აღწერილი განსხვავებული მორფოლოგიური ნიშნების მქონე ხელადები სპეციალურად სამარხში ჩატანების მიზნით იქნა დამზადებული [კობერიძე 2013].

მცხეთაში დადასტურდა წელთაღრიცხვათა მიჯნით დათარიღებული, პერიოდისათვის არადამახასიათებელი ყურმილიანი ხელადა. იგი აღმოჩენილია სამთავროს სამაროვანზე, ქვევრსამარხში. მას ფართო, გადაშლილი პირი, ბიკონუსური მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. ყელზე წიბო შემოუყვება. ხელადა მთლიანად წითლადაა შეღებილი. გამომწვარია მოვარდისფროდ, მილი ყურის ქვედა ნაწილზეა მიძერწილი. მისი სიმაღლე-8.8 სმ-ია (ტაბ. XXI-3) [თოლორდავა 1963: 144].

ამ ფორმის ჭურჭელს მრავალი ანალოგი მოეპოვება ადრეული პერიოდის არქეოლოგიურ ძეგლებზე. ისინი ცნობილია ირანში, სირიაში, მცირე აზიაში, კრეტაზე და სხვ. ცნობილია ასევე იალოილუთეფეს, ნიჯის და მინგეჩაურის კერამიკაში, მაგრამ ყველა ეს ჭურჭელი განსხვავდება სამთავროს ყურმილიანი ჭურჭლისგან.

ყურმილიანი, ბიკონუსურტანიანი დოქები ადრეანტიკური ხანის (ძვ. წ. VI-IV სს) კოლხური კერამიკული ჭურჭლის წამყვან სახეობად გვევლინება. ამ ტიპის დოქები აღმოჩენილია როგორც შავიზღვისპირეთში, ასევე კოლხეთის შიდა რაიონებშიც.

დასტურდება აგრეთვე შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილში, თლის სამაროვანზე, ძვ. წ. V-IV სს. დათარიღებულ კომპლექსებში [ლორთქიფანიძე... 1981: 34].

ყურმილიანი დოქები ცნობილია იმ ძეგლებიდანაც, რომელთა თარიღი წინარეანტიკური და ადრეანტიკური ხანების მიჯნით არის განსაზღვრული და მათი ზედა ქრონოლოგიური ზღვარი ძვ.წ. VII საუკუნის მიწურული ან VI საუკუნის დასაწყისია. ყოველივე ეს მეცნიერებს საფუძველს აძლევს, რომ ყურმილიანი დოქების წარმოშობა წინარეანტიკურ ხანაში ივარაუდონ.

ყურმილიანი დოქები გვხვდება დასავლეთ საქართველოს ძვ. წ. IV-III საუკუნეების კომპლექსებშიც. ძვ. წ. III საუკუნის II ნახევრიდან ისინი კოლხეთის ძეგლებზე აღარ ჩანს [ლორთქიფანიძე... 1981: 36] (არის მოსაზრება, რომ მათი ფორმა მომდინარეობს ირანული სამყაროდან, სადაც ამ ტიპის კერამიკული ნაწარმი ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში იყო გავრცელებული).

ყურმილიანი დოქები აღმოსავლეთ საქართველოშიც ვრცელდება და დამოწმებულია ძეგლებზე, რომლებიც ზოგადად ადრეანტიკური ხანით თარიღდებიან. ისინი გვხვდება ასევე უფრო გვიანდელი ხანით დათარიღებულ სამარხებშიც (ციხიაგორა) [ლორთქიფანიძე... 1981; 36]. „ქასრაანთ მიწების“ სამაროვანზე (სოფ. კავთისხევთან) დასტურდება ძვ. წ. VI-IV სს. დათარიღებულ სამარხებში [ზერაძე, 1980: 23].

აღმოსავლეთ საქართველოს ელინისტური პერიოდის ძეგლებზე ამგვარი დოქები ძალზე იშვიათად გვხვდება: სოფ. იგოეთში, ”გრაკლიან გორაზე” აღმოჩენილია ორი, ჩალისფრად გამომწვარი ყურმილიანი დოქი, რომლებსაც ელინისტური ხანის აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული დოქებისთვის დამახასიათებელი ტანის მსხლისებრი მოყვანილობა აქვთ.

ელინისტური და გვიანანტიკური ხანის აღმოსავლეთ საქართველოში დოქების ტანის ბიკონუსური მოყვანილობა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, აღარ გვხვდება (კოლხეთის მსგავსად). აბსოლუტურ უმრავლესობას მსხლისებრი ან სფერულტანიანი დოქები შეადგენენ. რაც შეეხება ყურმილიან დოქებს, ელინისტურ ხანაში ასეთი სულ რამდენიმეა და საერთოდ აღარ გვხვდება გვიანანტიკურ პერიოდში მთელი საქართველოს მასშტაბით. სწორედ ამიტომ, სამთავროს ქვევრსამარხში აღმოჩენილი

ყურმილიანი დოქი წარმოადგენს იშვიათ გამონაკლისს მისი პერიოდიდან გამომდინარე.

ჩვენი აზრით, ზემოთ აღწერილი ყურმილიანი და ყელწიბოიანი ხელადა ძვ.წ. I საუკუნის მიწურულით ან ახ. წ. I საუკუნის სულ დასაწყისით უნდა დათარიღდეს, რადგან მისი ორნამენტით, გამოწვით და ზედაპირის დამუშავებითაც ის ამ პერიოდის დოქებთან ამჟღავნებს მსგავსებას. ამ ყველაფრის გათვალისწინებით ვფიქრობ, რომ ეს არის ყველაზე გვიანდელი ყურმილიანი ხელადა საქართველოს ტერიტორიაზე და ამავე დროს ერთ-ერთი ადრეული ყელწიბოიანი ჭურჭელი აღმოსავლეთ საქართველოში [კობერიძე 2013].

ყელწიბოიანი ჭურჭელი აღმოსავლეთ საქართველოში არსებობას განაგრძობს ადრეშუა საუკუნეებშიც. ისინი დასტურდება ახ. წ. IV-VI სს-ის ნამოსახლარებსა და სამაროვნებზე, თუმცა, როგორც აღინიშნა, საგრძნობია მორფოლოგიური სხვაობა ახ. წ. I-III და IV-VI საუკუნეების ყელწიბოიან კერამიკულ ჭურჭელს შორის.

საინტერესო ფაქტია, რომ უფრო ადრეული ყელწიბოიანი ჭურჭელი დასტურდება დასავლეთ საქართველოში: დაბლაგომის ქვევრსამარხებში აღმოჩენილია ორყურა, ამფორისებური ჭურჭელი (სულ 3 ც), მათ რუხად გამომწვარი, გაპრიალებული ზედაპირი, პირი პროფილირებული, ტანი სფერული და ბრტყელი ძირი აქვთ. ყურების ბოლო მხარზე, ხოლო ყურის თავები-ყელზე, პირდაპირ წიბოზეა მიძერწილი (ტაბ. XXI-4). აღნიშნული ჭურჭელი ძვ.წ. III ს-ის დასაწყისით თარიღდება. მეცნიერები ამგვარ ჭურჭელს ბერძნული კერამიკის მინაბაძების ერთ-ერთ უადრეს ნიმუშად მიიჩნევენ, რაც, მათი აზრით, ჭურჭლის ყელ-პირის გაფორმებაში შეიმჩნევა [თოლორდავა 1976: 52].

დაბლაგომის ქვევრსამარხებში აღმოჩენილი ეს ჭურჭელი არის ყველაზე ადრეული ყელწიბოიანი ნიმუში მთელს საქართველოში. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული კერამიკული ფორმა უნიკალურია კოლხურ სამეთუნეო ნაწარმში და იგი ძვ. წ. III ს-ის შემდეგ აღარ გვხვდება. ამდენად, ნაკლებ სავარაუდოა, რომ ამ ფორმას რაიმე გავლენა მოეხდინა შემდგომში კოლხურ და მითუმეტეს იბერიულ ყელწიბოიან ჭურჭელზე. ასე რომ, აღნიშნულ კერამიკულ ფორმას ადგილობრივი ფესვები არ აქვს და ვერ მივიჩნევთ საქართველოში დამოწმებული ადგილობრივ დამზადებული ყელწიბოიანი ჭურჭლის წინაპრად.

სოფ. მაღლაკში, შემთხვევით ნაპოვნ ქვევრსამარხში აღმოჩნდა წითლად გამომწვარი, პირგადაშლილი, მაღალყელიანი, სფერულმუცლიანი დოქი, რომელსაც წყვილღეროვანი ყური აქვს - იგი მიძერწილია პირს ქვემოთ და მხარზე. დოქი წითელი საღებავით დატანილი სარტყლებითაა მოხატული. ყელს გარშემო წიბო შემოუყვება (ტაბ. XXI-5). სამარხი და მასში აღმოჩენილი ყელწიბოიანი დოქი გვიანელინისტური ხანით თარიღდება, რომელიც ასევე ერთ-ერთი ადრეული ნიმუშია ყელწიბოიან დოქებს შორის [თოლორდავა 1980: 35].

გვიანელინისტური ხანით დათარიღებული ყელწიბოიანი ხელადები აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე, ძვ.წ. II-I სს. დათარიღებულ ფენაში [გიგოლაშვილი... 1979:53].

ყელწიბოიანი ჭურჭელი დასავლეთ საქართველოში არსებობას განაგრძობს შემდგომ პერიოდშიც. მაგ: ასეთი ტიპის ჭურჭელი აღმოჩენილია მოდინახეს გვიანანტიკურ-ადრეშუა საუკუნეებით დათარიღებულ სამაროვანზე. დოქებს ყურის თავი პირზე ან ყელზე - პირდაპირ წიბოზე აქვთ მიძერწილი (ტაბ. XXI, 6-7) [ზრაგვაძე, ჩიგოგიძე 2002: 101].

ამგვარი დოქების და ჩაფების ფრაგმენტები დადასტურებულია საირხის ადრეშუა საუკუნეების ნამოსახლარზე (IV ს-ის ბოლო- V ს.) და რგანის (სოფ. რგანი მდებარეობს ზემო იმერეთში, ქ. ჭიათურის ჩრდილოეთით) ახ. წ. III საუკუნის მიწურული - V საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებულ სამაროვანზეც. აღნიშნული ჭურჭელი, ძირითადად, ჩალისფრადაა გამომწვარი და ახასიათებთ სფერული ან მსხლისებრი მუცელი [ზრაგვაძე 2000: 107] (ისევე როგორც იბერიულ დოქებს და ხელადებს). თუმცა აღსანიშნავია, რომ კოლხური კერამიკისთვის ყელწიბოიანი ჭურჭელი არ არის ისეთი განმსაზღვრელი, როგორც ეს აღმოსავლეთ საქართველოში ფიქსირდება.

აღმოსავლეთ კოლხეთის ზემოთ ნახსენებ ნამოსახლარებზე და სამაროვნებზე დადასტურებული ყელწიბოიანი კერამიკული ნიმუშები გენეტიკურ სიახლოვეს იჩენს აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებზე მიკვლეულ ნაწარმთან, რაც მიანიშნებს, რომ გვიანანტიკურ და შეიძლება ადრეშუა საუკუნეების პერიოდშიც კი, ყვირილის ხეობის ზემო წელი პოლიტიკურ, კულტურული და ეთნიკური თვალსაზრისით მოქცეულია ქართლის სამეფოს გავლენის არეალში.

გ. ცქიტიშვილს ამის დასტურად მოჰყავს სოფ. ბორში აღმოჩენილი რომაული პერიოდის ვერცხლის თასის წარწერა, სადაც პიტიახშია ნახსენები და აქედან გამომდინარე ასკვნის, რომ ამ წარწერაში ნახსენები პიტიახში იბერიის ერთ-ერთ პიტიახშად არის საგულისხმებელი:- *„იბერიას ლიხის ქედს გადაღმაც ჰყოლია ერისთავები, რომელნიც ზედ კოლხეთის საზღვრებთან მსხდარან“*[ცქიტიშვილი 1955: 309].

როგორც ვხედავთ, ყელწიბოიანი კერამიკული ჭურჭლის ყველაზე ადრეული ნიმუშები დასავლეთ საქართველოში ძვ. წ. III საუკუნიდან გვხვდება და არსებობას განაგრძობს ახ.წ. VI საუკუნემდე, თუმცა, აღმოსავლეთ საქართველოსგან განსხვავებით ამგვარი ჭურჭელი არც ისე ხშირად დასტურდება დასავლეთ საქარველოს ტერიტორიაზე გვიანანტიკურ და ადრეშუა საუკუნეების პერიოდში.

ყელწიბოიანი დოქები და ხელადები საკმაოდ ადრეული ხანიდან არის ცნობილი მახლობელი აღმოსავლეთის კერამიკულ ნაწარმში: ამგვარი ჭურჭელი დასტურდება მაგალითად ისრაელის ტერიტორიაზე, ძვ.წ. 1100-586 წწ. დათარიღებულ კულტურულ ფენებში. საინტერესოა, რომ აქ დადასტურებულ დოქებსაც ყური ყელზე- ზუსტად წიბოზე და მხარზე აქვთ დაძერწილი [Wampler 1947: 18-22, pl. 36].

რაც შეეხება რელიეფური კოპებით ორნამენტირებულ დოქებსა და ხელადებს, ისინი, უმეტესად, ახ.წ. II-III სს. დათარიღებულ კულტურულ ფენებში და სამარხებში გვხვდება და ძალიან იშვიათად დასტურდება ახ.წ. I ს-ით დათარიღებულ არქეოლოგიურ ძეგლებზე.

ამის ნათელი მაგალითია დედოფლის გორის კომპლექსი, სადაც, დიდი რაოდენობით დადასტურებულ ახ.წ. I ს-ით დათარიღებულ დოქებსა და ხელადებს შორის არც ერთი არ არის ორნამენტირებული რელიეფური კოპებით.

მსგავსი სურათი დასტურდება ახალი ჟინვალის სამაროვანზეც, სადაც, ახ.წ. I საუკუნით დათარიღებულ სამარხებში აღმოჩნდა მხოლოდ ერთი რელიეფური კოპებით გაფორმებული ხელადა (სასმისი), მაშინ როცა, ამავე სამაროვანზე, ახ.წ. II-III სს-ით დათარიღებულ სამარხებში უკვე მრავლად ვხვდებით ამგვარად ორნამენტირებულ დოქებსა და ხელადებს.

აღნიშნულ ორნამენტს გ. ლომთათიძე უკავშირებდა დასაკრძალავ რიტუალს და მისი აზრით რელიეფური კოპებით ორნამენტირება მხოლოდ სამარხეული

დოქებისთვის იყო დამახასიათებელი [ლომთათიძე 1955: 353]. მაგრამ ეს მოსაზრება დღევანდელი მონაცემებით არ დასტურდება, რადგან, რელიეფური კოპებით გაფორმებული დოქები, სამარხების გარდა, დიდი რაოდენობით დასტურდება გვიანანტიკური ხანის ნამოსახლარებზეც. მაგალითად, ამგვარად შემკული დოქები და ხელადები დადასტურებულია გრაკლიანი გორის ნამოსახლარზე [კვირკველია, მურვანიძე 2011:52]; ქუშანაანთგორის ნამოსახლარზე [რამიშვილი 1979: 17]; კარსნისხევის ნამოსახლარზე [აფაქიძე...1978: 17]; დიდი მცხეთის ტერიტორიაზე.

რელიეფური კოპებით შემკული ჭურჭელი არსებობას განაგრძობს IV-VI სს-შიც [მანჯგალაძე 1985:79]. რუსთავის ნაციხარზე აღმოჩნდა მოთეთრო ფერის, თიხის, თხელკედლიანი კოჭობები, რომელთაც სწორი ცილინდრული პირი, დაბალი ყელი და მრგვალი მუცელი აქვთ. მათი ზედაპირი გაპრიალებულია და შემკულია შიგნიდან გამოყვანილი კოპების ერთი რიგით (ტაბ. XXII-1). ამ ტიპის ჭურჭელი ახ. წ. IV-VI სს. თარიღდება.

ადრეშუა საუკუნეებით დათარიღებული, კოპებით შემკული ჭურჭელი ასევე აღმოჩენილია დმანისში, გუდარეხში, განჯისკარში, ციხესულორზე [მიწიშვილი, 1979: 27].

საზოგადოდ, ამგვარად შემკული ჭურჭელი მზადდება როგორც II-III, ასევე IV-VI სს-ში. როგორც ჩანს, ადრეშუა საუკუნეების პერიოდის ჭურჭლისგან განსხვავებით, გვიანანტიკურ ხანაში კოპებით ორნამენტირება უფრო ხშირად ხდება და ამავე დროს განსხვავებულია მათი მიღების ტექნოლოგიაც.

აღმოსავლეთ საქართველოში დადასტურებული, გვიანანტიკური პერიოდისთვის დამახასიათებელი, რელიეფური კოპებით შემკული ხელადების იდენტური ნიმუშები დადასტურდა სომხეთშიც, გარნის ციხეზე გამოვლენილ ახ.წ. I-II სს. დათარიღებულ სამაროვანზე [Аракелян 1951: 48, рис 37]. აქ აღმოჩენილი ხელადებისთვის დამახასიათებელია მრგვალი, გადაშლილი პირი, სფერული კორპუსი, ბრტყელი ძირი. სახელური დაძერწილია მუცელზე. დოქებს ამკობს რელიეფური კოპების სამი რიგი [Аракелян 1957: таб IX].

აღმოსავლეთ საქართველოსა და სომხეთში აღმოჩენილი დოქების იდენტურობა გვაფიქრებინებს, რომ ისინი, შესაძლოა, აღმოსავლეთ საქართველოდან იყოს სომხეთში გატანილი, რადგან ზემოთ აღწერილი მორფოლოგიური ნიშნების მქონე დოქები

სწორედ ქართლის (იბერიის) სამეფოს ტერიტორიაზე იწარმოება დიდი რაოდენობით გვიანანტიკურ პერიოდში. აღმოსავლეთ საქართველოდან სომხეთში შეტანილი რელიეფური კოპებით გაფორმებული დოქები ვერ მოხვდებოდა სომხეთის ტერიტორიაზე ახ.წ. II ს-ზე ადრე, შესაბამისად, გარნის ციხის სამაროვნის თარიღი- ახ.წ. I საუკუნე ეჭვის ქვეშ დგება, განსაკუთრებით კი ის სამარხები, სადაც იბერიიდან იმპორტირებული დოქები აღმოჩნდა.

რა თქმა უნდა, ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური ურთიერთობის გარდა, მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებიც არსებობდა (ისევე როგორც მთელს მახლობელ აღმოსავლეთთან, რომის იმპერიასთან), რაც აისახა კიდეც მეზობელი რეგიონების მატერიალურ კულტურაშიც.

გვიანანტიკური ხანის დოქებსა და ხელადებზე ვხვდებით ასევე სხვა ორნამენტულ მოტივებსაც: ღარებს ჭურჭლის სხვადასხვა ადგილას- პირს ქვემოთ, ყელზე და მხარზე, მუცელზე. ზოგ შემთხვევაში ღარები მხოლოდ მორგვის ტრიალის ანაბეჭდია და ორნამენტად არ შეიძლება ჩაითვალოს. გვხვდება კანელურები (ვერტიკალურად დატანილი ზოლები მუცელზე); დაწნევით შესრულებული შვეული ნაპრიალები ზოლები; ღარული ტალღისებრი სარტყლები; ნაჭდევი წრეები; წვრილი ირიბი ჭდეები; ჩაღარული წერტილები და სხვა (ამგვარი ორნამენტაციით გაფორმებული დოქები და ხელადები შედარებით იშვიათია და მათი დიდი ნაწილი ახ.წ. III-IV საუკუნეებს მიეკუთვნება).

დოქებისა და ხელადების ნაწილი, როგორც ჩანს, იდამღებოდა მეპატრონის, ან შესაძლებელია, თვითონ ხელოსნების მიერ: მცხეთაში (დავით აღმაშენებლის ქუჩის დასაწყისში) ნაპოვნია გვიანანტიკური ხანის თიხის ჭურჭელი, რომელსაც ყელზე დამღა აქვს - გამოსახულია მამაკაცის თავი მარჯვენა პროფილში.

სამთავროს სამაროვანზე, ზედა ჰუმუსის ფენაში აღმოჩნდა იგივე პერიოდის თიხის ჭურჭლის ნატეხი, რომელსაც ყელზე, ზემოთ აღწერილი ნიმუშის მსგავსი, ოვალური ფორმის დამღა აქვს- ასევე გამოსახულია მამაკაცის ბიუსტი მარჯვენა პროფილში (ტაბ. XXII-2) [აფაქიძე...1989: 10].

დამღები ჭურჭელზე, სავარაუდოდ, მათ კუთვნილებას აღნიშნავდა ამა თუ იმ პიროვნებისადმი ან მიანიშნებდა სახელოსნოს თუ ხელოსანს, რომელმაც დაამზადა აღნიშნული ჭურჭელი. არ არის გამორიცხული, რომ მათში რაიმე განსაკუთრებული

სითხე ან პროდუქტი მოეთავსებინათ, რის გამოც საჭირო გახდა მათი დამღით დანიშვნა. ფაქტია, რომ ამგვარი ჭურჭელი იშვიათია ამ პერიოდში და მათ, როგორც ჩანს, გამონაკლის შემთხვევებში ადებდნენ დამღას [კობერიძე 2013].

აღმოსავლეთ საქართველოს გვიანანტიკური ხანის სუფრის ჭურჭელი, ძირითადად, თხელკედლიანია, კარგადაა განლექილი და გამომწვარი. იშვიათად გვხვდება მინარევებიანი, სქელკედლიანი, შედარებით უხეში ცალებიც. კერამიკის ნაწილობრივ გაუხეშება უკვე ახ. წ. III ს. ბოლოდან შეინიშნება. თიხა გამომწვარია მოჩალისფრო-მოწითალოდ, მოვარდისფროდ, იშვიათად შავად და მონაცრისფროდ. გვხვდება შავად ნაპრიალები ნიმუშებიც, თუმცა, ახ.წ. I საუკუნიდან შავპრიალა ჭურჭლის წარმოება ძლიერ მცირდება და ახ.წ. II-III სს-ში თითქმის აღარ გვხვდება.

გვიანანტიკური ხანის სამაროვნებზე აღმოჩენილია როგორც შედარებით დაბალი ხარისხის, ხელით ნაკეთები თიხის ჭურჭელი, რომლებიც საგანგებოდ მიცვალებულისთვის სამარხში ჩასატანებლად დაამზადეს, ასევე, უფრო დიდი რაოდენობით გვხვდება კარგად გამომწვარი და განლექილი კერამიკული ნაწარმი, რომელიც იდენტურია სინქრონული პერიოდის ნამოსახლარებზე აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმისა, რაც მოწმობს, რომ სამარხებში, ძირითადად, დასტურდება ის თიხის ჭურჭელი, რომელთაც ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში ჰქონდათ გამოყენება.

ნიჩბისისხევში (მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში), მდ. მტკვრისა და მდ. ნიჩბურას შესართავთან, ადგილ „ბორნისთავზე" გამოვლენილ მრავალფენიან არქეოლოგიურ ძეგლზე შესწავლილ გვიანანტიკური ხანის სამარხებიდან მომდინარე კერამიკული ჭურჭელი მხოლოდ დოქებით და ხელადებით არის წარმოდგენილი.

აღნიშნული სამარხეული ინვენტარი ინახება დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის ფონდებში და აქამდე არ ყოფილა გამოქვეყნებული. ბორნისთავის არქეოლოგიურ გათხრებზე მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია მოიპოვება მოკლე ანგარიშებში [ირემაშვილი 1987: 64-65].

1989 წელს ადგილ „ბორნისთავზე" გამოვლინდა სამი გვიანანტიკური პერიოდის ორმოსამარხი (სამარხები № 2; 35; 81), სადაც კერამიკულ ჭურჭელთან ერთად დაფიქსირდა ოქროს მავთულღერაკოვანი, პასტის მძივით შემკული საყურეები, ვერცხლის ბეჭედი სარდიონის გემა-ინტალიოთი, ავგუსტუსისა და ფაუსტინას ვერცხლის მონეტები, სხვადასხვა ფორმისა და მასალის მძივები, რომელთა

საფუძველზეც სამარხების წინასწარულ თარიღად ახ.წ. II-III სს. განისაზღვრა [აფაქიძე, ნიკოლაიშვილი...2004: 77-78].

ჩვენ განვიხილავთ ბორნისთავის გვიანანტიკური ხანის სამარხებში აღმოჩენილ მხოლოდ კერამიკულ მასალას.

## სამარხი № 2.

სამარხში დადასტურდა ერთი ხელადა. მიეკუთვნება II ჯგუფის II-1-1 ტიპს (მსხლისებურმუცლიანი, პირგადაშლილი, ყელწიბოიანი). გამომწვარია მოჩალისფროდ, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან. h-12 სანტიმეტრი; პირის d-5,3 სანტიმეტრი; ძირის d-8,3 სანტიმეტრი (ტაბ. XXII-3).

## სამარხი № 35

სამარხში აღმოჩნდა ერთი ხელადა: მიეკუთვნება I ჯგუფის I-1-1-1-1 ქვეტიპს (ფართო სფერული მუცლით, გადაშლილი პირით, წიბოიანი ყელით). გამომწვარია მოჩალისფროდ, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან. h-10,5 სანტიმეტრი; პირის d-5,6 სანტიმეტრი; ძირის d-8,5 სანტიმეტრი (ტაბ. XXII-4).

## სამარხი № 81

სამარხში აღმოჩნდა ორი ხელადა:

პირველი ხელადა II ჯგუფის II-2 ქვეჯგუფს მიეკუთვნება (სამტუჩა, მსხლისებური მუცელით). ოვალურგანივკვეთიანი ყურის პირთან მიერთების ადგილზე დაძერწილია მორჩისებური შვერილი და სამი კოპი. ტანი დაფარულია შიგნიდან გამობერვით მიღებული რელიეფური კოპების ოთხი რიგით. ხელადის ყელს მოკლე ნაჭდევების რიგი შემოუყვება, ასეთივე ნაჭდევებით დაფარულია ყურიც. შერჩენილი აქვს წითელი წერნაქის კვალი. h-13 სანტიმეტრი; პირის d -4 სანტიმეტრი; ძირის d -7,8 სანტიმეტრი (ტაბ. XXII-5).

სამარხში აღმოჩენილი მეორე ხელადა I ჯგუფის I-2-1 ტიპს განეკუთვნება (სამტუჩა, სფერული მუცლით, ბრტყელი ძირით). ოვალურგანივკვეთიანი სახელური დაძერწილია მხარსა და პირზე. სახელურის პირთან მიძერწვის ადგილას გვხვდება მორჩისებური შვერილი. ტანი დაფარულია შიგნიდან გამოზნექვით მიღებული რელიეფური კოპების ოთხი რიგით. დოქი მთლიანად შეღებილია წითელი წერნაქით. გამომწვარია მოჩალისფროდ. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან. h-13,8 სანტიმეტრი; პირის d-5 სანტიმეტრი; ძირის d-8,5 სანტიმეტრი (ტაბ. XXIII-1).

# 2-ე და # 35-ე სამარხებში აღმოჩენილ ყელწიბოიან ხელადებს პარალელები ეძებნება ქართლის გვიანანტიკური პერიოდის სამაროვნებზე: მსგავსი ხელადები აღმოჩნდა კარსნისხევის ახ.წ. II-III საუკუნეებით დათარიღებულ კომპლექსებში [ნიკოლაიშვილი 1993]; სამთავროს ახ.წ. II საუკუნით დათარიღებულ სამარხებში [Иващенко 1980]; ახალი ჟინვალის ახ.წ. III ს. დათარიღებულ სამარხებში [ჩიხლაძე 2015]; „სვეტიცხოველი I“-ს და მოგვთკარის გვიანანტიკური ხანის სამაროვნებზე [სიხარულიძე...1985: 109-130] და ზოგადად დიდი მცხეთის ტერიტორიაზე, რის საფუძველზეც აღნიშნული ხელადები ახ.წ. II-III სს. უნდა დათარიღდეს.

81-ე სამარხში აღმოჩენილ სამტუჩა, კოპებით შემკულ ხელადებს პარალელები ეძებნება კარსნისხევის II-III სს. დათარიღებულ სამარხებში, ასევე მოგვთაკარის და სამთავროს სამაროვნებზე აღმოჩენილ ხელადებთან. აღსანიშნავია, რომ ჟინვალის სამაროვანზე აღმოჩენილი სამტუჩა დოქები, რომელთა ტანი კოპებით არის დაფარული, დასტურდება მხოლოდ ახ.წ. III ს-ის სამარხებში და არ გვხვდება ისინი I-II სს-ით დათარიღებულ სამარხებში [ჩიხლაძე 2015]. ასეთივე ხელადები აღმოჩნდა არაგვისპირის სამაროვანზე, ახ.წ. III საუკუნე -IV საუკუნის I ნახევრით დათარიღებულ სამარხში [რობაქიძე 1982]; ზაიათხევის ამავე პერიოდის სამაროვანზე აღმოჩენილია იდენტური სამტუჩა ხელადა, რომელის ტანიც შემკულია რელიეფური კოპების ოთხი რიგით, ხოლო ხელადის ყელი ირიბი ნაჭდევების ორი მწკრივით არის გაფორმებული [ნიკოლაიშვილი... 1995: 106].

ამგვარად, ბორნისთავზე, № 2 და № 35-ე სამარხებში აღმოჩენილ ხელადებს პარალელები ეძებნებათ ქართლის გვიანანტიკური ხანის სამაროვნებიდან მომდინარე მასალებთან და თარიღდებიან ახ.წ. II-III სს-ით; ხოლო № 81-ე სამარხი, მასში

აღმოჩენილი სამტუჩა ხელადების პარალელების საფუძველზე, უფრო ვიწრო ქრონოლოგიური პერიოდით - ახ.წ. III ს-ით თარიღდება.

დიდი დაკვირვება არ არის საჭირო იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ სუფრის ჭურჭელი სამეურნეო-სამზარეულო დანიშნულების ჭურჭელთან შედარებით უფრო კარგადაა დამუშავებული და განლექილი, ორნამენტირებული, უფრო დიდი მონდომებით არის ნაკეთები. სწორედ ამიტომ, შესაძლებელია, რომ სუფრის ჭურჭელი უფრო ძვირადღირებულ პროდუქტს წარმოადგენდა სამეურნეო-სამზარეულო ნაწარმთან შედარებით. თუმცა მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ დიდი ზომის ჭურჭლის (ქვევრები, დერგები) დამზადებას ბევრად მეტი მასალა სჭირდება და მათი ღუმელში გამოწვაც შედარებით რთულ და ხანგრძლივ პროცედურებთან იქნებოდა დაკავშირებული. აღნიშნული გარემოება კი ქვევრების და დერგების ფასს საკმაოდ გაზრდიდა ბაზარზე.

დოქების და ხელადების ყურები განივკვეთში მრგვალი, ოვალური ან ბრტყელია. გვხვდება წნული, გრეხილი ყურებიც.

მათი კეცის სისქე 0.3-0.7 სმ-ია. სიმაღლე 11-25 სანტიმეტრია. პირის დიამეტრი 4-12 სანტიმეტრი. მუცლის დიამეტრი 8-22 სმ-ია. ძირის დიამეტრი 6-17 სმ.

გვიანანტიკური ხანის დოქების და ხელადების სხვადასხვა მახასიათებლის პროცენტულმა დათვლამ ნათლად წარმოაჩინა ის მორფოლოგიური და ტექნოლოგიური ნიშნები, რომლებიც ახ. წ. I-III სს. ამ ტიპის ჭურჭელს ახასიათებს.

ჩვენ გამოვყავით და ცალ-ცალკე დავითვალეთ ახ.წ. I ს-ით; II ს-ით; და III ს-ით დათარიღებული დოქების და ხელადების მორფოლოგიური და ტექნოლოგიური ნიშნები, შევადგინეთ შედარებით-სტატისტიკური ცხრილი, სადაც პროცენტულად არის დათვლილი ყველა ეს მახასიათებელი საუკუნეების მიხედვით და ნაჩვენებია, თუ როგორ იცვლება ეს ნიშნები სამი საუკუნის განმავლობაში. ცხრილმა შემდეგი სურათი მოგვცა:

ცხრილი № 1

| | I ს. | II ს | III ს |
|---|---|---|---|
| მრგვალი, გადაშლილი პირი | 78 % | 80 % | 87 % |
| სამტუჩა პირი | 22 % | 18 % | 13 % |
| სწორი პირი | | 2 % | |
| დაბალი ყელი | 97 % | 96 % | 95 % |
| მაღალი ყელი | 3 % | 4 % | 5 % |
| სფერული მუცელი | 79 % | 85 % | 87 % |
| მსხლისებური მუცელი | 19 % | 14 % | 8 % |
| შემაღლებული, ოვალური ფორმის მუცელი | | | 5 % |
| ბიკონუსური მუცელი | 2 % | | |
| კვერცხისებური მუცელი | | 1 % | |
| ორყურა დოქები | 4 % | 6% | 9 % |
| ყური მიძერწილი პირზე და მხარზე | 41% | 19 % | 17 % |
| ყური მიძერწილი ყელზე და მხარზე | 43 % | 37 % | 56 % |

| | | | |
|---|---|---|---|
| ყური მიძერწილი მუცელზე | 14 % | 32 % | 23 % |
| ყური მიძერწილი მხარზე | 2 % | 12 % | 4 % |
| ორნამენტირებული | 62 % | 83 % | 91 % |
| სადა | 38 % | 17 % | 9 % |
| ყელწიბოიანი | 48 % | 38 % | 61 % |
| რელიეფური კოპებით ორნამენტირებული | 3 % | 39 % | 26 % |
| სხვა ორნამენტი | 11 % | 6 % | 4 % |
| მოჩალისფრო-მოწითალოდ გამომწვარი | 89 % | 96 % | 99 % |
| მოშავო-მოყავიოსფროდ გამომწვარი | 11 % | 4 % | 1 % |
| წითლად შეღებილი | 34 % | 27 % | 14 % |
| ქუსლიანი ძირი | | | 1 % |

როგორც უკვე ავღნიშნე, ზემოთ მოყვანილ ცხრილში დათვლილია მხოლოდ იმ დოქების და ხელადების მახასიათებლები, რომლებიც ზუსტად თარიღდებიან ახ.წ. I; II და III საუკუნით.

მაგრამ, ზოგ შემთხვევაში, ჩვენ ისეთ კერამიკულ მასალასაც ვხვდებით, რომლის დათარიღება ვერ ხერხდება რომელიმე კონკრეტული საუკუნით, ამიტომ მათი ასაკი შედარებით ფართო ქრონოლოგიური პერიოდით ისაზღვრება. მაგალითად, დოქებისა და ხელადების ნაწილი თარიღდება ახ. წ. I-II და II-III სს-ით.

ჩვენ ასეთი მასალა ცალკე გამოვყავით ზუსტად დათარიღებული მასალისგან და შევეცადეთ ცალკე ცხრილი შეგვედგინა მათთვის, სადაც, დათვლილი და შედარებული იქნება ახ.წ. I-II სს-ით დათარიღებული დოქები და ხელადები II-III სს-ით დათარიღებულ დოქებთან და ხელადებთან იმ მეთოდის გამოყენებით, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. ცხრილმა შემდეგი სურათი მოგვცა:

**ცხრილი № 2**

| | I-II სს. | II-III სს. |
|---|---|---|
| მრგვალი, გადაშლილი პირი | 81 % | 82 % |
| სამტუჩა პირი | 19 % | 18 % |
| სწორი პირი | | |
| დაბალი ყელი | 93 % | 83 % |
| მაღალი ყელი | 7 % | 17 % |
| სფერული მუცელი | 74 % | 84 % |
| მსხლისებური მუცელი | 26 % | 9 % |
| შემაღლებული, ოვალური ფორმის მუცელი | | 7 % |
| ბიკონუსური მუცელი | | |
| კვერცხისებური მუცელი | | |

| | | |
|---|---|---|
| ყური მიძერწილი პირზე და მხარზე | 20 % | 31 % |
| ყური მიძერწილი ყელზე და მხარზე | 44 % | 43 % |
| ყური მიძერწილი მუცელზე | 20 % | 26 % |
| ყური მიძერწილი მხარზე | 16 % | |
| ორნამენტირებული | 87 % | 82 % |
| სადა | 13 % | 18 % |
| ყელწიბოიანი | 45 % | 44 % |
| რელიეფური კოპებით ორნამენტირებული | 36 % | 35 % |
| სხვა ორნამენტი | 6 % | 3 % |
| მოჩალისფრო-მოწითალოდ გამომწვარი | 94 % | 98 % |
| მოშავო-მოყავიოსფროდ გამომწვარი | 6 % | 2 % |
| წითლად შეღებილი | 15 % | |
| ქუსლიანი ძირი | | |

ცხრილების შედგენის შემდეგ შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები: I-III სს-ში, მრგვალი, გადაშლილპირიანი დოქები ჭარბობს სამტუჩაპირიან დოქებს, თუმცა, თავად სამტუჩაპირიანი დოქების ერთმანეთთან შდარებით ირკვევა, რომ ისინი

შედარებით დიდი რაოდენობით იწარმოებოდნენ ახ.წ. I ს-ში, (22 %) ხოლო შემდგომ პერიოდში მათი რაოდენობა თანდათან კლებულობს. ( II ს- 14 %; III ს-13 %)

სფერულმუცლიანი დოქები და ხელადები სამივე საუკუნის განმავლობაში ჭარბობს მსხლისებურმუცლიან დოქებს, თუმცა, მსხლისებურმუცლიანი დოქების ერთმანეთთან შედარებით ირკვევა რომ მათ შედარებით დიდი რაოდენობით ამზადებენ I ს-ში (19 %), ხოლო შემდგომ პერიოდში ამგვარი ფორმის ჭურჭელი თანდათან კლებულობს (II ს-14 %; III ს-8 %).

მსხლისებურმუცლიანი და სამტუჩაპირიანი დოქების შედარებითი სიმრავლე ახ.წ. I ს-ში (II-III საუკუნეებთან შედარებით), შესაძლებელია, ელინისტური ტრადიციების გავლენას დავუკავშიროთ, რომელიც გარკვეული დოზით შემორჩა ახ.წ. I საუკუნეშიც.

ამ მოსაზრებას ადასტურებს ასევე წითელი წერნაქით შეღებილი დოქების და ხელადების შედარებითი სიმრავლე ახ.წ. I ს-ში (როცა მათი რაოდენობა 34 %-ს აღწევს), ხოლო შემდგომ საუკუნეებში წერნაქიანი სუფრის ჭურჭელი იკლებს (II ს- 27 %; III ს-14 %).

I საუკუნეში უპირატესობას ანიჭებენ ყელწიბოიანი დოქების დამზადებას. მათი საერთო რაოდენობა ამ დროს 48 %-ს შეადგენს. რაც შეეხება რელიეფური კოპებით შემკულ ხელადებს, I ს-ში მათ ძალიან მცირე რაოდენობით ვხვდებით (3 %). თამამად შეიძლება ითქვას, რომ კოპებით გაფორმებული დოქები ახ.წ. I საუკუნისთვის არ არის დამახასიათებელი.

სიტუაცია იცვლება II საუკუნეში, როცა ყელწიბოიანი და რელიეფური კოპებით ორნამენტირებული დოქები უკვე თანაბრდება (ყელწიბოიანი-40 %; კოპებიანი-41 %). III საუკუნეში კვლავ ყელწიბოიანი დოქები ქმნიან უმრავლესობას, როდესაც მათი რაოდენობა 61 %-ს აღწევს, რელიეფური კოპებით ორნამენტირებული დოქების რაოდენობა კი მხოლოდ 26 %-ია.

ამ მეთოდით შედგენილი ცხრილები დახმარებას გაგვიწევს შემდგომში სხვადასხვა კერამიკული ფორმების ზუსტ დათარიღებაში. ასევე, ნათლად გვიჩვენებს იმ მორფოლოგიური ცვლილებების ზუსტ თანაფარდობას, რასაც საუკუნეების განმავლობაში განიცდის ესა თუ ის კერამიკული ჭურჭელი.

(იხილეთ ასევე დიაგრამები დოქების და ხელადების მორფოლოგიური და ტექნოლოგიური ნიშნების პროცენტული მაჩვენებლების შესახებ. გვ: 226-228; და ქრონოლოგიური შკალა- გვ. 235-245).

## § 2. ჯამები

ჯამები სუფრის ჭურჭელში ერთიანდება. ისინი დასტურდება როგორც ნამოსახლარებზე-კულტურულ ფენებში, ასევე სამარხებშიც, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხელადებისგან და კოჭობებისგან განსხვავებით, ჯამები შედარებით იშვიათად გვხვდება სამარხეულ ინვენტარს შორის I-III სს-ში. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ელინისტური პერიოდის შემდგომ, დაკრძალვის წესში გარკვეული ცვლილებები ხდება. როგორც ჩანს, გვიანანტიკურ ხანაში საგრძნობლად შემცირებულია მიცვალებულებისთვის საკვების ჩატანების ტრადიცია და მათ ამ პერიოდში, ძირითადად, ღვინოსა და წყალს ატანდნენ. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლოა აქ საქმე გვქონდეს რელიგიური რწმენა-წარმოდგენების გარკვეულ ცვლილებებთან.

შეგვიძლია მაგალითად მოვიყვანოთ კარსნისხევის გვიანანტიკური ხანის სამაროვანი [ნიკოლაიშვილი 1993:49-83], სადაც გამოქვეყნებული 36 სამარხიდან არც ერთში არ არის დადასტურებული ჯამი თუ ლანგარი, მაშინ როცა თითქმის ყველა სამარხში დასტურდება ერთი ხელადა მაინც (აქვე აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის სამარხებში ხშირად გვხვდება ორი ან სამი ხელადა ერთად).

გვიანანტიკური პერიოდის ჯამები პირის ფორმის მიხედვით იყოფა სამ ჯგუფად:

**I ჯგუფში** ერთიანდება პირმოყრილი ჯამები.

ძირის მიხედვით ამ ჯგუფის ჯამები იყოფა ორ ქვეჯგუფად:

I-1 ქვეჯგუფი - ჯამები დაბალი, ამოღარული ქუსლით (ტაბ. XXIII-2);

I-2 ქვეჯგუფი- ჯამები უქუსლო, ბრტყელი ძირით (ტაბ. XXIII-3).

I-1 ქვეჯგუფი იყოფა ორ ტიპად:

I-1-1 ტიპი -ჯამები, რომელთა გვერდი და კალთა გამოყოფილია მკვეთრი წიბოთი;

I-1-2 ტიპი- ჯამები, რომელთა გვერდი თანდათან გადადის კალთაში.

I-2 ქვეჯგუფი იყოფა ორ ტიპად:

I-2-1 ტიპი -ჯამები, რომელთა გვერდი და კალთა გამოყოფილია მკვეთრი წიბოთი;

I-2-2- ტიპი- ჯამები, რომელთა გვერდი და კალთა არ არის გამოყოფილი (ე.წ. კალთამომრგვალებული ჯამები)

**II ჯგუფში** ერთიანდება პირგადაშლილი ჯამები.

ძირის ფორმის მიხედვით ამ ჯგუფის ჯამები იყოფა ორ ქვეჯგუფად:

II-1 ქვეჯგუფი -ჯამები დაბალი, ამოღარული ქუსლით (ტაბ. XXIII-4);

II-2 ქვეჯგუფი -ჯამები უქუსლო, ბრტყელი ძირით (ტაბ. XXIII-5). ამ ქვეჯგუფში ძირითადად ერთიანდება ნახევარსფერულტანიანი ჯამები.

II-1 ქვეჯგუფი იყოფა ორ ტიპად:

II-1-1 ტიპი- ჯამები, რომელთა გვერდი და კალთა გამოყოფილია მკვეთრი წიბოთი;

II-1-2 ტიპი- ჯამები, რომელთა გვერდი თანაბრად გადადის კალთაში

**III ჯგუფში** ერთიანდება სწორპირიანი ჯამები. მათ, ძირითადად, აქვთ დაბალი, ამოღარული ქუსლი.

ამ ჯგუფის ჯამები იყოფა ორ ქვეჯგუფად:

III-1 ქვეჯგუფი– ჯამები, რომელთა გვერდი და კალთა გამოყოფილია წიბოთი (ტაბ. XXIII-6).

III-2 ქვეჯგუფი- ჯამები, რომელთა გვერდი თანაბრად გადადის კალთაში (ტაბ. XXIII-5).

ჯამებს ახასიათებთ პროფილირებული ან მარტივი პირი, ბაკო მომრგვალებული ან ბრტყელია. ხშირ შემთხვევაში მათი გვერდი და კალთა გამოყოფილია მკვეთრი

წიბოთი (ტაბ. XXIII-4), თუმცა, დასტურდება ასევე ჯამები, რომელთა გვერდი და კალთა არაა გამოყოფილი და ისინი პროფილში მომრგვალებულია (სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთი ტიპის ჯამებს კალთამომრგვალებულს უწოდებენ) [ნიკოლაიშვილი 1993:44]. მაგალითად, გრაკლიან გორაზე [კვირკველია 2011] აღმოჩენილია ნახევარსფერულტანიანი (კალთამომრგვალებული) ჯამები (ტაბ. XXIII-5), რომელთა თარიღი ახ.წ. III-IV საუკუნეებით არის განსაზღვრული. ჯამების უმეტესობისთვის დაბალი ქუსლია დამახასიათებელი, თუმცა გვხვდება შედარებით მაღალფეხიანი ჯამებიც.

დედოფლის გორაზე დადასტურებული ყველა ჯამი (უმრავლესობა მათგანი თარიღდება ახ.წ. I ს-ით) ქუსლიანია (ქუსლი უმეტეს შემთხვევაში ამოღარულია). მათ აქვთ გადაშლილი ან მოყრილი პირი. აქვე აღსანიშნავია, რომ დაბალქუსლიანი, პირმოყრილი ჯამები აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც ჩანს, ძვ.წ. II ს-დან იწყებს გამოჩენას- ამგვარი ჯამი დასტურდება სამადლოს ნაქალაქარის ძვ.წ. II ს-ით დათარიღებულ ფენაში [Гагошидзе 1979:85].

პირმოყრილი, ქუსლამოღარული ჯამები აღმოჩენილია ასევე სომხეთშიც, გარნის ციხეზე, ახ.წ. I-II სს. დათარიღებულ სამაროვანზე [Аракелян 1957:52, рис 20].

გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე დასტურდება ჯამები, რომელთაც ძირზე და კალთაზე გამჭოლი ნახვრეტები აქვთ (წიწამური, არაგვისპირი). ისინი შესაძლებელია საწურის დანიშნულებას ასრულებდნენ.

ჯამების უმეტესობა სადაა. იშვიათად ვხვდებით ორნამენტირებულ ჯამებს. მათ ორნამენტაციაში გვხვდება: ფსკერზე სპირალისებური ორნამენტი; ფსკერზე და გვერდზე ფრჩხილისებური, ამოღარული ორნამენტი, რომელიც ქმნის მზის სიმბოლურ გამოსახულებას (წიწამური); მხარზე ამოღარული ზოლები; ჯამის ზედაპირზე დაწნევის შედეგად მიღებული ნაპრიალები ზოლებით შედგენილი სარტყლები, რომლებიც ჭურჭელზე გამოწვამდეა დატანილი (ეს უკანასკნელი მოტივი დამახასიათებელია შავად გამომწვარი კერამიკისთვის და თითქმის არასდროს გვხვდება ღიაფრად გამომწვარ ნაწარმზე).

ორნამენტირებული ჯამებისგან განსხვავებით, უფრო ხშირად ვხვდებით წერნაქით შეღებილ ჯამებს. საინტერესო ფაქტი დასტურდება დედოფლის გორაზე, ახ.წ. I ს-ით დათარიღებულ ჯამებთან დაკავშირებით, კერძოდ: პირმოყრილი ჯამების

უდიდესი ნაწილი წითელი წერნაქით არის მოხატული, მაშინ როცა პირგადაშლილ ჯამებში მხოლოდ ერთია წერნაქიანი. რაც შეეხება პირგადაშლილი ჯამების ორნამენტაციას, აქ უმრავლესობა გაფორმებულია გამოწვამდე დატანილი ნაპრიალები ხაზებით, რომლებიც წვრილი იარაღით არის შესრულებული. აღსანიშნავია, რომ ნაპრიალები ხაზებით პირმოყრილი ჯამების ორნამენტირება იშვიათი გამონაკლისის გარდა არ ხდებოდა [Iberia and Rome: 2008:67].

დედოფლის გორაზე აღმოჩენილია ერთადერთი ლუთერიის მსგავსი ჯამი მთელს აღმოსავლეთ საქართველოში: მას აქვს მოყრილი პირი და ტუჩი. ტუჩს ქვემოთ დამერწილი აქვს ორი მცირე კოპი. აქვს დაქანებული კალთა და ბრტყელი ძირი (ტაბ. XXIV-1). აღნიშნული ჭურჭელი ძვ.წ. I -ახ.წ. I საუკუნეებით თარიღდება და, სავარაუდოდ, დამზადებულია ელინისტურ სამყაროში გავრცელებული ლუთერიების მიბაძვით. ჭურჭელს არ ეძებნება პარალელი აღმოსავლეთ საქართველოში [Iberia and Rome 2008:67].

ჯამები გამომწვარია მოჩალისფრო-მოწითალოდ, შავად, იშვიათად მოყავისფრო-მონაცრისფროდ და რუხად. არის შავად ნაპრიალები ცალებიც.

ვხვდებით როგორც თხელკეციან, კარგად განლექილ და გამომწვარ ჯამებს, ასევე სქელკედლიან, უხეშ, ზოგ შემთხვევაში ასიმეტრიულად ნაძერწ ჯამებსაც. მათი ნაწილი ცუდად არის განლექილი და მინარევებიანია: კეცში შეინიშნება ქარსის, სილის და მსხვილი ქვიშის ჩანართები. ზოგიერთ მათგანს ხაოიანი ზედაპირი აქვს. თუმცა, ჯამების უმეტესობა ნაკეთებია ჩარხზე, კარგად განლექილი თიხისგან.

ჯამების სიმაღლე 2 სმ-დან 8 სმ-მდე მერყეობს. პირის დიამეტრი 10 - 16 სმ-ია. ძირის დიამეტრი 4 -11 სანტიმეტრია. ქუსლის h -1 დან- 3 სანტიმეტრამდეა. მათი კეცი 0,3 - 1 სანტიმეტრია სისქით.

ჯამების მორფოლოგიური და ტექნოლოგიური ნიშნების პროცენტულმა დათვლამ შემდეგი სურათი მოგვცა:

| | I ს. | II ს | II ს-ის ბოლო - III ს |
|---|---|---|---|
| პირგადაშლილი ჯამები | 28 % | 21 % | 15 % |
| პირმოყრილი ჯამები | 57 % | 79 % | 72 % |
| სწორი პირი | 15 % | | 13 % |
| კალთადაქანებული | 97 % | 92 % | 100 % |
| კალთამომრგვალებული | 3 % | 8 % | |
| გვერდი და კალთა გამოყოფილი წიბოთი | 60 % | 50 % | |
| ქუსლიანი | 86 % | 35 % | 85 % |
| უქუსლო ბრტყელი ძირი | 14 % | 65 % | 15 % |
| სადა (უორნამენტო ) | 74 % | 86 % | 90 % |
| ორნამენტირებული | 26 % | 14 % | 10 % |
| მოჩალისფრო-აგურისფერი | 79 % | 92 % | 90 % |
| შავი | 14 % | 7 % | 10 % |
| მონაცრისფრო-რუხი | 7 % | | |
| წერნაქიანი | 68 % | 20 % | 15 % |

შედარებით-სტატისტიკური ცხრილის შედგენის შემდეგ ცხადი ხდება სხვადასხვა დეტალი: კერძოდ ირკვევა, რომ პირმოყრილი ჯამები რაოდენობრივად მნიშვნელოვნად ჭარბობს პირგადაშლილ ჯამებს I-III სს-ში. ირკვევა ასევე, რომ დაბალქუსლიანი ჯამები, ძირითადად, მზადდებოდა I და III სს-ში. ამ დროს ისინი საგრძნობლად ჭარბობენ უქუსლო, ბრტყელძირიან ჯამებს, თუმცა სიტუაცია განსხვავებულია II ს-ში, როცა უქუსლო, ბრტყელძირიანი ჯამებია უმრავლესობაში.

პროცენტულმა მაჩვენებლებმაც ცხადყო, რომ ჯამების ორნამენტირება იშვიათია გვიანანტიკური პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოში და ძირითადად სადა ჯამები გვხვდება. თუმცა, მათი ორნამენტირება უფრო ხშირია ახ.წ. I ს-ში (26 %), ხოლო შემდგომ საუკუნეებში საგრძნობლად მცირდება (II ს- 14 %; III ს-10%).

საინტერესო ფაქტია, რომ ახ.წ. I ს-ში წერნაქით მოხატული ჯამები დიდი რაოდენობით მზადდება (68%), მაგრამ უკვე შემდგომ საუკუნეებში (ახ.წ. II-III სს-ში) მათი მოხატვა შესამჩნევად იკლებს (15-20%) (როგორც ზემოთ ვნახეთ, ასეთივე ვითარება დასტურდება დოქების და ხელადების შემთხვევაშიც, როცა წერნაქით მოხატული დოქები უფრო დიდი რაოდენობით ახ.წ. I ს-ში გვხვდება, II-III საუკუნეებთან შედარებით). ახ.წ. I ს-ში წერნაქით მოხატული ჭურჭლის დიდი რაოდენობით აღმოჩენა, ისევ და ისევ, ელინისტური ტრადიციების გავლენას უნდა დავუკავშიროთ, რაც, როგორც ჩანს, თანდათან იკარგება II-III სს-ში.

(იხილეთ ასევე დიაგრამები ჯამების მორფოლოგიური და ტექნოლოგიური ნიშნების პროცენტული მაჩვენებლების შესახებ. გვ: 228-229; და ქრონოლოგიური შკალა- გვ. 235-245).

## § 3. სასმისები

სუფრის ჭურჭელში ერთიანდებიან სასმისებიც, რომელთაც, ძირითადად, კათხისებური ფორმა აქვთ. გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე მათი აღმოჩენის შემთხვევები შედარებით იშვიათია.

კორპუსის ფორმის მიხედვით კათხისებური სასმისები ორ ძირითად ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ:

**I ჯგუფში** ერთიანდება თითქმის ვერტიკალურ გვერდებიანი სასმისები. მათი კორპუსი ოდნავ ვიწროვდება ძირისკენ. გადაშლილი, თხელბაკოიანი პირი და ბრტყელი ძირი აქვთ. ისინი ძირითადად ცალყურიანებია.

კორპუსზე ყურის მდებარეობის მიხედვით I ჯგუფის სასმისები იყოფა ორ ქვეჯგუფად:

I-1 ქვეჯგუფი- ყური მიძერწილი კორპუსის შუა ნაწილზე (ტაბ XXIV-2).

I-2 ქვეჯგუფი- ყური მიძერწილი კორპუსის ქვედა ნაწილზე (ტაბ XXIV-3).

ამ ჯგუფის სასმისები აღმოჩენილია არაგვისპირის სამაროვანზე, რომლის თარიღი ახ.წ. III ს.-IV საუკუნის დასაწყისით არის განსაზღვრული [რობაქიძე 1982: 89]; დედოფლის გორაზე და სხვა.

ყურადღებას იპყრობს დედოფლის გორის სასახლეში აღმოჩენილი I ჯგუფის კათხისებური სასმისი, რომელიც რადიკალურად განსხვავდება აქამდე აღმოჩენილი ყველა სასმისისგან. მას ძირისკენ თანაბრად შევიწროებული გვერდები და ბრტყელი ძირი აქვს. ყური მიძერწილია სასმისებისთვის უჩვეულო ადგილას-ძირთან ახლოს (ტაბ. XXIV-3). იგი დამზადებულია მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი ადგილობრივი თიხისგან და არ მოეპოვება არცერთი პარალელი საქართველოში. სასმისი დათარიღებულია ძვ.წ. I -ახ.წ. I საუკუნეებით [Iberia and Rome 2008: 69].

**II ჯგუფში** ერთიანდება ოდნავ გამობერილი, მოგრძო მუცლიანი სასმისები. მათ ახასიათებთ თხელბაკოიანი, გადაშლილი პირი; დაბალი ყელი; დაბალი, წრიული

ქუსლი და ბრტყელი ძირი. ამ ჯგუფის სასმისებიც ცალყურიანია. ყური, როგორც წესი, მიძერწილია მხარზე და მუცლის ქვედა ნაწილზე (ტაბ. XXV-1).

გვხვდება როგორც ორნამენტიანი, ასევე უორნამენტო სასმისები. ყურის მხართან შეერთების ადგილზე, ზოგჯერ, დაძერწილია მცირე კოპი.

მსგავსი სასმისები, ძირითადად, ახ.წ III-IV სს-ით თარიღდება. გვხვდება ისინი ჟინვალის სამაროვანზე, არაგვისპირის სამაროვანზე [რობაქიძე 1982: 89] და სხვა.

სასმისების სიმაღლე 8-11 სმ-ია.

# თავი II.

# სამზარეულო ჭურჭელი

## § 1. ქოთნები

ქოთნები სამზარეულო დანიშნულების ჭურჭელში ერთიანდება, რომლებიც მრავლად გვხვდება I-III სს-ით დათარიღებულ ნამოსახლარებზე და შედარებით იშვიათად დასტურდება სამარხებში, რის გამოც ამ ტიპის ჭურჭელი, ძირითადად, ფრაგმენტულადაა შემორჩენილი და რიგ შემთხვევებში მთლიანი ფორმების აღდგენა ჭირს, თუმცა გვაქვს ასევე სამარხეული ქოთნების მთელი ნიმუშებიც.

ქოთნები არ გამოირჩევიან ფორმათა მრავალფეროვნებით და მორფოლოგიურად, ძირითადად, ერთი ტიპისანი არიან.

აღმოსავლეთ საქართველოს ახ.წ. I-III სს-ის არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი ქოთნები, კორპუსის ფორმის მიხედვით, ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

I **ჯგუფი-** სფერულმუცლიანი ქოთნები (გვიანანტიკური ხანის ქოთნების უმრავლესობა ამ ჯგუფში ერთიანდება).

II **ჯგუფი-** ოდნავ შემაღლებული, ოვალისებურკორპუსიანი ქოთნები.

I ჯგუფის ქოთნები პირის ფორმის მიხედვით ორ ქვეჯგუფად დაიყოფა:

I-1 ქვეჯგუფი- გადაშლილპირიანი ქოთნები. მათთვის, ძირითადად, დამახასიათებელია თხელი, გადაშლილი პირი, თუმცა ვხვდებით ასევე პირის კიდის მომრგვალებასაც.

I-2 ქვეჯგუფი- პირმოყრილი ქოთნები.

I-1 ქვეჯგუფი ყურების რაოდენობის მიხედვით იყოფა სამ ტიპად:

I-1-1 ტიპი- ცალყურა ქოთნები (ტაბ. XXIX-5)

I-1-2 ტიპი- ორყურა ქოთნები (ტაბ. XXIX-6)

I-1-3 ტიპი- უყურო ქოთნები (ტაბ. XXX-1).

I-1-1- ტიპის ქოთნები ყურის მდებარეობის მიხედვით ჭურჭელზე იყოფა სამ ქვეტიპად:

I-1-1-1 ქვეტიპის ქოთნებს ყური მიძერწილი აქვთ მუცელზე (ტაბ. XXIX-5).

I-1-1-2 ქვეტიპის ქოთნებს ყური მიძერწილი აქვთ მხარზე და მუცელზე (ტაბ. XXX-2).

I-1-1-3 ქვეტიპის ქოთნებს ყური მიძერწილი აქვთ პირზე და მხარზე (ტაბ. XXX-3).

I-1-2 ტიპი ყურების მდებარეობის მიხედვით ორ ქვეტიპად დაიყოფა:

I-1-2-1 ქვეტიპი- ყურები მიძერწილი მუცელზე.

I-1-2-2 ქვეტიპი- ყურები მიძერწილი მხარზე და მუცელზე.

I-2 ქვეჯგუფის (პირმოყრილი) ქოთნები იშვიათად დასტურდება გვიანანტიკური ხანის ნამოსახლარებზე. ამგვარი ქოთნები აღმოჩენილია სოფელ გლდანთან, ახ.წ. III-IV სს. დათარიღებულ ნაგებობაში [ჩიკოიძე, მინდიაშვილი 1999:24].

II ჯგუფის ქოთნები ასევე იშვიათ მონაპოვართა რიცხვს განეკუთვნება. ისინი აღმოჩენილია დედოფლის გორაზე, ახ.წ. I ს-ის ფენაში (ტაბ. XXX-4) [Iberia and Rome 2008]; გრაკლიან გორაზე, ახ.წ. III-IV სს-ით დათარიღებულ ფენაში (ტაბ. XXX-5) [კვირკველია, მურვანიძე 2011] და სხვა. ამ ჯგუფის ქოთნებისთვის დამახასიათებელია თხელი, გადაშლილი პირი. დაბალი, შეზნექილი ყელი და ბრტყელი ძირი. როგორც წესი, ყური მიძერწილია მუცელზე ან მხარზე და მუცელზე.

თითქმის ყველა ქოთანს დაბალი, შეზნექილი ყელი და ფართო, ბრტყელი ძირი აქვს. მათი ყურები განივკვეთში მრგვალი, ოვალური ან ბრტყელია.

ქოთნების თიხა, ძირითადად, გამომწვარია მორუხო-მონაცრისფროდ და შავად. არის მოწითალო-მოვარდისფროდ გამომწვარი ცალებიც. თიხა, ძირითადად, მინარევებიანია (სილის, ქარსის, კირქვის), ზოგ შემთხვევაში უხეში, ასიმეტრიულად, ხელით ნაძერწი, არასრულად გამომწვარი კეცით და ხაოიანი ზედაპირით. ვხვდებით ასევე კარგად განლექილ და გამომწვარ ქოთნების ნატეხებს. არის თხელკედლიანი (0,3-0,5 სმ. სისქის) და სქელკედლიანი (0,6-0,9 სმ. სისქის) ქოთნები. იშვიათად ვხვდებით წითელი წერნაქით შეღებილ ცალებსაც. მაგ. დედოფლის გორაზე დადასტურებულია რამოდენიმე წითლად ანგობირებული და წითელი წერნაქით მოხატული ქოთნები:

მათი ტანი დაფარულია ირგვლივი, კონცენტრული ხაზებით და წერტილოვანი ორნამენტით შედგენილი ხაზებით (ტაბ. XXX-6) [Iberia and Rome 2008: 70].

ქოთნები, ზოგადად, გამოირჩევიან სისადავით და ორნამენტის სიღარიბით. იშვიათად ვხვდებით ორნამენტირებულ ქოთნებს: ზოგ მათგანზე დატანილია ფრჩხილისებური ორნამენტი; ნაკაწრი ტალღური ორნამენტი; თოკისებური ორნამენტი [რობაქიძე 1985: 80]; კონცენტრული ღარები მხარზე; კოპების რამდენიმე რიგი მუცელზე; ირიბი ნაჭდევები მხარსა და ბაკოზე და სხვა.

ნამოსახლარებიდან მოპოვებული ქოთნების უმეტესი ნაწილი წარმოადგენს სადუღარ ქოთნებს- კერძის დასამზადებელ ჭურჭელს (ასეთი ქოთნები, როგორც წესი, გარედან შებოლილია ან ცალი მხარე აქვთ გამომწვარი ცეცხლისგან), მაგრამ ნაწილი, რომელთაც არ ეტყობათ ცეცხლზე ხმარების კვალი, შესაძლოა რძის ან სხვა პროდუქტების შესანახად გამოიყენებოდა.

გვიანანტიკური ხანის ნამოსახლარებზე დასტურდება ასევე ხუფები, რომლებიც, სავარაუდოდ, ქოთნებისთვის იყო განკუთვნილი: ისინი გვხვდება ჟინვალის ნამოსახლარზე [რამიშვილი 1983: 125]; დიდი მცხეთის ტერიტორიაზე და სხვა გვიანანტიკური ხანის კულტურულ ფენებში.

ქოთნების სიმაღლე 13 სმ- დან 24 სმ- მდე მერყეობს. მუცლის დიამეტრი 11-21 სანტიმეტრია, პირის d- 9-13 სანტიმეტრი, ძირის d- 5,5 სანტიმეტრიდან 13 სმ-მდე მერყეობს.

## § 2. კოჭობები.

კოჭობები სამზარეულო დანიშნულების ჭურჭელში ერთიანდება. ისინი არ გამოირჩევიან ფორმათა მრავალფეროვნებით და შეიძლება ითქვას, რომ ქოთნების მინიატურულ ვარიანტს წარმოადგენენ. ისინი მრავლად დასტურდება საქართველოს გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე.

კოჭობები კორპუსის ფორმის მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად:

**I ჯგუფში** ერთიანდება სფერულმუცლიანი კოჭობები. მათთვის, ძირითადად, დამახასიათებელია გადაშლილი პირი, დაბალი ყელი და ბრტყელი ძირი.

პირის ფორმის მიხედვით გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი:

I-1 ქვეჯგუფი - გადაშლილპირიანი კოჭობები (მრგვალბაკოიანი ან თხელი პირით)

I-2 ქვეჯგუფი- სწორპირიანი კოჭობები

I-1 ქვეჯგუფი ყურების რაოდენობის მიხედვით იყოფა ორ ტიპად:

I-1-1-ტიპი- ცალყურა კოჭობები (ტაბ. XXX-7).

I-1-2- ტიპი- უყურო კოჭობები (ტაბ. XXX-8)

I-1-1 ტიპი ყურების მდებარეობის მიხედვით დაიყოფა სამ ქვეტიპად:

I-1-1-1 ქვეტიპი- ყური მიძერწილი მუცელზე (ტაბ. XXX-9).

I-1-1-2 ქვეტიპი- ყური მიძერწილი მხარზე (ან მხარზე და მუცელზე) (ტაბ. XXX-10).

I-1-1-3 ქვეტიპი- ყური მიძერწილი პირზე და მხარზე (ტაბ. XXX-7).

I-2 ქვეჯგუფში, ძირითადად, უყურო კოჭობები გვხვდება (ტაბ. XXXI-3) (უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ქვეჯგუფის კოჭობების აღმოჩენის შემთხვევები იშვიათია).

**II ჯგუფი-** მსხლისებურმუცლიანი კოჭობები. მათ ახასიათებთ გადაშლილი პირი, დაბალი ყელი და ბრტყელი ძირი. ყურების რაოდენობის მიხედვით II ჯგუფის კოჭობები დაიყოფა ორ ქვეჯგუფად:

II-1 ქვეჯგუფი- ცალყურა კოჭობები (ტაბ. XXX-11)

II-2 - ქვეჯგუფი- უყურო კოჭობები (ტაბ. XXX-12)

II-1 ქვეჯგუფი ყურების მდებარეობის მიხედვით დაიყოფა სამ ტიპად:

II-1-1 ტიპი- ყური მიძერწილი მუცელზე.

II-1-2 ტიპი– ყური მიძერწილი მხარზე და მუცელზე.

II-1-3 ტიპი- ყური მიძერწილი პირზე და მხარზე.

ორივე ჯგუფის კოჭობებისთვის დამახასიათებელია დაბალი, შეზნექილი ყელი და ბრტყელი, ზოგ შემთხვევაში ფართო ძირი. იშვიათად ვხვდებით ქუსლიან კოჭობებსაც.

მათი უმრავლესობა გამომწვარია მოჩალისფრო-მოვარდისფროდ. არის შავად და მონაცრისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი ცალებიც. ვხვდებით როგორც თხელკეციან, კარგად გამომწვარ და განლექილ, ასევე ხელით, უხეშად ნაძერწ, მინარევებიან (სილის და კირქვის მინარევებით), სქელკედლიან ნიმუშებსაც.

ზოგ შემთხვევაში კოჭობები ასიმეტრიულად არის ნაძერწი. ნაწილი მათგანი ცეცხლზე არათანაბრადაა გამომწვარი და ხაოიანი ზედაპირი აქვთ. ზოგ მათგანს ეტყობა ცეცხლზე ხმარების კვალიც (გამურულია), რაც ადასტურებს, რომ მათი ნაწილი მაინც, ქოთნების მსგავსად, საჭმლის მოსამზადებლად ან სხვა მიზნით ცეცხლზე ხმარებისთვის იყო განკუთვნილი.

იშვიათად ვხვდებით წითელი წერნაქით შეღებილ კოჭობებს. გვხვდება როგორც ორნამენტირებული, ასევე სადა ნიმუშები. მათი ორნამენტირება, ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ ძუნწია. ორნამენტაციაში ვხვდებით: წიბოს ყელზე; კოპებისგან შემდგარ სარტყლებს მუცელზე (კოპების სარტყელი ერთიდან სამ რიგამდე მერყეობს); ირიბი, ნაჭდევი ხაზებით შედგენილ სარტყლებს ყელზე, მხარზე, მუცელზე და ზოგ შემთხვევაში ყურზე (ირიბი, ნაჭდევი ხაზებით შედგენილი სარტყლები ერთიდან სამ რიგამდე მერყეობს); ტანის კანელურებით გაფორმებას; ყელის და მხრის წერტილოვანი სარტყლებით შემკობას; ტალღურ სარტყლებს; კოჭობის ყურის თავზე, ზოგ შემთხვევაში, ვხვდებით დაძერწილ მეჭეჭისებრ კოპებს და სხვა.

მიუხედავად მათი საკმაოდ ძუნწად ორნამენტირებისა, გვიანანტიკური ხანის ნამოსახლარებსა და სამაროვნებზე ვხვდებით ასევე უხვად ორნამენტირებულ ნიმუშებსაც: კარსნისხევის ნამოსახლარზე დადასტურდა I ჯგუფის I-1-1-1- ქვეტიპის კოჭობი, მოვარდისფროდ გამომწვარი. მხარზე წრიულად შემოსდევს ირიბი, ნაჭდევი ხაზებისგან შედგენილი ორნამენტი. მუცელზე მრგვალი, შეზნექილი ღარების სარტყელი ამჩნევია. მათ შორის შვეულად ნახევარრკალური ღარებია მოთავსებული.

ჭურჭელი სიმაღლეში 7,3 სანტიმეტრია. იგი დათარიღებულია ახ.წ. II საუკუნით (ტაბ. XXXI-1) [ნიკოლაიშვილი 1993: 41].

არაგვისპირის სამაროვანზე აღმოჩნდა I ჯგუფის I-1-1-1 ქვეტიპის კოჭობი. ყელს შემოუყვება წიბო, რომელიც ირიბი ნაჭდევებით არის გაფორმებული; ტანი მთლიანად დაფარულია ნაჭდევი წრეებისგან შედგენილი სარტყლებით (ასეთი კონცენტრული სარტყლები მხრიდან ძირამდე ჰორიზონტალურად შემოსდევს ჭურჭლის ტანს და რვა რიგია) კოჭობის სიმაღლე 6 სმ-ია (ტაბ. XXX-9)  [Рамишвили 1982: 33].

„ქუშანაანთ გორაზე“ აღმოჩნდა I ჯგუფის I-1-1-2- ქვეტიპის კოჭობი. მოჩალისფრო, ანგობირებულია. ჭურჭლის მხარი შემკულია ნაჭდევთა სამი წრით, რომელთაგან სულ ზედაზე რვიანების მსგავსი ნაჭდევებია დასმული. შუათანაზე გამოსახულებები ექვსიანებს წააგავს, ხოლო სულ ქვემოთ, პატარ-პატარა რგოლებია გამოსახული. კოჭობი ახ.წ. I-III სს. თარიღდება (ტაბ. XXX-10) [რამიშვილი 1979: 44].

აღსანიშნავია სამთავროს ახ.წ. III-IV სს. დათარიღებულ სამარხში აღმოჩენილი I ჯგუფის I-1-1-1 ქვეტიპის კოჭობი, ღია ფერის თიხის, შერჩენილი აქვს წითელი საღებავის კვალი. მუცელზე კოპების სარტყელი ამჩნევია.  გამოთქმულია მოსაზრება, რომ ყურს ზემოთ, მხარზე, არმაზული წარწერა შეიძლება იყოს ამოკაწრული (ტაბ. XXXI-2). (წარწერა გაუშიფრავია) მისი სიმაღლე 6,5 სმ-ია. [აფაქიძე.... 1982: 196]

ზემოთ აღწერილი, შედარებით უხვად ორნამენტირებული კოჭობები იშვიათია გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე და ძირითადად სამარხებში გვხვდება. ისინი გამოირჩევიან სამზარეულო დანიშნულებით გამოყენებულ, შედარებით დაუდევრად დამზადებული კოჭობებისგან და, სავარაუდოდ, სპეციალურად სამარხებში ჩატანების მიზნით არიან დამზადებულნი.

კოჭობების სიმაღლე 6- 12 სანტიმეტრია. პირის d- 4- 10 სანტიმეტრია. მუცლის d- 4,5-15 სმ-ია. ძირის დიამეტრი 4 სმ-დან 9 სმ-მდე მერყეობს, კეცის სისქე 0,2-0,5 სმ-ია.

ჩვენ გამოვყავით და ცალ-ცალკე დავითვალეთ ახ.წ. I ს-ით; II ს-ით; და III ს-ით დათარიღებული კოჭობების მორფოლოგიური და ტექნოლოგიური ნიშნები და შევადგინეთ ცხრილი, სადაც პროცენტულად არის დათვლილი ეს მახასიათებლები საუკუნეების მიხედვით. ნაჩვენებია თუ როგორ იცვლება ეს ნიშნები სამი საუკუნის განმავლობაში.  ცხრილმა შემდეგი სურათი მოგვცა:

| | I ს. | II ს | III ს | I-II სს. |
|---|---|---|---|---|
| გადაშლილი პირი | 100 % | 100 % | 96% | 100% |
| სწორი პირი | | | 4 % | |
| დაბალი, შეზნექილი ყელი | 93 % | 100 % | 83 % | 94% |
| მომაღლო ყელი | 7% | | 17 % | 6% |
| სფერული მუცელი | 84% | 89 % | 93% | 94% |
| მსხლისებური მუცელი | 16% | 11 % | 7% | 6% |
| ყური მიძერწილი პირზე და მხარზე | 25% | 4 % | 7% | 23% |
| ყური მიძერწილი ყელზე და მხარზე | 8% | 11% | % | 15% |
| ყური მიძერწილი მუცელზე (მხარზე და მუცელზე) | 42% | 43 % | 41 % | 45% |
| ყური მხარზე | | | 4 % | |
| უყურო | 21 % | 44% | 45% | 17% |
| ორნამენტირებული | 25% | 55 % | 33% | 46% |
| სადა | 75% | 45% | 67% | 54% |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ყელწიბოიანი | 8% | 21% | 7 % | 3% |
| რელიეფური კოპებით ორნამენტირებული | 13% | 11% | 15% | 15% |
| სხვა ორნამენტი | 4 % | 23 % | 11 % | 28% |
| მოჩალისფრო-მოწითალოდ გამომწვარი | 71% | 89% | 82 % | 69% |
| მოშავო-მოყავიოსფროდ გამომწვარი | 29% | 11% | 18% | 31% |
| წითლად შეღებილი | 9% | 2 % | 3% | |

ცხრილის შედგენის შემდეგ შეგვიძლია გავაკეთოთ მცირე დასკვნები: სფერულმუცლიანი კოჭობები სამივე საუკუნის განმავლობაში ჭარბობს მსხლისებურმუცლიანს. მსხლისებურმუცლიან კოჭობებს შედარებით დიდი რაოდენობით I ს-ში ამზადებენ (16%), ხოლო შემდგომ პერიოდში მათი რაოდენობა თანდათან კლებულობს (რაც ავტომატურად სფერულმუცლიანი კოჭობების ზრდას ნიშნავს).

ორნამენტირებული კოჭობების ყველაზე დიდი რაოდენობა II ს-ში დადასტურდა (55%). სადატანიანი კოჭობები კი ყველაზე ხშირად ახ.წ. I ს-ში გვხვდება (75%). კოჭობების წითელი წერნაქით შეღებვა შედარებით ხშირია I ს-ში (9%), თუმცა II-III სს-ში ეს მაჩვენებელი საგრძნობლად იკლებს.

(იხილეთ ასევე დიაგრამები კოჭობების მორფოლოგიური და ტექნოლოგიური ნიშნების პროცენტული მაჩვენებლების შესახებ. გვ: 230-231; და ქრონოლოგიური შკალა- გვ. 235-245).

## § 3. ჩაფები

ჩაფები სამზარეულო დანიშნულების ჭურჭელია და ძირითადად ღვინისა და წყლის შესანახად გამოიყენებოდნენ. ფორმით ისინი დოქის მსგავსია, თუმცა მათთან შედარებით ჩაფები უფრო დიდი ზომის და მოცულობის არიან. ისინი აუცილებელ ჭურჭელს წარმოადგენენ მარანსა და სამზარეულოში [ნარიმანიშვილი 2017: 34].

აღნიშნული ჭურჭელი, უმეტეს შემთხვევაში, კულტურული ფენებიდან მომდინარეობს და ძალიან იშვიათად გვხვდება სამარხებში.

მათი ფრაგმენტები, ძირითადად, დასტურდება გვიანანტიკური ხანის ბოლო-ადრეშუა საუკუნეებით დათარიღებულ ნამოსახლარებზე. მათ, როგორც წესი, ერთგვარი ფორმა და პროპორციები ახასიათებთ, არ გამოირჩევიან ფორმათა მრავალფეროვნებით.

ჩაფებისთვის დამახასიათებელია გადაშლილი, მრგვალი პირი; დაბალი ყელი; მაღალი და განიერი ოვალური ტანი; ფართო და ბრტყელი ძირი.

ზღუდერში, მდ. ძამას მარცხენა ნაპირის ბორცვზე გათხრილ ნამოსახლარზე აღმოჩენილია მოვარდისფრო-მოყვითალოდ ან მონაცრისფროდ გამომწვარი ორყურა ჩაფები, რომლებსაც ყელზე ორი რელიეფური წიბო შემოუყვება. ოვალურგანივკვეთიანი ყურის თავი მიწერწილია ქვედა წიბოზე, ხოლო ყურის ბოლო დაძერწილია მხარზე. მათ ყურზე ამოღარულია მარჯვნივ ან მარცხნივ მიმართული სვასტიკა (ტაბ. XXXII-1) [ნემსაძე 1991: 120].

ზღუდერის ნამოსახლარზე აღმოჩენილი ჩაფები დიდ მსგავსებას იჩენს ლოჭინის, ჟინვალის და ურბნისის იდენტურ ნიმუშებთან. ტიპოლოგიურად მათთან ახლო მდგომი მრავალრიცხოვანი კერამიკული ფრაგმენტები დადასტურებულია ადრეშუა საუკუნეების ხანის ურბნისის, უჯარმის, მცხეთის, ლოჭინის და სხვა ძეგლების ფენებში.

ლოჭინის ნამოსახლარი დათარიღებულია ახ. წ. IV-VI სს-ით [ნემსაძე, 1991: 121]. ურბნისის "დამწვარი ნაგებობის" ფენა, რომელიც მსგავსად ზღუდერისა და ლოჭინის ნასოფლარისა, შეიცავს ყელწიბოიანი ჭურჭლის მასალას (ტაბ. XXXII-2) (ცალყურა და

ორყურა ყელწიბოიანი კოკები და ჩაფები, დერგის ნატეხი), მოიცავს პერიოდს ახ. წ. IV საუკუნის ბოლოდან V საუკუნის დასასრულამდე და, შესაძლოა, VI ს-ის დასაწყიშიც განაგრძობს არსებობას [ჭილაშვილი 1964: 47].

ერწოს ველზე, ქუშანაანთ გორის ნამოსახლარზე, აღმოჩენილია ყელწიბოიანი, ორყურა ჩაფის ნატეხები, რომლებიც ადრეშუა საუკუნეებით დათარიღდა [რამიშვილი 1979: 18].

ახალი ჟინვალის მე-5 სამარხში აღმოჩნდა ჩალისფრად გამომწვარი ორწიბოიანი, ორყურა ჭურჭელი, რომელიც მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით ჩაფს უნდა მივაკუთვნოთ. სამარხი ახ. წ. III საუკუნის მეორე ნახევრით - IV საუკუნის დამდეგით თარიღდება [რამიშვილი 1983: 87]. აქ აღმოჩენილ ორწიბოიან და ორყურიან ჩაფებს ზღუდერის ანალოგიურ კერამიკასთან მჭიდრო კავშირი აქვს (მორფოლოგიურად და მოცულობით ისინი ძალზედ უახლოვდებიან ერთმანეთს, რაც ალბათ, მათ ფუნქციურ ერთიანობაზეც მეტყველებს. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ახალ ჟინვალში აღმოჩენილ მასალაზე სვასტიკა არ გვხვდება).

რ. რამიშვილი ჩაფების გავრცელების ქვედა თარიღად ახ. წ. III ს-ის მეორე ნახევარს და მომდევნო პერიოდს მიიჩნევდა, თუმცა აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე დადასტურებული ჩაფების ადრეული ნიმუშები გვხვდება დედოფლის გორის ახ.წ. I ს-ით დათარიღებულ კულტურულ ფენებში, სადაც დადასტურებულია პირგადაშლილი, ფართო, ოვალურტანიანი, ორყურა ჭურჭელი, რომლებსაც ზღუდერის და ჟინვალის არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი ჩაფების მსგავსად ყელზე წიბო შემოუყვება და ყურები მიძერწილი აქვთ ყელზე-უშუალოდ წიბოზე და მხარზე (ტაბ. XXXII-3) [Iberia and Rome 2008: 69].

დედოფლის გორაზე აღმოჩენილი ორყურა, ყელწიბოიანი ჭურჭელი მორფოლოგიური ნიშნებით და, როგორც ჩანს, ფუნქციური დანიშნულებით უახლოვდება ზემოთ აღწერილ ჩაფებს და ამიტომ, შესაძლებელია, მათი ჩაფებში გაერთიანება. აშკარაა, რომ დედოფლის გორაზე აღმოჩენილი ამ ტიპის ჭურჭელი ასევე ღვინისა და წყლის შესანახად უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი ჩაფების ქვედა თარიღი უკვე ახ.წ. I ს-ით უნდა განისაზღვროს, თუმცა ამგვარი ჭურჭელი ახ.წ. I ს-ში ჯერ კიდევ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს.

ჩაფების ფართო გავრცელება იწყება ახ. წ. III ს-დან და მათი დიდი ნაწილი ახ.წ. III-IV სს-ით თარიღდება. ისინი მრავლად გვხვდება ასევე ახ.წ. IV-VI სს-ით დათარიღებულ ნამოსახლარებზეც.

მთელი ნიმუშების მიხედვით ჩაფების სიმაღლე, ძირითადად, 30 სმ-დან 43 სმ-მდე მერყეობს. მათი თიხა კარგად განლექილი და გამომწვარია. ჩაფებს ტანი, ძირითადად, სადა აქვთ. დამზადებულნი არიან ჩარხზე.

# თავი III.

# სამეურნეო ჭურჭელი

## § 1. ქვევრები

ქვევრები სამეურნეო ჭურჭელში ერთიანდება, რომელთა ფრაგმენტებიც მრავლადაა დადასტურებული გვიანანტიკური ხანის ნამოსახლარებზე. ქვევრი ფორმების მდგრადობით და ერთფეროვნებით გამოირჩეოდა საუკუნეების მანძილზე.

აღმოსავლეთ საქართველოს ახ.წ. I-III სს. არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი ქვევრები კორპუსის ფორმის მიხედვით სამ ჯგუფად იყოფა:

**I ჯგუფში** ერთიანდება კვერცხისებურტანიანი ქვევრები. ამ ტიპის ქვევრების კორპუსის უდიდესი დიამეტრი მხრების არეში მოდის, მათთვის დამახასიათებელია ძირისკენ თანაბრად შევიწროებული ტანი და ბრტყელი ძირი (ტაბ. XXV-2).

I ჯგუფის ქვევრები პირის ფორმის მიხედვით შესაძლებელია დაიყოს ორ ქვეჯგუფად:

**I-1 ქვეჯგუფი-** ქვევრები ოთხკუთხგანივკვეთიანი პირის გვირგვინით- ფართო, გადაშლილი, პროფილირებული პირით. ბაკო-ბრტყელი.

**I-2 ქვეჯგუფი-** ქვევრები სამკუთხგანივკვეთიანი პირის გვირგვინით- ფართო, გადაშლილი პირით.

I-1 ქვეჯგუფი ყელის ფორმის მიხედვით იყოფა ორ ტიპად:

**I-1-1 ტიპი-** ქვევრები დაბალი, შეზნექილი ყელით (ასეთი ყელი ახასიათებს ქვევრების აბსოლუტურ უმრავლესობას)

**I-1-2 ტიპი-** შემაღლებული, ცილინდრული ყელით (ამგვარი ქვევრი აღმოჩენილია სოფ. იგოეთთან, „გრაკლიანი გორის“ გვიანანტიკური ხანის ნამოსახლარზე) (ტაბ. XXV-3)

I-1-1 ტიპის ქვევრები ორნამენტაციის მიხედვით დაიყოფა ორ ქვეტიპად:

**I-1-1-1 ქვეტიპი-** სადატანიანი ქვევრები (ტაბ. XXV-2).

**I-1-1-2 ქვეტიპი-** რელიეფური სარტყლებით შემკული ქვევრები (ტაბ. XXIV-3).

**II ჯგუფში** ერთიანდება სფერულმუცლიანი ქვევრები, რომელთაც ახასიათებთ სქელი, პროფილირებული პირი და ბრტყელი ძირი (ტაბ. XXV-4).

ყელის ფორმის მიხედვით II ჯგუფის ქვევრები იყოფა ორ ქვეჯგუფად:

**II-1 ქვეჯგუფის** ქვევრებს აქვთ მკაფიოდ გამოსახული, შემაღლებული ყელი.

**II-2 ქვეჯგუფში** ერთიანდება დაბალყელიანი ქვევრები.

**II-1 ქვეჯგუფი** იყოფა ორ ტიპად:

**II-1-1 ტიპი-** სადატანიანი ქვევრები

**II-1-2 ტიპი-** რელიეფური სარტყლებით შემკული ქვევრები.

**II-2 ქვეჯგუფიც** დაიყოფა ორ ტიპად:

**II-2-1 ტიპი-** სადატანიანი ქვევრები (ტაბ. XXVI-1).

**II-2-2 ტიპი-** რელიეფური სარტყლებით შემკული ქვევრები (ტაბ. XXV-4).

**III ჯგუფში** ერთიანდება ოვალურტანიანი ქვევრები, რომელთაც სქელი, ბრტყელი პირი და ბრტყელი ძირი აქვთ (ტაბ. XXVI-2) [აფაქიძე... 1978: 18].

აღმოსავლეთ საქართველოს გვიანანტიკური ხანის ძეგლებზე აღმოჩენილი ქვევრების უმრავლესობა I ჯგუფში ერთიანდება (დედოფლის გორა, გრაკლიანი გორა, კარსნისხევი, რიყიანების სამაროვანი და სხვ).

ქვევრებს მხრები უჩნდებათ ძვ.წ. II-I სს-ში, როცა მუცლის უდიდესი დიამეტრი შუა ნაწილიდან მხრებისკენ ინაცვლებს და ყალიბდება კვრეცხისებურტანიანი ქვევრები. ამგვარი ტიპის ქვევრები წამყვანი ხდება წელთაღრიცხვათა მიჯნიდან [ნარიმანიშვილი 2017].

I და II ჯგუფის ქვევრების მუცლები, ხშირ შემთხვევაში, შემკულია ურთიერთპარალელური, თოკისებური ან სადა რელიეფური სარტყლების რამდენიმე რიგით, რომლებიც დატანილია მუცელზე 6-8; 30-40 ან 50-80 სმ-ის დაშორებით. ისინი შესაძლებელია არ შეგვხვდეს მხოლოდ ქვევრის ძირთან ახლოს. სარტყლები ყოველთვის არაა პარალელური. ზოგჯერ ისინი შემკულია დაკეჭნილი, ირიბად ამოღარული ხაზებით. ზოგიერთი ქვევრი ორნამენტირებულია ასევე ირიბი ჭდეებით შედგენილი ორნამენტით.

დედოფლის გორაზე აღმოჩენილ კვერცხისებურტანიან, მცირე ზომის ქვევრებს, რომლებიც გამოიყენებოდნენ მარცვლეულის შესანახად, ტანი დაფარული ჰქონდათ ექვსი ან შვიდი პარალელური, რელიეფური სარტყლებით [Iberia and Rome, 2008: 71]. ამგვარად ორნამენტირებული, კვერცხისებურტანიანი ქვევრები აღმოჩენილია წიწამურზე, ახ.წ. II-III სს. დათარიღებულ მარანში, ასევე „წიწამური III"-ის ახ.წ. I-II სს. დათარიღებულ სამაროვანზე, სადაც ამგვარი ქვევრი სამარხად არის გამოყენებული [ნიკოლაიშვილი... 1995: 78,93]. ასეთივე ქვევრები დასტურდება გრაკლიან გორაზეც- ახ.წ. III-IV სს-ით დათარიღებულ კულტურულ ფენაში (ტაბ. XXV-3) [კვირკველია, მურვანიძე... 2011: 53].

ვხვდებით სქელკედლიან, სადა ქვევრებსაც. მაგ. III ჯგუფის ქვევრებს, ძირითადად, სადა ზედაპირი აქვთ [აფაქიძე... 1978: 18]. ამასთან დაკავშირებით შეგვიძლია მაგალითად მოვიყვანოთ ქ. მცხეთის ცენტრში გამოვლენილი გვიანანტიკური ხანის მარნის ნაშთი, რომელიც უმეტესწილად შედგებოდა ოვალურტანიანი და სადაზედაპირიანი, ან სფეროსებრი მოყვანილობის, რელიეფურსარტყლებიანი ქვევრებისგან. აღნიშნული ტიპის ქვევრები დამახასიათებელია როგორც გვიანანტიკური, ასევე ადრეშუა საუკუნეების პერიოდის ძეგლებისათვის [ნიკოლაიშვილი, ყიფიანი... 2006: 11].

გამოთქმულია მოსაზრება, რომ დაბალყელიანი, რელიეფურსარტყლებიანი ქვევრები პირველად ახ.წ. I ს-ში გაჩნდა და შემდგომ განუწყვეტლივ იწარმოებოდა გვიანანტიკური ხანის განმავლობაში [ბოხოჩაძე 1963:140].

რელიეფურსარტყლებიანი ქვევრები საქართველოში გვიანშუა საუკუნეებშიც ფართოდ იყო გავრცელებული. ეთნოგრაფიული მასალების გათვალისწინებით ასეთი ორნამენტი ქვევრს უკეთდებოდა თიხის ყოველი გუნდის დახარჯვის შემდეგ, როგორც ახალი გუნდის უფრო მტკიცედ გადასაბმელი საშუალება. ასე რომ, სარტყლების რიცხვის მიხედვით შესაძლებელია განისაზღვროს თიხის გუნდათა რაოდენობა. რელიეფური სარტყლები ქვევრებს გვიანანტიკურ და ადრეშუა საუკუნეებშიც, სავარაუდოდ, სიმტკიცისთვის უკეთდებოდათ [რამიშვილი 1983: 117].

ქვევრები, ძირითადად, გამომწვარია მოვარდისფრო-მოჩალისფროდ; ასევე მოყავისფრო- მოწითალოდ, მონაცრისფროდ. ისინი დამზადებულია საკმაოდ კარგად განლექილი თიხისგან. არის სრულად გამომწვარი, თხელკედლიანი და მკვრივკეციანი

ქვევრები. დასტურდება ასევე სქელკეციანი, უხეში, სილანარევი, არასრულად გამომწვარი ქვევრებიც [რობაქიძე, 1985: 82]. ზოგიერთ ქვევრს აქვს ორმაგი კეცი. არმაზისხევის არქეოლოგიურ ველზე გამოვლენილ გვიანანტიკური ხანის (ახ.წ. II-III სს-ის) მარანში დადასტურდა ქვევრები რომელთა ზედაპირი წითლადაა გამომწვარი, გული კი მოშავო აქვთ [აფაქიძე... 1955: 167-168].

ქვევრები, ძირითადად, გამოიყენებოდა ღვინის შესანახად. მაგ. არმაზციხეზე (ბაგინეთზე) გათხრილ ერთ-ერთ ქვევრში შემჩნეულ იქნა მუქი ფერის ნალექი, რომლის ანალიზმაც გამოარკვია, რომ იგი ღვინის ნაშთს წარმოადგენდა. ზოგიერთ მათგანს კი სხვა სითხის და მარცვლეულის შესანახად იყენებდნენ. როგორც ჩანს, სამეურნეო ყოფაში ამ ჭურჭელზე დიდი მოთხოვნა იყო (რასაც ადასტურებს ქვევრების ნატეხების მრავალრიცხოვანი აღმოჩენა I-III სს-ის ნამოსახლარებზე). მათი ნატეხები აღმოჩენილია უმთავრესად სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებში- მარნებში [აფაქიძე... 1955: 16].

მარცვლეულის შესანახად გამიზნული ქვევრების ძირზე, ზოგ შემთხვევაში გამოწვამდე, ზოგჯერ კი გამოწვის შემდეგ, დატანილია გამჭოლი ნახვრეტები.

როგორც ჩანს, აღნიშნული ჭურჭელი გამოიყენებოდა ასევე მცენარეული ზეთის შესანახადაც: ღართისკარის ნამოსახლარის სასიმაგრო სისტემის შიდა ტერიტორიაზე გათხრილ სამლოცველოში, ცენტრალური დარბაზის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა იატაკში 1/3-ზე ჩადგმული ქვევრი, რომელიც ხანძრის შედეგად ჩანს განადგურებული. აქ აღმოჩენილი თიხის ჭურჭლიდან მხოლოდ აღნიშნული ქვევრი იყო დამწვარ-დანახშირებული, გაწიდებული. ეს კი იმ შემთხვევაში შეიძლება მომხდარიყო თუ ქვევრში მდგარი სითხე ხელს შეუწყობდა წვას, ასეთი კი მცენარეული ზეთი უნდა ყოფილიყო [ნარიმანიშვილი 2017:23].

ქვევრები გამოიყენებოდა სამარხებადაც. გვიანანტიკური ხანის სამარხი ქვევრები აღმოჩენილია სამთავროს სამაროვანზე; „წიწამური III“-ზე [ნიკოლაიშვილი...1995:62-65]; კარსნისხევის სამაროვანზე [აფაქიძე...1978:53]; საყარაულო სერის სამაროვანზე (კავთისხევი); რიყიანების ველის სამაროვანზე (აღაიანთან) [მირიანაშვილი 1983: 43] და სხვა.

სამარხ ქვევრებად, როგორც წესი, გამოიყენებოდა სამეურნეო დანიშნულების ქვევრები, რომლებიც უკვე აღარ ვარგოდა პროდუქტის შესანახად. ამის ნათელი

დადასტურებაა ქვევრსამარხების შიდაპირზე შემჩნეული ხეხვა-რეცხვის კვალი ან ასეთი ქვევრის პირებზე შერჩენილი კირის ხსნარის ნალესი რამდენიმე ფენად. სამეურნეო ქვევრების სამარხებად გამოყენების ფაქტი ახ.წ. I ს-ში კარგად არის დადასტურებული საყარაულო სერის სამაროვანზე [ჯინჯიხაშვილი, 1980: 44-47; 49].

ქვევრების სიმაღლე, ძირითადად, 1 მ-დან 2 მ-მდე მერყეობს. დასტურდება შედარებით თხელკეციანი (0.8-1.4 სმ სისქის) და სქელკეციანი (1,5-2 სმ. სისქის) ქვევრები.

ქვევრების და მათში შენახული პროდუქტის მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე მიგვანიშნებს არამეული წარწერები, რომლებიც გაკეთებულია გვიანელინისტურ და გვიანანტიკური ხანის ქვევრის პირებზე:

დედოფლის გორაზე აღმოჩენილია ქვევრები, რომელთაც პირის ზედა სიბრტყეზე ამოკაწრული აქვთ არამეული წარწერა. ისინი ძვ.წ. I- ახ.წ. I საუკუნეებით თარიღდებიან [Iberia and Rome, 2008: 72], თუმცა, პალეოგრაფიული ანალიზის მიხედვით კ. წერეთელი ერთ-ერთ ასეთ წარწერას (ტაბ. XXVI-3) ძვ.წ. I ს-ით ათარიღებდა [Tsereteli 1993: 87].

დედოფლის გორის ერთ-ერთი არამეული წარწერა, რომელიც ამოკაწრულია ქვევრის პირზე, შედგება ოთხი არამეული ასო-ნიშნისგან (ტაბ. XXVI-3) და იკითხება როგორც „g n y" (-g-n).

სიტყვა „GN" არამეულია და ორი მნიშვნელობით შეიძლება იყოს ნახმარი, ესენია: „ფიალა" ან „ღვინის ჭურჭელი" [Tsereteli, 1993: 86].

თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ, რომ აღნიშნული წარწერა ქვევრზეა გაკეთებული, მაშინ ცხადი გახდება წარწერის მნიშვნელობაც- „ღვინის ჭურჭელი". თუ გავითვალისწინებთ, რომ სიტყვის ბოლო ასო „y" ნიშნავს „ჩემს" (ანუ საკუთრებას), მაშინ წარწერის შინაარსი იქნება- „ჩემი ღვინის ჭურჭელი".

ქვევრის პირზე შესრულებული აღნიშნული წარწერა კ. წერეთელს საქართველოში აღმოჩენილ უძველეს არმაზული ტიპის დამწერლობის ნიმუშად მიაჩნდა [Tsereteli 1993:87].

დედოფლის გორის მეორე არამეული წარწერა (ტაბ. XXVI-4), რომელიც ასევე ქვევრის პირზეა ამოკაწრული, პირობითად შეიძლება წავიკითხოთ როგორც- „nat". თუ გავითვალისწინებთ ჭურჭელზე წაწერილ სიტყვათა შინაარს, იგი უნდა აღნიშნავდეს

ან მას, რისთვისაც ეს ჭურჭელი იყო დამზადებული, ან ზომის ერთეულს და ან საკუთარ სახელს (ჭურჭლის პატრონის ან მისი გამკეთებლის) [წერეთელი 1992: 6].

დედოფლის გორაზე აღმოჩენილია კიდევ ერთი ქვევრის პირი, რომელზეც გვხვდება მხოლოდ ერთი ასო-ნიშანი და ნიშნავს ასო „d“ -ს. მას შესაძლებელია ჰქონდეს რიცხვითი მნიშვნელობა - 4, ან შეიძლება ქვევრში მოთავსებული სურსათის სახელწოდების შემოკლება იყოს. მაგ.-dhn- „ქონი“ [წერეთელი 1992: 7]

დამწერლობა, რომლითაც შესრულებულია დედოფლის გორაზე აღმოჩენილი ქვევრების წარწერები, არამეული დამწერლობის ადგილობრივი სახეობა-არმაზული უნდა იყოს [წერეთელი 1992: 7].

ორი ქვევრის პირი არამეული წარწერით ნაპოვნია უფლისციხეში (ტაბ. XXVI-5; ტაბ. XXVII-1), ახ.წ. I-III სს-ით დათარიღებულ ფენაში. აღნიშნულ ქვევრებს აქვთ ოთხკუთხგანივკვეთიანი პირის გვირგვინი, წითელი კეცი, ხაოიანი ზედაპირი და შემკულია რელიეფური სარტყლებით მხარზე [ხახუტაიშვილი 1970: 128].

უფლისციხის არამეულ წარწერებში უნდა გვქონდეს საკუთარი სახელები (კერძოდ მამაკაცის საკუთარი სახელები) და წარწერა პიროვნებისადმი საკუთრებას, ქონებას უნდა ნიშნავდეს ორივე შემთხვევაში. თუმცა ერთ-ერთი წარწერა (ტაბ. XXVI-5) ასევე „დანახვის, წინასწარმეტყველების“ მნიშვნელობითაც შეიძლება იყოს გამოყენებული [წერეთელი 1991: 105].

არამეულ წარწერიანი ქვევრის პირ-გვერდის ნატეხი აღმოჩენილია ასევე ურბნისის ნამოსახლარზეც. ქვევრის პირზე, გამოწვამდე, ამოკაწრულია ოთხი ასოსგან შემდგარი წარწერა (ტაბ. XXVII-2), რომლის აზრიც რელიგიურია და ნიშნავს „სამსხვერპლოს“ ან „შესაწირს“. შესაძლებელია მასში ისხმებოდა ზედაშეს სითხე, შეწირული რომელიმე ღვთაებისადმი, რომელიც წარმართული ღვთაების სამლოცველოს (ტაძარს) ეკუთვნოდა. წარწერა II-IV სს. თარიღდება [ჭილაშვილი 1964:54].

როგორც ვხედავთ, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი გვიანელინისტური და რომაული პერიოდის ქვევრების პირებზე გაკეთებული არამეული წარწერები სამი სახისაა: I- აღნიშნავს პიროვნებისადმი საკუთრებას; II- აღნიშნავს პროდუქტს, რომელიც ქვევრშია შენახული და III- წარმოადგენს რელიგიური ხასიათის წარწერებს.

აღსანიშნავია, რომ არამეულწარწერიანი ქვევრები დასტურდება სამეფო სასახლეში (დედოფლის გორა), ქალაქებში (ურბნისი, უფლისციხე), რომლებიც თავისთავად წარმოადგენენ ამავე დროს სავაჭრო-ეკონომიკურ და რელიგიურ ცენტრებს. ხოლო არამეული წარწერების ელიტარულ გარემოში აღმოჩენა კი მეტყველებს, რომ არამეული ამ პერიოდში საერთაშორისო-დიპლომატიური ენა იყო.

ქვევრებზე გაკეთებული ამგვარი წარწერები მხოლოდ ადგილობრივი ელიტისთვის (სამეფო გვარის წარმომადგენლები, ქურუმები და სხვა) ან უცხოელებისთვის იქნებოდა გასაგები. შესაბამისად, ქვევრები, რომლებზეც ამგვარი წარწერები გვხვდება, სავარაუდოდ, ადგილობრივი ელიტის საკუთრებას წარმოადგენდა და მათ შორის უმეტესი მათგანი შეწირული უნდა ყოფილიყო წარმართული ტაძრებისადმი ან კონკრეტულად რომელიმე ღვთაებისადმი.

შესაძლებელია, რომ არამეულწარწერიანი ქვევრები და მათში შენახული პროდუქტი სავაჭრო საგანსაც წარმოადგენდა (ამ მიზნით უნდა დამზადებულიყო ქვევრების ის ნაწილი მაინც, რომლებზეც არამეული დამწერლობით აღნიშნული იყო პროდუქტი, რომელიც ქვევრში ინახებოდა). გავიხსენოთ, რომ მათი უმრავლესობა აღმოჩენილია ქალაქებში- სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრებში. ამავე დროს, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ არამეული წარწერები კერამიკული ჭურჭლის ფორმებს შორის ყველაზე ხშირად სწორედ ქვევრებზე გვხვდება, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მათ მნიშვნელობას.

ჭურჭლის ეს ფორმა ფართოდ იყო გავრცელებული საზოგადოების ყველა ფენაში, რაც მათი პრაქტიკული გამოყენების აუცილებლობით აიხსნება.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე (პროფ. ნ. ფოფორაძის ხელმძღვანელობით) 2017 წელს ანალიზები ჩაუტარდა არმაზციხე-ბაგინეთისა და არმაზისხევის პიტიახშთა კომპლექსის გვიანანტიკური ხანის მარნების ქვევრებს. ქვემოთ წარმოდგენილია მათი მინერალური, ქიმიური და რენტგენოფაზური ანალიზის კვლევის შედეგები.

ქვევრების მინერალური შედგენილობის (კვარცი, მინდვრის შპატები, ქარსები, პიროქსენები, ამფიბოლები) და მათი შემაკავშირებელი მასალის (თიხა მინერალები, რკინის ჟანგები, ჰიდროჟანგები) დასადგენად და ფრაქციულ-გრანულომეტრიული

ზომის განსაზღვრისთვის გამოყენებულ იქნა პოლარიზაციული მიკროსკოპი (AMSCOP 600 T) (ნ. ფოფორაძე).

ქვევრების შემადგენელი ცალკეული მინერალური ფაზების რაოდენობისა და რაობის დასადგენად გამოყენებული იქნა რენტგენოფაზური ანალიზი (DRON 3), ხოლო ქვევრების საერთო ქიმიური შედგენილობის დასადგენად-რენტგენოფლუორესცენტული ანალიზი (ნ. ფოფორაძე).

მაკროსკოპულად, არმაზციხე-ბაგინეთის მარნის ქვევრის ნატეხების ნიმუშები ერთშრიანია, მოწითალო ფერის. მარილმჟავაზე აქტიურად რეაგირებს. ლუპით დაკვირვებისას ფოროვანია, თუმცა წყალს აქტიურად არ იწოვს.

მიკროსკოპში - შემკვრელი (ძირითადი) მასა თიხოვანი შემადგენლობის, მთლიანად გადასულია ამორფულ, მინისებრ მასაში, რომელიც შეფერილია ამორფული რკინის ჟანგებით. შემკვრელ მასაში არის საკმაოდ დიდი რაოდენობით კარბონატი, ძირითადად მცირე გროვების, ან ზოგჯერ ძარღვების სახით, რომლებშიც მიკროკრისტალებია განვითარებული. შემავსებელი მასალა წარმოდგენილია როგორც ცალკეული მინერალებით, ასევე ქანის ნატეხებით. ცალკეული მინერალები წარმოდგენილია კვარცით და მინდვრის შპატებით – პლაგიოკლაზებით. პლაგიოკლაზები ზოგჯერ პოლისინთეტური მრჩობლებით ხასიათდება (ალბიტის კანონით). გვხვდება მადნეული მინერალებიც. ქანის ნატეხები მცირე რაოდენობითაა და ძირითადად კვარც-მინდვრის შპატიანი წვრილმარცვლოვანი ქანებითაა (ქვიშაქვა) წარმოდგენილი. გვხვდება კაჟის ნატეხებიც (ნ. ფოფორაძე).



*არმაზციხე-ბაგინეთის მარნის ქვევრის ერთშრიანი ფრაგმენტის ნიმუში პოლარიზაციული მიკროსკოპით: ერთმაგი ნიკოლით (-), ორმაგი ნიკოლებით (+)*

მექანიკური მასალა წვრილმარცვლოვანია, წარმოდგენილია კვარცითა და პლაგიოკლაზებით. შეიმჩნევა ქანის ნატეხები კვარცის წვრილი მარცვლებით, ასევე გვხვდება ფაუნის ნაშთებიც.



*არმაზციხე-ბაგინეთის მარნის ქვევრის ერთშრიანი ფრაგმენტის ნიმუში პოლარიზაციული მიკროსკოპით: ერთმაგი ნიკოლით (-), ორმაგი ნიკოლებით (+)*

მაკროსკოპულად არმაზისხევის პიტიახშთა კომპლექსის მარნის ქვევრის ნატეხების ნიმუშები, ძირითადად სამშრიანია, წვრილმარცვლოვანი, მარილმჟავაზე არ რეაგირებს.

მიკროსკოპში - ძირითადი მასა თიხოვან (მონტმორილონური) -რკინის ჟანგიანია. თიხა ბოლომდე არ არის გადასული ამორფულ მასაში, რაც გამოწვის პროცესის ბოლომდე არ მიყვანის შედეგია. შემავსებელ მასაში გვხვდება ეფუზიური ქანის ნატეხები დიაბაზური სტრუქტურით. კვარცისა და პოლისინთეტურად შემრჩობლებული პლაგიოკლაზის ჩანართები, კვარცის ცალკეული გროვები. გვხვდება პორფირული გამონაყოფებიც. პლაგიოკლაზები წარმოდგენილია Ca-Na სახესხვაობებით, მათ შორის ზონალური სტრუქტურით, სავარაუდოდ, ანდეზინებით. გვხვდება მადნეული ჩანართებიც.



*არმაზისხევის მარნის ქვევრის ფრაგმენტის ნიმუში პოლარიზაციული მიკროსკოპით: ერთმაგი ნიკოლით (-), ორმაგი ნიკოლებით (+)*

რენტგენოფაზური ანალიზით არმაზციხე-ბაგინეთის მარნის ქვევრების ნიმუშები შემდეგი მინერალური ფაზებითაა წარმოდგენილი: კვარცი 20-25 %; Ca-Na მინდვრის შპატები 10-15%; კალციტი 15%; დანარჩენი დისპერსიული რენტგენოამორფული ფაზა (თიხების გარდაქმნის პროდუქტი), რკინის რენტგენოამორფული ფაზა მცირე რაოდენობით შეინიშნება - $Fe_2O_3$ (ჰემატიტი) (ფოფორაძე).

რკინის ჟანგების არსებობა განაპირობებს ქვევრების მოვარდისფრო შეფერილობას გამოწვის შემდეგ.




*არმაზციხე-ბაგინეთის მარნის ქვევრის ერთშრიანი ფრაგმენტის ნიმუშის რენტგენოფაზური ანალიზის რენტგენოგრამა*

რენტგენოფაზური ანალიზით არმაზისხევის პიტიახშთა კომპლექსის მარნის ქვევრების ნიმუშები შემდეგი მინერალური ფაზებითაა წარმოდგენილი: კვარცი 30%; Ca-Na მინდვრის შპატები 10-15%; დისპერსიული რენტგენოამორფული ფაზა; გამოწვის შედეგად დარჩენილი თიხური მინერალები (გარკვეულ დონეზე გარდაქმნილი) და რკინის ჟანგის რეტგენოამორფული ფაზა, კალციტის ფაზა კვალის დონეზეც არ ფიქსირდება (ფოფორაძე ნ).




*არმაზისხევის მარნის ქვევრის ფრაგმენტის ნიმუშის რენტგენოფაზური ანალიზის რენტგენოგრამა*

არმაზციხე-ბაგინეთის მარნის ქვევრები ბოლომდეა გამომწვარი, ხოლო არმაზისხევის პიტიახშთა კომპლექსის ქვევრების შემთხვევაში გამოწვის პროცესი ბოლომდე არ არის მიყვანილი. ბოლომდე გამოუწვავი ქვევრის ნატეხის ნიმუშზე ვიზუალურადაც ხშირად შეიმჩნევა სამშრიანი ფენა: ორი ყავისფერი, რომელთა შუაშიც გვაქვს არათანაბარი სისქის მუქი ნაცრისფერი მოშავომდე ფენა. ამ უკანასკნელში ხშირად თვალნათლივ ჩანს თეთრი ფერის მინერალების ჩანართები.

ქვევრის ნიმუშები, რომლებსაც გამოწვის პროცესი სრულად და ტექნოლოგიის დაცვით აქვს ჩატარებული, უმეტესად ერთი ფერისაა (ჩვენს შემთხვევაში - ყავისფერი).

არმაზციხე-ბაგინეთის ქვევრების ნედლეულად, ძირითადად, არკოზული ქვიშაქვების გამოფიტული ნედლეულია გამოყენებული, რომელსაც შეიძლება

დამატებული ჰქონდეს მტკვრის ქვიშა. ქვევრების გამოწვის ტემპერატურა შეესაბამება, დაახლოებით, 900-1000$^0$ C. ამ ტემპერატურაზე საწყისი თიხა მინერალები მთლიანად გადასულია რენტგენოამორფულ ფაზაში. გაკვირვებას იწვევს კალციტის ($CaCO_3$) არსებობა ქვევრების ნიმუშებში. ამ ტემპერატურაზე გამომწვარი ქვევრის კედლებში კარბონატები მთლიანად დაშლილი უნდა იყოს. ვფიქრობთ, რომ კალციტი ქვევრებში მიწაში მათი ყოფნისას, იქ მიმდინარე პროცესების შედეგად არის შესული. მით უმეტეს, რომ ქვევრის ნატეხის ზედაპირზე, ვიზუალურად, თეთრი ფერის ფენა შეიმჩნევა. მიკროსკოპშიც კალციტების მეორადი ბუნება დაიკვირვება.

არმაზისხევის პიტიახშთა კომპლექსის მარნის ქვევრების ნიმუშების ვიზუალური და ლაბორატორიული კვლევებით დგინდება, რომ მათი დამზადების ტექნოლოგია სრულყოფილად არაა დაცული. ვიზუალურად ჩანს, რომ მათი გამოწვის პროცესი არ არის დასრულებული, მით უმეტეს, ქვევრის კედლის ნიმუშიც ხშირად სამშრიანია. თიხა-მინერალები ბოლომდე არ არის ამორფულ ფაზაში გადასული. მათი ნიმუშები განსხვავებულია არმაზციხე-ბაგინეთის ქვევრების ნიმუშებისაგან. ვფიქრობთ, რომ მათ ნედლეულად, ძირითადად, გამოყენებულია ვულკანოგენური (ეფუზიური) ქანების გამოფიტული მასალა.

ჩატარებული კომპლექსური კვლევების შედეგების გაანალიზებით, არმაზციხე-ბაგინეთისა და არმაზისხევის პიტიახშთა კომპლექსის მარნის ქვევრების ნიმუშები რადიკალურადაა განსხვავებული ერთმანეთისგან. ისინი დამზადებულია განსხვავებული მინერალური და ქიმიური შედგენილობის ნედლეულით და განსხვავებული ტექნოლოგიით. სავარაუდოდ, ისინი სხვადასხვა სახელოსნოებშია გამომწვარი.

აღნიშნული ანალიზები ცხადყოფს, რომ ქართლის (იბერიის) დედაქალაქში (და შემოგარენში) არსებობდა რამდენიმე კერამიკული სახელოსნო, რომელთა მომარაგებაც საჭირო ნედლეულით ხდებოდა სხვადასხვა თიხის კარიერიდან. როგორც ჩანს, მცხეთაში მრავლად მოიპოვებოდა კერამიკული ჭურჭლის დასამზადებლად ვარგისი თიხა. შესაბამისად, სახეზე გვაქვს სხვადასხვა ტექნოლოგიით და განსხვავებული მინერალურ-ქიმიური შედგენილობით დამზადებული კერამიკული ჭურჭელი.

## § 2. დერგები

დერგი სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელს შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ფართოდ გავცელებული კერამიკული ფორმაა. ისინი მრავლად დასტურდება გვიანანტიკური ხანის ნამოსახლარებზე. დერგები გამოირჩევიან ფორმების მდგრადობით. უნდა აღინიშნოს, რომ გვიანანტიკურ ხანაში ისინი საკმაოდ მუნწად არიან ორნამენტირებულნი, ხშირ შემთხვევაში კი მათი ტანი სადა რჩება. დერგების ნაწილი მიწაში იდგმებოდა (მთლიანად ან ნაწილობრივ), ხოლო მეორე ნაწილი გადასატანი უნდა ყოფილიყო. კორპუსის ფორმის მიხედვით ამ პერიოდის დერგები იყოფა სამ ჯგუფად:

**I ჯგუფში** ერთიანდება კვერცხისებურტანიანი დერგები. ამ ტიპის დერგების კორპუსის უდიდესი დიამეტრი მხრების არეში მოდის და მუცელი ძირისკენ მკვეთრად ვიწროვდება, რის შედეგადაც დერგის კორპუსი კვერცხისებურ ფორმას იღებს. მათთვის დამახასიათებელია დაბალი ყელი და ბრტყელი ძირი.

I ჯგუფის დერგები პირის ფორმის მიხედვით იყოფა ორ ქვეჯგუფად:

**I-1 ქვეჯგუფი-** დერგები გადაშლილი პირით (აქვთ დაბალი ყელი) (ტაბ. XXVII-3).

**I-2 ქვეჯგუფი-** პირმოყრილი დერგები (ყელის გარეშე) (ტაბ. XXVII-4).

I-1 ქვეჯგუფის დერგები იყოფა ორ ტიპად:

**I-1-1 ტიპი-** ყურიანი დერგები (ძირითადად ორყურა). ყურები, როგორც წესი, დაძერწილია კორპუსის ცენტრალურ ნაწილზე, ერთმანეთის სიმეტრიულად (ტაბ. XXVII-3).

**I-1-2 ტიპი-** უყურო დერგები.

I-2 ქვეჯგუფის (პირმოყრილი) დერგები, როგორც წესი, ყურიანია. აქ გამოიყოფა ერთი ტიპი:

**I-2-1 ტიპი-** ორყურა დერგები. ყურები, როგორც წესი, დაძერწილია პირს ქვემოთ და მხარზე (ტაბ. XXVII-4).

როგორც ჩანს, პირმოყრილი დერგები, ძირითადად, გადასატანი (პორტატული) უნდა ყოფილიყო და მათ მიწაში არ დგავდნენ. ამას ადასტურებს მათი ყურიანობა.

**II ჯგუფში** ერთიანდება სფერულტანიანი დერგები. მათთვის დამახასიათებელია დაბალი ყელი და ბრტყელი ძირი.

II ჯგუფის დერგები პირის ფორმის მიხედვით იყოფა ორ ქვეჯგუფად:

**II-1 ქვეჯგუფი-** პირგადაშლილი დერგები (ტაბ. XXVII-5).

**II-2 ქვეჯგუფი-** პირმოყრილი დერგები (ტაბ. XXVIII-1).

II-1 ქვეჯგუფი იყოფა ორ ტიპად:

**II-1-1 ტიპი-** ყურიანი დერგები (ძირითადად ორყურა).

**II-1-2 ტიპი-** უყურო დერგები.

II-1-1 ტიპი ყურების მიძერწვის მიხედვით შეგვიძლია დავყოთ ორ ქვეტიპად:

**II-1-1-1 ქვეტიპის** დერგებს ყურები ერთმანეთის სიმეტრიულად მიძერწილი აქვთ ყელზე და მხარზე (ზოგჯერ ამ ტიპის დერგებს ყელზე წიბოც შემოუყვება) (ტაბ. XXVIII-2).

**II-1-1-2 ქვეტიპის** დერგებს ყურები ერთმანეთის სიმეტრიულად მიძერწილი აქვთ კორპუსის ცენტრალურ ნაწილზე (ტაბ. XXVII-5).

II-2 ქვეჯგუფის დერგები, როგორც წესი, ყურიანია. მათ ყურები პირს ქვემოთ და მხარზე აქვთ დაძერწილი (ტაბ. XXVIII-1).

**III ჯგუფში** ერთიანდება მოგრძო, ოვალურტანიანი დერგები. ამ ჯგუფის დერგების კორპუსი შედარებით მაღალია. მათთვის დამახასიათებელია ბრტყელი ძირი.

III ჯგუფის დერგები პირის ფორმის მიხედვით იყოფა ორ ქვეჯგუფად:

**III-1 ქვეჯგუფი**- პირგადაშლილი დერგები (ტაბ. XXVIII-3).

**III-2 ქვეჯგუფი-** პირმოყრილი დერგები (ტაბ. XXVIII-4).

III-1 ქვეჯგუფი ყელის მოყვანილობის მიხედვით იყოფა ორ ტიპად:

**III-1-1 ტიპი-** დერგები დაბალი, შეზნექილი ყელით.

**III-1-2 ტიპი-** მაღალყელიანი დერგები (მაღალყელიანი დერგების ყელს ზოგ შემთხვევაში წიბოც ამკობს).

III-1-1 ტიპის დერგები დაიყოფა ორ ქვეტიპად:

**III-1-1-1 ქვეტიპი-** ყურიანი დერგები.

**III-1-1-2 ქვეტიპი-** უყურო დერგები.

III-1-1-1 ქვეტიპი ყურების მიძერწვის მიხედვით იყოფა ორ სახეობად:

**III-1-1-1-1 სახეობის** დერგებს ყურები ერთმანეთის სიმეტრიულად მიძერწილი აქვთ კორპუსის ცენტრალურ ნაწილზე (ტაბ. XXVIII-3).

**III-1-1-1-2 სახეობის** დერგებს ყურები მიძერწილი აქვთ ყელზე და მხარზე (ტაბ. XXIX-1).

III-1-2 ტიპი (მაღალყელიანი დერგები) ყურების მიძერწვის მიხედვით იყოფა ორ ქვეტიპად:

**III-1-2-1 ქვეტიპის** დერგებს ყურები ერთმანეთის სიმეტრიულად მიძერწილი აქვთ კორპუსის ცენტრალურ ნაწილზე.

**III-1-2-2 ქვეტიპის** დერგებს ყურები მიძერწილი აქვთ ყელზე და მხარზე.

III-2 ქვეჯგუფი (პირმოყრილი დერგები) ყურების რაოდენობის მიხედვით შესაძლებელია დავყოთ ორ ტიპად:

**III-2-1 ტიპი-** ორყურა დერგები (ყურები დაძერწილია მხრებზე).

**III-2-2 ტიპი-** ოთხყურა დერგები (ყურები დაძერწილია კორპუსის ზედა ნაწილზე) (ტაბ. XXVIII-4). აღნიშნული ტიპის დერგები დადასტურდა დედოფლის გორაზე, რომლებიც ახ.წ. I ს-ით თარიღდება.

ძირითადია სადა, თუმცა დასტურდება ასევე სხვადასხვა ორნამენტით გაფორმებული დერგები: მათი მხრები, ზოგ შემთხვევაში, შემკულია ზონარისებური, დაკბილული ორნამენტით; ირიბი ნაჭდევების ერთი ან რამოდენიმე რიგით; ზიგზაგისებური ორნამენტით; ვხვდებით კორპუსის რელიეფური კოპების რამდენიმე რიგით გაფორმებას; კარსნისხევის ნამოსახლარზე აღმოჩენილია კვერცხისებურტანიანი, ორყურა დერგი რომელსაც ყელთან ნაჭდევი, რელიეფური სარტყელი შემოუყვება. აქვე დასტურდება ჰორიზონტალურად ამოღარული სარტყლებით და შვეული ნაკაწრი ზოლებით შემკული დერგები [ნიკოლაიშვილი i1993: 47]. არაგვისპირის ნამოსახლარზე აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის დერგების ნაწილი შემკულია თოკისებური ან ტალღური ორნამენტით [რობაქიძე 1985:81] და ა.შ.

III ჯგუფის, III-1-2-1 ქვეტიპის დერგები (ოვალურტანიანი, პიგადაშლილი და ორყურა) დასტურდება დედოფლის გორაზე, სასახლეში. ფორმით და ზომით აღნიშნული დერგები ერთმანეთის მსგავსია და მხოლოდ დეტალებში განსხვავდება. მათ შორის გვხვდება როგორც უორნამენტო, ასევე ყელწიბოიანი დერგები. უორნამენტო (ყელზე წიბოს გარეშე) დერგებს შედარებით ვიწრო პირი აქვთ. ერთ-

ერთი აქ აღმოჩენილი დერგის ყელი ორწიბოიანია (ტაბ. XXIX-2). აღსანიშნავია, რომ ორწიბოიანი ჭურჭელი უფრო მოგვიანო პერიოდისთვის არის დამახასიათებელი. ამ ჯგუფში გვხვდება ასევე წითელი წერნაქით შეღებილი დერგებიც.

დერგების აღნიშნული ჯგუფი დედოფლის გორიდან (ისევეე როგორც აქ არმოჩენილი სხვა კერამიკული ჭურჭელი) დათარიღებულია ძვ.წ. I- ახ.წ. I საუკუნეებით [Iberia and Rome, 2008: 70]. მაგრამ, მათ უფრო ვიწრო ქრონოლოგიურ ჩარჩოში უნდა აქცევდეს მათი ორნამენტი-წიბო ყელზე, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მათი დათარიღება ახ.წ. I ს-ით.

უნდა აღინიშნოს, რომ დედოფლის გორაზე აღმოჩენილი კერამიკული ჭურჭლის უმრავლესობა ახ.წ. I ს-ით თარიღდება. ასეთი თარიღის სასარგებლოდ მეტყველებს ადგილობრივ დამზადებული კერამიკული ჭურჭლის გვერდით აღმოჩენილი იმპორტული კერამიკული ნაწარმი (სანელსაცხებლები, ფეხიანი ჯამები და სხვ.), რომელთა უმეტესი ნაწილი ახ.წ. I საუკუნეს მიეკუთვნება (თავად სასახლე ახ.წ. I ს-ის ბოლოს განადგურდა ხანძრის შედეგად) [Iberia and Rome, 2008: 64-65].

დედოფლის გორაზეა აღმოჩენილი ასევე II ჯგუფის II-1-1-2 ქვეტიპის დერგები (სფერულმუცლიანი, პირგადაშლილი, ორყურა), რომელთაც ფართო პირი და წიბოიანი ყელი აქვთ. ასეთი დერგების ზედაპირი წერნაქითაა მოხატული (ტალღისებური ან წერტილოვანი სარტყლებით) და შემკულია ნაკაწრი ორნამენტით (ტალღისებური სარტყლები, ირიბი, მოკლე ნაჭდევები). აღნიშნული დერგებიც ახ.წ. I ს-ით უნდა დათარიღდეს. მათ ზუსტი ანალოგები არ მოეძებნება.

ორყურა დერგის ფრაგმენტები ნაპოვნია უფლისციხეში [ხახუტაიშვილი 1970], ძვ.წ. I ს-ის ფენაში და ვანში [გიგოლაშვილი, 1979, 57].

როგორც ვნახეთ, პირმოყრილი დერგები სამივე ჯგუფისთვის არის დამახასიათებელი, მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამგვარი დერგები პირგადაშლილ დერგებთან შედარებით საგრძნობლად მცირეა და იშვიათად დასტურდება გვიანანტიკური ხანის ნამოსახლარებზე.

ყურადღებას იქცევს დედოფლის გორის სასახლეში აღმოჩენილი სამი ოთხყურა დერგი (III-2-2 ტიპი). მათთვის დამახასიათებელია მოყრილი პირი და მოგრძო, ოვალისებრი ფორმის მუცელი პატარა ბრტყელი ძირით. ორი, პატარა, ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილია მხარზე, ხოლო ორი ასეთივე განივკვეთის

დიდი ყურები მიძერწილია დერგის მუცელზე (ტაბ. XXVIII-4). დერგები მთლიანადაა დაფარული შვიდი, ფართო, რელიეფური ჰორიზონტალური სარტყლებით [Iberia and Rome 2008: 71].

დერგები ორზე მეტი ყურით ადრეული პერიოდიდანვე ცნობილია მახლობელი აღმოსავლეთის კერამიკულ ნაწარმში: კერძოდ, სამყურა დერგები აღმოჩენილია ისრაელში, გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდით დათარიღებულ კულტურულ ფენებში [Wampler 1947: 47].

როგორც ავღნიშნეთ, პირმოყრილი დერგები აღმოსავლეთ საქართველოში იშვიათი, მაგრამ თვალშისაცემი ფორმაა. სამადლოს მოხატული, ამგვარი ჭურჭლის უადრესი ნიმუშები ძვ.წ. III-II სს. თარიღდება. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ ტიპის დერგების ზომა მცირდება დროთა განმავლობაში და საბოლოოდ, ძვ.წ. I - ახ.წ. I საუკუნეებში მათ ენაცვლებათ ქოთნები [Нариманишвили 1991: 18], მაგრამ ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება დედოფლის გორაზე აღმოჩენილი დიდი ზომის, პირმოყრილი, დერგები.

დერგები გამომწვარია, ძირითადად, მოვარდისფრო-მოჩალისფროდ. ვხვდებით ასევე რუხად, მონაცრისფროდ და შავად გამომწვარ ცალებს. არის როგორც კარგად გამომწვარი, განლექილი, წმინდა კეციანი, ასევე შედარებით უხეშად ნაძერწი, მინარევებიანი (სილისა და კირქვის მინარევებით) თიხისგან დამზადებული დერგებიც.

იშვიათად ვხვდებით ზედაპირგაპრიალებულ და წერნაქით მოხატულ დერგებს. ამ მხრივ საყურადღებოა დედოფლის გორაზე აღმოჩენილი ყელწიბოიანი, სფერულმუცლიანი, ორყურა დერგი, რომლის უხეში ზედაპირი მოხატულია წითელი წერნაქით. მასზე გამოსახულია სწორი, ტალღოვანი და წერტილოვანი სარტყლები (ტაბ. XXIX-3), რომლის მსგავსი მოხატულობა დამახასიათებელია შიდა ქართლის კერამიკისთვის ძვ.წ. I- ახ.წ. I საუკუნეებში, მაგრამ აღნიშნული დერგის მოხატულობაში ვხვდებით ახალ მოტივებსაც, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს ელინისტური ხანის კერამიკულ ჭურჭელზე არ გვხვდება და, როგორც ჩანს, მხოლოდ ახ.წ. I ს-დან შემოდის. ესენია: I-ჯვრისებრი მოტივები, რომლითაც მოხატულია ყელი; II-კიბის (საფეხურისებრი) მოტივი, - ვხვდებით დერგის მხარზე; III- ხის მოტივი, რომელიც შესაძლოა სიცოცხლის ხის სიმბოლოც იყოს [Iberia and Rome 2008: 70].

აღნიშნული დერგი მისი ორნამენტის (წიბო ყელზე) და მოხატულობის (ჯვრები, კიბე, ხე) მიხედვით ახ.წ. I ს-ით უნდა დათარიღდეს (ტაბ. XXIX-3).

რომაული ხანის წითელი წერნაქით მოხატული ჭურჭელი მიგვანიშნებს ამ პერიოდში ელინისტური ტრადიციების გაგრძელებაზე, თუმცა აღსანიშნავია, რომ ელინისტური პერიოდის მოხატული ნიმუშები არის უფრო დახვეწილი და მრავალფეროვანი, ვიდრე რომაული პერიოდის ამგვარი ნაწარმი [Нариманишвили 1991: 79].

წერნაქით მოხატული დერგი აღმოჩენილია ასევე ყოღოთოს სამაროვანზე (III-1-1-1-1 ქვეტიპის, ოვალურტანიანი, პირგადაშლილი, ორყურა). ჭურჭლის მთელი ტანი (ყელიდან ძირამდე) მოხატულია: მხრებზე და მუცლის ქვემოთ კონცენტრულად განლაგებული ანგობის ზოლები შემოუყვება, შუა ნაწილში კი ანგობითვე გამოყვანილი ვერტიკალური ზოლებია, რომელთა შორის ჭურჭლის ვარდისფერი ფონი ვიწრო ხაზებად რჩება, რაც ქმნის შთაბეჭდილებას თითქოს დერგი მოხატულია ვარდისფერი ზოლებით. იგი ახ.წ. III-IV სს. თარიღდება (ტაბ. XXIX-4). [სინაურიძე 1967: 114]. წერნაქით შეღებილი დერგის ნატეხები დადასტურებულია კარსნისხევის ახ.წ. II ს-ით დათარიღებულ ნამოსახლარზეც.

შესაბამისად, გამოთქმულ მოსაზრებას, რომ წერნაქით მოხატული კერამიკა ქართლის ტერიტორიაზე დასტურდება მხოლოდ ახ.წ. I ს-ის ბოლომდე, [Нариманишвили 1991: 79] ეწინააღმდეგება ახ.წ. II-IV სს. არქეოლოგიურ ძეგლებზე დადასტურებული წერნაქით მოხატული კერამიკული ჭურჭლის აღმოჩენის ფაქტები.

აღსანიშნავია დედოფლის გორაზე დადასტურებული II და III ჯგუფის დერგები (ხშირ შემთხვევაში წიბოიანი ყელით), რომელთათვისაც დამახასიათებელია ორმაგი (ორლულიანი) ყურები- მიძერწილი ყელზე და მხარზე (ტაბ. XXVIII-2; XXIX-1). ერთ-ერთ დერგს აქვს ერთი ორლულიანი და ერთი წნული ყური. ყველა მათგანი წითელი ანგობით არის დაფარული. შემსწავლელი ამ ტიპის კერამიკულ ფორმას ტერმინ „ამფორით" მოიხსენიებს [Iberia and Rome 2008: 69].

მათი სიმაღლე, ძირითადად, 22 სმ-დან 28 სმ-მდე მერყეობს. მხოლოდ ერთი ამგვარი ტიპის ჭურჭელი გამოირჩევა თავისი დიდი ზომებით (მისი სიმაღლე 38 სმ-ია). ისინი, ძირითადად, ერთგვარი მორფოლოგიური ნიშნებით ხასიათდებიან, მაგრამ განსხვავდებიან პროპორციებით, რაც, ჩვენი აზრით, მათ ფუნქციურ სხვაობაზე უნდა

მიანიშნებდეს. კერძოდ, შედარებით პატარა პროპორციების ამგვარი ჭურჭელი (22-24 სმ. სიმაღლის) შესაძლებელია გამოიყენებოდა წყლისა და ღვინის შესანახად, ხოლო ამგვარივე, დიდი ზომის ორყურა ჭურჭელი (28-38 სმ. სიმაღლის), სავარაუდოდ, წარმოადგენდა სამეურნეო დანიშნულების კერამიკულ ნაწარმს და მარცვლეულის ან სხვა პროდუქტის შესანახად იყო განკუთვნილი.

ორლულიანი ყურების არსებობა იშვიათი შემთხვევაა აღმოსავლეთ საქართველოს კერამიკულ ნაწარმში. ასეთი ყურები დამახასიათებელია უფრო დასავლეთ საქართველოს ელინისტური პერიოდის კერამიკისთვის, სადაც მათი გამოჩენა ახსნილია როგორც ბერძნული იმპორტის გავლენა ადგილობრივ კერამიკაზე.

დერგები, ძირითადად, გამოიყენებოდა სხვადასხვა მარცვლეულის, რძის პროდუქტების, შესაძლებელია რაიმე სითხის შესანახად. დერგების იმ ნაწილს, რომელთაც ყურები აქვთ მიძერწილი, როგორც ჩანს, მიწაში არ ფლავდნენ, მაგრამ უყურო დერგების მნიშვნელოვანი ნაწილი, სავარაუდოდ, მიწაში (ნაწილობრივ მაინც) უნდა ყოფილიყო ჩადგმული, რადგან მათი გადაადგილება, როდესაც მათში პროდუქტი იყო შენახული, საკმაოდ რთული იქნებოდა. დერგების უსახელუროდ დამზადება თავისთავად მიანიშნებს, რომ ისინი სტაციონალური ჭურჭელი უნდა ყოფილიყო.

აღმოსავლეთ საქართველოს გვიანანტიკური ხანის სამაროვნებზე დასტურდება სამარხი დერგები (ნასტაკისი, ურბნისი, მცხეთა), სადაც, ძირითადად, მცირეწლოვანი ბავშვები არიან დაკრძალულნი [ნიკოლაიშვილი... 1995: 64,65].

დერგსამარხი დადასტურდა ასევე ჟინვალის გვიანანტიკური ხანის სამაროვანზეც (თარიღდება ახ.წ. II-III სს-ით), რომელიც ახალშობილი ბავშვისთვის იყო განკუთვნილი [ჩიხლაძე 2015:53]. მანმადე, არაგვის ხეობაში დერგსამარხი არც ერთ სამაროვანზე არ დადასტურებულა.

ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით დერგების სამარხში ჩატანების ფაქტს. მაგალითად ჟინვალის სამაროვანზე, ახ.წ. II-III სს-ით დათარიღებულ სამარხებში დადასტურდა სფერულმუცლიანი, ორყურა დერგები, რომლებიც სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენენ [ჩიხლაძე 2015: 22;35]. ისინი მეომართა სამარხებშია აღმოჩენილი [ჩიხლაძე 2015: 174]. დერგები, როგორც სამარხეული ინვენტარი, არ დასტურდება გვიანანტიკური ხანის სინქრონულ ძეგლებზე.

დერგების სიმაღლე 25 სმ-დან 96 სმ-მდე მერყეობს. პირის დიამეტრი 10-27 სმ-ია. მუცლის დიამეტრი -20-50 სმ. ხოლო ძირის დიამეტრი- 15-21 სმ-ია. მათი კეცის სისქე 0,5 სმ-დან 1,1 სმ-მდე მერყეობს.

## § 3. ჭრაქები

ჭრაქები სამეურნეო ჭურჭელში ერთიანდება და ხშირად გამოყენებადი კერამიკული ფორმაა ახ.წ. I-III საუკუნეებში. მათ იყენებდნენ როგორც დაწინაურებული, ასევე დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები სხვადასხვა ფუნქციის მატარებელი სივრცის განათებისთვის. ჭრაქებს ხმარობდნენ ასევე სხვადასხვა ხასიათის რელიგიურ და სახალხო წეს-ჩვეულებათა შესრულებისას ანტიკურ ხანაში. მათ სამარხეული ინვენტარის სახითაც ვხვდებით, სადაც მათი დანიშნულება საიქიოს გზის განათება შეიძლება ყოფილიყო. ჭრაქის გამოყენება დასაკრძალავ რიტუალში შემდგომ პერიოდშიც განაგრძობდა არსებობას [ჩარკვიანი 2014].

თიხის ჭრაქები ფორმით ჯამ-ფიალებს ჰგავს. მათი უმრავლესობა ტუჩის გარშემო შებოლილია. გამორიცხული არ არის, რომ სამზარეულო ჯამებიც გამოეყენებინათ ჭრაქებად.

მცირე ზომის, პირმოყრილი და პირსწორი უყურო ჭრაქები დიდი რაოდენობით არის აღმჩენილი გვიანანტიკური ხანის ქართლის ძეგლებზე (მცხეთა, ბაგინეთი, არმაზისხევი, ძალისი). პირმოყრილი ჭრაქების მაქსიმალური დიამეტრი 6-7 სმ-ია, სიმაღლე 3 სმ-ს არ აღემატება [ნარიმანიშვილი 2017:30].

პატრუქების გასაკეთებლად ლერწამს, კანაფსა და სელს ხმარობდნენ. თხილი, წიფელი, სელი ან ქონი კი გამოიყენებოდა საწვავისათვის.

კერამიკული ჭრაქების დამზადების სხვადასხვა მეთოდი არსებობდა: ხელით ძერწვით, მორგვის გამოყენებით ან ყალიბის მეშვეობით [ჩარკვიანი 2014:5].

ხელით ნაძერწი ჭრაქების დამზადება შედარებით მარტივ პროცედურებთან იყო დაკავშირებული. მათ დასამზადებლად არ იყენებდნენ რაიმე ტიპის იარაღს და შესაბამისად, ასეთი ჭრაქები, როგორც წესი, უორნამენტო და დაბალი ხარისხის იყო.

მორგვის საშუალებით ჭრაქის გამოყვანის მეთოდი ასეთი იყო: ჯერ მზადდებოდა ჭრაქის კორპუსი მორგვის დახმარებით, მომდევნო ეტაპზე ტანს აძერწავდნენ სხვა დეტალებს, გადაბმის ადგილებს კარგად ფარავდნენ და ბოლოს ჭურჭელს გამოწვავდნენ ღუმელში. მათი გავრცელება ძვ.წ. VI საუკუნიდან იწყება [ჩარკვიანი 2014].

ყალიბის მეშვეობით ჭრაქების გამოყვანის დროს, მის ორივე ნაწილში იკვრებოდა ნედლი თიხის მასა. მომდევნო ეტაპზე, თიხის გაშრობის შემდგომ, ხდებოდა მათი შეწებება, შეერთების ადგილების დაფარვა და მზეზე გამოშრობა. ჭრაქების ორნამენტირების შემდგომ კი ისინი გამოიწვებოდა ღუმელის მეშვეობით. ყალიბი საშუალებას იძლეოდა, რომ აღნიშნული ჭურჭელი გაფორმებულიყო სხვადასხვა ორნამენტით. როგორც ჩანს, აღნიშნული მეთოდით გამოყვანილი კერამიკული ჭრაქები ლითონის ჭრაქების მიბაძვით მზადდებოდა. ამგვარი ჭრაქები ვრცელდება ძვ.წ. II ს-დან და ცვლის მანამდე გავრცელებულ ტრადიციას, როდესაც ჭრაქები მორგვის საშუალებით მზადდებოდა, თუმცა ახ.წ. III-IV საუკუნეებში კვლავ ბრუნდება აღნიშნული ჭურჭლის მორგვის საშუალებით გამოყვანის ტრადიცია და ამ პერიოდიდან გვხვდება ორივე მეთოდით დამზადებული ჭრაქები [ჩარკვიანი 2014:6].

გვიანანტიკური ხანის თიხის ადგილობრივი ჭრაქები იყოფა ორ ჯგუფად:

**I ჯგუფი-** ჯამისებური ჭურჭლის ფორმის, ფართო პირით, ტუჩ-სადინარით. ახასიათებთ, ძირითადად, მოყრილი პირი, ბრტყელი ძირი, იშვიათად გვხვდება მომრგვალებული ძირის ჭრაქებიც. აქვთ სახელურიც, რომელიც ორი ტიპისაა- ყური და შვერილი. თუმცა, მათთან ერთად, გვხვდება ჭრაქები, რომელთაც სახელური საერთოდ არ აქვს (ტაბ XXXI-4).

I ჯგუფის ჭრაქები გვხვდება დედოფლის გორაზე. თარიღდებიან ძვ.წ. I-ახ.წ. I საუკუნეებით (ტაბ. XXXI-5). ზოგიერთ მათგანს ახასიათებს მომრგვალებული ძირი, რაც იშვიათია გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე დადასტურებული ჭრაქებისათვის [Iberia and Rome 2008: 72].

აღნიშნული ჯგუფის ჭრაქები დასტურდება ასევე ქ. მცხეთაში, ახ.წ. I-II საუკუნეებით დათარიღებულ სამარხებში [აფაქიძე...1978:70] [აფაქიძე...1995:14]; ზაიათხევის სამაროვანზე, ასევე თარიღდება ახ.წ. I-II საუკუნეებით [ნიკოლაიშვილი...1995:133]; კარსნისხევის არქეოლოგიურ ძეგლზე, სოფ. კარსანთან,

აღმოჩნდა ხუთი ჭრაქი, თარიღდება ახ.წ. I-II საუკუნეებით [ნიკოლაიშვილი, 1993:108]; ქ. მცხეთაში, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილია 19 ცალი ჭრაქი, თარიღდებიან ახ.წ. II საუკუნით [Иващенко 1980: 81,91,92]; ამავე ჯგუფში უნდა გაერთიანდეს სოხუმის ნაქალაქარზე, ახ.წ. I-III სს. დათარიღებულ ფენაში აღმოჩენილი ჭრაქი, რომელსაც აქვს მომრგვალებული კორპუსი და ბრტყელი, ტანისგან ოდნავ გამოყოფილი ძირი [Трапш 1969:350].

აღნიშნული ჯგუფის ჭრაქები საქართველოს ტერიტორიაზე დასტურდება ძვ.წ. VI-V სს. მოყოლებული (სიმაგრის ნამოსახლარი) ახ.წ. IV-V სს. ჩათვლით (სოხუმი; მცხეთა-სვეტიცხოვლის უბანი) [ჩარკვიანი 2014: 6,7].

II ჯგუფი- ჭრაქები სასმისებური ჭურჭლის ფორმის, კონუსის მოყვანილობის კორპუსით, აქვთ მომაღლო ფეხი, პირზე- ტუჩისებრი სადინარი.

გვიანანტიკური ხანის ძეგლებზე, ამგვარი ჭრაქები დასტურდება სამთავროს სამაროვანზე- ახ.წ. II საუკუნით დათარიღებულ სამარხში [Иващенко 1980:92], გონიო-აფსაროსის ციხეში, კოშკ №2-ში, რომლის თარიღი ახ.წ II საუკუნით განისაზღვრა (ტაბ. XXXI-6) [ლორთქიფანიძე ...2002:170].

ამ ტიპის ჭრაქები საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება ძვ.წ. VI-V სს-დან მოყოლებული (სიმაგრის ნამოსახლარი) ახ.წ. VI-VII სს. ჩათვლით (უფლისციხის ნაქალაქარი) [ჩარკვიანი 2014:7].

დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის ადგილობრივი ჭრაქები დამზადებულია, ძირითადად, განულექავი, მინარევებიანი თიხისგან. შეიცავენ ქვიშისა და ქარსის მინარევებს.

აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ჭრაქები, ძირითადად, დამზადებულია მოწითალო-მოჩალისფროდ გამომწვარი, კარგად განლექილი თიხისგან.

ნამოსახლარებზე დადასტურებული თიხის ჭრაქების ტუჩი, თავიანთი დანიშნულებიდან გამომდინარე, როგორც წესი, გამურულია ცეცხლისგან [ნარიმანიშვილი 2017].

# თავი IV

## იშვიათი ფორმის ჭურჭელი

საქართველოს ტერიტორიაზე, ახ.წ. I-IV საუკუნეების არქეოლოგიურ ძეგლებზე, აღმოჩენილია კერამიკული ჭურჭლის ფორმები, რომლებიც ყურადღებას იპყრობენ თავიანთი განსხვავებული მორფოლოგიური ნიშნებით, იშვიათობით და ცალსახად გამოირჩევიან ხშირად მოხმარებადი კერამიკული ნაწარმისგან. სავარაუდოდ, მათი ნაწილი მაინც რიტუალური მიზნებისთვის იყო დამზადებული, ხოლო მეორე ნაწილს განსაზღვრული, პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა [კობერიძე 2019].

აღნიშნული ჭურჭელი წარმოდგენილია ირმის (ხარ-ირმის) გამოსახულებიანი სასმისებით (რიტონებით); ორმუცლიანი ხელადებით; ამფორისკებით; ასკოსებით; ვხვდებით ასევე ხელადებს სხვადასხვა ზოომორფული (გველი, ღორი) დანაძერწით.

მათი იშვიათობა და აღმოჩენის კონტექსტი ამტკიცებს, რომ ისინი არ იწარმოებოდნენ სერიულად, არ გამოიყენებოდნენ ყოველდღიურ ყოფაში და მათ მხოლოდ განსაკუთრებული მიზნებისთვის ამზადებდნენ [კობერიძე 2015].

ქვემოთ შევეცდებით, დაწვრილებით განვიხილოთ აღნიშნული ჭურჭელი და შეძლებისდაგვარად განვსაზღვროთ მათი ფუნქციური დანიშნულება და მნიშვნელობა.

## § 1. კერამიკული სასმისი ირმის გამოსახულებით გუდაბერტყას გვიანანტიკური ხანის სამარხიდან

არქეოლოგიური ძეგლი „გუდაბერტყა" მდებარეობს ქ. გორთან, ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, 7 კილომეტრში, თბილისი-სენაკი-ლესელიძის ცენტრალური ავტომაგისტრალის მარცხენა მხარეს, მდინარე ტორტლას მარცხენა ნაპირას, კვერნაკის ქედის ჩრდილოეთი ფერდობის ძირთან, სოფ. ახალშენის მახლობლად.

აღნიშნულ ტერიტორიაზე, ძირითადად, შესწავლილია ადრებრინჯაოს (მტკვარ-არაქსის კულტურის), გვიანბრინჯაოს და ადრერკინის ხანის ნამოსახლარები, თუმცა, მათ გარდა აქ დასტურდება ასევე გვიანანტიკური პერიოდის სამარხებიც, რომლებიც XX ს-ის სამოციან და სამოცდაათიან წლებში აღმოჩნდა არქეოლოგ ს. ნადიმაშვილის მიერ, მაგრამ, მათი გამოქვეყნება ვერ მოხერხდა [კობერიძე 2019].

გვიანანტიკური პერიოდის ორმოსამარხებიდან გამოირჩევა სამარხი, სადაც თიხისგან დამზადებული ირმის ფიგურა (სასმისი) დადასტურდა (აღმოჩნდა ადამიანის ჩონჩხის ხელების არეში). სამარხი ინდივიდუალურია. ჩონჩხი იწვა თავით დასავლეთით, მარჯვენა გვერდზე, ხელ-ფეხ მოკეცილი [კობერიძე 2019].

ირმის ფიგურის გარდა სამარხში მრავალფეროვანი ინვენტარი გამოვლინდა, რომელთა დაწვრილებით შესწავლა აუცილებელი გახდა როგორც სამარხის დათარიღებისთვის, ასევე ირმის ფიგურის ფუნქციური დანიშნულების განსაზღვრისთვის.

ჩონჩხის ხელების არეში დადასტურდა თიხის ყელწიბოიანი დოქი; ასევე აღმოჩნდა ბრინჯაოსგან დამზადებული მინიატურული ქანდაკება ჯიხვის გამოსახულებით, რომელიც საკიდრგოლიანი და მთლიანადსხმულია. ქანდაკება დგას ოთხ რგოლზე. ფიგურის სიგრძე 4,5 სმ, ხოლო სიმაღლე 2,4 სმ-ია. (ტაბ. II-1); ბრინჯაოს ზარაკი- მინიატურული, კონუსური ფორმის, დაფანჯრული. ზარაკის ყუნწი მრგვალი მოყვანილობისაა. მისი სიმაღლე 2 სმ-ია, პირის დიამეტრი- 1,2 სმ (ტაბ. II-2); ბრინჯაოსგან დამზადებული სარკის ფრაგმენტი, ორნამენტირებულია: ნაპირებზე ურთიერთგადამკვეთი, ნახევარრკალისებრი, პარალელურხაზოვანი არშია შემოსდევს

(ტაბ. II-3); ელექტრუმის ბეჭედი სარდიონის თვლიანი; ღილი მინის, დისკოსებრი, ზედაპირზე გოფრირებულია; სარდიონის და გიშრის მძივები [კობერიძე 2019] (ტაბ. II-4)[12].

სამარხში აღმოჩენილი ინვენტარიდან ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თიხისგან დამზადებული ირმის ქანდაკება და თიხის დოქი.

ირმის ქანდაკება (სასმისი) – დამზადებულია მოწითალო-მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისგან; აქვს მოგრძო, ცილინდრული ფორმის ტანი, რომლის ბოლო ბრტყელია. ქანდაკება შიგნიდან ღრუა. ფიგურის ზურგზე დატანილია სითხის სადინარი პირი (პირგადაშლილი და თხელკედლიანია), რომელიც ქანდაკების კორპუსისგან გამოყოფილია დაბალი, შეზნექილი ყელით. მცირე, ბრტყელგანივკვეთიანი ყური დაძერწილია სითხის სადინარი პირის კიდესა და ფიგურის კორპუსის ბოლოზე. ყურის ზედა ნაწილზე დაძერწილია მცირე კოპი. ყურის ბოლოს, კორპუსზე მიერთების ადგილას გვხვდება მცირე მორჩისებური შვერილი, რომელიც კუდის იმიტაციას ქმნის. ქანდაკების კორპუსი დგას ოთხ მცირე შვერილზე, რომლებიც ირმის ფეხებს გამოხატავს [კობერიძე 2019].

ფიგურის თავზე თვალების ადგილას დაძერწილია ორი ბრტყელი კოპი, რომლებიც ირმის თვალებს გამოხატავს, ხოლო მათ ზემოთ დასმული მცირე ზომის შვერილები ირმის ყურებს უნდა გამოსახავდეს. ფიგურის თავი ბოლოვდება ორი დატოტილი რქით. სტილიზებულად გადმოცემულია ცხვირი და პირი. მისი ღრუ კორპუსი შიგნიდან პირთან არის დაკავშირებული ძალიან ვიწრო სითხის სადინარით. როგორც ჩანს, მასში ჩასხმული სითხე წვეთ-წვეთობით გადმოდიოდა ჭურჭლის პირიდან [კობერიძე 2019] (ტაბ. IV-2).

ირმის ფიგურა ჩარხზეა ნაკეთები: როგორც ზედაპირზე, ასევე მის შიდაპირზეც შეიმჩნევა ჩარხის კვალი, ოდნავ ასიმეტრიულია. დამზადებულია კარგად განლექილი და გამომწვარი თიხისგან. ფიგურის ზომები: სიგრძე- 25,5 სმ; სიმაღლე- 16,2 სმ; მუცლის უდიდესი დიამეტრი-10,7 სმ; ძირის დიამეტრი- 8 სმ; ზურგზე დატანილი სითხის სასხმელი პირის დიამეტრი- 6,3 სმ-ია, ხოლო მისი სიმაღლე (პირის დაშორება

---

[1] სამარხში აღმოჩენილი ინვენტარი გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს ჩაბარდა 1973 წელს.
[2] სამარხეულ ინვენტარზე მუშაობის დროს დახმარებისათვის დიდ მადლობას ვუხდით გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის თანამშრომელს- ზვიად შერაზადიშვილს.

კორპუსიდან) 2 სმ-ია. ფიგურის უკანა ფეხების სიმაღლე 3 სმ. ხოლო წინა ფეხების სიმაღლე- 3,9 სმ-ია [კობერიძე 2019] (ტაბ. III-IV)[3] .

დოქი, თიხის. გამომწვარია მოწითალოდ. დოქის ზედაპირი შეღებილია წითელი წერნაქით და ნაპრიალებია. აქვს მრგვალი, გადაშლილი პირი; მაღალი, ცილინდრული ყელი; ოვალისებური ფორმის მაღალი კორპუსი; ბრტყელი ძირი. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირზე და მხარზე. ყურის პირთან მიერთების ადგილზე დაძერწილია მცირე, მორჩისებური შვერილი. ყელს წიბო შემოუყვება. დამზადებულია კარგად განლექილი და გამომწვარი თიხისგან. ზომები: სიმაღლე- 22 სმ; მუცლის დიამეტრი- 12 სმ; ძირის დიამეტრი- 7 სმ (ტაბ. V-1) [კობერიძე 2019].

გუდაბერტყას სამარხს კარგად ათარიღებს ზემოთ აღწერილი ყელწიბოიანი დოქი, რომლის დამახასიათებელი მორფოლოგიური ნიშნები აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ III საუკუნის მეორე ნახევრიდან ან ბოლოდან ყალიბდება:

ახ.წ. I ს-დან III ს-ის პირველი ნახევრის ჩათვლით ყელწიბოიანი დოქებისათვის დამახასიათებელია დაბალი პროპორციები (ფართო ძირი და ფართო მუცელი, დაბალი ყელი), ხოლო ახ.წ. III ს-ის მეორე ნახევრიდან ყელწიბოიანი დოქების ფორმა ძირეულ ცვლილებას განიცდის და ბატონდება მაღალი პროპორციები: დოქის ყელი და კორპუსი შესამჩნევად მაღლდება, ამასთან, მხოლოდ III ს-ის ბოლოდან შეინიშნება ყურის ზედა ნაწილის წიბოს ზემოთ- პირზე მიძერწვის ტენდენციის გაჩენა, მაშინ როცა ახ. წ. I-III სს. ყელწიბოიან ხელადებს ყურის ზედა ნაწილი ყოველთვის ყელზე, ზუსტად წიბოზე აქვთ მიძერწილი [მირიანაშვილი 1983:49].

გუდაბერტყას სამარხში აღმოჩენილ დოქს ანალოგები მოეპოვება აღმოსავლეთ საქართველოს ახ.წ. III ს-ის ბოლო- IV ს-ის დასაწყისით დათარიღებულ მრავალ სამაროვანზე. ანალოგიური დოქები დადასტურდა ზღუდერის სამაროვანზე (ტაბ. V-2) (ძამას ხეობა) [ნემსაძე 1991:125]; ახალი ჟინვალის სამაროვანზე, ახ.წ. III ს-ის ბოლო- IV ს-ის დასაწყისით დათარიღებულ № 25 სამარხში (ტაბ. V-3) [რამიშვილი 1983 104;114]; არაგვისპირის სამაროვანზე [რობაქიძე 1982:86]; ამავე პერიოდით დათარიღდა გრაკლიან გორაზე, №2 სამარხში აღმოჩენილი მსგავსი მორფოლოგიური

[3] სამარხეული ინვენტარის გრაფიკული ტაბულები ეკუთვნის საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომელს- რუსუდან ბერიძეს.

ნიშნების მქონე დოქი, რომელსაც, ასევე, წითლად ნაპრიალები ზედაპირი აქვს (ტაბ. V-4) [კვირკველია 2011:53]. მსგავსი ყელწიბოიანი, ოვალურტანიანი დოქები დადასტურებულია ურბნისის სამაროვანზეც, ახ.წ. IV ს-ით დათარიღებულ სამარხებში [ჭილაშვილი 1964: 60-83] და სხვა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სამაროვანზე აღმოჩენილია მორფოლოგიურად მსგავსი ნიშნების მქონე დოქები, რომელთაც აქვთ მრგვალი, გადაშლილი პირი; მაღალი, ცილინდრული, წიბოიანი ყელი; მაღალი, ოვალური კორპუსი და ბრტყელი ძირი. ყური როგორც წესი მიძერწილია პირზე და მხარზე. ყურის პირთან მიერთების ადგილზე დაძერწილია მცირე, მორჩისებური შვერილი [კობერიძე 2019].

III ს-ის მეორე ნახევრიდან თუ ბოლოდან ჩამოყალიბებული დოქების ეს ჯგუფი, როგორც ჩანს, მთლიანად ცვლის I-III სს-ში გაბატონებულ, შედარებით დაბალი პროპორციების მქონე დოქებსა და ხელადებს და უკვე III-IV სს-ის მიჯნაზე, აღმოსავლეთ საქართველოში მთლიანად ბატონდება დოქების მაღალი პროპორციები, თავისი დამახასიათებელი მორფოლოგიური ნიშნებით [მირიანაშვილი 1983]. სწორედ გვიანანტიკური პერიოდის ბოლო ეტაპზე ჩამოყალიბებულ ამგვარი დოქების ჯგუფს განეკუთვნება გუდაბერტყას სამარხში აღმოჩენილი დოქიც [კობერიძე 2019].

მნიშვნელოვანია სამარხში აღმოჩენილი მთლიანადსხმული, საკიდრგოლიანი ჯიხვის ფიგურა, რომელიც ბრინჯაოსგან არის დამზადებული. მას რქები უკან აქვს გადაქნილი. სახე სტილიზებულია, წაგრძელებული დრუნჩით. ფიგურა დგას ოთხ რგოლზე [კობერიძე 2019] (ტაბ. II- 1).

ირემთან ერთად კავკასიასა და მრავალ სხვა ქვეყანაში ფართოდ იყო გავრცელებული ჯიხვის კულტი, რის გამოც არქეოლოგიურ მონაპოვარში მრავლადაა წარმოდგენილი ამ ცხოველის სხვადასხვაგვარი გამოსახულება. აღსანიშნავია, რომ ჯიხვი, როგორც გამრავლების, ნაყოფიერებისა და ნადირთმფარველი ღვთაების ინკარნაცია, უფრო ფართოდ დასავლეთ საქართველოს მთისწინეთსა და მთაში იყო გავრცელენული, თუმცა, ის უცხო არ იყო არც აღმოსავლეთ საქართველოსთვის, რასაც არქეოლოგიური აღმოჩენებიც ცხადყოფენ [რამიშვილი 2007:15].

ჯიხვის სკულპტურული გამოსახულებების უძველესი საკიდრგოლიანი ნიმუშები, ჯერ-ჯერობით, ცნობილია შილდის სამლოცველოდან, რომლებიც ძვ.წ. XIV-XII სს-ით. თარიღდება. გვიანბრინჯაოს განვითარებულ საფეხურზე ჯიხვის

საკიდიანი ფიგურები გვხვდება როგორც სამხრეთ, ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ, ყობანის სამაროვნის კომპლექსებში. ჯიხვის ფიგურები დასტურდება ვანის ნაქალაქარზეც, ძვ.წ. IV ს-ით დათარიღებულ სამარხში [რამიშვილი 2007:17].

როგორც ჩანს, საკიდიანი ფიგურები როგორც ჯიხვის, ასევე ირმის და ვერძის გამოსახულებებით უკვე საკმაოდ მომრავლდა გვიანანტიკური პერიოდის ძეგლებზე (მცხეთაში, ჟინვალის სამაროვანზე, არაგვის აუზში, ლიახვის ხეობაში, ლეჩხუმში) [რამიშვილი 2007].

კარსნისხევის ახ.წ. II ს-ით დათარიღებული სამაროვნის 27-ე სამარხში აღმოჩენილია ბრინჯაოსგან დამზადებული საკიდები, რომლებიც წარმოადგენენ რქებდატოტვილი ირმის სკულპტურულ გამოსახულებებს [ნიკოლაიშვილი 1993:74].

ჯიხვის ბრინჯაოს ქანდაკება (შესაბნევის ფუნქციით) აღმოჩენილია ნეძიხის სამაროვანზეც (დუშეთის რაიონი) და ის ახ.წ. III-IV სს. თარიღდება. შეასძლოა საკიდები ცხოველების გამოსახულებით ავგაროზის მნიშვნელობითაც იხმარებოდა [რობაქიძე 1990:71].

მრგვალსაკიდიანი მცირე ფიგურები დასტურდება ასევე ხარაგაულის მუნიციპალიტეტ სოფ. ლეღვანში გამოვლენილ ახ.წ. II-III სს. დათარიღებულ განძში [კვირკვაია 2017:5].

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჯიხვის და ირმის გამოსახულებიანი საკიდების სამარხებში დიდი რაოდენობით აღმოჩენა, შესაძლებელია, მიუთითებდეს ადგილობრივი მოსახლეობის ახალ (ქრისტიანულ) რელიგიასთნ გარკვეულ ურთიერთობაზე. როგორც ჩანს, იმ პერიოდში, როცა ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად იქნა აღიარებული, მოსახლეობა ღიად ატარებდა ამგვარ შესაბნევებს, თითქოს ხარკს უხდიდნენ ძველ ტრადიციასა და ნაყოფიერების ქალღვთაებას. ამასთანავე, შესაძლოა თაყვანისცემით იყვნენ გამსჭვალულნი ქრისტიანული სარწმუნოებისადმიც [რამიშვილი 2007: 14].

აღმოსავლეთ საქართველოს II ს. -IV ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებულ სამარხებში აღმოჩენილი მსგავსი საკიდიანი ფიგურები, როგორც ჩანს, ამ ტიპის გამოსახულებათა ფინალს წარმოადგენს, რადგან, ადრეშუა საუკუნეების ხანის სამარხებსა და კულტურულ ფენებში არც ჯიხვის და არც სხვა ცხოველის მთლიანი ფიგურები აღარ გვხვდება [რამიშვილი 2007:18].

გუდაბერტყას სამარხში აღმოჩენილ კონუსური ფორმის ზარაკს (ტაბ. II-2) პარალელები ეძებნება აღმოსავლეთ საქართველოს გვიანანტიკური ხანის სამაროვნებზე: მსგავსი ბრინჯაოს ზარაკები აღმოჩენილია ჟინვალის სამაროვანზე, ახ.წ. I-IV სს. დათარიღებულ სამარხებში; ასევე სამთავროზე, კლდეეთში, კარსნისხევში, ერწოში და სხვა [ჩიხლაძე 2015: 209].

სამთავროს სამაროვანზე ბრინჯაოს ზარაკები ძირითადად გვხვდება ახ.წ. III ს. - IV ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებულ სამარხებში [მანჯგალაძე 1985: 101-107].

ზარაკები, ძირითადად, ანტიკური ხანის არქეოლოგიური კომპლექსებიდან მომდინარეობს და მათი უმეტესობა სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენს. ისინი სამი ნაწილისგან შედგება: ყუნწი; კორპუსი (ტანი) და ენა. ზარაკების დამზადების ტექნოლოგია მარტივია:- ისინი ყუნწიანადაა ჩამოსხმული. მათი მასალა ძირითადად ბრინჯაოა. ბრინჯაოს ზარაკების ენა კი უმთავრესად რკინისგანაა დამზადებული, რომელიც ადვილად იჟანგებოდა, ამიტომ, ხშირ შემთხვევაში, ენა არ არის შემორჩენილი [ჭანიშვილი 2005: 19] (ენა არ შემორჩა არც გუდაბერტყაზე გამოვლენილ სამარხში აღმოჩენილ ბრინჯაოს ზარაკს, რომელიც რკინისგან უნდა ყოფილიყო დამზადებული) [კობერიძე 2019].

კონუსური ფორმის, დაფანჯრული ზარაკები ხშირად გვხვდება ანტიკური ხანის არქეოლოგიურ კომპლექსებში [ჭანიშვილი 2005: 20].

როგორც ჩანს, კონუსურტანიანი ზარაკები აღმოსავლეთ საქართველოში ფუნქციონირებს საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში - ძვ.წ. VIII-VII სს-იდან მოყოლებული ახ.წ. III-IV სს-ის ჩათვლით [ჭანიშვილი 2005].

ზარაკები რიტუალური დანიშნულების ნივთებია და როგორც ჩანს, მათ ავგაროზის ფუნქციაც ენიჭებოდა. გამოთქმულია ასევე მოსაზრება, რომ ისინი გამოიყენებოდა როგორც ნივთი, რომელიც განასახიერებდა ცისა და მიწის სიმბოლურ კავშირს. ცა -ეს იყო ზარაკის ნახევარსფეროსებური ფორმა, რომლის კავშირი მიწასთან ხორციელდებოდა და გაიგივებული იყო ენასთან [აფაქიძე, ნიკოლაიშვილი 1996: 32-33].

თუ ეს მოსაზრება სწორია, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ზარაკი გამოყენებული უნდა ყოფილიყო საკრძალავ რიტუალში და, სავარაუდოდ,

სიმბოლურად განასახიერებდა მიცვალებულის სულის გადასვლას ამქვეყნიურობიდან ზეციურ სამყოფელში [კობერიძე 2019].

იშვიათ მონაპოვართა რიცხვს მიეკუთვნება გვიანანტიკური ხანის სარკეები, რომლებიც ბრინჯაოსგან არის დამზადებული. ისინი ცნობილია ქართლის ტერიტორიიდან, განსაკუთრებით მცხეთიდან, კერძოდ, ახ.წ. II-IV სს. დათარიღებული სამარხებიდან. შედარებით მრავლად გვხვდება ისინი სამთავროს ახ.წ. III ს. -IV ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებულ სამარხებში [მანჯგალაძე 1985: 101-107].

ბრინჯაოს სარკე აღმოჩენილია ასევე გრაკლიან გორაზე, 16-22 წლის ახალგაზრდა მამაკაცის სამარხში, რომელიც ახ.წ III-IV სს. თარიღდება. [კვირკველია, მურვანიძე… 2011: 53].

ბრინჯაოს სარკის ფრაგმენტები დადასტურდა მოდინახეს № 66-ე მდიდრულ სამარხში, რომელიც ინვენტარის მიხედვით III ს-ის მიწურულით და IV ს-ის პირველი ნახევრით დათარიღდა [ბრაგვაძე 2000: 103-104].

შესაბამისად, მოყვანილი პარალელების საფუძველზე, გუდაბერტყას სამარხი კარგად თარიღდება ახ.წ. III ს-ის ბოლო- IV ს-ის დასაწყისით [კობერიძე 2019].

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გუდაბერტყას სამარხში აღმოჩენილი, თიხისგან დამზადებული ირმის ფიგურა (სასმისი), რომელსაც, ჯერ-ჯერობით, არ მოეძებნება ზუსტი ანალოგი საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილ სინქრონულ ძეგლებს შორის, თუმცა, რიტონები როგორც ირმის, ასევე სხვადასხვა ცხოველის გამოსახულებებით, მრავლადაა ცნობილი როგორც საქართველოს, ასევე მახლობელი აღმოსავლეთის მატერიალური კულტურის ძეგლებიდან [კობერიძე 2019].

თიხისგან დამზადებული ირმის ფიგურები დასტურდება ასევე აფხაზეთის ტერიტორიაზე, გვიანანტიკური ხანის მიწურულით დათარიღებულ სამარხებში:

ახაჩარხუს სამაროვანზე (მდებარეობს აფხაზეთში, წებელდიდან აღმოსავლეთით, 2 კმ-ის დაშორებით) დადასტურებულ ირმის ქანდაკებას (სასმისს) ფართო, დატოტვილი რქები აქვს, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ხელოსანს ხარ-ირმის დამზადება ჰქონდა განზრახული. ფიგურის სახეზე გამოსახულია თვალები, ცხვირი, პირი. ფიგურას ტანზე დაუყვება ტალღური ორნამენტი, რომელიც ცხოველის ხშირ ბეწვს გამოსახავს. ირმის ფიგურა შიგნიდან ღრუა. მას თავზე, რქებს შორის დატანილი აქვს სითხის სასხმელი პირი (ტაბ. VI-1) [Шамба 1970: 64-65].

ირმის ფიგურის დანიშნულება სამარხში შესაძლებელია ყოფილიყო გარდაცვლილის სულის თანხლება იმქვეყნად. ირმის ფიგურა აღმოჩნდა №14 სამარხში და თარიღდება ახ.წ. IV ს-ის პირველი ნახევრით [Шамба 1970: 64-65].

თიხისგან დამზადებული ხარ-ირმის სკულპტურული ფიგურა აღმოჩენილია ასევე აბგიძრახუს სამაროვანზე (აფხაზეთი), სამარხში, რომელიც დათარიღდა ახ.წ. IV საუკუნის I ნახევრით [Трапш 1971: 205].

ფიგურის სიმაღლე 17 სმ-ია, სიგრძე- 22 სმ. ფიგურის სახეზე გამოსახულია თვალები, ცხვირი, პირი. რქებს შორის დატანილია 3 სმ. დიამეტრის სითხის სასხმელი პირი (ტაბ. VI-2) [Трапш 1971: 205].

ხარ-ირმის ფიგურის გარდა სამარხში აღმოჩნდა ასევე ორი ძაბრისებურპირიანი დოქი, ქარვის და მინის სხვადასხვა ფორმის მძივები, რკინის დანა, ბრინჯაოს ფიბულები, ბრინჯაოს ბეჭედი და რგოლები [Трапш 1971: 60-62].

ცხოველის გამოსახულებიანი ფიგურების (რიტონების) დამზადების ტრადიცია, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ რკინის ფართო ათვისების პერიოდიდან იწყება:

კერძოდ, თრელიგორების სამაროვანზე, ძვ.წ VIII-VII სს. დათარიღებულ ყორღანული ტიპის სამარხებში, სხვადასხვა მდიდრულ ინვენტართან ერთად დადასტურდა თიხისგან დამზადებული, ხარის და ვერძის მოზრდილი ფიგურები, რომელთაც გუდაბერტყას სამარხში აღმოჩენილი ირმის ფიგურის მსგავსად სითხის სასხმელი პირი ფიგურის ზურგზე აქვთ დატანილი. აღსანიშნავია, რომ ეს ფიგურები წარმოადგენდნენ ტომის ბელადებისთვის შეწირულ ჭურჭელს, რომლებიც, სავარაუდოდ, გარკვეულ რიტუალთან იყო დაკავშირებული [აბრამიშვილი; რამიშვილი 1975: 19-20]

თიხისგან დამზადებული ცხოველის გამოსახულებიანი სასმისები ჯერ კიდევ გვიანნეოლითური ხანიდან არის ცნობილი მახლობელ აღმოსავლეთში. ანატოლიაში, გვიანნეოლითური ხანით დათარიღებულ არქეოლოგიურ ძეგლებზე დადასტურებულია ტახის და ირმის ფიგურები რომელთაც ზურგზე სითხის სასხმელი პირი აქვთ დატანილი [Mellaart 1961: 66 pl: XIV].

მიკენში აღმოჩენილია ვერცხლისგან დამზადებული ხარ-ირმის ფიგურა, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, ცენტრალურ ანატოლიური წარმოშობის უნდა იყოს.

მას აქვს ოთხფეხა ცხოველის ფორმა, სითხის სასხმელი პირით ფიგურის ზურგის ცენტრში. რიტონი გვიანბრინჯაოს ხანით თარიღდება [Cline 1991: 134 pl. XXII a].

არქეოლოგიური მონაცემები ცხადყოფენ, რომ ანატოლიაში ირემი (ან ხარ-ირემი) საკრალურ ცხოველად ითვლებოდა. აქ კერამიკული რიტონები ირმების, ლომების თუ ხარების გამოსახულებით გვიანნეოლითურ პერიოდში ჩნდება, მაგრამ, როგორც ჩანს, ამგვარი ჭურჭლის ფართო წარმოება ანატოლიაში გვიანბრინჯაოს პერიოდიდან იწყება. რიტონებს ამზადებდნენ ასევე კვიპროსში და ეგეოსურ სამყაროში [Cline 1991: 134].

მსგავს ფიგურებს, სხვადასხვა ცხოველის გამოსახულებებით, ვხვდებით ასევე ირანის და აზერბაიჯანის ტერიტორიაზეც. როგორც ჩანს, ირანში ანატოლიის მსგავსად, ამგვარი ჭურჭელი რეგულარულად იწარმოება მეორე ათასწლეულის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, სადაც დასტურდება რიტონები ცხვრის, თხის, ირმის, ტახის, ვერძის გამოსახულებებით [კობერიძე 2019].

ცხოველის გამოსახულებიანი სასმისები ზურგზე დატანილი სითხის სასხმელი პირით, დამახასიათებელია ასევე პართული პერიოდის კერამიკისათვის: ჩრდილო-დასავლეთ ირანში, არდაბილის პროვინციაში, ქ. გერმიში (აზერბაიჯანის საზღვართან ახლოს), პართული პერიოდის არქეოლოგიურ ძეგლზე დადასტურდა ვერძის (და სხვა ცხოველების) გამოსახულებიანი ფიგურები (სასმისები), რომელთაც, გუდაბერტყაზე აღმოჩენილი ფიგურის მსგავსად, სითხის სასხმელი პირი დატანილი აქვთ ზურგზე, თუმცა, პართული ნაწარმისთვის დამახასიათებელია შედარებით მაღალი სასხმელი პირი. აღნიშნულ ჭურჭელს, სითხის სასხმელ პირს ქვემოთ და ფიგურის კორპუსის ბოლოს, დაძერწილი აქვს ყური. ფიგურების ტანს ძირითადად ოვალისებური ფორმა აქვთ. ისინი გამომწვარია მოწითალო-მოყავისფროდ. ამგვარი ფიგურები ირანში დათარიღებულია ძვ.წ I-ახ.წ. II საუკუნეებით (ტაბ. VI-3) [Haerinck 1983].

პართული პერიოდის მსგავს ფიგურებს ვხვდებით ასევე ირანის სხვა პროვინციებშიც. დადასტურებულია ისინი დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზეც და მათი თარიღი ძვ.წ I-ახ.წ. II ს-ით არის განსაზღვრული (ტაბ. VII 1-3) [Haerinck 1983].

თეირანის არქეოლოგიურ მუზეუმში გამოფენილია პართული პერიოდის, თიხისგან დამზადებული სხვადასხვა ცხოველის გამოსახულებიანი რიტონები (ტაბ

VII-3), მათ შორის არის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ირმის ფიგურაც. ის გამომწვარია წითლად. ფიგურის თავს აბოლოებს ორი დატოტვილი რქა; სახეზე გამოსახულია თვალები, ცხვირი და პირი. ზურგზე დატანილი აქვს შემაღლებული, ცილინდრული მოყვანილობის სითხის სასხმელი პირი [კობერიძე 2019] (ტაბ. VII, 4-5).

მსგავსი სასმისები, როგორც ჩანს, გავრცელებული იყო აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზეც: კერძოდ უკრაინაში, ტირის გვიანანტიკური ხანის ნამოსახლარზე აღმოჩენილია ფიგურა ცხვრის გამოსახულებით. იგი დამზადებულია თიხისგან, დაფარულია წითელი ლაკით. რიტონს სითხის სასხმელი პირი ზურგზე აქვს დატანილი. სასხმელი პირის კიდესა და კორპუსის ბოლოს ყურია მიძერწილი. ჭურჭლის ძირზე, გამოწვამდე ამოკაწრულია წარწერა- „კერდონასი“ –რომელიც, სავარაუდოდ, რიტონის დამამზადებელი ხელოსნის სახელი უნდა იყოს. ცხვრის ფიგურა ახ.წ. II-III სს. თარიღდება [Клейман 1982: 267].

არქეოლოგიური აღმოჩენები ცხადყოფენ, რომ ირმის კულტს საკმაოდ ძველი და ღრმა ფესვები აქვს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

ქართველი და კავკასიელი ხალხის უძველეს რელიგიებში დიდი ადგილი ეჭირა ირმის სახეს. საქართველოს ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალა მეტყველებს, რომ ირემი მონადირეობასთან და ნაყოფიერების, ბუნების აღორძინების ძალებთან (ღვთაებასთან) იყო დაკავშირებული [სურგულაძე 2003:33].

ქართულ ფოლკლორში ირემი ხშირად წარმოდგენილია როგორც ზებუნებრივი ნიჭთა მატარებელი და ღვთაების სამყაროსთან დაკავშირებული არსება. ნათლად ჩანს მისი კავშირი ველური ბუნების ნაყოფიერების ღვთაებებთან. ირემი ასევე წარმოადგენს მიწის სიმბოლოს და ბუნების დიდი დედის კულტს უკავშირდება. დიდი დედები ადრე თავად იყვნენ წარმოდგენილნი ცხოველების სახით- საქართველოში დამოწმებული ზოგიერთი წარმოდგენით ნადირთ პატრონი თავისი ბუნებით ზოომორფული არსებაა და ჯიხვის, ირმის, ან არჩვის სახით წარმოგვიდგება. მომდევნო ხანებში ირემი ნაყოფიერების ქალღვთაებათა (ან ცხოველთა მფარველი ღვთაების) ზოომორფულ ხატად (სახედ) და მათ თანმხლებად იქცა [სურგულაძე 2003:33].

ხალხურ სიტყვიერებაში და სახვით ხელოვნებაში განსაკუთრებით აქცენტირებული იყო ირმის რქები, როგორც მათი ძირითადი, სპეციალური

მსაზღვრელი ნიშანი. ხალხის წარმოდგენები და ისტორიული მასალა გვარწმუნებს, რომ რქებს უწინ დიდი საკულტო მნიშვნელობა ჰქონდა. საქართველოს მთიანეთში თითქმის ყველა სალოცავს ამკობს ირმისა თუ ჯიხვის რქები. ირმის რქებით უწინ დარბაზების დედაბოძების შემკობაც სცოდნიათ, ის ასევე აღნიშნავდა ვაზს ან რაიმე მცენარეულ წამონაზარდს, ამიტომ არის, რომ ირმის რქები, ხშირად, სიცოცხლის ხესთან არის დაკავშირებული [სურგულაძე 2003: 23]. სიცოცხლის ხეს კი შეიძლება ჩაენაცვლოს მხოლოდ ღვთაებასთნ დაკავშირებული გამოსახულება (ამ შემთხვევაში ირემი) [ჯაფარიძე 1981: 11-29].

ირმის რქების და სიცოცხლის ხის ურთიერთკავშირი კარგად ჩანს მაგალითად თრიალეთის ვერცხლის თასზე და სარწყულზე, ადრერკინის ხანის ბრინჯაოს გრავირებულ სარტყლებზე და ა.შ.

სიცოცხლის ხის ნაყოფი სიცოცხლის მომნიჭებლად მიაჩნდათ. სიცოცხლის ხის და ირმის ურთიერთკავშირი კარგად აისახა ქართულ წერილობით წყაროშიც (დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ).

ირმის კულტის არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე, არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ენეოლითური ხანიდან ფიქსირდება. ირმის უძველესი გამოსახულება ჯერ-ჯერობით ცნობილია ქვემო ქართლიდან. კერძოდ, არუხლოს გორაზე, ენეოლითური ხანის ფენაში აღმოჩენილია თიხის სამწახნაგა ნაკეთობა, რომლის ერთ-ერთ წახნაგზე ამოკვეთილია რქებდატოტვილი ირემი [ჯაფარიძე, ჯავახიშვილი 1971].

ირმის გამოსახულებები დამოწმებულია ხიზანაანთ გორაზე და ქვაცხელას ნამოსახლარზე, სადაც ისინი ჭურჭლის ნატეხებზე სქემატურადაა ამოკაწრული. ქვაცხელაზე აღმოჩენილია ირმის რელიეფურგამოსახულებიანი სარქველიც. ირმის გამოსახულებები საკულტო ნაგებობაშია აღმოჩენილი.

გამოთქმულია ვარაუდი, რომ ენეოლითის დასასრულსა და ადრებრინჯაოს ხანაში, ირემი უკვე დაკავშირებული იყო ნაყოფიერების აგრარულ კულტთან. ირმის სიმბოლიზება მიწათმოქმედების განვითარებას დაუკავშირდა და მისი გამანაყოფიერებლის ძალა მის რქებთნ გაიგივდა, რაც კარგად ჩანს ქვაცხელების სამაროვნის № 2 სამარხში აღმოჩენილი სპილენძის დიადემიდან, რომელზეც

გამოსახულია ორი ხარ-ირემი, გამოხატული სქესობრივი ნიშნებით [კიკვიძე 1976: 190-191].

მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკისთვის დამახასიათებელ დეკორში ირმის გამოსახულებები საგრძნობლად მატულობს. სწორედ ამ კულტურაში იწყებს არსებობას უდიდესი მნიშვნელობის სემანტიკური მწკრივი- ირემი, გველი, თევზი, რომელთა საშუალებითაც ხდებოდა სამყაროზე ადამიანების უმარტივესი წარმოდგენების დაფიქსირება [ხიდაშელი 2005: 224].

შუაბრინჯაოს ხანის დასასრულსა და გვიანბრინჯაოს ხანის დასაწყისში, საქართველოში თავს იჩენს უკვე ბრინჯაოსგან ჩამოსხმული ცხოველების- ირმის, ჯიხვის და სხვა ცხოველთა ფიგურები.

ბებნისის ყორღანებში (ძვ.წ. XIV-XIII სს) აღმოჩენილ ერთ-ერთ შავპრიალა ჭურჭელზე, გამოსახულია ორი, თავით ერთმანეთისკენ მიმართული ირემი. ირმის თავთან წარმოდგენილია გველი. იქვეა გეომეტრიული ფიგურა, რომელიც სამყაროული ხის გამოსახულებად უნდა მივიჩნიოთ. ამავე ყორღანებში აღმოჩენილია შტანდარტები, რომლებზეც მთლიანი მოცულობით ფორმებში შესრულებული ირმის ფიგურებია აღმართული [ხიდაშელი 2005: 224].

მელი-ღელეს სამლოცველოში დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი ირმის გამოსახულებანი, გარდა ამისა, აქ გვხვდება ირემზე ნადირობის სცენები, რომლებიც ჭურჭელზეა ასახული.

ირმებზე ნადირობის სცენები გამოსახულია თრიალეთის ვერცხლის სარწყულზეც- ირმების ფიგურებთან შეიმჩნევა ისრების გამოსახულება [ჯაფარიძე 1981: 34].

გვიანბრინჯაოს განვითარებულ საფეხურზე, ირმის კულტის ძალზედ ფართოდ გავრცელებაზე მიუთითებს კოლხურ-ყობანური და აღმოსავლურ ქართული კულტურების სახვით ხელოვნებაში დადასტურებული ბრინჯაოსგან ჩამოსხმული ირმის ქანდაკებები და ასევე გრაფიკული გამოსახულებებიც, რომლებიც ხასიათდებიან ძლიერი სტილიზაციით [რამიშვილი 2007: 14].

ირმის გამოსახულებები კოლხური ცულების მხატვრული დეკორის უაღრესად გავრცელებულ სახეს წარმოადგენს [ხიდაშელი 1972:63].

ირმების გამოსახულებებს და მათზე ნადირობის სცენებს ვხვდებით ძვ.წ. IX-VI სს. დათარიღებულ ბრინჯაოს გრავირებულ სარტყლებზე.

ირმის გამოსახულებები მრავლად გვხვდება საქართველოს ტერიტორიაზე მთელი ანტიკური ხანის მანძილზე. მისი კულტი ფართოდაა გავრცელებული გვიანანტიკურ ხანაში. მისი გამოსახულებები დატანილია საბეჭდავებსა და გემებზე, კეთდება მათი გულსაკიდები, იმკობა სარტყლები, აბზინდები, დიადემები, ჭვირული ბალთები. გვიანანტიკური ხანის ბრინჯაოს ჭვირულ ბალთებზე გამოიყოფა საკმაოდ დიდი ჯგუფი, რომელთა კომპოზიციის ცენტრალურ ელემენტს ირემი წარმოადგენს [ხიდაშელი 1972: 21-37].

გალის რაიონის სოფ. თაგილონის მახლობლად შემთხვევით გამოვლენილ მამაკაცის მდიდრულ სამარხში აღმოჩნდა ირმის ოქროს თავი, რომელიც წარმადგენს რიტონის დაბოლოებას და ახ.წ. I-II სს. თარიღდება [Амиранашвили 1935: 15-16].

ქართულ წარმართულ პანთეონში ირმის კულტის სიძლიერეზე არქეოლოგიური არტეფაქტების გარდა ქართული წერილობითი წყაროებიც მეტყველებენ: „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ფარნავაზი, იბერიის სამეფოს დაარსებამდე, სწორედ ირმებზე ნადირობს. „ფარნავაზის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „ხოლო მას დღესა შინა განვიდა ფარნავაზ და ნადირობდა მარტო და დევნა უყო ირემთა ველსა დიღომისასა. და ივლტოდეს ირემნი ღირღალთა შინა ტფილისისათა. მისდევდა ფარნავაზ, სტყორცა ისარი და ჰკრა ირემსა. და მცირედ წარვლო ირემმან და დაეცა ძირსა კლდისასა. მივიდა ფარნავაზ ირემსა ზედა, იტირა იგი, მწუხრი გარდახდა, და დაჯდა ირემსა მას თანა და დაყო მუნ ღამე და დილეულმცა წარვიდა. ხოლო კლდის მის ძირსა ქუაბი იყო, რომელსა კარი აღმოქმნულ იყო ქუითა მუელად, და სიმუელითა შეჰქმნოდა დარღუევა შენებულსა მას. მაშინ დაასხა წვიმა მძაფრი, ხოლო ფარნავაზ ამოიღო ჩუგლუგი და გამოარღვია კარი ქუაბისა მის... და იხილა მუნ-შინა განძი მიუწდომელი, ოქრო და ვერცხლი...“ [ქართლის ცხოვრება 1955: 21-22].

ქართლის ცხოვრების ცნობის მიხედვით ფარნავაზი პოულობს განძს, აღწევს მეფობას და საბოლოოდ აარსებს იბერიის (ქართლის) სამეფოს. აღსანიშნავია, რომ განძთან ფარნავაზი სწორედ ირემს მიჰყავს. ფაქტი, რომ ფარნავაზი იბერიის სამეფოს შექმნამდე ირმებზე ნადირობს, არ არის შემთხვევითი და მეტყველებს მისი კულტის სიძლიერეზე ანტიკური ხანის საქართველოში [დიღმელაშვილი 2010].

ირმებზე ნადირობა რომ ყოველთვის დაკავშირებული იყო გარკვეულ რიტუალთან და რწმენა-წარმოდგენებთან, და ეს მოტივი რომ დიდი ხნის განმავლობაში შემოინახა საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ქართველურმა ტომებმა, კარგად ჩანს ზემოთ მოყვანილი არქეოლოგიური მასალიდანაც [კოზერიძე 2019].

ირმის კულტის სიძლიერეზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ქრისტიანულმა რელიგიამაც კი ვერ მოახერხა მისი უგულვებელყოფა, არამედ მოხდა მისი ტრანსფორმირება ქრისტიანულ სიმბოლოდ და ადრექრისტიანულ სიმბოლოებში ირემმა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა [დიღმელაშვილი 2010].

ამ ცხოველის გამომხატველი რელიეფები მრავლად გვხვდება ქართულ ადრექრისტიანული ხანის ტაძრებზე, სადაც ისინი ქრისტიანის მორწმუნე სულს განასახიერებდნენ [დიღმელაშვილი 2010: 68].

ირმის, როგორც წარმართული კულტის ტრანსფორმირება ქრისტიანულ სიმბოლოდ კარგად არის ასახული ქართულ წერილობით წყაროებშიც: ,,მოქცევაი ქართლისაი" –ში ჩართული ,,ნინოს ცხოვრება" გადმოგვცემს- ,,წარვავლინენ ხურონი ძიებად ხესა. და ვითარ ჰოვეს ხეერთი, მარტო მდგომარეკლდესა ზედა, რომლისადა არა მიხებულ იყო ხელი კაცისაი, არამედ მონადირეთაგან სმენით გუესმინა სასწაული ხისაი მის, რამეთუ ოდეს ირემსა-ღა ეცის ისარი, მიივლტინ ზორცუსა მას ქუეშე, რომელსა ზედა დგა ხე იგი, და სწრაფით ჭამნ თესლსა მას მის ხისასა ჩამოცვინებულსა და სიკუდილისაგან განერის. ესე მითხრიან და ვიყავ დაკვირვებულ. ამისათვის მოვჰკუეთე მე ხე იგი და შევქმნენ მისგან სამნი ჯუარნი [მოქცევაი ქართლისაი 1963: 159].

არ არის გამორიცხული, რომ წყაროში მოხსენიებული ხე, რომელიც კურნავს დაჭრილ ირმებს, დაკავშირებული იყოს წარმართულ სიცოცხლის ხესთან- სიცოცხლის ხის ნაყოფი აქაც სიცოცხლის მომნიჭებლად გვევლინება. საყურადღებოა, რომ სიცოცხლის ხე სწორედ ირმებს კურნავს. როგორც ზემოთ განხილული არქეოლოგიური მასალიდან გამოჩნდა ამგვარ სემანტიკას დიდი ხნის ტრადიცია აქვს საქართველოში [დიღმელაშვილი 2010: 66].

ცნობა იმის შესახებ, რომ მირიან მეფის მიერ წარგზავნილი ხუროები ჯვრების შექმნის მიზნით ჭრიან იმ სასწაულმოქმედ სიცოცხლის ხეს (ანუ წარმართული ხე

ტრანსფორმირდება ქრისტიანულ ჯვრად) რომლისგანაც იკურნებიან დაჭრილი ირმები, არ არის შემთხვევითი და გადმოგვცემს წარმართული კულტის (რაც ამ შემთხვევაში გაიგივებულია ირემთან და სიცოცხლის ხესთან) გაქრისტიანების პროცესს [დიღმელაშვილი 2010: 66].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ გუდაბერტყაზე გამოვლენილ სამარხში დადასტურებული ირმის ფიგურა (ისევე როგორც აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ირმის თუ ხარ-ირმის ფიგურები) წარმოადგენს რიტუალურ სასმისს, ან შესაძლებელია, რაიმე განსაკუთრებული, წმინდა სითხის საცავს [კობერიძე 2019].

ამგვარი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას იძლევა ასევე აღნიშნული ფიგურების იშვიათად აღმოჩენის ფაქტი გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიურ კომპლექსებში. ფაქტია, რომ ამგვარი სასმისები სერიულად არ იწარმოებოდა და მათ მხოლოდ განსაკუთრებული (სავარაუდოდ სარიტუალო) შემთხვევებისათვის ამზადებდნენ [კობერიძე 2019].

ირმის ფიგურების სამარხებში ჩაყოლების მიზანი, ამავე დროს, შესაძლებელია ყოფილიყო მიცვალებულის სულის თანხლება ზეციურ სამყაროში, რადგან, როგორც ჩანს, ირემი საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა წარმოდგენაში გარდაცვლილ სულთა წინამძღოლი იყო იმქვეყნიურობისაკენ [Шамба 1970: 65].

ირმის სამარხში აღმოჩენის ფაქტი, შესაძლებელია, მეტყველებდეს ასევე პატრიარქალური გვარის რელიგიურ წარმოდგენებზე, როდესაც ოჯახის უფროსის გარდაცვალების დროს, მას სამარხში ატანდნენ იმ ღვთაება-ცხოველის (ამ შემთხვევაში ირმის) გამოსახულებას, რომელსაც თაყვანს სცემდა გარდაცვლილის გვარი [Шамба 1970: 65]. ამგვარ რიტუალს საქართველოში დიდი ხნის ტრადიცია უნდა ჰქონოდა, რასაც არქეოლოგიური მასალაც ცხადყოფს.

საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ ირმის კულტზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია საგარეო ფაქტორებიც, კერძოდ, კულტურული თუ პოლიტიკური გავლენები მახლობელი აღმოსავლეთიდან, სადაც, როგორ ვნახეთ, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ირემი საკრალურ ცხოველად ითვლებოდა და მისი კულტის თაყვანისცემას დიდი ხნის ტრადიცია ჰქონდა [კობერიძე 2019].

მახლობელ აღმოსავლეთთან ჩამოყალიბებულმა მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკურმა და კულტურულმა კავშირებმა (რაც კიდევ უფრო გაღრმავდა ანტიკურ პერიოდში აქემენიდურ ირანთან, პართიასთან თუ სასანიდებთან, ასევე მცირე აზიასთან და მესოპოტამიასთან) როგორც ჩანს საგრძნობი გავლენა იქონია რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებზეც. არქეოლოგიურ თუ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გვიანანტიკურ ხანაში საგრძნობლად იზრდება ირანული კულტურის გავლენა ქართულ წარმართულ პანთეონზე [დუნდუა, სილაგაძე 2010]. ამგვარი გავლენების ნათელი დასტურია თუნდაც ცეცხლთაყვანისმცემლობის თუ მითრას კულტის სიძლიერე მთელს საქართველოს ტერიტორიაზე.

ამგვარად, გვიანანტიკური ხანის საქართველოს ტერიტორიაზე, ირმის ფიგურების და მათთან დაკავშირებული რომელიმე წარმართული ღვთაების თუ რელიგიური წარმოდგენების გავრცელების ერთ-ერთი წყარო შესაძლებელია ირანული სამყაროც ყოფილიყო [კობერიძე 2019].

მეზობელი რეგიონებიდან მომდინარე ამ გავლენებს, როგორც ჩანს, არ შეუტანია რაიმე მნიშვნელოვანი დისონანსი ადგილობრივი მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებში, რადგან მათთვის, ამ პერიოდში, კარგად იყო ცნობილი ირანში გავრცელებული წარმართული ღვთაებები, რელიგიური წარმოდგენები და შესაბამისად მათთან დაკავშირებული რიტუალური ნივთებიც (გავიხსენოთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს უმეტეს ქალაქში ცხოვრობდა ზოროასტრიული მოსახლეობა. გამოთქმულია ასევე მოსაზრება, რომ გაიმი მითრას კულტის ერთ-ერთი სახეობის გადამუშავებულ ვარიანტს წარმოადგენს, ანინა-ანაჰიტის, არმაზის კერპი შესაძლოა აჰურა-მაზდასთან იყოს კავშირში და. ა. შ. შეიძლება ითქვას, რომ ირანული წარმოშობის ღვთაებებმა შეადგინეს ქართული წარმართული პანთეონის მთავარი ტრიადა [დუნდუა... 2010:77] ).

მაგრამ, ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ირმის კულტს ადგილობრივ წარმართულ პანთეონში უკვე საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ეჭირა მნიშვნელოვანი ადგილი და შესაბამისად, მისდამი მიძღვნილ რიტუალებს დიდი ხნის ტრადიცია უნდა ჰქონოდა საქართველოში [კობერიძე 2019].

გუდაბერტყაზე და აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ირმის ფიგურები წარმოადგენენ სამარხის ინვენტარს, მაგრამ სავარაუდოა, რომ ისინი მხოლოდ სამარხში ჩატანების მიზნით არ უნდა ყოფილიყვნენ დამზადებულნი. როგორც ჩანს, აღნიშნულ ირმის (ხარ-ირმის) ფიგურებს მათი პატრონები იყენებდნენ რელიგიური რიტუალების შესრულების დროს (რა თქმა უნდა გამორიცხულია ამგვარი ჭურჭლის გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში). შესაძლებელია, ირმის ფიგურებს იყენებდნენ დიდი დედის, ნაყოფიერების კულტთან მიძღვნილ დღესასწაულებზე, რაც ასევე მიწათმოქმედებასთან უნდა იყოს დაკავშირებული [კობერიძე 2019].

წარმართული პანთეონის ხასიათიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, გვიანანტიკური ხანის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ცალკეულ თემს თუ სოფელს თავის სათაყვანო ღვთაება უნდა ჰყოლოდა და შესაბამისად მათთვის მიძღვნილი წარმართული რიტუალებიც უნდა შეესრულებინათ [კობერიძე 2019].

არქეოლოგიური მონაპოვარი ცხადყოფს, რომ ირმის კულტთან დაკავშირებული წარმართული რიტუალები თუ მთელს იბერიის სამეფოში არა, გარკვეულ სოფლებსა და თემებში მაინც უნდა ჩატარებულიყო კულტის მსახურის მიერ [კობერიძე 2019].

ამგვარი რიტუალების ჩატარებისას მნიშვნელოვანი ატრიბუტი უნდა ყოფილიყო სწორედ თიხისგან (ან სხვა მასალისგან) დამზადებული ირმის (ხარ-ირმის) ფიგურები (სასმისები). როგორც ჩანს, ამგვარ რიტუალებში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა ასევე ბრინჯაოსგან დამზადებული ჯიხვის თუ ირმის მცირე ქანდაკებები, შესაძლოა ბრინჯაოს ზარაკებიც [კობერიძე 2019].

აღნიშნული ინვენტარის (გუდაბერტყას სამარხეული ინვენტარის) ერთ სამარხში აღმოჩენის ფაქტი კი მეტყველებს იმაზე, რომ ისინი ერთი და იგივე წარმართულ კულტთან დაკავშირებული ნივთები უნდა იყოს და მათ კულტის რიტუალში, სავარაუდოდ, სამარხში დაკრძალული პირი იყენებდა [კობერიძე 2019].

ლოგიკური იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ რიტუალის შესრულებისთვის აუცილებელი ატრიბუტები- თიხის ირმის ფიგურა, ბრინჯაოს მცირე ქანდაკება ჯიხვის გამოსახულებით და ზარაკი უნდა ჩაეტანებინათ სწორედ იმ კულტის მსახურის სამარხში, რომელიც ირმის კულტთან დაკავშირებულ რიტუალებს აღნიშნული ნივთების დახმარებით ასრულებდა. შესაბამისად, აღნიშნულ სამახრში სარიტუალო ინვენტარის შესამჩნევი სიჭარბე, რომელიმე სოფლის თუ თემის კულტის

მსახურის სამარხზე უნდა მიგვანიშნებდეს. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ასევე ზემოთ განხილული ახაჩარხუს და აბგიძრახუს სამაროვნებზე გამოვლენილი ირმის და ხარ-ირმის ფიგურების შემცველი სამარხები, რომლებიც რიტონების აღმოჩენის გარდა მრავალფეროვანი ინვენტარით გამოირჩნენ [კობერიძე 2019].

ყოველივე ზემოთქმული მეტყველებს გუდაბერტყაზე გამოვლენილ ახ.წ. III-IV სს-ის მიჯნით დათარიღებულ სამარხში დაკრძალული მიცვალებულის განსაკუთრებულ როლზე. ამასთან, სამარხში დადასტურებული ირმის ფიგურა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მონაპოვარს არქეოლოგიური თვალსაზრისით. მის მნიშვნელობას ზრდის ის ფაქტიც, რომ ფიგურა (სასმისი) ჯერ-ჯერობით უნიკალურია და არ მოეპოვება ანალოგები საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილ სინქრონულ არქეოლოგიურ ძეგლებს შორის. სწორედ ამიტომ, რთულია ირმის ფიგურის კონკრეტული ფუნქციური დანიშნულებისა და მნიშვნელობის განსაზღვრა, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ მომავალი არქეოლოგიური აღმოჩენები და სამეცნიერო კვლევები უფრო მეტ ნათელს მოჰფენს ამ საკითხს [კობერიძე 2019].

## § 2. გვიანანტიკური ხანის მოჭიქული კერამიკული ჭურჭლის საკითხისთვის

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიურ კომპლექსებში, ძირითადად ელიტურ გარემოში, დასტურდება მოჭიქული თიხის ამფორისკები და კოჭობები, რომლებიც აღნიშნულ პერიოდში იშვიათად გვხვდება, რაც იმის მანიშნებელია, რომ ჩვენთან, ახ.წ. I-IV საუკუნეებში ადგილობრივ არ იწარმოება მოჭიქული კერამიკული ჭურჭელი და ამ შემთხვევაში იმპორტთან გვაქვს საქმე.

სანამ უშუალოდ გადავიდოდეთ აღმოსავლეთ საქართველოში დადასტურებული გვიანანტიკური ხანის მოჭიქული თიხის ჭურჭლის განხილვა-დახასიათებაზე, საჭიროდ მივიჩნიეთ მოკლედ შევეხოთ ჭიქურის თვისებებს და მისი მიღების ხერხებს.

ჭიქური კერამიკულ ნაკეთობაზე გამოწვით დამაგრებული მინისებრი მასაა, რომლითაც იფარება თიხის ჭურჭელი და მას სიკრიალეს აძლევს.

ჭიქური წარმოადგენს სილიკატს. მისი შემადგენლობა შეიძლება მრავალგვარი იყოს, თუმცა, მისი ძირითადი შემადგენელი ნაწილია SIO2 მინერალი, რომელიც ბუნებაში სხვადასხვა სახით გვხვდება: კვარცის სილისა თუ კრისტალური სახით, კაჟის სახით, კვარციტების, მთის ბროლის და სხვა სახით. ჭიქურის მისაღებად გამოიყენება აგრეთვე ტყვია, ჟანგის სახით. მას ვხვდებით ასევე სილიციუმის მჟავას მარილებით მდიდარ შენაერთებში (სილიკატებში), როგორიცაა მინდვრის შპატი, პეგმატიტი და სხვა [ჯაფარიძე 1956: 18].

ჭიქური ორგვარ დანიშნულებას ასრულებს: პრაქტიკულსა და დეკორატიულს. ჭიქური ათანაბრებს ჭურჭლის ზედაპირს, ხურავს ფორებს, რაც ერთი მხრივ იცავს თიხის კეცს გაჭუჭყიანებისგან, მჟავისა და ტუტის ზემოქმედებისგან, ხოლო მეორე მხრივ, ჭიქურით დაფარული კრიალა ზედაპირი ადვილად ირეცხება, წყალგაუმტარი და ქიმიურად გამძლეა [ჯაფარიძე 1956: 18].

ჭიქურის გამოყენება კერამიკაში მოითხოვს მეჭურჭლისგან როგორც თიხის, ისე ჭიქურის თვისებების კარგად ცოდნას, დახელოვნებასა და მტკიცედ შემუშავებულ

ჩვევებს. ყველა ჭიქური, რა წესით და მეთოდითაც არ უნდა იყოს მიღებული, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: მკვრივად და მტკიცედ შეუერთდნენ კერამიკული ნაწარმის ზედაპირს; არ უნდა იყოს დენადი და არ უნდა იღვენთებოდეს ჭურჭლის ზედაპირიდან, ამიტომ, უნდა ახასიათებდეს ისეთი დნობადობა, როგორიც შეესატყვისება იმ თიხის კეცს, რომლის მოჭიქვაცაა განზრახული. შეცხობის ტემპერატურის მიხედვით, ჭიქური შეიძლება იყოს ძნელდნობადი და ადვილადდნობადი. იგი არ უნდა გაიბზაროს და ავარდეს კეცის ზედაპირიდან, არ უნდა იხსნებოდეს წყალში და სუსტ მჟავეებში და სხვა [ქარციძე 2010: 5].

ჭიქური მიღების მხრივ სამ ძირითად ჯგუფად იყოფა. თუ ჭიქური წყალში უხსნადი მინერალებისგან შედგება, მაშინ ასეთ მინერალებს პირდაპირ ფქვავენ და წყალში აურევენ ჭურჭელზე გადასავლებლად. არის ჭიქურები, რომელთა შემადგენელი ნაწილები წყალში იხსნებიან, ისინი წყალთან ერთად არ იფქვება, რათა ჭიქურის ნაწილი არ გამოაკლდეს მთლიან მასას. ამ შემთხვევაში ჭიქურის შემადგენელ ნაწილებს მშრალად დაფქვავენ, ერთმანეთში აურევენ და შეადნობენ სპეციალური ღუმელების საშუალებით. შემდეგ კი გავარვარებულ მასას ცივ წყალში ჩაუშვებენ, რის შედეგადაც მასა დასკდება და ამის შემდეგ ადვილია მისი წმინდად დაფქვა. ამგვარი ფხვნილი წყალში აღარ გაიხსნება და მოჭიქვის პროცესშიც არაფერი დაიკარგება. ასეთ ჭიქურს რიგი უპირატესობა აქვს, ჭიქური ჭურჭელს შეიძლება გადაევლოს ან შესაძლებელია ჭურჭელი ამოევლოს ჭიქურში [ქარციძე 2010: 5].

იმისათვის, რომ ჭიქურის მასა გადაევლოს კერამიკული ნაწარმის ზედაპირზე, წინასწარ უნდა იყოს გამორკვეული, როგორც ჭიქურის მასის, ისე საკეცე მასის გაფართოებისა და შეკუმშვის კოეფიციენტი. ამაზეა დამოკიდებული ჭიქურისა და კეცის ერთმანეთთან დაკავშირების საკითხი. თუ ჭიქურს და კეცს ერთნაირი გაფართოების და შეკუმშვის კოეფიციენტი არ აქვთ, ან მათი გაფართოება-შეკუმშვა სხვადასხვა ნახტომით მიმდინარეობს სხვადასხვა ტემპერატურაში ყოფნის დროს, რა თქმა უნდა, ჭიქური და კეცი ერთმანეთს არ შეეცხვება მჭიდროდ და მოხდება ჭიქურის დაბზარვა-დახეთქვა ან აცვენა კეცის მასიდან.

ჭიქური და კეცი ორივე კერამიკული სხეულებია. ისინი წარმოადგენენ სილიკატების შენადნობებისა და შეცხობის პროდუქტებს. ორივე ხასიათდება ერთნაირი ქიმიური თვისებებით, განსხვავება კი იმაშია მხოლოდ, რომ ჭიქური უფრო

მეტ მადნობლებს შეიცავს ვიდრე კეცი. ამიტომ ჭიქურის გადავლების დროს, კეცსა და ჭიქურს შორის, უკანასკნელის გადნობისას, იგი გაადნობს კეცის ზედაპირის ნაწილს და ამგვარად ჭიქურსა და კეცს შორის წარმოიქმნება გარდამავალი ფენა, რომელიც გვევლინება ამ ორი კერამიკული სხეულის მიმწებებლად. იმ შემთხვევაში, თუ ჭიქურის შეკუმშვის კოეფიციენტი უფრო მაღალია, ვიდრე კეცისა, მიუხედავად იმისა, რომ გადნობის დროს ჭიქური კეცზე თანაბრად არის გადავლებული, გაციებისას ეს წინააღმდეგობა უფრო იჩენს თავს, ჭიქური უფრო მეტად შეიკუმშება ვიდრე კეცი და ნაწარმის ზედაპირზე, ჭიქურზე გაჩნდება ბზარები. მეორე მხრივ, კი როდესაც ჭიქურის გაფართოებისა და შეკუმშვის კოეფიციენტი უფრო ნაკლებია ვიდრე კეცისა, მაშინ ჭიქურთან მიმართებით კეცი უფრო შეიკუმშება და გაციებისას მოხდება ჭიქურის აბურცვა და ავარდნა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, იდეალური ჭიქურის მისაღებად, ჭიქურისა და კეცის კოეფიციენტი კარგად უნდა იყოს მონახული, სხვადასხვა ტემპერატურაში ყოფნის დროს უნდა მისდევდნენ ერთმანეთის ცვლილებებს და არ იჩენდნენ რაიმე წინააღმდეგობებს. აღებული კეცისთვის კარგად მონახული მტკიცე ჭიქური, მისი სრული გადნობისას იძლევა კრიალა, სუფთა და ლამაზ ზედაპირს [ქარციძე 2010: 10].

ჭიქურების შეღებვისას იყენებდნენ შემდეგი ლითონების ჟანგეულებს: რკინის ჟანგი-დამჟანგავ ცეცხლში იძლევა ყვითელ ფერს და მის გრადაციებს მუქ ყავისფრამდე. რკინის ქვეჟანგი-მწვანე ფერს. სპილენძის ჟანგი-იძლევა მწვანე ფერს და მის გრადაციებს მოლურჯო ფერამდე [ქარციძე 2010: 11].

საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებული გვიანანტიკური ხანის მოჭიქული თიხის ჭურჭელი იშვიათ მონაპოვართა რიცხვს განეკუთვნება. ისინი ძირითადად ამფორისკებით არიან წარმოდგენილი. საქართველოში სულ ცნობილია ამ პერიოდის 34 მოჭიქული ჭურჭელი [მანჯგალაძე 2008: 72], რაც, რა თქმა უნდა, ძალზე მცირე რაოდენობაა იმისათვის, რომ ახ.წ. I-IV სს-ის ამგვარი კერამიკული ნაწარმი ადგილობრივ წარმოებას დავუკავშიროთ, თუმცა, დღემდე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს მათი წარმომავლობის შესახებ. მეცნიერთა ნაწილი მათ ადგილობრივ ნაწარმად მიიჩნევს, (კალანდაძე, ლომთათიძე, გობეჯიშვილი, აფაქიძე, მანჯგალაძე) ხოლო ზოგი მათ იმპორტულობას ემხრობა (ბოხოჩაძე, ჭილაშვილი).

საქართველოსგან განსხვავებული მდგომარეობაა ამ მხრივ მახლობელი აღმოსავლეთის ტერიტორიაზე. მაგალითად, პართიასა და მესოპოტამიაში ახ.წ. I-III სს-ში მწვანედ მოჭიქული ჭურჭელი ფართოდ არის გავრცელებული მოსახლეობაში და მასზე ხელი საზოგადოების დაბალი ფენის წარმომადგენლებსაც კი იოლად მიუწვდებათ [Toll 1943].

საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი მოჭიქული ჭურჭელი აღმოჩენილია თრიალეთსა და სამთავროს სამაროვანზე (მცხეთაში). თრიალეთში აღმოჩენილი ასეთი ჭურჭელი თარიღდება ურარტუს ეპოქით, ხოლო სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი მოჭიქული თიხის ჭურჭელი კი ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლო- I ათასწლეულის დასაწყისით არის დათარიღებული [Куфтин 1941: 52].

საკმაოდ ხანგრძლივი ქრონოლოგიური წყვეტის შემგომ მოჭიქული ჭურჭელი კვლავ ჩნდება აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. მათ ვხვდებით უკვე გვიანანტიკურ ხანაში. ამ პერიოდის 13 მოჭიქული ჭურჭელია აღმოჩენილი სამარხებში, ხოლო 21 მათგანი გამოვლინდა ნამოსახლარებზე ან შემთხვევითი მონაპოვარია [მანჯგალაძე 2008:72].

თრიალეთში, კერძოდ ბეშთაშენში, XXII ყორღანის ქვაყრილში აღმოჩნდა ბრტყელძირიანი, ამფორისებური, ორყურა, ლურჯი მინისებური ჭიქურით დაფარული ამფორისკი (ნაკლული), რომელშიც აღმოჩნდა ავგუსტეს მიბაძვით მოჭრილი დენარი. მონეტისა და აქ აღმოჩენილი მძივების მიხედვით ბ. კუფტინმა მოჭიქული ჭურჭელი ახ.წ. I ს-ით დაათარიღა (ტაბ. VIII-1) [Куфтин 1941: 25].

არმაზისხევის ერისთავთა IX სამარხში, სადაც 7-8 წლის ბავშვი იყო დაკრძალული, აღმოჩნდა მოჭიქული თიხის ორყურა ჭურჭელი, რომელსაც დაბალი, ცილინდრული ფორმის ვიწრო ყელი აქვს. ახასიათებს მაღალი, მსხლისებრი მოყვანილობის მუცელი და განიერი ძირი. პირს ფართო და მსხვილი ტუჩი შემოუყვება. ყურები მიძერწილია ყელსა და მუცელზე. ყურებს ქვემოდან, მუცელს, ირგვლივ შემოუყვება ორი პარალელური ღარი. ქუსლი 1 სმ. სიმაღლის აქვს. ჭურჭლის ზედაპირი დაფარულია ცისფერი ჭიქურით. მოჭიქვა მდარე ხარისხისაა. ჭიქურს ულამაზო, სხვადასხვა სიმუქის ფერი აქვს. ზოგიერთ ადგილას სქლად ჩამოღვენთილია. ჭურჭლის ტუჩზე შერჩენილია სამი, სიმეტრიულად განლაგებული, ძირშივე გადატეხილი მოუჭიქავი ნაშვერი, რომლებიც, გამოსაწვავ ქურაში

ხმარებული სამფეხის ნაშთები უნდა იყოს. ჭურჭლის სიმაღლე 18 სმ-ია, მუცლის უდიდესი დიამეტრი-10,5 სმ, ქუსლის- 7,5 სმ, პირის 3,5 სმ. მოჭიქული ამფორისკი სამარხში აღმოჩენილი ფაუსტინას ოქროს მონეტის საფუძველზე ახ.წ. II ს-ის შუა ხანებით თარიღდება (ტაბ. VIII-2) [აფაქიძე, გობეჯიშვილი...1955: 101-102].

ეს არის ერთადერთი თიხის ჭურჭელი, რომელიც არმაზისხევის ერისთავთა სამარხებში დადასტურდა (სხვა შემთხვევაში მხოლოდ ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს თუ სხვა ძვირფასი ლითონის და ქვებისგან დამზადებული ჭურჭელი და სამკაული გვხვდება) [აფაქიძე, გობეჯიშვილი...1955]. სავარაუდოდ, მსგავსი მოჭიქული ჭურჭელი სანელსაცხებლისთვის მზადდებოდა და მათ როგორც ყოველდღიურ ყოფაში, ასევე საკრძალავ რიტუალშიც ჰქონდათ გამოყენება.

არმაზისხევში აღმოჩენილი ამფორისკი მეტყველებს მოჭიქული ჭურჭლის იშვიათობასა და სიძვირეზე გვიანანტიკური ხანის საქართველოში. ის ამ პერიოდში, როგორც ჩანს, ძვირფასი სამკაულის სწორიც იყო, რაც მიანიშნებს ამ პერიოდის საქართველოში მოჭიქული ჭურჭლის წარმოების არარსებობაზე და მის იმპორტულობას უსვამს ხაზს. მხოლოდ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ პიტიახშთა სამაროვანზე ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს და სხვა ძვირფასი ნაკეთობების გვერდით მოჭიქული თიხის ამფორისკიც გვხვდება.

მოჭიქული კერამიკული ჭურჭელი დასტურდება სამთავროს სამაროვნის III-IV სს. დათარიღებულ სამარხებში: აქედან ერთი კოჭობია- სქელკედლიანი და მწვანედ მოჭიქული, აქვს სწორი პირი, გამობერილი მუცელი, ორი ცრუ ყური და ქუსლი. თიხა წვრილმარცვლოვანია, ღია ნაცრისფრად გამომწვარი. 6 სმ. სიმაღლის (ტაბ. VIII-3). არსანიშნავია, რომ ეს კოჭობიც (ისევე როგორც არმაზისხევის მოჭიქული თიხის ჭურჭელი) ბავშვის სამარხში აღმოჩნდა [აფაქიძე...1981].

ამავე სამაროვანზე დადასტურდა მწვანედ მოჭიქული ამფორისკები: მათთვის დამახასიათებელია გადაშლილი პირი, შედარებით დაბალი, ვიწრო ყელი, მსხლისებური მუცელი, ოდნავ შეზნექილი ქუსლი და ორი ყური, რომლებიც მიძერწილია ყელზე და მხარზე. ჭიქური ალაგ-ალაგ არათანაბარია. ერთ-ერთი ამფორისკი სქელკედლიანია და ბაკოც სქელი აქვს. თიხა კარგად განლექილია და ნაცრისფრადაა გამომწვარი (ტაბ. IX-1). მათი სიმაღლე 14 სმ-დან 17 სმ-მდე მერყეობს (ერთ-ერთი ამფორისკი ფრაგმენტულადაა შემორჩენილი) [აფაქიძე...1981:156].

ამფორისკები სხვადასხვა სამარხშია ნაპოვნი და ორ შემთხვევაში ისინი საოჯახო სამარხის ინვენტარს შეადგენდნენ, სადაც დამარხვის ანალოგიური სიტუაცია დადასტურდა: სამარხებში სამ-სამი მიცვალებული იყო დაკრძალული:- მამაკაცი, ქალი და 13-18 წლის მოზარდი. ხოლო მესამე შემთხვევაში მოჭიქული ამფორისკი წარმოადგენდა სოციალურად დაწინაურებული ფენის წარმომადგენლის სამარხის ინვენტარს (აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული საოჯახო სამარხებიც მოჭიქული ამფორისკების გარდა მრავალფეროვან ინვენტარს შეიცავდნენ) [მანჯგალაძე 1985: 63,65,96].

ორი მომწვანო-მოცისფროდ მოჭიქული ამფორისკი აღმოჩნდა ყოღოთოს (ნაქალაქარ ხორნაბუჯის მახლობლად, ყოღოთოსხევის პირას) ახ.წ. III ს-ის ბოლო- IV ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებულ სამარხში [სინაურიძე 1967: 144]. მათ მოთეთრო კეცი აქვთ, ახასიათებთ სწორი პირი, ბაკო-გამსხვილებულია. ვიწრო, ცილინდრული ყელი პირიკენ ოდნავ ფართოვდება. აქვთ მსხლისებრი მოყვანილობის ტანი და ქუსლიანი ძირი. ყურები ყელზე და მხარზეა მიძერწილი (ტაბ. IX-2).

ყოღოთოს სამარხში აღმოჩენილი ამფორისკები თითქმის იდენტურია სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ამფორისკებისა. არაა გამორიცხული, რომ ისინი ერთსა და იმავე დროს, მახლობელი აღმოსავლეთის ერთი კონკრეტული რეგიონიდან ან ქალაქიდან იქნა შემოტანილი (ყოღოთოს და სამთავროს ეს ჭურჭელი თანადროულია და III-IV ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება). შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ყოღოთოშიც, ისევე როგორც სამთავროზე, ამფორისკები საოჯახო სამარხის ინვენტარს შეადგენდნენ, სადაც ასევე, სამი მიცვალებული იყო დაკრძალული [კობერიძე 2015].

სამთავროზე და ყოღოთოში აღმოჩენილ მოჭიქულ ამფორისკებს მორფოლოგიურად უახლოვდება არაგვისპირის სამაროვნის (დუშეთის რაიონის სოფ. არაგვისპირში) ასეთივე ფორმის მოჭიქული ჭურჭელი. ის მოთეთრო, კაოლინური თიხისგან არის დამზადებული. აქვს მრგვალი, შებრტყელებული პირ-ბაკო, მომაღლო ყელი, რომელზეც ორივე მხრიდან სიმეტრიულად დაძერწილი აქვს მცირე ცრუ ყურები. ჭურჭლის კორპუსი არაპროპორციულია, თითქმის მსხლისებური მოყვანილობის მუცლით. მოგრძო მუცელი უერთდება კარგად გამოყოფილ ძირ-ქუსლს. ამფორისკის ზედაპირი დაფარულია მწვანე ჭიქურით (ტაბ. IX-3). იგი

თანადროულია ზემოთ აღწერილი ამფორისკებისა და ახ.წ. III ს. -IV ს-ის დასაწყისით თარიღდება [რობაქიძე 1982: 91].

ახალი ჟინვალის ნამოსახლარის I უბნის №5 ორმოში აღმოჩნდა მცირე ზომის, უყურო, მოჭიქული ჭურჭელი (ერთადერთი მოჭიქული ჭურჭელია ამ ნამოსახლარზე), მოთეთრო-მოყვითალო თიხით ნაკეთები. გარედან მოცისფროდ მოჭიქული. ჭურჭელს აქვს ვიწრო ყელი, გადაშლილი, ბაკოშემსხვილებული პირი და მსხლისებური მუცელი. ოდნავ გამოყოფილი ბრტყელი ძირი. კეცი ძალზე მასიურია, იმ ზომამდე, რომ ჭურჭლის შიდა სივრცე წარმოადგენს რამდენიმე გრამი სითხის ტევადობის სინჯარისებრ სიცარიელეს, რომელიც ოდნავ ჩაცდება ყელის დონეს. მისი სიმაღლე 7.5 სმ-ია. ჭურჭელი ახ.წ. III ს-ით თარიღდება (ტაბ. X-1). ძალზე მცირე მოცულობის გამო, იგი შესაძლებელია რაღაც ძვირფასი წამლის ან სხვა თხევადი ნივთიერების შესანახად იყო განკუთვნილი [რამიშვილი 1983: 110].

ანალოგიური ფორმის, უყურო, მოცისფროდ მოჭიქული ჭურჭელი აღმოჩენილია ურბნისშიც, №11 სამარხში. მას აქვს ღია ფერის კეცი, ძირი გამოყოფილია ტანისგან. გამოყვანილი ყელი ტანისკენ ფართოვდება. ტანს მსხლისებური მოყვანილობა აქვს. ჭურჭლის სიმაღლე 7 სმ-ია (ტაბ. X-2). იდო მიცვალებულის მკერდზე. სამარხი ახ.წ. IV ს. თარიღდება [ჭილაშვილი 1964: 64].

საყურადღებოა, რომ გვიანანტიკური ხანის მოჭიქულ ჭურჭელს იშვიათი გამონაკლისის გარდა არ აქვთ დამატებითი ორნამენტი. ეს შესაძლებელია იმას ნიშნავდეს, რომ გვიანანტიკურ ხანაში მოჭიქვა თავისთავად ასრულებდა დეკორაციის ფუნქციას.

უმრავლესობა მათგანი მწვანედაა მოჭიქული. დანარჩენი ეგზემპლიარები კი მოჭიქულია მომწვანო-მოცისფროდ, მოცისფროდ, ლურჯად, ვერცხლისფრად.

რომაული ხანის მოჭიქულ, ორყურა ამფორისკებზე დაკვირვების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი ინარჩუნებენ ფორმების მდგრადობას და მათში მნიშვნელოვანი მორფოლოგიური ცვლილებები არ შეინიშნება. აღნიშნული ჭურჭლის ფორმის ერთგვაროვნება საუკუნეთა განმავლობაში მეტყველებს იმაზე, რომ ისინი ერთი და იმავე მიზნით გამოიყენებოდნენ და დროთა განმავლობაში მათი ფუნქცია არ შეცვლილა. სავარაუდოდ, ამფორისკები გამოიყენებოდა ძვირფასი სითხის-სუნამოს

შესანახად. გარდა ამისა, აღნიშნული ჭურჭელი, სავარაუდოდ, უნდა გამოეყენებინათ სამედიცინო სითხის შესანახადაც.

ამგვარი ჭურჭლის ძირითადი ნაწილი საქართველოში ახ.წ. III ს. - IV ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებულ კომპლექსებში გვხვდება [მანჯგალაძე 2008].

როგორც ჩანს, გვიანანტიკური ხანის საქართველოში არ არსებობდა მოჭიქული ჭურჭლის წარმოების ტრადიცია. უშუალოდ ქართლის (იბერიის) სამეფოს დედაქალაქ მცხეთაში, რომელიც ამავე დროს, კერამიკული წარმოების ცენტრი უნდა ყოფილიყო, საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე მიმდინარეობდა I-IV სს-ით დათარიღებული როგორც სამაროვნების, ასევე ნამოსახლარების არქეოლოგიური კვლევა (და ეს ეხება არამარტო მცხეთას, არამედ მთელს აღმოსავლეთ საქართველოს), მიუხედავად ამისა, მოჭიქული კერამიკული ჭურჭლის სიმცირე თვალში საცემია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაახლოებით ოთხასი წლის მონაკვეთზე მხოლოდ და მხოლოდ 34 მოჭიქული ჭურჭელი ჩანს გამოყენებული მთელს აღმოსავლეთ საქართველოში. ასეთი მონაცემები კი თავისთავად გამორიცხავს ამგვარი ჭურჭლის ადგილობრივად წარმოების შესაძლებლობას და მათ იმპორტულობას უსვამს ხაზს. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამგვარი ჭურჭელი, ძირითადად, ელიტურ გარემოშია დადასტურებული.

ძალიან მნიშვნელოვანია მცხეთაში, დ. აღმაშენებლის ქუჩაზე გათხრილ ადრეშუასაუკუნეების ნამოსახლარზე გამოვლენილი მოჭიქული თიხის ჭურჭელი: ეს ამფორისებური თიხის ჭურჭელი დამზადებულია მოთეთრო-მოყავისფრო თიხისგან. ცილინდრულტანიანი, პირი ოდნავ გადაშლილი აქვს. ბაკო დაბრტყელებული. ყელი-ცილინდრული, მხრები-დაშვებული. ლენტისებრი ორი ყური ყელზე და მხარზე აქვს დაძერწილი. მხარზე ორი ამოღარული სარტყელი შემოუყვება. ტანი დაფარულია მოცისფრო-მომწვანო ფერის ჭიქურით, რომელიც ყავისფერში გადადის. შემორჩენილი სიმაღლე 24,5 სმ-ია [აფაქიძე, ნიკოლაიშვილი... 2004: 72].

როგორც მ. მიწიშვილი აღნიშნავდა „ახ.წ. IV ს-დან VIII ს- მდე მოჭიქული ჭურჭლის არსებობა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ-ჯერობით არ არის დადასტურებული. შესაძლებელია შემდგომმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ეს ხარვეზი შეავსოს“ [მიწიშვილი 1969: 7].

როგორც ვნახეთ, არქეოლოგიურმა კვლევებმა აღნიშნული ხარვეზი ნაწილობრივ შეავსო-უკვე დასტურდება მოჭიქული ჭურჭელი ადრეშუა საუკუნეების ფენებშიც. როგორც ჩანს, მოჭიქული ჭურჭლის იმპორტი მახლობელი აღმოსავლეთიდან გრძელდება გვიანანტიკური ხანის შემდგომ პერიოდშიც, თუმცა, როგორც ამას აღმოჩენები ცხადყოფს, ისეთივე მცირე რაოდენობით, როგორც ეს გვიანანტიკურ ხანაში იყო.

მიწიშვილის ამ ცნობაზე დაყრდნობით და უმთავრესად არქეოლოგიურ მასალაზე დაკვირვების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადგილობრივი მოჭიქული კერამიკის წარმოება, სავარაუდოდ, იწყება მხოლოდ VIII ს-ის შემდგომ. ხოლო მანამდე, გვიანანტიკურ და ადრეშუასაუკუნეების პერიოდში, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება მხოლოდ იმპორტული მოჭიქული ჭურჭელი.

ჩვენი დაკვირვების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი გვიანატიკური ხანის მოჭიქული ამფორისკები წარმოადგენენ იმპორტს პართიიდან და მესოპოტამიიდან.

ამგვარი მოჭიქული ამფორისკები გავრცელებულია ირანის ტერიტორიაზე, როგორც პართული პერიოდის კერამიკულ ნაწარმში, ასევე ადრესასანურ პერიოდშიც. სელევკიაში და დურა-ევროპოსში აღმოჩენილია გვიანპართული პერიოდის, თითქმის ანალოგიური, მომწვანოდ მოჭიქული თიხის ამფორისკები, რომლებსაც ასევე მსხლისებური მუცელი, დაბალი ცილინდრული ყელი, მსხვილი პირი და დაბალი, შეზნექილი ქუსლი აქვთ. ყურები მიძერწილი აქვთ ყელზე და მხარზე (ტაბ. X-3) [The land between two rivers 1986: 121].

მეცნიერთა ნაწილი, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ მოჭიქული ჭურჭლის ადგილობრივი წარმოების დასამტკიცებლად აღნიშნავს, რომ „საქართველოს ფარგლებს გარეთ აღმოჩენილ, რომაული ხანის მოჭიქულ კერამიკასთან შედარებამ (ჩრდილო შავიზღვისპირეთი, პერგამი, როდოსი, ტიგროსის სელევკია, ურუქი, სომხეთი, დურა-ევროპოსი) ცხადყო მათ შორის არსებითი განსხვავება: ფორმა, თიხისა და ჭიქურის ფერი, დამზადების ხარისხი. ახლო მსგავსება და არა იდენტურობა დადასტურდა მხოლოდ დურა-ევროპოსის (სირია) რომაული ხანის სამაროვნის მცირე ზომის მოჭიქულ კერამიკასთან. (ფორმა, ჭიქურის და თიხის

ფერი) მაგრამ სირიული ნაწარმი ჩვენგან განსხვავებით მაღალი ხარისხისაა“ [მანჯგალაძე 2008: 72].

პართულ და ადრესასანურ ეპოქაში, როგორც დურა-ევროპოსში, ასევე სელევკიაში, დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებული მწვანედ მოჭიქული ამფორისკების იდენტური, ძირითადად ახ.წ. I-III სს-ით დათარიღებული მოჭიქული კერამიკული ჭურჭელი. ისინი არ გამოირჩევიან მოჭიქვის მაღალი ხარისხით და არც კეცის დამუშავებით [Toll 1943: 2-4]. სირიულ და სელევკიურ მწვანედ მოჭიქული ამფორისკების გარკვეულ ჯგუფს არ აქვს მოჭიქული ძირი და პირი (ტაბ. X-4) (როგორც ეს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებულ მოჭიქული ამფორისკების შემთხვევაში გვხვდება) და ხშირ შემთხვევაში ისეთივე დაბალი ხარისხის ნაწარმს წარმოადგენს, როგორც ეს საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება.

მესოპოტამიაში, სელევკიასა და დურა-ევროპოსში, მწვანედ მოჭიქული ჭურჭლის დიდი ნაწილი აღმოჩენილია მოუჭიქავი კერამიკის გვერდით, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ამ პერიოდში, მესოპოტამიური მოჭიქული ჭურჭელი ადგილობრივთათვის არ იყო ფუფუნების საგანი, არამედ, წარმოადგენდა ყოველდღიური ყოფისთვის განკუთვნილ ნაწარმს. ამის დასტურია როგორც მოჭიქვის მდარე ხარისხი, ასევე, მოჭიქული ჭურჭლის ფორმის დაუდევრად კეთებაც [The land between two rivers 1986: 104-105]. ეს შეეხება როგორც მესოპოტამიას, ასევე, ირანის ტერიტორიაზე გავრცელებულ მწვანედ მოჭიქულ ჭურჭელს. სწორედ ამგვარი (მდარე ხარისხის) მესოპოტამიური და ირანული მოჭიქული კერამიკული ჭურჭელი შემოდიოდა იმპორტის სახით აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე.

ძვ.წ. I ს-დან მწვანედ მოჭიქული ჭურჭელი ფართოდ იწყებს გავრცელებას მთელს მესოპოტამიაში. მათი გავრცელება მახლობელ აღმოსავლეთში (და მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე) ემთხვევა პართიის იმპერიის საზღვრების ზრდას. თუმცა ზოგადად, პართული პერიოდის კერამიკული ჭურჭლის ფორმების ჩამოყალიბება, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ელინისტურ ხანაში დაიწყო.

უკვე ახ.წ. I-II სს-ში პართიასა და მესოპოტამიაში ამგვარი ჭურჭლის წარმოება საგრძნობლად იზრდება, ჩნდება ახალი ფორმები და მათ შორის ორყურა ამფორისკები [Toll 1943: 73].

მათი წარმოება გრძელდება ადრესასანურ ეპოქაშიც მნიშვნელოვანი მორფოლოგიური ცვლილებების გარეშე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მოჭიქული ორყურა ამფორისკები პართულ პერიოდში ადრესასანურ პერიოდთან შედარებით მაღალი ხარისხით არის ნაკეთები.

სირიული მწვანედ მოჭიქული კერამიკული ნაწარმი, ისევე როგორც ზოგადად, მახლობელ აღმოსავლეთში გავრცელებული ამგვარი ჭურჭელი, მათი დამზადების ხარისხის შესაბამისად იყოფა ორ ჯგუფად: პირველი ჯგუფი ამგვარი კერამიკისა მაღალი ხარისხით გამოირჩევა და ეს ჯგუფი მხოლოდ საზოგადოების მაღალი ფენისთვის იყო განკუთვნილი. ამ ჯგუფს ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში „Lead glaze pottery"-ით მოიხსენიებენ (ტაბ. XI-1). ამგვარი პროდუქციის წარმოების ცენტრები იყო ცენტრალურ გალიაში, იტალიაში, სერბეთში, რუმინეთში, ანატოლიაში [Walton, Tite 2009: 733], თუმცა, მოჭიქული ჭურჭლის ეს ჯგუფი საქართველოს ტერიტორიაზე არ დასტურდება.

მესოპოტამიაში და კონკრეტულად ქალაქ დურა-ევროპოსში გვხვდება ადგილობრივ დამზადებული, მწვანედ მოჭიქული ჭურჭლის მეორე ჯგუფი, რომელიც პირველ ჯგუფთან შედარებით უხეშკეციანია და მოჭიქვის დაბალი ხარისხითაც გამოირჩევა. ჭურჭელი მოჭიქვამდეა გამომწვარი. გამოწვა ხდებოდა კერამიკის გამოსაწვავ ღუმელში, დაახლოებით $1000^0$ C-ზე (რაც საჭიროა ჭიქურის გამოსაწვავად). ზოგ შემთხვევაში ისინი დაუდევრად არის ნაკეთები. აღნიშნულ ჯგუფში გვხვდება უხეში, მინარევებიანი კეცის მქონე მოჭიქული კერამიკული ნაწარმი, თუმცა, ამავე ჯგუფში დასტურდება ღია მოყვითალო და კრემისფერი კეცის მქონე, კარგად განლექილი და დამუშავებული, მწვანედ მოჭიქული ჭურჭელიც [Toll 1943].

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ დურა-ევროპოსის ამგვარი კერამიკული ნაწარმი დაუდევრად არის ნაკეთები, მოჭიქვა ხანდახან არათანაბარია: ხშირ შემთხვევაში, როცა ჭურჭელს ზედმეტი ჭიქური ჰქონდა წასმული, გამოწვის დროს იღვენთებოდა და შედეგად არათანაბარი მოჭიქვის ჭურჭელს იღებდნენ. ასევე, ზოგ შემთხვევაში, ჭურჭლის ქუსლი და პირი მოუჭიქავი რჩებოდა. ყველა ამ ნიშნით, მესოპოტამიური მოჭიქული ჭურჭელი ძალზე უახლოვდება აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ გვიანანტიკური ხანის ამგვარ ჭურჭელს, რაც

ნათლად ადასტურებს, რომ ამგვარი კერამიკული ნაწარმი მესოპოტამიურ იმპორტს წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე.

ამის კარგი მაგალითია არმაზისხევის პიტიახშთა სამაროვანზე დადასტურებული მოჭიქული ამფორისკი (ტაბ. VIII-2). იდენტური მორფოლოგიური ნიშნების გარდა კიდევ ორი დეტალი მიგვანიშნებს მის იმპორტულობაზე: I- ეს არის მისი ორნამენტი- ყურებს ქვემოდან, მხარზე შემოვლებული ორი პარალელური ღარი. ამგავრი ორნამენტი (მხარზე შემოვლებული პარალელური ღარები) ძალზედ დამახასიათებელია დურა-ევროპოსში აღმოჩენილი მწვანედ მოჭიქული ამფორისკებისთვის (ტაბ. XI-2). II- ჭურჭლის ტუჩზე შერჩენილი სამი, სიმეტრიულად განლაგებული, ძირშივე გადატეხილი მოუჭიქავი ნაშვერი (რომელიც გამოსაწვავ ქურაში ხმარებული სამფეხის ნაშთები უნდა იყოს). ეს დეტალიც ძალზე დამახასიათებელია პართული პერიოდის მესოპოტამიური მოჭიქული ნაწარმისთვის. მათ შორის ასეთი ნიშნების მქონე მოჭიქული ამფორისკები დასტურდება დურა-ევროპოსში, სელევკიაში და სხვა [Toll 1943:2].

მესოპოტამიაში, კერამიკული ჭურჭელი გამოსაწვავ ღუმელში თავსდებოდა ორნაირად: ისინი იდგმებოდა ან გამართულად (ძირზე მდგარი), ან გადმობრუნებულ მდგომარეობაში- პირით ქვემოთ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მათ დასადებად იყენებდნენ სპეციალურ სადგარს, რომელსაც სამი შვერილი ჰქონდა და ჭურჭელი პირით ზუსტად ამ შვერილებზე თავსდებოდა. სადგარი უზრუნველყოფდა, რომ ჭურჭლის პირი არ შეხებოდა ღუმელის იატაკს, თუმცა, სადგარის კვალი (სამი ღარი, ან სამი მცირე შვერილი) ჭურჭლის პირზე გამოწვის შემდგომ რჩებოდა [Toll 1943:2-3].

კერამიკული ნაწარმის გამოწვის ამგვარი მეთოდი ცნობილი იყო როგორც მესოპოტამიაში, ასევე პართიაში და შესაბამისად, ამგვარი ნიშნების მქონე კერამიკული ჭურჭელი მრავლად გვხვდება აღნიშნულ ტერიტორიებზე პართულ პერიოდში.

საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებულ, ადგილობრივ კერამიკულ ნაწარმზე დაკვირვების შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზემოთ აღწერილი მეთოდი კერამიკული ჭურჭლის გამოწვისა (როდესაც კერამიკული ჭურჭელი გამოიწვება პირით ქვემოთ, სადგარის დახმარებით) სრულიად უცნობი იყო ადგილობრივი მეთუნე ხელოსნებისთვის, რადგან ასეთი ნიშნების მქონე (სადგარის ანაბეჭდები

პირზე) ადგილობრივ დამზადებული კერამიკული ნაწარმი ამ პერიოდში საერთოდ არ გვაქვს.

ამ ვარაუდს ამყარებს ის ფაქტიც, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არ დადასტურებულა კერამიკული ნაწარმის გამოსაწვავად საჭირო გვიანანტიკური ხანის სამშვერილიანი სადგარი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ადგილობრივ გამოეწვათ კონკრეტულად პიტიახშების სამაროვანზე დადასტურებული ამფორისკი, რომელიც აშკარად ამგვარი სადგარის დახმარებით არის გამომწვარი.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ მახლობელი აღმოსავლეთის ტერიტორიაზე გავრცელებული მწვანედ მოჭიქული ჭურჭელი პართულ და ადრესასანურ პერიოდში ბევრ ახლო პარალელს პოულობს ერთმანეთში, რაც, რა თქმა უნდა, სავაჭრო-კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობებით იყო განპირობებული. ამ პროცესში, რა თქმა უნდა, ჩართული იყო საქართველოც, რაც, მატერიალურ კულტურაშიც აისახა.

პართული პერიოდის მწვანედ მოჭიქული ჭურჭელი დასტურდება მესოპოტამიის მრავალ ქალაქში: ქიშში, ბაბილონში, ასევე ნიფურში. სუზაში აღმოჩენილი მწვანედ მოჭიქული ამფორისკები ახლო მსგავსებას ავლენს დურა-ევროპოსის ამფორისკებთან [Toll 1943:74]. ამავე პერიოდის მოჭიქული ჭურჭელი აღმოჩენილია აშურში, თელ-ბულაში, ნინევიაში, მცირე აზიაში.

პართული პერიოდის მოჭიქული ამფორისკები სამხრეთ მესოპოტამიასთან შედარებით, დიდი რაოდენობით დასტურდება ჩრდილო მესოპოტამიაში, რაც მიუთითებს, რომ მათი წარმოება, ძირითადად, ჩრდილოეთ მესოპოტამიაზე მოდის [Toll 1943:78].

გვიანელინისტური და გვიანანტიკური ხანის მწვანედ მოჭიქული კერამიკული ჭურჭელი გავრცელებულია ასევე სომხეთის ტერიტორიაზეც. ისინი აღმოჩენილია ძვ.წ. I- ახ.წ. II სს. დათარიღებულ არქეოლოგიურ კომპლექსებში. მიაჩნიათ, რომ გვიანანტიკურ ხანაში სომხეთი იყო ამგვარი კერამიკული ჭურჭლის წარმოების ერთ-ერთი ცენტრი [Хачатрян 1977:194].

სომხეთში აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკული ჭურჭლის ნაწილი წარმოადგენს იმპორტს მესოპოტამიიდან და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ცენტრებიდან, თუმცა უმეტესი მათგანი ადგილობრივ ნაწარმად არის მიჩნეული,

ვინაიდან ისინი იმეორებენ ადგილობრივი წარმოების, მოუჭიქავი კერამიკის ფორმებს და ორნამენტაციას. მიაჩნიათ, რომ სომხეთში ამგვარი კერამიკული პროდუქციის წარმოების მთავარი ცენტრი ქალაქი არტაშატი იყო [Хачатрян 1977].

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებული გვიანანტიკური ხანის მოჭიქული ჭურჭელი წარმოადგენს იმპორტს პართიიდან და მესოპოტამიიდან, რის გამოც იგი აქ ძვირად ფასობს მახლობელი აღმოსავლეთისგან განსხვავებით და შესაბამისად არ არის ყველასთვის ხელმისაწვდომი. ამგვარი თიხის ნაწარმი მისი სიძვირიდან გამომდინარე, ქართლის (იბერიის) სამეფოს ტერიტორიაზე, მხოლოდ საზოგადოების სოციალურად დაწინაურებული ფენისთვის იყო ხელმისაწვდომი (ყოველ შემთხვევაში ამგვარი ვითარებაა ახ.წ. I-IV ს-ის პირველ ნახევარში), რაც, თავისთავად ხსნის მოჭიქული ჭურჭლის იშვიათად აღმოჩენის ფაქტს გვიანანტიკური ხანის საქართველოში.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ამგვარი ჭურჭელი თითქმის იდენტურია დურა-ევროპოსში (სირია) და სელევკიაში (მდებარეობს მდ. ტიგროსზე, დღევანდელ ერაყში) აღმოჩენილ გვიანპართული პერიოდის, შედარებით დაბალი ხარისხის მოჭიქული ჭურჭლისა და შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ სწორედ ამ რეგიონებიდან ხდებოდა მათი იმპორტი საქართველოს ტერიტორიაზე სავაჭრო-კულტურული ურთიერთობების შედეგად, რაც თავის მხრივ ცხადყოფს, რომ ამ პერიოდში ქართლის (იბერიის) სამეფო მნიშვნელოვნად იყო ჩართული სავაჭრო-კულტურულ და ეკონომიკურ პროცესებში მახლობელ აღმოსავლეთთან.

## § 3. ასკოსის ფორმის ჭურჭელი

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, გვიანელინისტურ და გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიურ კომპლექსებში დასტურდება ასკოსის ფორმის ჭურჭელი, რომლებიც, როგორც ჩანს, აქ ძვ.წ. I ს-ში იწყებს გავრცელებას და არსებობს ახ.წ. IV ს-ის ჩათვლით [კობერიძე 2015].

სამთავროს სამაროვანის გვიანელინისტური ხანის ქვევრსამარხებში აღმოჩნდა ორი ასკოსისებური ჭურჭელი. ერთ-ერთი ასეთი ჭურჭლის კორპუსი თითქოს დამჯდარი იხვის ტანს გავს. მას ნისკარტიანი პირი აქვს. გრეხილი ყური კორპუსზე ზემოდან, ჰორიზონტალურად აქვს დაძერწილი. მუცელი მომრგვალებულია. ზედაპირი შეღებილია წითელი წერნაქით. პირის ბოლოს დაძერწილი ორი კოპი ფრინველის თვალებს გამოხატავს. სადატანიანია. არ აქვს გამოყოფილი ყელი. აქვს დაბალი ქუსლი (ტაბ. XII-1) [თოლორდავა 1963: 43].

მეორე ასკოსისებური ჭურჭელიც წითლადაა შეღებილი. ტანს წაგრძელებული ფორმა აქვს. ყური კორპუსზე ზემოდან, ჰორიზონტალურადაა დაძერწილი. აქვს სადა ტანი. მას არ აქვს ყელი და პირი პირდაპირ კორპუსზეა გაკეთებული (ტაბ. XII-2). ასკოსი, სამარხში აღმოჩენილი ოროდ I-ის ორი დრაქმით (ძვ.წ. 53-38 წწ.), კარგად თარიღდება ძვ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრით [თოლორდავა 1980: 56].

ახ.წ. I ს-ის ასკოსისებური ფორმის ჭურჭელი აღმოჩნდა „სვეტიცხოველი I“-ის უბანზე (მცხეთაში, სვეტიცხოველთან ახლოს). იგი მოვარდისფროდ არის გამომწვარი და წითელი წერნაქითაა შეღებილი. დაბალი, ღარნისკარტა პირი წაგრძელებული აქვს. ყური შეწყვილებულია და ჭურჭელზე ზემოდან არის დადგმული. ტანი მომრგვალებულია (უფრო ჩაიდნისებური მოყვანილობა აქვს). არც ამ ჭურჭელს აქვს ყელი. ქუსლდაბალია. სიმაღლე 12.3 სმ. ძირის დმ- 7 სმ (ტაბ. XII-3). ასკოსი იდო მიცვალებულის გულმკერდის არეში [აფაქიძე.... 1978: 140].

ახ. წ. I ს-ით დათარიღებული ასკოსისებური ჭურჭელი აღმოჩნდა ასევე ზემო ავჭალის სამაროვანზე, რომელსაც მთლიანად აკლია პირ-ყელის ნაწილი და ყური. შემორჩენილია მხოლოდ ტანი და მასზე დაძერწილი ყურის ბოლო (აღსანიშნავია, რომ

შემსწავლელი ამ ასკოსს, შეცდომით, ნავისებური ფორმის დახურულ ჭურჭლად მოიხსენიებდა) [მაკალათია 1928:177] (ტაბ. XII-4).

ამგვარი ჭურჭელი დასტურდება ჟინვალის სამაროვანზეც: ერთ-ერთი მათგანი აღმოჩნდა ახ.წ. I ს-ით დათარიღებულ სამარხში- ჩალისფრად არის გამომწვარი, ახასიათებს სამტუჩა პირი, მაღალი ყელი, ტანი იხვის მოყვანილობისაა. პირის მოპირდაპირე მხარეს, ასკოსის ტანის ბოლოში დაძერწილია შვერილი, რომელიც კუდის იმიტაციას ქმნის. ძირი ბრტყელი აქვს. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილია უშუალოდ პირსა და კუდის შვერილზე. ყურის პირთან მიერთების ადგილზე დაძერწილია მცირე ზომის შვერილი. ყურზე, ერთი, ღრმად ამოღარული ხაზი ჩასდევს, კუდთან კი-ოთხი. ასკოსი წერნაქით იყო დაფარული. ჭურჭლის სიმაღლე 11 სმ-ია, სიგრძე-19 სმ (ტაბ. XII-5). ასკოსი წარმოადგენდა 10-12 წლის მოზარდის სამარხის ინვენტარს [ჩიხლაძე 2015:8].

ამავე სამაროვანზე, ახ.წ. II ს-ით დათარიღებულ სამარხში დასტურდება ასკოსი, რომელიც პროფილში ფრინველის გამოსახულებას გავს. აქვს სამტუჩა პირი, შემაღლებული ყელი, ასკოსის ტანის ბოლოს, კუდთან, დაძერწილია ზოომორფული გამოსახულება. ყური მიძერწილია პირზე და კორპუსის ბოლოზე. ყურის თავზე, პირთან მიერთების ადგილას დაძერწილია სამმაგი შვერილი. ჭურჭლის ძირი მომრგვალებულია. ასკოსის ტანი დაფარულია რელიეფური კოპებით. სიმაღლე-18,3 სმ; სიგრძე-19,2 სმ (ტაბ. XII-6). სამარხი, სადაც აღნიშნული ასკოსი დადასტურდა წარმოადგენდა კოლექტიურ სამარხს, სადაც ორი მამაკაცი იყო დაკრძალული, მათი წლოვანება 40-50 წელია [ჩიხლაძე 2015:29].

ორი ამგვარი ჭურჭელი აღმოჩენილია სამთავროს სამაროვნის ახ.წ. II ს-ით დათარიღებულ სამარხებში. ერთ-ერთ მათგანს მომრგვალებული, სფერული მუცელი და სამტუჩა პირი აქვს. პირი კორპუსისგან გამოყოფილია დაბალი ყელით. სითხის სასხმელი პირი მდებარეობს ჭურჭლის კორპუსის კიდეზე. პირის მოპირდაპირე მხარეს, ასკოსის კორპუსის ბოლოს გვხვდება შვერილი, რომელიც, სავარაუდოდ, ფრინველის კუდის სტილიზებული გამოსახულებაა. მის ტანს შუა ნაწილზე ირიბი ნაჭდევებისგან შედგენილი ირგვლივი სარტყელი შემოუყვება. ასეთივე სარტყელი ამკობს ასკოსის კურპუსის ზედა ნაწილს, რომელიც ჭურჭლის ყურს ქვემოთ გაივლის და კორპუსის შუა ნაწილზე შემოვლებულ ირგვლივ სარტყელს

პერპენდიკულარულად უერთდება. აღნიშნულ ორნამენტზე, ზემოდან, ერთმანეთისგან თანაბარი მანძილით დაშორებული სამი მცირე ზომის კოპია დაძერწილი. პირის კიდესა და კორპუსის ბოლოზე დაძერწილია რკალისებური ყური, რომელიც პირის კიდეს ზემოთ ცდება. სახელურის სამტუჩა პირთან მიერთების ადგილზე გვხვდება მორჩისებური შვერილი. მის გარდა, ყურზე, დაძერწილია ასევე ორი მცირე ზომის კოპი. გამომწვარია მოჩალისფროდ. მისი სიმაღლეა-11,7 სმ, კორპუსის სიგრძე-10,8 სმ, ძირის დიამეტრი- 7,4 სმ-ია (ტაბ. XIII-1) [Иващенко 1980: 79].

მეორე ასკოსისებურ ჭურჭელს, ასევე, სამტუჩა პირი და მაღალი ყელი აქვს. ყური მიძერწილია პირზე და კორპუსის ბოლოზე. როგორც პირთან, ასევე კორპუსის ბოლოს, ყურის მიერთების ადგილას დაძერწილია მორჩისებრი შვერილები. ტანს წაგრძელებული, ოვალისებრი ფორმა აქვს. ჭურჭელი მოწითალოდაა გამომწვარი. მისი ტანი სადაა, ყოველგვარი ორნამენტის გარეშე. ასკოსის სიმაღლე 11 სმ, სიგრძე-11,2 სმ-ია (ტაბ. XIII-2) [Иващенко 1980: 79].

ბაიათხევის სამაროვანზე დადასტურდა III-IV სს. დათარიღებული თიხის ორი ასკოსისებური ჭურჭელი. ისინი მოვარდისფროდ არიან გამომწვარი. ასკოსები ფრინველის სტილიზებულ გამოსახულებას წარმოადგენენ. აქვთ სამტუჩა პირი, მომაღლო ყელი, წაგრძელებული ტანი, კორპუსზე ზემოდან დაძერწილი ოვალურგანივკვეთიანი ყური და დაკეჭნილი ორნამენტით შემკული კუდი. ყურისთავთან ერთ-ერთ მათგანს შვერილი, ხოლო მეორეს ორმაგი შვერილი აქვს დაძერწილი. ფორმით ეს ორი ჭურჭელი თითქმის იდენტურია. განსხვავდება მხოლოდ მათი ორნამენტაცია: ერთ-ერთის ტანს შემოუყვება შვეული ნაჭდევი ხაზებით შედგენილი სარტყელი. ემჩნევა საღებავის კვალიც (ტაბ. XIII-3). მეორე ასკოსისებურ ჭურჭელს ყურზე და კუდზე დაღარული ზოლები ემჩნევა, ტანზე კი, შიგნიდან გამობერილი კოპებისგან შედგენილი სამი სარტყელი შემოუყვება. ტანი ასევე გაფორმებლია შვეული ნაჭდევი ხაზებით შედგენილი სარტყელით (ტაბ. XIV-1). პირველი ასკოსის სიმაღლე 8.5 სმ-ია. სიგრძე- 11.2 სმ. მეორე ასკოსის სიმაღლე 11.5 სმ. სიგრძე-14 სმ-ია [ნიკოლაიშვილი... 1995].

ერთ-ერთი ასკოსისებური ჭურჭელი იდო 6-8 წლის ბავშვის სამარხში ორკორპუსიან ხელადასთან ერთად. ხოლო მეორე - ქალის მდიდრული სამარხის ინვენტარს შეადგენდა [ნიკოლაიშვილი... 1995: 105, 130].

სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება გვიანანტიკური ხანის ასკოსის ფორმის თიხის ჭურჭელი (ის დღემდე გამოუქვეყნებელი იყო). ასკოსს აქვს სამტუჩა პირი, დაბალი ყელი, მოგრძო მუცელი და ბრტყელი ძირი. კორპუსის ბოლოს დაძერწილია მცირე მორჩისებური შვერილი. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიძერწილია ჭურჭლის პირზე და კორპუსის ზედა ნაწილზე. აქვს უორნამენტო, სადა ტანი. გამომწვარია მოწითალოდ. მისი სიგრძე 10,3 სმ, ხოლო სიმაღლე- 10,7 სმ-ია (ტაბ. XIV, 2-3).

აღნიშნული ასკოსი წარმოადგენს შემთხვევით მონაპოვარს. იგი 1950 წელს სოფ. პატარა მეჯვრისხევიდან ჩაბარდა გორის მუზეუმს. იმის გამო, რომ არ ვიცით ასკოსის აღმოჩენის კონტექსტი და თანმხლები მასალა, ჭირს მისი ზუსტი დათარიღება, თუმცა, მორფოლოგიური და ტექნოლოგიური ნიშნებიდან გამომდინარე ის გვიანანტიკურ ხანას უნდა მივაკუთვნოთ.

ასკოსი აღმოჩენილია ასევე ჟინვალის ახ.წ. III-IV სს. მიჯნით დათარიღებულ სამარხში. მას აქვს მომაღლო, ცილინდრული ყელი, მრგვალი, ოდნავ შიგნით ჩაკეცილი პირი. მისი პირ-ყელი ფრინველის თავის გამოსახულებას მოგვაგონებს, რომელსაც თვალები ღრმად ჭდეული წერტილებით აქვს გამოსახული. ნისკარტი მოტეხილი აქვს. ასკოსის ტანის ბოლოში დაძერწილი შვერილი კუდის იმიტაციას ქმნის. მოგრძო, ოვალისებური ტანი გაფორმებულია ირიბი ნაჭდევების ხუთი რიგით. მას ტანზე, ერთი, ღრმად ამოღარული სარტყელი შემოსდევს. ყური მიძერწილია პირზე და ტანის შუა ნაწილზე. აქვს ოდნავ შედრეკილი, ბრტყელი ძირი. ძირთან ახლოს პატარა, მრგვალგანივკვეთიანი მილსადინარი აქვს. დამზადებულია სუფთა თიხისგან. მისი სიმაღლე-15 სმ-ია (ტაბ. XIV-4) [Рамишвили 1982: 35].

როგორც ვხედავთ, აღმოსავლეთ საქართველოში ასკოსის ფორმის ჭურჭელი ძვ. წ. I ს-დან ჩნდება. გვიანელინისტური ხანის ასკოსებისთვის დამახასიათებელია კორპუსზე ზემოდან დაძერწილი ჰორიზონტალური ყური, მომრგვალებული ან ოდნავ წაგრძელებული მუცელი, დაბალქუსლიქანი ან უქუსლო ძირი, წითელი წერნაქით შეღებილი ზედაპირი. მათთვის არ არის დამახასიათებელი ყელი [კობერიძე 2015].

დასაზუსტებელია „სვეტიცხოველი I“-ის უბანზე გამოვლენილი ასკოსის თარიღი: აღნიშნულ სამაროვანზე დადასტურდა გვიანელინისტური და გვიანანტიკური ხანის სამარხები, თუმცა აქ აღმოჩენილი ასკოსისებური ჭურჭელი

უფრო ახ.წ. I საუკუნეს უნდა მიეკუთვნოს. მართალია, ის მთელი რიგი მორფოლოგიური ნიშნებით (ზემოდან დაძერწილი ჰორიზონტალური ყურით, მომრგვალებული მუცლით, დაბალი ქუსლით, ნისკარტიანი პირით, ყელის არ ქონით და წითელი წერნაქით შეღებილი ტანით) უახლოვდება სამთავროს სამაროვნის ძვ.წ. I ს-ის ამგვარ ჭურჭელს, მაგრამ, მისი ახ.წ. I ს-ით დათარიღების სასარგებლოდ მეტყველებს მასთან დადასტურებული ინვენტარი: №11 ქვევრსამარხში ასკოსთან ერთად იდო ყელწიბოიანი, წერნაქით შეღებილი დოქებიც (მირიანაშვილი ნ. აღნიშნავდა, რომ ახ.წ. II ს-დან ყელწიბოიანი დოქების წერნაქით შეღებვა და ანგობირება აღარ ხდებოდა [მირიანაშვილი 1983: 48]. მიუხედავად იმისა, რომ ამ დაკვირვების დროს მირიანაშვილი ცდება და აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ახ.წ. III-IV სს-ით დათარიღებულ სამარხებში კვლავ დასტურდება წითელი წერნაქით შეღებილი ყელწიბოიანი დოქები, მაინც, ასეთი დოქების წითლად შეღებვა, როგორც ჩანს, ახ.წ. II ს-დან შედარებით შემცირებულია, ხოლო აღნიშნულ ქვევრსამარხში კი, ოთხი თიხის ჭურჭლიდან ორი წერნაქიანი იყო), რომლებიც სამარხს და შესაბამისად ასკოსს ათარიღებს ახ.წ. I ს-ით. ამ თარიღს მხარს უჭერს დოქების ორნამენტი- წიბო ყელზე.

ახ.წ. I ს-დან (სავარაუდოდ, აღნიშნული საუკუნის მეორე ნახევრიდან) ასკოსისებურ ფორმის ჭურჭელზე შეინიშნება მორფოლოგიური ცვლილებები: მათ უგრძელდებათ ყელი და კორპუსი. ყური ასკოსის პირზეა მიძერწილი, შესაბამისად ის აღარ არის კორპუსზე ზემოდან, ჰორიზონტალურად დადგმული. ამგვარად, ყურის თავი მაღლა იწევს და ებმის ტანისგან ყელით გამოყოფილ პირს (გვიანელინისტური ხანის ასკოსებს ყელი არ ახასიათებთ). ყურის თავთან, პირთან მიერთების ადგილზე ჩნდება კოპი და მორჩისებური შვერილი. ასეთივე შვერილი გვხვდება ყურის ბოლოს, კორპუსზე დაძერწვის ადგილას, რაც უფრო ფრინველის კუდის მოტივს მოგვაგონებს. ჩნდება სამტუჩა პირი. ამავე პერიოდიდან იწყება მათი კორპუსის ორნამენტირება [კობერიძე 2015].

ახ.წ. II ს-დან მოყოლებული ასკოსებს აღარ ახასიათებთ ნისკარტის მოტივი და პირს, ძირითადად, სამტუჩა ან მომრგვალებული ფორმა აქვს. ამავე დროს ქრება ქუსლის ფორმაც. ამგვარი მორფოლოგიური ნიშნები შენარჩუნებულია III-IV სს-შიც (ზაიათხევი, ჟინვალი) [კობერიძე 2015].

შესაძლებელია ბაიათხევის სამაროვანზე აღმოჩენილი ასკოსების უფრო ვიწრო ქრონოლოგიური პერიოდით განსაზღვრა: აქ სამარხები ძირითადად ახ.წ. III ს. -IV ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება. ამ სამაროვანზე დასტურდება კოლექტიური, საოჯახო დაკრძალვის წესი, რაც, ქართლის ძეგლებზე, ძირითადად, ახ.წ. IV ს-დან ჩნდება [აფაქიძე... 1978; 101]. ამასთან, სამარხებში, სადაც დასტურდება მიცვალებულის გულაღმა, გაშოტილი დამარხვის წესი ახ.წ. III ს-ის მეორე ნახევარზე ადრეული არ უნდა იყოს. ასკოსისებური ჭურჭელი კი იმ სამარხების ინვენტარს შეადგენდნენ, სადაც სწორედ ამგვარი დაკრძალვა დადასტურდა. შესაბამისად, ეს ასკოსებიც ახ.წ. III ს-ის მეორე ნახევრით (სავარაუდოდ III ს-ის ბოლოთი) და IV ს-ის დასაწყისით უნდა დათარიღდეს.

ასკოსს - ჩაიდნისებური ფორმის ჭურჭელს, როგორც ბერძნულ სამყაროში, ასევე მახლობელ აღმოსავლეთშიც, ზეთისა და ნელსაცხებლებისთვის ხმარობდნენ. ასკოსის ფორმა ისეთი ჭურჭლის მონაცემებს წარმოადგენს, რომლისგანაც სითხე წვეთწვეთობით უნდა გადმოდიოდეს (ზეთი, სუნამო თუ თაფლი). ასკოსი ანტიკურ კერამიკაში დამკვიდრდა ძვ.წ. V ს-ის დასაწყისიდან და არსებობდა ძვ.წ. IV ს-ის ბოლომდე [კახიძე 2007: 116].

ბერძნული კულტურის გავლენის შედეგად, დასავლეთ საქართველოში, ასკოსი დასტურდება ძვ.წ. V-IV სს-ში. მაგრამ ძვ.წ. IV ს-ის შემდეგ აღარ ჩანს.

აღმოსავლეთ საქართველოში არც ძვ.წ. V-IV სს-ში და არც ადრეელინისტურ ხანაში ამ ფორმის ჭურჭელი არ გვაქვს. როგორც ჩანს, ასკოსები აქ ჩნდება მხოლოდ ძვ.წ. I ს-დან. სავარაუდოდ, იბერიული ასკოსები უკავშირდება მახლობელ აღმოსავლეთში გავრცელებულ ამგვარ ჭურჭელს, სადაც ისინი ცნობილია მინგეჩაურის კერამიკაში; მდ. ამუდარიასთან აღმოჩენილ კერამიკაში; ანატოლიაში და ა.შ. მინგეჩაურის კერამიკას ავტორი ძვ.წ. II-I და ახ.წ. I-II სს. ათარიღებს [Казиев 1960: 26].

ასკოსები გვხვდება ასევე რომაული პერიოდის ჩრდილოეთ კავკასიაშიც: ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე, რომაული პერიოდის კატაკომბურ სამარხებში დასტურდება შავად ნაპრიალები ასკოსები. ზოგიერთი მათგანი სამ ფეხზე დგას. ასკოსის კორპუსი ზოგჯერ შემკულია მოკლე, ირიბი ნაჭდევებისგან შედგენილი კონცენტრული სარტყლებით [Фибаров 1984:136].

უნდა აღინიშნოს, რომ ასკოსის ფორმის ჭურჭლის აღმოჩენის ფაქტები არ არის ხშირი ჩრდილოეთ კავკასიის კატაკომბურ სამარხებში და შესაძლოა ისინი სამხრეთიდან იყოს იმპორტირებული.

მახლობელი აღმოსავლეთის ტერიტორიაზე ასკოსის ფორმის ჭურჭელი ადრეული პერიოდიდან არის ცნობილი: მაგალითად, ამგვარი კერამიკული ნაწარმი გავრცელებულია ანატოლიაში, გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდით დათარიღებულ კულტურულ ფენებში [Lloyd… 1955:72 fig. 14. 1-4].

არსებობს მოსაზრება, რომ ასკოსის ფორმის ჭურჭელი ანატოლიაში ეგეოსური სამყაროდან ვრცელდება გვიანბრინჯაოს ხანაში. აღნიშნული კერამიკული ფორმა ჯერ კიდევ ადრე ბრინჯაოს ხანიდან ჩნდება კიკლადურ კერამიკაში, საიდანაც ისინი მიკენურ კერამიკაში გავრცელდა. მიკენურ კერამიკაში ასკოსის გაჩენას კიკლადურ გავლენას უკავშირებენ. მიკენური ასკოსები ძვ.წ. XVI-XII სს-ით თარიღდებიან [Lloyd 1955:72].

გვიანანტიკურ ხანაში თიხის ასკოსებთან ერთად მზადდებოდა ასევე ასკოსის ფორმის მინის ჭურჭელიც, რომლებსაც, სამარხებში ასევე სანელსაცხებლის დანიშნულებით ატანდნენ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასკოსები ამფორისკების მსგავსად წარმოადგენდნენ სანელსაცხებლისთვის (სუნამოსთვის) განკუთვნილ ჭურჭელს და მათ, როგორც ჩანს, გვიანანტიკური ხანის საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც საკრძალავ რიტუალში, ასევე ყოველდღიურ ყოფაში ჰქონდათ გამოყენება.

## § 4. სამედიცინო დანიშნულების ჭურჭელი

საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც ანტიკურ, ასევე მის წინარე და შემდგომ ხანებშიც აუცილებლად უნდა წარმოებულიყო სამედიცინო დანიშნულების კერამიკული ჭურჭელი, რომელთა დახმარებით შესაძლებელი იქნებოდა სამედიცინო დანიშნულების სითხის მომზადება, შენახვა, გამოყენება და სხვა. დღევანდელ სამეცნიერო ლიტერატურაში გვიანანტიკური ხანის ამგვარი კერამიკული ჭურჭელი არ არის ცალკე გამოყოფილი და შესწავლილი.

სავარაუდოდ, სამედიცინო დანიშნულების ჭურჭელი მორფოლოგიურად გამოირჩეოდა ყოველდღიურად გამოსაყენებელ კერამიკულ ჭურჭელთან შედარებით და იშვიათად მზადდებოდა. ასევე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საჭიროების შემთხვევაში ღვინისთვის და წყლისთვის განკუთვნილი ხელადებიც გამოიყენებოდა სამედიცინო მიზნებისთვის.

გვიანანტიკურ ხანაში, სამედიცინო ჭურჭლის დიდ ნაწილს, სავარაუდოდ, მინის მცირე ზომის ამფორისკები წარმოადგენდნენ, თუმცა, ამ პერიოდში, მათზე ხელი არ მიუწვდებოდათ სოციალურად დაბალი ფენის წარმომადგენლებს, რის გამოც, მათ ამ მიზნით ისევ თიხის ჭურჭელი უნდა დაემზადებინათ.

საქართველოს ტერიტორიაზე, გვიანანტიკურ ხანაში, დასტურდება კერამიკული ჭურჭლის მცირე ჯგუფი, რომელთა ფორმა და აღმოჩენის კონტექსტი საშუალებას გვაძლევს მივაკუთვნოთ ისინი განსხავებული ფუნქციის მატარებელ (სავარაუდოდ სამედიცინო დანიშნულების) ჭურჭელს.

სამთავროს სამაროვნის ახ.წ. II-III სს. დათარიღებულ სამარხში აღმოჩნდა ორმუცლიანი ხელადა. ზედა მუცელზე შვეულად ერთი ყური აქვს დაძერწილი, ქვედაზე- ორი. ქვედა კორპუსზე რელიეფური კოპებით შედგენილი ორი სარტყელი ემჩნევა. ძირი ბრტყელი აქვს. ხელადა ჩალისფრადაა გამომწვარი. ის ბავშვის სამარხში დადასტურდა [აფაქიძე... 1978: 127].

ამავე სამაროვნის III-IV სს-ით დათარიღებულ სამარხში დადასტურდა ასევე ორმუცლიანი ხელადა:- აქვს სამტუჩა პირი. ზედა მუცელზე ერთი, ქვედაზე კი ორი ყური აქვს დაძერწილი. ქვედა, სფერული ფორმის მუცელზე რელიეფური კოპების ორი

რიგი შემოუყვება. გამომწვარია ჩალისფრად. მისი სიმაღლე 14,2 სმ-ია, ზედა მუცლის დიამეტრი-4,5 სმ, ქვედა მუცლის დიამეტრი-7,5 სმ (ტაბ. XV-1). ჭურჭელი აღმოჩნდა 7-8 წლის ბავშვის სამარხში [მანჯგალაძე 1985: 95].

კიდევ ერთი ორმუცლიანი ხელადა აღმოჩნდა ბაიათხევის III-IV სს-ით დათარიღებულ სამარხში. მას აქვს მრგვალი, გადაშლილი პირი. კორპუსის ზედა ნაწილი სფერულტანიან კოჭობს წარმოადგენს, რომელიც კოპებითაა დაფარული და დაძერწილია მის ასეთივე ფორმის ქვედა ნაწილზე. ძირი ბრტყელი აქვს. განივკვეთში მომრგვალებული ყური ქვედა და ზედა კორპუსის მხრებზეა დაძერწილი. ხელადას წითელი საღებავის კვალი ატყვია. სიმაღლე- 10,5 სმ, პირის დიამეტრი- 5,3 სმ, ძირის დიამეტრი- 5 სმ (ტაბ. XV-2). ხელადა აღმოჩნდა 6-8 წლის ბავშვის სამარხში [ნიკოლაიშვილი... 1995; 105].

აღსანიშნავია, რომ სამივე ორკორპუსიანი ხელადა ბავშვის სამარხებშია აღმოჩენილი, რომელთა წლოვანებაც 6-8 წლის ასაკითაა განსაზღვრული. ვფიქრობ, რომ ამგვარი ფორმის ჭურჭლის აღმოჩენის კონტექსტი არაა შემთხვევითი და აქ საქმე უნდა გვქონდეს სამედიცინო დანიშნულების ჭურჭელთან (სავარაუდოდ, ისინი გამოიყენებოდნენ რაიმე წამლის ან სამედიცინო სითხის შესანახად და მოსახმარად). როგორც ჩანს, ზემოთ აღწერილი ორმუცლიანი ხელადები, ყოველდღიურ ყოფაში, წარმოადგენდნენ სწორედ იმ ბავშვებისთვის განკუთვნილ სამედიცინო დანიშნულების ჭურჭელს, რომელთა სამარხებშიც დადასტურდა ისინი, ხოლო ავადმყოფი ბავშვების გარდაცვალების შემდგომ აღნიშნული ჭურჭელი მათ ჩააყოლეს სამარხებში [კობერიძე 2015].

გამოთქმულ ვარაუდს ამყარებს სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ძვ.წ. VIII-VII სს-ით დათარიღებული  ორმუცლიანი ხელადა. მასზე ყურის მახლობლად დაძერწილია გველის რელიეფური გამოსახულება, რომელიც თითქოს ჭურჭელში ჩასაძრომად მიიწევს. გველის პირი და თვალები გამოხატულია ნასვრეტებით. ჭურჭელი შავადაა გამომწვარი და ზედაპირი ნაპრიალები აქვს. აღმოჩნდა ხუფთან ერთად. ზედა სართულის ძირი გახვრეტილია, რითაც უშუალოდ უკავშირდება ქვედა სართულს. ზოომორფული ყური მიძერწილია ზედა და ქვედა მუცლების მხრებზე (ტაბ. XVI-1)  [საქართველოს არქეოლოგია 1959:169].

აღნიშნული ჭურჭლის დანიშნულების შესახებ პ. ფირფილაშვილი წერდა: „საფიქრებელია, რომ სამთავროში აღმოჩენილი ორსართულიანი ხელკოჭობი განკუთვნილი უნდა ყოფილიყო ნახარშის მოსამზადებლად. იგი, ალბათ, წამლის მომზადების საქმეში მეტად დახელოვნებული პირის დაკვეთით იქნა დამზადებული, რადგან ჭურჭელი დამზადებულია ნახარშის ორიგინალური პროცედურების ჩასატარებლად. მხედველობაშია სამკურნალო მასალის მოცულობა და მიღებული წამლის ოდენობა" .

სავარაუდოა, რომ ამგვარ ჭურჭელში მხოლოდ განსაკუთრებული სითხე შეიძლებოდა შეენახათ. ეს უნდა ყოფილიყო სამედიცინო დანიშნულების სითხე, ხოლო გველის გამოსახულების დანიშნულება, სავარაუდოდ, უნდა ყოფილიყო ჭურჭელში ჩასხმული სითხის დაცვა ავი სულისგან.

როგორც ჩანს, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, სამედიცინო ჭურჭლის ფორმა განსხვავდებოდა სხვა, მაგალითად წყლისა და ღვინისთვის განკუთვნილი ხელადებისგან და ამგვარ ჭურჭელს, გარკვეული მიზეზების გამო, ორ მუცელს უკეთებდნენ. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ ამგვარი დანიშნულების ჭურჭლის ფორმა არ იცვლება 10-12 საუკუნის მანძილზე, რაც მეტყველებს იმაზე, რომ მათი ფორმა პრაქტიკული გამოყენების აუცილებლობიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა დროთა განმავლობაში.

ორმუცლიანი ხელადები დასავლეთ საქართველოშიც დასტურდება: ერთ-ერთი მათგანი აღმოჩენილია კლდეეთის სამაროვანზე, რომელიც ახ.წ. II ს-ით არის დათარიღებული. ხელადას აქვს სამტუჩა პირი, ყური მიძერწილია პირზე და მხარზე. მისი კორპუსი ორად არის გაყოფილი და ერთმანეთზე ჰორიზონტალურად მიდგმული ორი მუცლისგან შედგება (ტაბ. XVI-3). განსხვავებული მორფოლოგიური ნიშნების გამო აღნიშნულ ხელადას რიტუალური დანიშნულების ჭურჭლად მიიჩნევდნენ [ლომთათიძე 1957:26].

ორმუცლიანი ხელადა დადასტურდა ასევე ჯიეთის სამაროვანზე (ჭიათურასთან ახლოს) სამარხ № 22-ში, რომელიც ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევრით და II ს-ის დასაწყისით დათარიღდა.

სამარხში აღმოჩენილი დოქი კარგად არის განლექილი, გამომწვარია შავად. აქვს მრგვალი, გადაშლილი პირი, დაბალი, ფართო ყელი, ყური დაძერწილი აქვს მუცელზე.

დოქს ყელთან შემოსდევს ჩაღრმავებული ზოლი. უფრო ფართო ღარი შემოსდევს კორპუსზე ისე, რომ ღარი დოქის კორპუსს ორად ჰყოფს (ტაბ. XVI-2) [სონღულაშვილი 2006:81].

არაა გამორიცხული, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებული ორმუცლიანი ხელადებიც სამედიცინო დანიშნულების ყოფილიყო.

საქართველოს გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე დასტურდება ხელადები, რომლებზეც დაძერწილია გველის რელიეფური გამოსახულება: არმაზისხევის ღარიბულ კრამიტსამარხში აღმოჩენილია მოზრდილი სამტუჩა ხელადა, ღია მოყვითალოდ გამომწვარი. მას პირს ზემოთ შემაღლებული ოვალური ყური და მაღალი ქუსლი აქვს. ყელი მომაღლო, პროფილში შეზნექილია, ტანსაც მოგრძო ფორმა აქვს. მხართან შემოუყვება წვრილი, ირიბი ჭდეების ორი წრე. მუცელზე კანელურები დაუყვება. ყურზე დაძერწილია გველის გამოსახულება.

ეს ხელადა გაკეთებულია ლითონის ოინოხოიების მიბაძვით, რომლებიც მრავლად გვხვდება იმ დროის მცხეთასა და მის მიდამოებში. ხელადა I-III სს. თარიღდება [აფაქიძე... 1955:130].

კიდევ ერთი ხელადა, რომლის ყურის თავიც შემკულია გველის სტილიზებული გამოსახულებით, აღმოჩნდა ჟინვალის სამაროვანზე, ახ.წ. III ს-ით დათარიღებულ სამარხში. ხელადა ყელწიბოიანია, აქვს გადაშლილი პირი, შემაღლებული ყელი, მოგრძო, ოვალური ფორმის მუცელი. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირსა და მხარზე (ტაბ. XVII-1). ის დადასტურდა კოლექტიურ სამარხში სადაც მამაკაცი და ქალი იყო დაკრძალული [ჩიხლაძე 2015:80].

გველის გამოსახულებიანი კერამიკული ჭურჭლის ადრეული ნიმუშები გამოვლენილია ჯერ კიდევ ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზე: მდ. არაგვის ხეობაში, სოფ. არანისის ტერიტორიაზე გათხრილ მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარზე აღმოჩნდა დიდი ზომის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი, რომელზეც გველის რელიეფური გამოსახულებაა დატანილი. ასევე ჟინვალის ადრებრინჯაოს ხანით დათარიღებულ ნამოსახლარზე აღმოჩენილია კერამიკული ჭურჭელი გველის რელიეფური გამოსახულებით [ღლონტი 1977: 12-19].

ამგვარი გამოსახულება დატანილია თეთრწყაროს რაიონში აღმჩენილ თიხის ჭურჭელზე, ტყემლარას ველზე გათხრილ ყორღანში, რომელიც ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებით თარიღდება [შატბერაშვილი ... 2010:188].

თრიალეთში გათხრილ XVII ყორღანში აღმოჩნდა დერგი, რომელზეც შავი საღებავით დატანილია გველის გამოსახულება [Куфтин Б.А 1941: таб. XXVI].

კერამიკული ჭურჭელი ამგვარი გამოსახულებით აღმოჩენილია ძვ.წ. XVII-XVI სს. დათარიღებულ ზურტაკერტის და ახჩიის ველის ყორღანებშიც [ჯაფარიძე 1981:69].

ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით თარიღდება სამლოცველო მელიღელე I-ზე მოპოვებული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებზეც გველის რელიეფურ გამოსახულებებს ვხვდებით [ფიცხელაური 1973: 113-116].

გვიანბრინჯაოს ხანით თარიღდება წალკის რაიონში, სოფ. ბეშთაშენთან გამოვლენილ სამაროვანზე დადასტურებული თიხის ჭურჭელი, რომლებზეც გველის რელიეფური გამოსახულებები გვხვდება [Куфтин Б.А 1941:82].

ამგვარი გამოსახულებები მოთავსებულია ასევე ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით დათარიღებულ ძეგლებზე. გველის გამოსახულებიანი კერამიკული ჭურჭელი აღმოჩენილია ნარეკვავის სამაროვანზე, ძვ.წ. VIII-VII სს. დათარიღებულ სამარხებში [ნიკოლაიშვილი... 2007: 41-42].

იგივე გამოსახულებები მრავლად გვხვდება კახეთის ტერიტორიაზე, მელაანის სამლოცველოში მოპოვებულ თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებზეც.

კერამიკული ჭურჭლის გარდა, გველის გამოსახულებებს ვხვდებით ასევე სხვა ნივთებზეც: ბრინჯაოს ცულებზე, სამკაულებზე, საბეჭდავებსა და სხვა არტეფაქტებზე [კოწოწაშვილი 2012:69].

როგორც არქეოლოგიური მასალიდან ჩანს, გველის კულტს საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ქართულ წარმართულ პანთეონში და შესაბამისად, მისი გამოსახულებები ფართოდ იყო გავრცელებული როგორც ბრინჯაო-ადრერკინის ასევე ანტიკურ პერიოდშიც.

აღნიშნული მოტივი გვხვდება სომხეთში, აზერბაიჯანსა და ჩრდილო კავკასიაში. გველის სიმბოლიკა დადასტურებულია კრეტის, შუმერის, აქადის ხელოვნებაში. ქვეწარმავლის გამოსახვას განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა ეგვიპტეში, ჩინეთში, ინდოეთში.

ქართულ მითოლოგიაში გველი სიბრძნისა და მკურნალის დატვირთვით გვხვდება. გველს, როგორც მედიცინის ემბლემას, ვხვდებით ბაბილონურ მითებშიც, სადაც იგი მკურნალთა ღმერთის მუდმივი თანმხლებია. ბერძნულ მითოლოგიაში თითქმის ყოველთვის გამოსახულია ასკლეპიოსის კვერთხზე, აპოლონის სამფეხზე და სხვა [გელოვანი 1983: 114-115].

ზემოთ მოყვანილი ფაქტების საფუძველზე, კერამიკული ჭურჭელი გველის გამოსახულებებით (მათი ნაწილი მაინც) შესაძლებელია დავუკავშიროთ სამედიცინო დანიშნულების ჭურჭელს.

ზემოაღნიშნული, აგილობრივ დამზადებული კერამიკული ჭურჭლის გარდა, სამედიცინო დანიშნულებით უნდა გამოეყენებინათ ასევე იმპორტული მოჭიქული ჭურჭლის ნაწილი მაინც, თუმცა, მათზე ხელი ამ პერიოდში მხოლოდ სოციალურად დაწინაურებული ფენის წარმომადგენლებს მიუწვდებოდათ.

# ნაწილი II.

# ახ.წ. I-III საუკუნეების ადგილობრივი კერამიკული ჭურჭელი დასავლეთ საქართველოში

## თავი I.

## სუფრის ჭურჭელი

### § 1. დოქები და ხელადები

დასავლეთ საქართველოს გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიურ კომპლექსებში დიდი რაოდენობით არის მოპოვებული სუფრისთვის განკუთვნილი კერამიკული ნაწარმი, რაც ადასტურებს, რომ მოსახლეობაში ამ ტიპის ჭურჭელზე დიდი მოთხოვნა იყო. მათი უმრავლესობა სამეთუნეო მორგვზეა ნაკეთები.

დასავლეთ საქართველოს გვიანანტიკური ხანის დოქები და ხელადები კორპუსის ფორმის მიხედვით ოთხ ჯგუფად იყოფა:

**I ჯგუფში** ერთიანდება სფერულმუცლიანი დოქები და ხელადები. მათთვის დამახასიათებელია დაბალი, შეზნექილი ყელი და ბრტყელი ძირი.

პირის ფორმის მიხედვით ამ ჯგუფში გამოიყოფა სამი ქვეჯგუფი:

**I-1 ქვეჯგუფი** - დოქები მრგავლი, გადაშლილი პირით (ტაბ. XXXII-4).

**I-2 ქვეჯგუფი**- სამტუჩაპირიანი დოქები (ტაბ. XXXIII-1).

**I-3 ქვეჯგუფი**- ძაბრისებურპირიანი დოქები (ტაბ. XXXIII-2).

I-1 ქვეჯგუფი ყურების რაოდენობის მიხედვით იყოფა ორი ტიპად:

**I-1-1 ტიპი** -ცალყურა დოქები (ტაბ. XXXII-4).

**I-1-2 ტიპი** -ორყურა დოქები (ტაბ. XXXIII-3).

I-1-1 ტიპი ყურების მდებარეობის მიხედვით ჭურჭელზე იყოფა ორ ქვეტიპად:

**I-1-1-1 ქვეტიპი-** ყური მიძერწილი პირზე და მხარზე.

**I-1-1-2 ქვეტიპი** – ყური მიძერწილი მხარზე და მუცელზე.

I-1-1-1 ქვეტიპში ორნამენტაციის მიხედვით გამოიყოფა ორი სახეობა:

**I-1-1-1-1 სახეობა-** ორნამენტირებული დოქები,

**I-1-1-1-2 სახეობა-** უორნამენტო, სადა დოქები.

I-1-1-2 ქვეტიპში ასევე გამოიყოფა ორი სახეობა ორნამენტაციის მიხედვით:

**I-1-1-2-1 სახეობა** - ორნამენტირებული დოქები.

**I-1-1-2-2 სახეობა-** სადა დოქები.

I-1-2 ტიპის (ორყურა) დოქები ყურების მდებარეობის მიხედვით იყოფა ორ ქვეტიპად:

**I-1-2-1 ქვეტიპი-** ყურები ერთმანეთის სიმეტრიულად მიძერწილი მუცელზე (ტაბ. XXXIII-3).

**I-1-2-2 ქვეტიპი**-ყურები ერთმანეთის სიმეტრიულად მიძერწილი პირს ქვემოთ და მხარზე (ტაბ. XXXIII-4).

I-1-2-1 ქვეტიპი ორნამენტაციის მიხედვით იყოფა ორ სახეობად:

**I-1-2-1-1 სახეობა-** ორნამენტირებული ორყურა დოქები.

**I-1-2-1-2 სახეობა-** სადა ორყურა დოქები.

I-2 ქვეჯგუფის დოქებს (სამტუჩაპირიანი) ყური ყოველთვის პირზე და მხარზე აქვთ დაძერწილი. ამ ქვეჯგუფში გამოიყოფა ორი ტიპი ორნამენტაციის მიხადვით:

**I-2-1 ტიპი** -ორნამენტირებული დოქები,

**I-2-2 ტიპი-** სადა დოქები.

I-3 ქვეჯგუფის (ძაბრისებურპირიანი) დოქებს ყური, როგორც წესი, მიძერწილი აქვთ პირს ქვემოთ და მხარზე. თითქმის ყველა მათგანი ორნამენტირებულია. ახასიათებთ უქუსლო, ან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი.

**II ჯგუფში** ერთიანდება მსხლისებურმუცლიანი დოქები და ხელადები. ახასიათებთ მკვეთრად დაქანებული მხრები, ტანი გაფართოებულია ძირისკენ, რის გამოც კორპუსი მსხლისებურ ფორმას იღებს.

პირის ფორმის მიხედვით აღნიშნული ჯგუფი იყოფა ორ ქვეჯგუფად:

**II-1 ქვეჯგუფი-** ძაბრისებურპირიანი დოქები და ხელადები (ტაბ. XXXIII-5).

**II-2 ქვეჯგუფი-** დოქები და ხელადები მრგვალი, გადაშლილი პირით (ტაბ. XXXIII-6).

II-1 ქვეჯგუფის დოქებსა და ხელადებს ახასიათებს მომაღლო, პროფილში ცილინდრული ან შეზნექილი ყელი. უქუსლო, ან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი.

**II-1 ქვეჯგუფი** ორნამენტაციის მიხედვით იყოფა ორ ტიპად:

**II-1-1 ტიპი-** ორნამენტირებული დოქები და ხელადები.

**II-1-2 ტიპი-** სადა, უორნამენტო დოქები და ხელადები.

II-2 ქვეჯგუფი ყურის მდებარეობის მიხედვით იყოფა ორ ტიპად:

**II-2-1 ტიპი-** ყური დაძერწილი მხარზე. ამ ტიპის დოქებს შემაღლებული, სწორი ყელი და ბრტყელი ძირი აქვთ. გავრცელებულია ძირითადად აღმოსავლეთ კოლხეთის რეგიონებში.

**II-2-2 ტიპი**- ყური მიძერწილი პირზე და მხარზე ან პირს ქვემოთ და მხარზე. მათ აქვთ დაბალი ყელი და ბრტყელი ძირი.

**III ჯგუფში** ერთიანდება დოქები მოგრძო, ოვალისებური ტანით (მათ შედარებით მაღალი კორპუსი აქვთ). ძირითადად ახასიათებთ უქუსლო, ბრტყელი ძირი.

პირის ფორმის მიხედვით აღნიშნული ჯგუფი დაიყოფა ორ ქვეჯგუფად:

**III-1 ქვეჯგუფი-** დოქები მრგვალი, გადაშლილი პირით (ტაბ. XXXIV-1).

**III-2 ქვეჯგუფი-** ძაბრისებურპირიანი დოქები და ხელადები (ტაბ. XXXIV-2).

III-1 ქვეჯგუფი ყურების რაოდენობის მიხედვით იყოფა ორ ტიპად:

**III-1-1 ტიპი-** ცალყურა დოქები.

**III-1-2 ტიპი-** ორყურა დოქები (ტაბ. XXXIV-3).

III-1-1 ტიპი- ყურების მდებარეობის მიხედვით იყოფა ორ ქვეტიპად:

**III-1-1-1 ქვეტიპი**-ყური მიძერწილი პირზე და მხარზე.

**III-1-1-2 ქვეტიპი**-ყური მიძერწილი ყელზე და მხარზე.

III-1-1-1 ქვეტიპი ორნამენტაციის მიხედვით იყოფა ორ სახეობად:

**III-1-1-1-1 სახეობა-** ორნამენტირებული დოქები.

**III-1-1-1-2 სახეობა**-სადა, უორნამენტო დოქები.

**III-1-1-2 ქვეტიპი** ორნამენტაციის მიხედვით ასევე იყოფა ორ სახეობად:

**III-1-1-2-1 სახეობა-** ორნამენტირებული დოქები.

**III-1-1-2-2 სახეობა**-სადა, უორნამენტო დოქები.

III-1-2 ტიპის (ორყურა) დოქებს ყურები, როგორც წესი, ერთმანეთის სიმეტრიულად მიძერწილი აქვთ მუცელზე, ხოლო მათი ტანი, ხშირ შემთხვევაში, სადაა.

**III-2 ქვეჯგუფის** (ძაბრისებურპირიან) დოქებს ყური, როგორც წესი, მიძერწილი აქვთ პირს ქვემოთ და მხარზე. უმეტეს შემთხვევაში მათ ორნამენტირებული ტანი აქვთ.

აღნიშნული ქვეჯგუფის დოქები, დასავლეთ საქართველოში, ახ.წ. II ს-ის მეორე ნახევრიდან იწყებენ გამოჩენას და ძირითადად II-IV სს-ით თარიღდებიან (ჯიეთი, ჩხარი, ძევრი, აფხაზეთი).

**IV ჯგუფში** ერთიანდება კვერცხისებურტანიანი დოქები. ამ ჯგუფის დოქების ტანის უდიდესი დიამეტრი მხრების არეში მოდის და კორპუსი თანაბრად ვიწროვდება ძირისკენ, რის გამოც ჭურჭლის ტანი კვერცხისებურ ფორმას იღებს. მათ ახასიათებთ დაბალი ან ოდნავ შემაღლებული, შეზნექილი ყელი, ბრტყელი ძირი. კვერცხისებურტანიანი დოქების უმეტესობა ორნამენტირებულია.

აღნიშნული ჯგუფის დოქები პირის ფორმის მიხედვით იყოფა ორ ქვეჯგუფად:

**IV-1 ქვეჯგუფი-** დოქები მრგვალი, გადაშლილი პირით (ტაბ. XXXIV-4).

**IV-2 ქვეჯგუფი-** დოქები ძაბრისებური პირით (ტაბ. XXXIV-5).

IV-1 ქვეჯგუფის დოქებს ყური, ძირითადად, მიძერწილი აქვთ პირზე და მხარზე, ხოლო IV-2 ქვეჯგუფის დოქებს ყური მიძერწილი აქვთ უშუალოდ პირს ქვემოთ და მხარზე.

ძაბრისებურპირიანი დოქები და ხელადები, ძირითადად, აფხაზეთის ტერიტორიაზე დასტურდება და უმეტეს შემთხვევაში აღმოჩენილია იმ არქეოლოგიურ კომპლექსებში, რომელთა თარიღი ახ.წ. III ს.- IV საუკუნის I ნახევრით არის განსაზღვრული. ისინი, ძირითადად, ორნამენტირებულია [Воронов 1979: 183, 185].

მსგავსი პირის ფორმის ხელადები აფხაზეთში ახ.წ. II ს-ის ბოლო - III ს-ის დასაწყისიდან იწყებენ გავრცელებას. II-III სს-ით დათარიღებული ამგვარი ხელადები აღმოჩენილია წებელდის, აპიანჩას, აბგიძარახუს, ახაჩარხუს და სხვა სამაროვნებზე [Гунба 1978:20-41].

ხშირია ამგვარი ხელადების კორპუსის შემკობა ხშირი, ტალღისებური ორნამენტით (აღსანიშნავია, რომ გვიანანტიკურსა და ადრეშუა საუკუნეების პერიოდში, აფხაზეთის ტერიტორიაზე, თითქმის ყველა კერამიკულ ფორმას ტალღური ორნამენტი ამკობს: ქვევრებს, დერგებს, ჯამებს, სასმისებს). კერამიკულ ჭურჭელზე ამგვარი ორნამენტის დასატანად გამოყენებულია სავარცხლისებური იარაღი. ტალღური ორნამენტის გარდა, ძაბრისებურპირიანი დოქების კორპუსები შემკულია სათვალისებური სპირალით; რომბული მოტივებით შემდგარი სარტყლებით; კონცენტრული წრეებით. ვხვდებით დოქების ვარდულოვანი ორნამენტით შემკობასაც, რომელიც შექმნილია ხუთი ან ექვსი მცირე ზომის კონცენტრული წრეებისგან. ხშირად ორნამენტირებულია დოქის ძაბრისებური პირიც-მას, როგორც წესი, გოფრირებას უკეთებენ, თუმცა ვხვდებით ასევე სადა ძაბრისებურ პირებსაც.

წებელდის ახ.წ. II-IV სს. დათარიღებულ სამაროვანზე აღმოჩენილი დოქები და ხელადები ტალღური ორნამენტის გარდა გაფორმებულია ასევე ხვიებით, ირიბი ნაჭდევებით, წნული ორნამენტით, რომბული ორნამენტით, „სათვალისებური სპირალით“ და ა.შ. [Воронов 1969:60].

დოქების ტანზე, ზოგ შემთხვევაში, დატანილია ზოომორფული გამოსახულებები (თხის, ცხვრის), რომლებსაც გარშემო შემოუყვება ხუთი ან ექვსი მცირე ზომის კონცენტრული წრე. ამ ხერხით იქმნება ეფექტი, რომ ზოომორფული გამოსახულებები ვარდულში ზის. ვხვდებით ასევე შემთხვევებს, როცა ძაბრისებურპირიან ხელადებზე ზოომორფული გამოსახულებები და კონცენტრული წრეები დატანილია ცალ-ცალკე [Гунба 1978:37].

ზოომორფული გამოსახულებების დატანა დამახასიათებელია, ზოგადად, აფხაზეთის გვიანანტიკური ხანის კერამიკისთვის (წებწლდა, ახაჩარხუ, აპიანჩა, აბგიძარახუ და ა.შ), რაც ადგილობრივი ტომების მესაქონლეობასთან მჭიდრო კავშირს უნდა ადასტურებდეს.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ კერამიკულ ჭურჭელზე გამოსახული ცხოველები წარმოადგენენ არა მხოლოდ ორნამენტს, არამედ ისინი, ამავე დროს, განასახიერებენ მსხვერპლად შეწირულ ცხოველებს, რაც უკავშირდება მესაქონლეობის ღვთაებასთან დაკავშირებულ რიტუალს. ამგვარ რწმენა-წარმოდგენებს, როგორც ჩანს, დიდი ხნის ტრადიცია ჰქონდა საქართველოს და მათ შორის აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ტომებში [Шамба 1970: 22-23]. ამავე დროს, აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებული სათვალისებური, სპირალური ორნამენტი, შესაძლებელია, დაკავშირებული იყოს სოლარულ კულტთან [Шамба 1970: 20].

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა წებელდის სამაროვანზე, ახ.წ. III ს-ით დათარიღებულ სამარხში აღმოჩენილი ძაბრისებურპირიანი, სფერულმუცლიანი დოქი, რომელსაც მხრებზე ირგვლივ შემოსდევს სვასტიკის ნიშნები (ტაბ. XXXIII-2). სვასტიკა სათვალისებურ სპირალურ ორნამენტთან ერთად სოლარულ კულტთან უნდა იყოს კავშირში.

ამავე სამაროვანზე აღმოჩნდა დოქის ყურის ფრაგმენტი ხის გამოსახულებით, რომელიც ასევე ახ.წ. III ს-ით თარიღდება [Воронов 1979:183,191]. ხის გამოსახულება, შესაძლებელია, დაკავშირებული იყოს სიცოცხლის ხესთან. ამგვარი გამოსახულებები, როგორც ვნახეთ, მრავლადაა აღმოჩენილი საქართველოს ტერიტორიაზე, სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიურ არტეფაქტებზე.

სარიტუალო დანიშნულების ხელადა დაფიქსირდა აფხაზეთში- ტამიშის გვიანანტიკური ხანის სამაროვანზე. ხელადა ცალყურიანია, აქვს მხრებთან გაფართოებული, კვერცხისებური მუცელი და ფართო, ბრტყელი ძირი. ყურის ქვედა ნაწილზე დატანილია ხელოსნის დამღა-ადამიანის სქემატური გამოსახულება თავის გარეშე, გაშლილი ხელებით და ფეხებით [Воронов 1969:65]. შესაძლებელია, აღნიშნული გამოსახულება განასახიერებდეს მლოცველ ან მოცეკვავე (საუბარია რიტუალურ ცეკვაზე) ადამიანს, რომელიც გარკვეულ რიტუალს აღასრულებს რომელიმე წარმართული ღვთაებისადმი.

როგორც ჩანს, წებელდური ტიპის დოქებს (ძაბრისებური პირით) გვიანანტიკური ხანის ბოლოს (III საუკუნის მიწურულს - IV საუკუნის დასაწყისში) უჩნდებათ დაბალი ქუსლი. ამგვარი დოქები (მსხლისებური ტანით და დაბალი ქუსლით) მრავლადაა აღმოჩენილი ამ პერიოდის აფხაზეთის არქეოლოგიურ ძეგლებზე (ტაბ. XXXIII-5).

აფხაზეთის გვიანანტიკური ხანის კერამიკული ნაწარმის დამახასიათებელი საერთო ელემენტები და ერთფეროვნება, ადგილობრივი, საერთო ტრადიციის ჩამოყალიბებაზე მეტყველებს. თუმცა, უნდა ავღნიშნოთ, რომ წებელდური კულტურის კერამიკა მკვეთრად გამოირჩევა დასავლეთ საქართველოს სხვა არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი კერამიკისგან გვიანანტიკურ ხანაში: ძაბრისებური პირი, ხშირი ორნამენტაცია თუ სხვა ელემენტები არ არის დამახასიათებელი ამ პერიოდის დასავლეთ საქართველოს კერამიკული ნაწარმისთვის.

არქეოლოგიური აღმოჩენები ცხადყოფს, რომ წებელდა იყო ძალიან მნიშვნელოვანი, სტრატეგიული ადგილი ახ.წ. II-IV საუკუნეებში და სოხუმისა და კოდორის ხეობის დამაკავშირებელ გზაზე იყო განთავსებული, რამაც განაპირობა აქ სხვადასხვა ხასიათის კომპლექსების (ნამოსახლარების, სამაროვნების) წარმოქმნა და განვითარება, ხელი შეუწყო მოსახლეობის კონცენტრაციას.

ამ სამოსახლოებს სამხედრო დანიშნულებაც უნდა ჰქონოდათ, რაც შესაძლოა, ზოგ შემთხვევაში, განაპირობებდა სამხედრო კონტიგენტის ეთნიკურ მრავალფეროვნებას. ამით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული წებელდის ზოგიერთი სამაროვნისთვის ასე დამახასიათებელი დაკრძალვის წესის მრავალფეროვნება. თუმცა, მასალაზე დაკვირვების შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ გვიანანტიკური ხანის აფხაზეთის ქალაქების და სხვადასხვა სამოსახლოების განსაზღვრული ნაწილის მოსახლეობა შედგებოდა ელინიზირებული, საშუალო ფენის ადგილობრივი ტომებისგან [Трапш 1969].

გვიანანტიკური ხანის მიწურულიდან, აღმოსავლეთ კოლხეთის ტერიტორიაზე ვრცელდება დოქების და ხელადების ჯგუფი, რომელსაც ახასიათებს მსხლისებური ტანი, გადაშლილი პირი, მაღალი, სწორი ყელი და ბრტყელი ძირი. ამ ტიპის ხელადებს ყური მხარზე აქვთ დაძერწილი (ტაბ. XXXIII-6). მათი ტანი ნაპრიალები და ძირითადად უორნამენტოა. აღნიშნული ჯგუფის დოქები და ხელადები დამზადებულია სრულყოფილი ტექნოლოგიური პროცესით, თიხა კარგად განლექილი და გამომწვარია. გამოწვის ხარისხი მაღალია. დამზადებულია მოწითალო-მოჩალისფრო ფერის თიხისგან.

აღნიშნული ფორმის ხელადები, ძირითადად, დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში გვხვდება. კომპლექსები, რომლებშიც ისინი დადასტურდა დათარიღებულია ახ.წ. III საუკუნის მეორე ნახევრით ან მიწურულით და IV საუკუნის პირველი ნახევრით (საირხე, ჩხარი, რგანი, ჯიეთი) [ზრაგვაძე 1997] [ზრაგვაძე 2000] [ზრაგვაძე 2002].

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნული ჯგუფის დოქები შედარებით იშვიათად გვხვდება და აღმოჩენილია სამთავისის, ნეძიხის, ურბნისის, ჟინვალის სამაროვნებზე, სადაც ისინი III საუკუნის მიწურულით ან IV საუკუნის დასაწყისით თარიღდებიან. როგორც ჩანს, მსხლისებურტანიანი დოქების ეს ჯგუფი აღმოსავლეთ საქართველოში დასავლეთ საქართველოდან არის შეტანილი და ამგვარი დოქების საწარმოო კერა აღმოსავლეთ კოლხეთი უნდა იყოს [ჩიხლაძე 2015:171]. აღსანიშნავი ფაქტია, რომ ანალოგიური ჭურჭელი დასტურდება საქართველოს ფარგლებს გარეთაც. ისინი აღმოჩენილია გარნის ანტიკურ სამაროვანზე, იმ სამარხებში, რომელთა თარიღი ახ.წ. III ს.- IV საუკუნის I ნახევარია [ზრაგვაძე 2000: 103-104], რომლებიც, სავარაუდოდ, აღმოსავლეთ კოლხეთიდან უნდა იყოს შეტანილი სომხეთის ტერიტორიაზე.

ახ.წ. III ს-ის ბოლოდან გავრცელებული მსხლისებურტანიანი დოქების ეს ჯგუფი აღმოსავლეთ კოლხეთში ცვლის მანამდე გაბატონებულ სფერულმუცლიან დოქებსა და ხელადებს, თუმცა III ს-ის შემდგომაც, IV ს-ში, დოქების ტანის ორივე ფორმა (სფერულმუცლიანი და მსხლისებურმუცლიანი) თანაარსებობს.

ახ.წ. I-IV სს-ში, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, აღმოსავლეთ საქართველოს მსგავსად, გავრცელებულია ორყურა დოქები:

ძევრში აღმოჩენილია I-1-2-1-1 სახეობის (პირგადაშლილი, სფერულმუცლიანი) ორყურა დოქი. კორპუსის შუა და ქვედა ნაწილზე, ორ მწკრივად, შემოუყვება მეჭეჭისებური კოპები. გამომწვარია მოწითალოდ (ტაბ. XXXIII-3). თარიღდება II-III სს-ით [ზრაგვაძე 2003:91].

ამგვარი დოქები მიკვლეულია ჩხოროწყუსა და ფერეთაში, მაგრამ ძევრის ნიმუში საგრძნობლად განსხვავდება მათგან, ძირითადად, კორპუსის შემკობის მხრივ და წარმოადგენს სამთავროზე აღმოჩენილი ცალების ანალოგს.

ახ.წ. II-III სს. დათარიღებული ორყურა დოქი (I-1-2-2 ქვეტიპის) აღმოჩენილია ასევე ჩხარის სამაროვანზე (თერჯოლის რ-ნი). ძევრის დოქისგან განსხვავებით მას ოვალურგანივკვეთიანი ყურები პირს ქვემოთ და მხარზე აქვს მიძერწილი. გამომწვარია მოწითალო-მოაგურისფროდ. დამზადებულია უხეში, ქარსმინარევებიანი თიხისგან (ტაბ. XXXIV-6). ჩხარის სამაროვანზე აღმოჩენილი დოქი უახლოვდება არმაზისხევის და დედოფლის გორის ორყურა, ყელწიბოიან დოქებს, თუმცა იმ განსხვავებით, რომ მას ყელზე წიბო არ აქვს. საგულისხმო ფაქტია, რომ ჩხარის სამაროვნის ორყურა დოქის ზუსტი ანალოგია დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე არ ფიქსირდება [ზრაგვაძე 1997].

ვანის რაიონის სოფ. ფერეთას ტერიტორიაზე დადასტურდა აგრეთვე ორყურა ჭურჭელი. შემსწავლელი მას კანთაროსისებურ სასმისს უწოდებს. ჭურჭელი თხელკედლიანია, პირგადაშლილი, აქვს გამობერილი მუცელი, ძირისკენ დაქანებული კალთებით. ქუსლი ამოღარულია. მრგვალგანივკვეთიანი ყურები მიძერწილია მუცელზე. გამომწვარია აგურისფრად (ტაბ. XXXIV-7). აღნიშნული ჭურჭელი ახ.წ. I საუკუნის II ნახევრით ან ახ.წ. II საუკუნის დასაწყისით თარიღდება [ხარაზაძე 2002:82].

ახ.წ. II ს-ის მეორე ნახევრით უნდა დათარიღდეს სოფ. ბანძაში, ქვევრსამარხში აღმოჩენილი აგურისფრად გამომწვარი ორყურა დოქი. სამარხის დამათარიღებელია აქ დადასტურებული ანტონინე კეისრის (138-161 წწ.) მონეტა [მაკალათია 1928:186].

როგორც ჩანს, ორყურა დოქები დასავლეთ საქართველოში ადრეულ შუა საუკუნეებშიც აგრძელებს არსებობას. კერძოდ, აღნიშნული პერიოდის ამგვარი ჭურჭელი აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე. იგი ყავისფერკეციანი, პირგადაშლილი, სფერულმუცლიანი და ბრტყელძირიანია. ოვალურგანივკვეთიანი ყურები მუცელზეა მიძერწილი. სიმაღლე-30 სმ [კაჭარავა... 1979:9].

რიყიანების სამაროვანზე აღმოჩენილ ორყურა დოქებს უახლოვდება საირხის საზადურის გორაზე აღმოჩენილი ორყურა დოქი. სტრატიგრაფიული მონაცემების მიხედვით საზადურის გორაზე აღმოჩენილი დოქი დათარიღებულია ძვ.წ. I -ახ.წ. I საუკუნეებით. იგი მოჩალისფროდაა გამომწვარი და წითელი ანგობით დაფარული. კეცი მოვარდისფრო-მოყავისფროა. დოქს აქვს გადაშლილი პირი, მომაღლო და ვიწრო, წიბოიანი ყელი, თანაბრად მომრგვალებული, შედარებით მოგრძო მუცელი. მუცელზე

მიძერწილია ორი ოვალურგანივკვეთიანი ყური. ძირი ბრტყელია (ტაბ. XXXIV-3) [ბრაგვაძე 1993: 38].

საირხის საბადურის გორაზე აღმოჩენილი ორყურა დოქი როგორც მორფოლოგიურად, ისე ტექნოლოგიურად ახლოს დგას აღმოსავლეთ საქართველოში გამოვლენილ ორყურა დოქებთან და თითქმის იდენტურია რიყიანების სამაროვნის ორყურა დოქებისა. არაა გამორიცხული, რომ საბუდარის გორის ორყურა დოქი აღმოსავლური (იბერიული) იმპორტი ყოფილიყო. ამ არგუმენტს შესაძლებელია მხარს უჭერდეს ასევე აღნიშნული დოქის ორნამენტი- წიბო ყელზე, რომელიც ასე დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს კერამიკული ნაწარმისთვის.

გამოთქმულია საფუძვლიანი მოსაზრება, რომ გვიანანტიკური ხანის საირხეში იბერიის გავლენით ვრცელდება ყელწიბოიანი დოქები [ბრაგვაძე 1993: 37], თუმცა აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ უფრო ადრეული ყელწიბოიანი დოქები (გვიანელინისტური ხანის ყელწიბოიანი დოქები აღმოჩენილია ვანში, მაღლაკში, დაბლაგომში) შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება დასავლეთ საქართველოშიც.

როგორც ვხედავთ, არქეოლოგიური მასალა უტყუარად მიანიშნებს აღმოსავლეთ კოლხეთის და აღმოსავლეთ საქართველოს მჭიდრო კულტურულ ურთიერთობებზე გვიანანტიკურ ხანაში, რაც, რა თქმა უნდა, განპირობებული უნდა ყოფილიყო აღნიშნულ პერიოდში არსებული პოლიტიკური სიტუაციით:

გვიანანტიკურ ხანაში აღმოსავლეთ კოლხეთი წარმოადგენდა მძლავრ ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც რომაული პერიოდის დასაწყისიდანვე კოლხეთის მფლობელობიდან გადადის ქართლის სამეფოს შემადგენლობაში. ეს ვითარება განპირობებული იყო ბევრი გარემოებით. ძვ.წ. II ს-ში შექმნილ ქართლის სამეფოს განვითარების მეტი პირობები შეექმნა, ვიდრე კოლხეთს, რომელიც თანდათან მოექცა პონტოს პოლიტიკური ინტერესების სფეროში. ამ ვითარებით ისარგებლა კოლხეთთან შედარებით ძლიერმა ქართლის სამეფომ და ძვ.წ. I ს-ის ბოლო ხანებიდან გაიმყარა პოზიციები კოლხეთის აღმოსავლეთ პროვინციებში [ბრაგვაძე 2005].

ამრიგად, რომაული ეპოქის დასაწყისშივე, აღმოსავლეთ კოლხეთის პოლიტიკური ყოველდღიურობა მყარად დაუკავშირდა ქართლის სამეფოს და ამ

პერიოდიდან მოყოლებული აქ კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრების ახალი ერა დაიწყო, რაც კარგად დასტურდება ამ ტერიტორიაზე, გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური მასალის შესწავლითაც.

თავის მხრივ, აღმოსავლეთ კოლხეთი წარმოადგენდა მნიშვნელოვან სტრატეგიულ ერთეულს. აქ გამოვლენილი ძეგლების მნიშვნელოვანი გზების ტოპოგრაფია ადასტურებს, რომ ისინი იცავდნენ უღელტეხილებს, კეტავდნენ ვიწრო ხეობებს და სტრატეგიულ პუნქტებს [ბრაგვაძე 2005].

თუ სამტუჩაპირიანი დოქები აღმოსავლეთ საქართველოში ძვ.წ. VI ს-დან გვხვდება, დასავლეთ საქართველოში ასეთი ტიპის ჭურჭელი უფრო მოგვიანო ხანაში-ძვ.წ. III ს-დან შემოდის [სულავა 1996:36] და მრავლად დასტურდება გვიანანტიკური ხანის ძეგლებზე (სამაროვნებსა თუ ნამოსახლარებზე), მთელს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ახ.წ. I-IV სს-ში. ასეთი ტიპის დოქებისთვის დამახასიათებელია ფართო, სამყურას მსგავსი, კიდემომრგვალებული პირები. ყურის მოპირდაპირე ტუჩი დაგრძელებულია და დაბლაა დაწეული, ხოლო დანარჩენი ორი-მრგვალი და ურთიერთსიმეტრიულია. მათ ახასიათებთ სწორხაზოვანპროფილიანი, უმეტეს შემთხვევაში დაბალი, ქვემოთ გაფართოებული ან დავიწროებული ყელი.

აღნიშნული ტიპის დოქებისთვის, ძირითადად, დამახასიათებელია სფერული მუცელი. იშვიათად გვხვდება სამტუჩა, მსხლისებურმუცლიანი ხელადებიც (მაგ. სამტუჩაპირიანი და მსხლისებურმუცლიანი ხელადა დასტურდება კლდეეთის ახ.წ. II ს. სამაროვანზე).

დასავლეთ საქართველოში, ახ.წ. I-III საუკუნეებით დათარიღებული დოქების და ხელადების აბსოლუტური უმრავლესობისთვის დამახასიათებელია სფერული მუცელი. მხოლოდ გვიანანტიკური ხანის ბოლოსკენ შეინიშნება დოქების კორპუსისთვის მასიურად მსხლისებური ფორმის მიცემა.

როგორც ჩანს, გვიანანტიკური ხანის მიწურულიდან მსხლისებურტანიანი დოქები ცვლის მანამდე გაბატონებულ სფერულმუცლიან ამგვარ ჭურჭელს (უფრო ზუსტად თანაარსებობს მათთან ერთად). ამ ფორმის დოქების დამზადება ვრცელდება ისტორიულ ეგრისში, როგორც რიონის ჩრდილოეთით ასევე სამხრეთით. მაგ. ახ.წ. IV-V სს. მსხლისებურტანიანი ხელადები მასიურად დასტურდება ქუთაისში [ლანჩავა

2007:118], ყვირილის ხეობის არქეოლოგიურ ძეგლებზე [ნადირაძე 1975: 57] [ბრაგვაძე 2000] [ბრაგვაძე 2002] და ა.შ.

აღმოსავლეთ საქართველოს მსგავსად ორკორპუსიანი ხელადები, როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოშიც დასტურდება: საინტერესოა კლდეეთის სამაროვანზე დადასტურებული ორმუცლიანი ხელადა, რომელსაც აქვს სამტუჩა პირი, დაბალი, შეზნექილი ყელი. ყური მიძერწილია პირზე და მხარზე. ხელადის მუცელი ყელს ქვემთ იყოფა ორ, მსხლისებრი მოყვანილობის (უფრო წაკვეთილი კონუსის ფორმის) ძირდაბრტყელებულ მუცლად, რომლებიც გარდა საზიარო ყელისა, უღლის მეშვეობითაც უერთდებიან ერთმანეთს (ტაბ. XVI-3).

გ. ლომთათიძე გამოთქვამდა ვარაუდს, რომ ზემოაღწერილი ხელადა სარიტუალო მნიშვნელობის ჭურჭელი იყო და იგი საგანგებოდ სამარხში ჩასატანებლად იყო დამზადებული. ხელადა ახ.წ. II ს-ით თარიღდება [ლომთათიძე 1957:26].

კლდეეთში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი თავისი ტექნოლოგიური მონაცემებით თითქმის სრულ ანალოგიას დასავლეთ საქართველოს მასალებში პოულობს. კეცი ამ მასალისა უფრო მოყავისფროა, ზოგჯერ გაშავებულიც. ხასითდება ქარსიანობით. სუსტად გამომწვარია და ადვილად შლადი.

სოფ. კლდეეთი (ზესტაფონის რაიონი) ისტორიული ეგრისის და ქართლის სამეფოს საზღვარზე მდებარეობდა. ქართული წყაროების მიხედვით მიჩნეულია, რომ ქ. შორაპანი ქართლის პირველი მეფის-ფარნავაზის მიერაა აშენებული და იგი ბორის არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობითაც ქართლის მონაპირე ერისთავის (პიტიახშის) საგამგებლო ერთეულში შედიოდა. როგორც ჩანს, კლდეეთი დასავლურ-ქართულ სამყაროში ექცეოდა როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურულად [ჯაფარიძე 1984:29].

დასავლეთ საქართველოში შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება გვიანანტიკური ხანის წითელი წერნაქით მოხატული ჭურჭელი. მაგ. სოფ. ზედა გორაზე (ვანის რ-ნ) ახ.წ. I-II სს. დათარიღებულ სამარხში დადასტურდა I ჯგუფის დოქი, რომლის ყური შემკულია ირიბი ნაჭდევებით და წითელი საღებავით. მისი ტანი ასევე შემკულია წითელი საღებავის თარაზული ზოლებით [ხარაბაძე 2003: 165].

ფერეთას (ვანის რ-ნ) ახ.წ. I-II სს-ით დათარიღებულ სამარხში აღმოჩენილია დოქის ფრაგმენტი, რომელზეც წითელი საღებავით დატანილია ჰორიზონტალური ზოლები [ხარაბაძე 2002:83].

ძვ.წ. I- ახ.წ. I საუკუნეებით დათარიღებული წითელი წერნაქით მოხატული სამტუჩა დოქები დიდი  რაოდენობით არის დადასტურებული საირხის საბადურის გორაზე. აქ აღმოჩენილი დოქების ხაოიანი ზედაპირის მოხატულობა განლაგებულია ფრიზებად, გვხვდება მძივისებრი, ტალღისებრი ორნამენტი, სარტყლები, ზიგზაგები, წერტილები.

საირხული დოქები ახლო ანალოგებს უფლისციხის და დედოფლის გორის ნაწარმთან პოულობს. საერთოა მოხატვის პრინციპები და მორფოლოგიური ფორმები [ბრაგვაძე 1993:37].

დასავლეთ საქართველოს გვიანანტიკური ხანის დოქები და ხელადები, თუ აფხაზეთის ამ პერიოდის კერამიკულ ჭურჭელს არ გავითვალისწინებთ, საკმაოდ ძუნწად არის ორნამენტირებული. მათზე ვხვდებით მხოლოდ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ღარებს; ტანის კანელურებით შემკობას; ირიბი ნაჭდევებით გაფორმებას; იშვიათად ყელს შემოუყვება წიბო. უმეტეს შემთხვევაში კი მათი ტანი სადა რჩება.

თიხის გამოწვით, დამზადების ხერხებით, დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა პუნქტებში აღმოჩენილი ჭურჭელი ერთმანეთისგან არა მკვეთრად, მაგრამ მაინც გამოირჩევა.

ჩვენ გამოვყავით და ცალ-ცალკე დავითვალეთ ახ.წ. I ს. -II საუკუნის I ნახევრით; ახ.წ. II საუკუნის II ნახევრი- III საუკუნით და III საუკუნის მეორე ნახევრით- IV საუკუნის I ნახევრით დათარიღებული დოქების და ხელადების მორფოლოგიური და ტექნოლოგიური ნიშნები, შევადგინეთ შედარებით-სტატისტიკური ცხრილი, სადაც პროცენტულად არის დათვლილი სხვადასხვა მახასიათებელი და ნაჩვენებია თუ როგორ იცვლება ეს ნიშნები ზემოთ აღნიშნული საუკუნეების განმავლობაში. ცხრილმა შემდეგი სურათი მოგვცა:

| | I ს.-II ს-ის I ნახევარი | II ს-ის II ნახევარი- III ს. | III ს-ის II ნახ.- IV ს-ის I ნახ. |
|---|---|---|---|
| მრგვალი, გადაშლილი პირი | 45% | 52% | 61 % |
| სამტუჩა პირი | 55% | 32 % | 8 % |
| ძაბრისებური პირი | | 16 % | 31 % |
| დაბალი ყელი | 100 % | 88% | |
| მაღალი ყელი | | 12% | |
| სფერული მუცელი | 85% | 60% | 42 % |
| მსხლისებური მუცელი | 15% | 24% | 49% |
| შემაღლებული, ოვალური ფორმის მუცელი | | 8 % | |
| კვერცხისებური მუცელი | | 8 % | 9 % |
| ორყურა დოქები | 8 % | 9% | 4% |
| ყური მიძერწილი პირზე და მხარზე | 90% | 64 % | 20 % |
| ყური მიძერწილი ყელზე და მხარზე | 10 % | 36 % | 12% |
| | | | 38 % |

| | | | |
|---|---|---|---|
| ყური მიძერწილი პირს ქვემოთ და მხარზე<br><br>ყური მიძერწილი მხარზე | | | 30% |
| ორნამენტირებული | 30% | 51 % | 41% |
| სადა | 70% | 49 % | 59 % |
| ყელწიბოიანი | | 8 % | 10 % |
| სხვა ორნამენტი | 30 % | 43 % | 31% |
| მოჩალისფრო-მოწითალოდ გამომწვარი | 45% | 76 % | 83% |
| მოშავო-მოყავიოსფროდ გამომწვარი | 55% | 24 % | 17% |
| წითლად შეღებილი | 10% | | |
| ქუსლიანი ძირი | | | 12 % |

ცხრილის შედგენის შემდეგ საშუალება გვაქვს გავაკეთოთ მცირე დასკვნები დოქების და ხელადების მორფოლოგიურ და ტექნოლოგიურ ცვლილებებთან დაკავშირებით I საუკუნიდან IV ს-ის პირველი ნახევრის ჩათვლით:

დასავლეთ საქართველოში, I-II სს-ში, სამტუჩაპირიანი დოქების წარმოება საკმაოდ მაღალია (55 %), თუმცა, II ს-ის ბოლოდან თუ III ს-ის დასაწყისიდან ამგვარი დოქების წარმოება კლებულობს და III ს-ის ბოლო- IV ს-ის დასაწყისისთვის თითქმის აღარც გვხვდება (ამ პერიოდში მათი რაოდენობა მხოლოდ 8 %-ია).

II ს-ის ბოლოდან აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებას იწყებს ძაბრისებურპირიანი დოქები და ხელადები, რომელთა წარმოება III ს-დან კიდევ

უფრო იზრდება და ისინი ხშირად დასტურდება III-IV სს-ით დათარიღებულ არქეოლოგიურ ძეგლებზე.

I-II სს-ში, დასავლეთ საქართველოში, უმრავლესობას შეადგენენ სფერულმუცლიანი დოქები. მხოლოდ მცირე რაოდენობით მზადდება ამ დროს მსხლისებურმუცლიანი დოქები და ხელადები.

აღნიშნული მდგომარეობა იცვლება III ს-ის მეორე ნახევრიდან, როცა მასობრივად იწყება მსხლისებურმუცლიანი დოქების და ხელადების გავრცელება დასავლეთ საქართველოში. მათ ამ პერიოდში რაოდენობრივად გადააჭარბეს კიდეც მანამდე გავრცელებულ სფერულმუცლიან დოქებს. აღნიშნული ვითარება ყველაზე კარგად აისახა კოლხეთის აღმოსავლეთ რეგიონებზე, სადაც, III-IV სს-ში მსხლისებურმუცლიანი დოქები და ხელადები ხდება წამყვანი ფორმა.

ამ პერიოდში მხოლოდ მცირე რაოდენობით მზადდება კვერცხისებურტანიანი და ოვალისებურტანიანი დოქები.

I-II სს-ში დოქების უმრავლესობა სადაა, ყოველგვარი ორნამენტის გარეშე (70 %), თუმცა მათი ორნამენტირება (მარტივი ხერხებით) მატულობს II ს-ის ბოლო, III ს-ის დასაწყისიდან (ამ დროს ორნამენტირებული დოქები უკვე 51 %-ს შეადგენს), თუმცა, აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ორნამენტირებული კერამიკული ჭურჭლის დიდი პროცენტი აფხაზეთზე მოდის.

წითელი წერნაქით შეღებილი დოქები მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც დასტურდება ახ.წ. I საუკუნე - II საუკუნის I ნახევარში (10%), თუმცა, შემდგომ პერიოდში ამგვარად გაფორმებული დოქები თითქმის მთლიანად ქრება.

III ს-ის მეორე ნახევრიდან დოქების მცირე ნაწილს უჩნდება დაბალი ქუსლი. აღნიშნული მოტივი ადრეული პერიოდის დოქებისთვის არ არის დამახასიათებელი.

II-III სს-ში დასტურდება დოქების და ხელადების მცირე ჯგუფი, რომელთაც ყელზე წიბო შემოუყვება (მათი რაოდენობა ამ პერიოდში მხოლოდ 8-10 %-ია). ყელწიბოიანი ჭურჭელი, აღმოსავლეთ საქართველოსგან განსხვავებით, დასავლეთ საქართველოსთვის არ არის დამახასიათებელი.

(იხილეთ ასევე დიაგრამები დოქების და ხელადების მორფოლოგიური და ტექნოლოგიური ნიშნების პროცენტული მაჩვენებლების შესახებ. გვ: 231-233; და ქრონოლოგიური შკალა- გვ. 235-245).

## § 2. ჯამები

გვიანანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე, აღმოსავლეთ საქართველოს მსგავსად, ჯამების აღმოჩენის ფაქტები იშვიათია სხვა კერამიკულ ფორმებთან შედარებით.

ჯამები პირის ფორმის მიხედვით იყოფა სამ ჯგუფად:

I **ჯგუფში** ერთიანდება პირმოყრილი ჯამები (ტაბ. XXXV-1).

II **ჯგუფში** ერთიანდება პირგადაშლილი ჯამები (ტაბ. XXXV-2).

III **ჯგუფს** შეადგენს სწორპირიანი ჯამები (ტაბ. XXXV-3).

I **ჯგუფის** ჯამები ძირის ფორმის მიხედვით იყოფა სამ ქვეჯგუფად:

**I-1 ქვეჯგუფი:** დაბალქუსლიანი ჯამები. როგორც წესი მათი ქუსლი ამოღარულია (ტაბ. XXXV-4).

**I-2 ქვეჯგუფი:** მაღალფეხიანი ჯამები. აღნიშნული ქვეჯგუფის ჯამებიც ქუსლამოღარულია (ტაბ. XXXV-5).

**I-3 ქვეჯგუფი:** უქუსლო, ბრტყელძირიანი ჯამები (ტაბ. XXXV-1).

I-1 ქვეჯგუფი კორპუსის ფორმის მიხედვით იყოფა ორ ტიპად:

**I-1-1 ტიპი:** ძირისკენ მკვეთრად დაქანებული, სწორკალთიანი ჯამები. გვერდი და კალთა ხშირად გამოყოფილია.

**I-1-2 ტიპი:** კალთამომრგვალებული ჯამები.

I-2 ქვეჯგუფის ჯამები ასევე იყოფა ორ ტიპად:

**I-2-1 ტიპი** - ძირისკენ მკვეთრად დაქანებული, სწორკალთიანი ჯამები

**I-2-2 ტიპი-** კალთამომრგვალებული ჯამები (მათი კალთები თანდათან ვიწროვდება ძირისკენ).

I-3 ქვეჯგუფის ჯამები კორპუსის ფორმის მიხედვით ასევე იყოფა ორ ტიპად:

**I-3-1 ტიპი:** კალთამომრგვალებული ჯამები.

**I-3-2 ტიპი:** ძირისკენ მკვეთრად დაქანებული, სწორკალთიანი ჯამები. ამ ტიპის ჯამების გვერდი და კალთა, ზოგ შემთხვევაში, გამოყოფილია წიბოთი.

II **ჯგუფის** (პირგადაშლილი) ჯამები ძირის ფორმის მიხედვით იყოფა სამ ქვეჯგუფად:

II-1 **ქვეჯგუფი-** დაბალქუსლიანი ჯამები. მათში ჭარბობს ამოღარული ქუსლი, თუმცა, ზოგ შემთხვევაში, ქუსლის ძირი ბრტყელია (ტაბ. XXXV-2).

II-2 **ქვეჯგუფი-** მაღალფეხიანი ჯამები. აღნიშნული ქვეჯგუფის ჯამები ხშირ შემთხვევაში ქუსლამოღარულია (ტაბ. XXXV-6).

II-3 **ქვეჯგუფი-** უქუსლო, ბრტყელძირიანი ჯამები (ტაბ. XXXV-7).

აღნიშნული ჯგუფის ჯამებისთვის, ძირითადად, დამახასიათებელია ძირისკენ მკვეთრად დაქანებული, სწორი კალთები. გვერდი და კალთა, ზოგ შემთხვევაში, გამოყოფილია წიბოთი.

III **ჯგუფის** (სწორპირიანი) ჯამები ძირის ფორმის მიხედვით იყოფა ორ ქვეჯგუფად:

III-1 **ქვეჯგუფი-** დაბალქუსლიანი, ქუსლამოღარული ჯამები.

III-2 **ქვეჯგუფი-** უქუსლო, ბრტყელძირიანი ჯამები (ტაბ. XXXV-3).

III ჯგუფის ჯამებისთვის, ძირითადად, დამახასიათებელია ძირისკენ მკვეთრად დაქანებული, სწორი კალთები. გვერდი და კალთა, ზოგ შემთხვევაში, გამოყოფილია წიბოთი.

ჯამების ორნამენტირება გვიანანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოში იშვიათად და საკმაოდ მუნწად ხდებოდა: II-III სს-ით დათარიღებულ ჯამებზე ვხვდებით ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ღარებს, რომლებიც დაკბილული იარაღით დატანილია მათ ფეხზე და ტანზე. ზოგ შემთხვევაში, ჯამების ქუსლს შემოუყვება მრგვალი ნაჭდევებისგან შედგენილი სარტყელი. ვხვდებით ასევე შიდაპირმოგლუვებულ ჯამებს.

რაც შეეხება I ს. -II ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებულ ჯამებს ისინი, ძირითადად, სადატანიანებია და მათი ორნამენტირება თითქმის არ ხდებოდა.

ახ.წ. I-III სს-ის ჯამების მორფოლოგიური და ტექნოლოგიური ნიშნების პროცენტულმა დათვლამ შემდეგი სურათი მოგვცა:

| | I ს. - II ს-ის პირველი ნახევარი | II ს-ის მეორე ნახევარი- III ს. |
|---|---|---|
| პირგადაშლილი ჯამი | 8 % | 55 % |
| პირმოყრილი ჯამი | 86 % | 45 % |
| სწორი პირი | 6 % | |
| სწორკალთიანი, კალთადაქანებული | 70 % | 70% |
| კალთამომრგვალებული | 30 % | 30% |
| გვერდი და კალთა გამოყოფილი წიბოთი | 15 % | |
| დაბალქუსლიანი | 39 % | 50% |
| მაღალფეხიანი (ფეხიანი) | 23 % | 30 % |
| უქუსლო ბრტყელი ძირი | 38 % | 20 % |
| სადა (უორნამენტო ) | 93 % | 60 % |
| ორნამენტირებული | 7 % | 40 % |
| მოჩალისფრო-აგურისფერი | 39 % | 70 % |
| შავი | 15 % | |
| მონაცრისფრო-რუხი, მოყავისფრო | 46 % | 30% |

| | | |
|---|---|---|
| წერნაქიანი | 7 % | |

ცხრილის შედგენის შემდეგ შესაძლებელია გაკეთდეს მოკლე დასკვნები:

I ს. -II ს-ის პირველ ნახევარში ფართოდ არის გავრცელებული პირმოყრილი ჯამები (86 %). თუმცა, როგორც ჩანს, II ს-ის მეორე ნახევრიდან ან მიწურულიდან მდგომარეობა იცვლება და II-III სს-ში უკვე პირგადაშლილი ჯამები უთანაბრდებიან და მცირე რაოდენობით ჭარბობენ კიდეც (55 %) პირმოყრილ ჯამებს.

I ს. -II ს-ის პირველ ნახევარში თითქმის თანაბარი რაოდენობით ამზადებენ დაბალქუსლიან და უქუსლო, ბრტყელძირიან ჯამებს. მათთან შედარებით მცირე რაოდენობით მზადდება მაღალფეხიანი ჯამებიც (23 %). როგორც ჩანს, II ს-ის მეორე ნახევრიდან თუ მიწურულიდან დაბალქუსლიანი ჯამები მატულობს და მათი რაოდენობა 50 %-ს აღწევს, მაშინ როცა უქუსლო, ბრტყელძირიანი ჯამების რაოდენობა მხოლოდ 20 %-ია. შედარებით მომატებულია მაღალფეხიანი ჯამების წარმოებაც.

I ს. -II ს-ის პირველ ნახევარში ჯამების აბსულუტური უმრავლესობა სადაა, ორნამენტის გარეშე (93 %), II-III სს-ში კი ჯამების ორნამენტირება შედარებით იზრდება და მათი რიცხვი უკვე 40 % -ს აღწევს, თუმცა, ამ პერიოდშიც სადატანიანი ჯამები უმრავლესობაში რჩება (60 %-ით).

(იხილეთ ასევე დიაგრამები ჯამების მორფოლოგიური და ტექნოლოგიური ნიშნების პროცენტული მაჩვენებლების შესახებ. გვ: 233-234 და ქრონოლოგიური შკალა- გვ. 235-245).

# თავი II

# სამზარეულო ჭურჭელი

## § 1. ქოთნები

სამზარეულო კერამიკის დიდ ჯგუფს ქმნიან ქოთნები. ნამოსახლარებიდან მომდინარე მათი დიდი ნაწილი, ძირითადად, ნატეხების სახითაა წარმოდგენილი, თუმცა სამარხეული მასალიდან გვაქვს ქოთნების მთელი ნიმუშებიც.

დასავლეთ საქართველოს გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებული ქოთნების უდიდესი ნაწილი სფერულმუცლიანია. მათთვის, ძირითადად, დამახასიათებელია გადაშლილი, ბაკომომრგვალებული პირი, თუმცა ზანძაში, II ს-ით დათარიღებულ სამარხში ნაპოვნია ძაბრისებური ქოთნის პირიც. მათ ახასიათებთ დაბალი ყელი და ბრტყელი ძირი.

სფერულმუცლიანი ქოთნები ყურების რაოდენობის მიხედვით სამ ჯგუფად იყოფა:

I ჯგუფი- უყურო ქოთნები (ტაბ. XXXIX-1);

II ჯგუფი- ცალყურა ქოთნები (ტაბ. XXXIX-2);

III ჯგუფი- ორყურა ქოთნები (ტაბ. XXXIX-3).

I ჯგუფი ორნამენტაციის მიხედვით დაიყოფა ორ ქვეჯგუფად:

I-1 ქვეჯგუფი- სადატანიანი, უორნამენტო ქოთნები.

I-2 ქვეჯგუფი- ორნამენტირებული ქოთნები.

II ჯგუფის ქოთნები ყურების მდებარეობის მიხედვით ჭურჭელზე იყოფა სამ ქვეჯგუფად.

II-1 ქვეჯგუფი- ყური მიძერწილი მხარზე და მუცელზე (ტაბ. XXXIX-2) .

II-2 ქვეჯგუფი-ყური მიძერწილი პირზე და მხარზე (ტაბ. XXXIX-4) .

II-3 ქვეჯგუფი-ყური მიძერწილი ყელზე და მხარზე (ტაბ. XXXIX-5).

II-1 ქვეჯგუფი ორნამენტაციის მიხედვით დაიყოფა ორ ტიპად:

II-1-1 ტიპი- სადატანიანი, უორნამენტო ქოთნები.

II-1-2 ტიპი- ორნამენტირებული ქოთნები.

II-2 ქვეჯგუფი ორნამენტაციის მიხედვით დაიყოფა ორ ტიპად:

II-2-1 ტიპი- სადატანიანი, უორნამენტო ქოთნები.

II-2-2 ტიპი- ორნამენტირებული ქოთნები.

II-3 ქვეჯგუფი ორნამენტაციის მიხედვით დაიყოფა ორ ტიპად:

II-3 -1 ტიპი- სადატანიანი, უორნამენტო ქოთნები.

II-3 -2 ტიპი- ორნამენტირებული ქოთნები.

III ჯგუფის ქოთნები ყურების მდებარეობის მიხედვით ჭურჭელზე იყოფა ორ ქვეჯგუფად:

III-1 ქვეჯგუფი- ყურები ერთმანეთის სიმეტრიულად მიძერწილი პირზე და მხარზე (ტაბ. XXXIX-31).

III-2 ქვეჯგუფი- ყურები ერთმანეთის სიმეტრიულად მიძერწილი მხარზე და მუცელზე (ტაბ. XXXIX-32).

III-1 ქვეჯგუფის ქოთნები ორნამენტაციის მიხედვით დაიყოფა ორ ტიპად:

III-1-1 ტიპი- სადატანიანი, უორნამენტო ქოთნები.

III-1-2 ტიპი- ორნამენტირებული ქოთნები.

III-2 ქვეჯგუფის ქოთნები ორნამენტაციის მიხედვით დაიყოფა ორ ტიპად:

III-2-1 ტიპი- სადატანიანი, უორნამენტო ქოთნები.

III-2-2 ტიპი- ორნამენტირებული ქოთნები.

სამზარეულო კერამიკა, ძირითადად, დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი, მინარევებიანი (ქარსი, კვარცი, ავგიტი) თიხისგან. მათი დიდი ნაწილი ცუდად არის განლექილი ან განულექავია და კეციც არათანაბრად არის გამომწვარი. დამზადებულია მოწითალოდ, შავად, მოყვითალო-რუხად გამომწვარი თიხისგან.

დასავლეთ საქართველოს გვიანანტიკური ხანის ქოთნების უმრავლესობა სადაზედაპირიანია, თუმცა გვხვდება ორნამენტირებული ქოთნებიც. დასტურდება მათი ზედაპირდაღარული ნატეხები. ღარები ვერტიკალური, ჰორიზონტალური ან ირიბია. უხეში, უსწორმასწორო ღარები რჩება ჭურჭლის ზედაპირზე მაშინაც, როდესაც მას ასწორებენ ცოცხით ან ბალახის კონით. ასეთი ღარები ნაწილობრივ ან

მთლიანად ფარავს ქოთნების ზედაპირს. ზოგ მათგანს ირიბი ან ტალღისებური ნაჭდევების სარტყელი შემოუყვება ერთ ან რამდენიმე რიგად; ზოგს კონცენტრული წრეები აქვს ჩაჭდეული. გვხვდება ქოთნების ისეთი ფრაგმენტებიც, რომლებზეც ერთდროულად დატანილია ირიბი ნაჭდევები და ამოღარული ტალღური ორნამენტის რამდენიმე რიგი. ვხვდებით წიწვოვანი დარომბული ორნამენტით გაფორმებულ ქოთნებსაც (ტაბ. XXXIX-6) [ასათიანი 1975: 204].

ორნამენტი დატანილია, ძირითადად, ჭურჭლის მხარზე. ზოგ შემთხვევაში ორნამენტირებულია ასევე მათი ყელი და პირიც. ამგვარად ორნამენტირებული ქოთნები ახ.წ. I-IV სს-ით თარიღდება.

ქოთნის ყურები განივკვეთში მრგვალი, ოვალური ან ბრტყელია, გვხვდება წნული, გრეხილი ყურებიც. ისინი დამზადებულია ჩარხზე ან ხელითაა ნაძერწი.

ქოთნების ნაწილი გამურულია, ანუ ეტყობა ცეცხლზე ხმარების კვალი, რაც ხაზს უსვამს მათ ფუნქციურ დანიშნულებას-ისინი გამოიყენებოდნენ საჭმლის მოსამზადებლად. გვიანანტიკური ხანის ქოთნების ნაწილის პირის კიდე კედლიდან ღარით არის გამოყოფილი. როგორც ჩანს, ღარი ქოთნის პირის კიდეზე ხუფის დასამაგრებლად უნდა ყოფილიყო გაკეთებული.

გვიანანტიკური ხანის სამზარეულო კერამიკაში საკმაო რაოდენობით არის წარმოდგენილი ქოთნების თუ ქვაბქოთნების ხუფები. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ქოთნების სიმრავლე შესაბამისი ხუფების-სარქვლების გამოყენებასაც გულისხმობს. ჩვეულებრივია მრგვალ-ბრტყელი მოყვანილობის სხვადასხვაგვარყურიანი ხუფები. თიხა, ძირითადად, კარგად განლექილი ჩანს, მაგრამ გვხვდება ცუდად განლექილი, მინარევებიანი (ქარსი; კვარცი) თიხისგან დამზადებული ცალებიც.

ხუფების ნაწილის შიდაპირი, შუა ნაწილში შეღრმავებულია. ხუფის ყურები განივკვეთში მრგვალი ან ოვალურია. ვხვდებით ე.წ. ღილისებურ ყურებსაც. იშვიათად დასტურდება უყურო ხუფებიც [ასათიანი 1975:225].

გონიო-აფსაროსის ციხეში აღმოჩენილია ახ.წ. I-III სს. კონუსურშვერილიანი ხუფები [ლორთქიფანიძე 2002:169].

ხუფების ნაწილის ზედაპირი დაფარულია კონცენტრული ღარებით, თუმცა უმეტესობა სადაა. მათი დიამეტრი 5-9 სმ-ია; ყურის სიმაღლე- 1,7-2 სმ-ია.

## § 2. კოჭობები.

კოჭობები საშინაო ყოფაში ყოველთვის საჭირო და ხშირად გამოსაყენებელ ჭურჭელს წარმოადგენდა, რის გამოც ამ ტიპის კერამიკული ნაწარმი დიდი რაოდენობითაა დადასტურებული დასავლეთ საქართველოს გვიანანტიკური ხანის ნამოსახლარებსა და სამაროვნებზე.

კოჭობები მუცლის ფორმის მიხედვით სამ ჯგუფად იყოფა:

**I ჯგუფში** ერთიანდება სფერულმუცლიანი კოჭობები. ახასიათებთ გადაშლილი პირი, დაბალი ყელი და ბრტყელი ძირი.

ყურების რაოდენობის მიხედვით აღნიშნული ჯგუფი იყოფა ორ ქვეჯგუფად:

I-1 ქვეჯგუფი- უყურო კოჭობები (ტაბ. XL-1).

I-2 ქვეჯგუფი- ცალყურა კოჭობები (ტაბ. XL-2).

I-1 ქვეჯგუფი ორნამენტაციის მიხედვით ორ ტიპად დაიყოფა:

I-1-1 ტიპი- სადა, უორნამენტო კოჭობები.

I-1-2 ტიპი- ორნამენტირებული კოჭობები.

I-2 ქვეჯგუფი ყურის მიძერწვის მიხედვით ჭურჭელზე იყოფა ორ ტიპად:

I-2-1 ტიპი- ყური მიძერწილი პირზე და მხარზე.

I-2-2 ტიპი - ყური მიძერწილი მუცელზე.

I-2-1 ტიპი ორნამენტაციის მიხედვით იყოფა ორ ქვეტიპად:

I-2-1-1 ქვეტიპი- სადა, უორნამენტო კოჭობები.

I-2-1-2 ქვეტიპი- ორნამენტირებული კოჭობები.

I-2-2 ტიპი ორნამენტაციის მიხედვით ასევე იყოფა ორ ქვეტიპად:

I-2-2-1 ქვეტიპი- სადა, უორნამენტო კოჭობები.

I-2-2-2 ქვეტიპი-ორნამენტირებული კოჭობები.

**II ჯგუფში** ერთიანდება მსხლისებურკორპუსიანი კოჭობები. მათთვის ასევე დამახასიათებელია გადაშლილი პირი, დაბალი ყელი და ბრტყელი ძირი.

აღნიშნული ჯგუფის კოჭობები ყურების რაოდენობის მიხედვით იყოფა ორ ქვეჯგუფად:

II-1 ქვეჯგუფი- უყურო კოჭობები

II-2 ქვეჯგუფი- ცალყურა კოჭობები. ყური, ძირითადად, მიძერწილია პირზე და მხარზე. აღნიშნული ჯგუფის კოჭობები, ძირითადად, უორნამენტოა (ტაბ. XL-3).

III **ჯგუფში** ერთიანდება ბიკონუსურტანიანი კოჭობები. მათთვის დამახასიათებელია გადაშლილი პირი, დაბალი შეზნექილი ყელი და ბრტყელი ძირი.

ყურების რაოდენობის მიხედვით გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი:

III-1 ქვეჯგუფი- უყურო კოჭობები (ტაბ. XL-4).

III-2 ქვეჯგუფი- ცალყურა კოჭობები (ტაბ. XL-5). ყური, ძირითადად, მიძერწილია მუცელზე.

ბიკონუსურტანიანი კოჭობები, ძირითადად, უორნამენტოა და მათი დიდი ნაწილი ახ.წ. I ს-ით თარიღდება.

გვიანანტიკური ხანის კოჭობების უმრავლესობა I ჯგუფში ერთიანდება. ახასიათებთ განივკვეთში მრგვალი ან ოვალური ყურები.

ამ ტიპის ჭურჭელი, ძირითადად, სადაა, თუმცა გვხვდება ორნამენტირებული ცალებიც. მათი კეცი გამომწვარია მოყვითალო-მოვარდისფროდ, მონაცრისფროდ, მორუხო-შავად. გვხვდება როგორც კარგად განლექილი და კარგად გამომწვარი, ასევე ხელით ნაძერწი, არათანაბრად გამომწვარი, მინარევებიანი კოჭობები. თიხა შეიცავს ქარსის, კვარცის, ავგიტის მინარევებს. მათი ნაწილი, ქოთნების მსგავსად, გამურულია და ცეცხლზეა გამოყენებული.

კოჭობების სიმაღლე მერყეობს 8 სმ-დან 13 სანტიმეტრამდე; პირის დ- 4- 5,5 სანტიმეტრია; ძირის d- 3,5-6 სანტიმეტრი.

## § 3. ჩაფები

დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის ჩაფები არ გამოირჩევიან ფორმათა მრავალფეროვნებით და, ძირითადად, ერთი ტიპისანი არიან: მათ ახასიათებთ ფართო, მრგვალი პირი; მომაღლო, ცილინდრული ყელი; მომრგვალებული, სფერული მუცელი და ბრტყელი ძირი. ვხვდებით როგორც ყელწიბოიან, ასევე სრულიად უორნამენტო ჩაფებს. მათი ძირითადი ნაწილი დამზადებულია კარგად გამომწვარი, მოწითალო-მოჩალისფრო თიხისგან [ზრაგვაძე 2000] [ზრაგვაძე 2002].

ყურების რაოდენობის მიხედვით ჩაფებში ორი ქვეჯგუფი შეიძლება გამოიყოს:

I ქვეჯგუფი- ორყურა ჩაფები (ტაბ. XL-6);

II ქვეჯგუფი- ცალყურა ჩაფები (ტაბ. XL-7).

ყურები, როგორც წესი, მიძერწილია ყელზე და მხარზე. თუ ჩაფი ყელწიბოიანია, მაშინ ყურის თავი ზუსტად წიბოზეა დაძერწილი.

ჩაფები, როგორც წესი, ახ.წ. III-IV სს-ით დათარიღებულ კომპლექსებში გვხვდება.

# თავი III.

## სამეურნეო ჭურჭელი.

### § 1. ქვევრები

ქვევრები სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელში ერთიანდება. მათი ნატეხები დიდი რაოდენობით დასტურდება გვიანანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე.

აღნიშნული პერიოდის ქვევრები, კორპუსის მოყვანილობის მიხედვით, ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება დავყოთ:

**I ჯგუფი-** კვერცხისებურტანიანი ქვევრები (ტაბ. XXXVI-1).

პირის გვირგვინის განივკვეთის მიხედვით აღნიშნული ჯგუფის ქვევრები იყოფა ორ ქვეჯგუფად:

**I-1 ქვეჯგუფი-** ქვევრები ოთხკუთხგანივკვეთიანი პირის გვირგვინით.

**I-2 ქვეჯგუფი-** ქვევრები სამკუთხგანივკვეთიანი პირის გვირგვინით.

I-1 ქვეჯგუფის ქვევრები ძირის ფორმის მიხედვით იყოფა ორ ტიპად:

**I-1-1 ტიპი-** ქვევრები უქუსლო, ბრტყელი ძირით (ტაბ. XXXVI-2).

**I-1-2 ტიპი-** ქვევრები დაბალი ქუსლით (ტაბ. XXXVI-1).

I-2 ქვეჯგუფის ქვევრები ძირის ფორმის მიხედვით იყოფა ასევე ორ ტიპად:

**I-2-1 ტიპი-** ქვევრები უქუსლო, ბრტყელი ძირით

**I-2-2 ტიპი-** ქვევრები დაბალი ქუსლით.

დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის ქვევრების უმეტესობა სწორედ აღნიშნულ ჯგუფს განეკუთვნება. მათთვის, როგორც წესი, დამახასიათებელია სქელკედლიანობა. ძირი შეიძლება იყოს ფართო ან ვიწრო. ქვევრების ყელი, ძირითადად, დაბალი, ფართო და პროფილში შეზნექილია. იშვიათად ვხვდებით მომაღლო ყელსაც. ქვევრების გლუვი ზედაპირი, ზოგ

შემთხვევაში, ჩალისფერი ანგობითაა დაფარული. ვხვდებით მასიურ, ზემოდან დაბრტყელებულ, სამკუთხგანივკვეთიან ან ოთხკუთხგანივკვეთიან პირის გვირგვინებს. კეცი ან მოშავო-რუხია ან აგურისფრადაა გამომწვარი. ზომები მერყეობს: სიმაღლე -1- 1,5 მ; პირის დიამეტრი-24-40 სმ; მუცლის დიამეტრი-55 სმ-დან ზემოთ. კედლის სისქე 2-3 სმ. ძირის დიამეტრი- 15-25 სმ [ლანჩავა 2007:116]

წებელდის, ახაჩარხუს და აფხაზეთის სხვა გვიანანტიკური ხანის ძეგლებზე დასტურდება I ჯგუფის ქვევრები (სამეურნეო დანიშნულებით ან სამარხ ურნებად გამოყენებული), რომელთა ძირთან ახლოს, ძირიდან მუცელზე გადასვლის ადგილზე, დროდადრო ვხვდებით რელიეფურ, ხვიისებრი ორნამენტით შემკობას. მათი მხარი, ხშირ შემთხვევაში, შემკულია ხშირი, ტალღური და ტეხილხაზოვანი ორნამენტით. ზოგიერთი ქვევრის ყელს წიბო შემოუყვება. ვხვდებით ასევე ქვევრის გვირგვინის შემკობას ირიბი ნაჭდევებით (ტაბ. XXXVI-3). ამგვარი ქვევრები აფხაზეთში ახ.წ. II-IV საუკუნეებით არის დათარიღებული [Воронов 1979: 193] [Шамба 1970].

აღმოსავლეთ საქართველოს მსგავსად, ქვევრების სამარხ ურნებად გამოყენების ფაქტები დასტურდება ასევე დასავლეთ საქართველოშიც, ახალი წელთაღრიცხვის საწყის საუკუნეებში: აბაშის რაიონის სოფ. გულეიკარის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 1,5 კმ-ის მანძილზე გამოვლენილ ახ.წ. I-II სს-ით დათარიღებულ სამაროვანზე აღმოჩნდა ორი ქვევრსამარხი. შემორჩა ქვევრების პირ-ყელისა და კორპუსის ნატეხები. ისინი ჩალისფერკეციანია, სქელკედლიანი. ქვევრების პირების გვირგვინები ოთხკუთხგანივკვეთიანია. ერთ-ერთი ქვევრის გვირგვინზე ბადისებური ნაკაწრიც შეინიშნება. მათ დაბალი, შეზნექილი ყელი აქვთ (ტაბ. XXXVI-4) [პაპუაშვილი 1999:101]. აღნიშნული ქვევრები, სავარაუდოდ, I ჯგუფში ერთიანდება.

ახ.წ. II ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება სოფ. ბანძაში აღმოჩენილი ქვევრსამარხი, რომელსაც ათარიღებს აქ დადასტურებული ანტონინე კეისრის (138-161 წწ.) მონეტა [მაკალათია 1928:186].

**II ჯგუფში** ერთიანდება ოვალისებურტანიანი ქვევრები. მათ ოთხკუთგანივკვეთიანი პირი, დაბალი, შეზნექილი ყელი და ოდნავ გამოყოფილი ბრტყელი ძირი აქვთ (ტაბ. XXXVII-1). ისინი უმეტესად გვხვდება აფხაზეთის ტერიტორიაზე, III-IV სს-ით დათარიღებულ ძეგლებზე.

აფხაზეთის ტერიტორიაზე, გვიანანტიკურ ხანაში, დასტურდება დაღარულზედაპირიანი ქვევრები, ვხვდებით მათი ყელის და მხრის ტალღური ორნამენტით გაფორმებას, რომელიც სავარცხლისებური იარაღით არის დატანილი [Воронов 1969:54].

ზოგიერთ შემთხვევებში, ქვევრებზე ვხვდებით ხელოსნის მიერ დატანილ დამღებსაც: აბგიძარახუს სამაროვანზე აღმოჩენილია ქვევრი (თარიღდება II-IV სს-ით), რომელსაც მხარზე დატანილი აქვს კვადრატი დიაგონალებით (ტაბ. XXXVII-2). იგი, სავარაუდოდ, ხელოსნის დამღას წარმოადგენს [Гунба 1978:22]. ასეთი დამღები გვხვდება ქვევრის გვირგვინებზე ან მხრებზე.

ქვევრები გამომწვარია მოწითალო-მოვარდისფროდ, მონაცრისფროდ. კეცი მინარევებიანია (ქვიშა, ქარსი). კეცის სისქე 2 სმ-მდე აღწევს.

როგორც ავღნიშნეთ, დასავლეთ საქართველოს გვიანანტიკური ხანის ქვევრებს აქვთ ბრტყელი, უქუსლო ძირი, ან დაბალი ქუსლი. თუმცა, უკვე IV ს-დან გავრცელებას იწყებს ქვევრები, რომლებსაც განსხვავებული ძირები ახასიათებთ:- ისინი მოგვაგონებენ გადმობრუნებულ, წაკვეთილ კონუსს. ასეთი ფორმის ქვევრის ძირები გვხვდება ციხისძირში; ნოქალაქევში; შორაპანში და სხვ. ქვევრის ძირები გვერდისგან გამოყოფილია ღარით. მათთან ერთად კვლავ განაგრძობს არსებობას ბრტყელი, მასიური ძირები, რომლებიც გვერდისგან ასევე ღარით არის გამოყოფილი. ამ პერიოდისთვის დამახასიათებელია ძირის კიდის ნაწილის პროფილში სამკუთხოვნება. ვხვდებით ასევე გამოზიდულძირიან ქვევრებს [ჯაფარიძე 2006: 43].

ტექნოლოგიური თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ დიდი ზომის ჭურჭელი დაუდევრადაა დამუშავებული და გამოწვა, რიგ შემთხვევებში, არათანაბარია. თიხაც უხეშია.

როგორც ვხედავთ, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული გვიანანტიკური ხანის ქვევრები გამოიყენებოდნენ როგორც სამეურნეო დანიშნულებით, ასევე სამარხ ურნებადაც. სამარხ ურნებად, როგორც წესი, გამოყენებულია ის ქვევრები, რომლებიც უკვე აღარ ვარგოდნენ სამეურნეო საქმიანობისთვის.

ქვევრები ღვინის გარდა მრავალი სხვა პროდუქტის შესანახად გამოიყენებოდა: მარცვლეული, ხორცი, რძის ნაწარმი, მცენარეული ზეთი და სხვა.

# § 2. დერგები

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე, გამოვლენილია დერგების როგორც ფრაგმენტები, ასევე მთელი ნიმუშებიც.

დერგების სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების გარდა დასტურდება მათი სამარხ ურნებად გამოყენების შემთხვევებიც, სადაც ხშირად გვხვდება კრემაციის ფაქტები. როგორც ჩანს, სამარხ ურნებად სამეურნეო დანიშნულების დერგებია გამოყენებული.

კორპუსის ფორმის მიხედვით დერგები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა:

**I ჯგუფში** ერთიანდება ოვალურტანიანი (ზოგჯერ სფერულთან მიახლოებული ტანით) დერგები.

აღნიშნული ჯგუფის დერგებისთვის დამახასიათებელია ფართო, გადაშლილი პირი, დაბალი, შეზნექილი ყელი და ბრტყელი ძირი.

I ჯგუფის დერგები ყურების რაოდენობის მიხედვით იყოფა ორ ქვეჯგუფად:

**I-1 ქვეჯგუფი-** უყურო დერგები (ტაბ. XXXVII-3).

**I-2 ქვეჯგუფი-** ორყურა დერგები. აღნიშნული ქვეჯგუფის დერგებს ყურები მიძერწილი აქვთ პირს ქვემოთ და მხარზე (ტაბ. XXXVII-4).

**II ჯგუფში** ერთიანდება კვერცხისებურტანიანი დერგები. მათთვის დამახასიათებელია ბრტყელი ძირი.

პირის ფორმის მიხედვით აღნიშნული ჯგუფის დერგები იყოფა ორ ქვეჯგუფად:

**II-1 ქვეჯგუფი-** დერგები მრგვალი, გადაშლილი პირით (ტაბ. XXXVIII-1).

**II-2 ქვეჯგუფი-** ძაბრისებურპირიანი დერგები (ტაბ. XXXVIII-2).

II-1 ქვეჯგუფი ყურების რაოდენობის მიხედვით იყოფა ორ ტიპად:

**II-1-1 ტიპი-** უყურო დერგები. მათთვის, ძირითადად, დამახასიათებელია დაბალი, შეზნექილი ყელი (ტაბ. XXXVIII-1).

**II-1-2 ტიპი-** ორყურა დერგები. ამ ტიპის დერგებს ყურები, ძირითადად, მიძერწილი აქვთ პირს ქვემოთ და მხარზე (ტაბ. XXXVIII-3).

II-1-2 ტიპის დერგები ყელის ფორმის მიხედვით იყოფა ორ ქვეტიპად:

**II-1-2-1 ქვეტიპი-** დაბალი, შეზნექილი ყელით.

**II-1-2-2 ქვეტიპი-** მაღალი, ფართო ყელით.

II-2 ქვეჯგუფის (ძაბრისებურპირიანი) დერგებისთვის დამახასიათებელია შემაღლებული ყელი დ ბრტყელი ძირი. კორპუსის უდიდესი დიამეტრი მხრების არეში მოდის. ძაბრისებური პირი შეიძლება იყოს გოფრირებული ან სადა. თითქმის ყველა მათგანი ორნამენტირებულია. აღნიშნული დერგები, როგორც წესი, ორყურაა. ზოგ შემთხვევაში, მათი ყურები მიძერწილია დერგებისთვის უჩვეულო ადგილას- კორპუსის ქვედა ნაწილზე (ტაბ. XXXVIII-2). აღნიშნული ტიპის დერგები, ძირითადად, გვხვდება აფხაზეთის ტერიტორიაზე, II-IV სს-ით დათარიღებულ კომპლექსებში.

ძაბრისებურპირიან დერგებზე სხვადასხვა ორნამენტული მოტივები გვხვდება: ტალღური ორნამენტი (მხრებზე); კონცენტრული წრეები; ტანის კანელურებით გაფორმება; ყურებზე დასმული ჯვრისებრი ორნამენტი და ა. შ.

აფხაზეთში, გვიანანტიკურ ხანაში, ხშირად დასტურდება დერგების სამარხ ურნებად გამოყენების ფაქტები, რომლებიც, ზოგჯერ, გადახურულია ღრმა, გაშლილი ჯამებით, რომელთაგანაც ზოგი მაღალფეხიანია და ვაზას გავს.

სამარხ ურნებად გამოყენებულ დერგებსა და ქვევრებში ხშირად ვხვდებით კრემაციის ფაქტებს. კრემაციული სამარხები აქ, ძირითადად, ახ.წ. III-IV სს-ით თარიღდება [Воронов 1979:184]. ამგვარი დაკრძალვის წესი დასტურდება ახაჩარხუს, წებელდის და სხვა გვიანანტიკური ხანის სამაროვნებზე, სადაც აღმოჩენილია ძაბრისებურპირიანი, კვერცხისებურტანიანი, ორყურა დერგები (II-2 ქვეჯგუფი). მათი სიმაღლე 40-60 სმ-ია და III-IV სს. თარიღდება [Шамба 1970: 25].

სამარხ ურნებად გამოყენებული დერგები დადასტურდა ასევე ჩხოროწყუში, სადაც ადამიანის კრემაციული წესით დაკრძალვა დაფიქსირდა. აქ ორივე ჯგუფისთვის დამახასიათებელი დერგებია აღმოჩენილი.

ჩხოროწყუს სამეურნეო დანიშნულების კერამიკული ჭურჭელი ერთგვაროვანი ტექნოლოგიური წესით არის დამზადებული. თიხა წითელია, დიდი რაოდენობით შეიცავს ქვიშისა და ქარსის მინარევებს. ნაძერწია ხელით და მათი უმრავლესობა არაპროპორციულია. გამომწვარია არათანაბრად. ზედაპირი დამუშავებულია მათზე მხოლოდ დაკბილული იარაღის ზევიდან გადასმით. დერგებზე ამგვარი იარაღით დატანილია ვერტიკალური და ჰორიზონტალური მოკლე შტრიხები. ასეთი

ორნამენტით გაფორმებულია ჯამებიც. ზოგიერთ ჯამს შიდაპირზე ემჩნევა მორგვის ტრიალის კვალიც [Хоштариа 1941:79].

ნ. ხოშტარია ჩხოროწყუს მასალას ათარიღებდა ძვ.წ. III-I სს-ით [Хоштариа 1941], თუმცა დღევანდელი მონაცემებით ჩხოროწყუს მასალა ახ.წ. II-III სს-ით თარიღდება.

გადათარიღებას ხელს უწყობს სამაროვანზე დადასტურებული ფიბულები, რომლებიც დასავლეთ საქართველოში ახ.წ. II-III სს-ზე ადრეულ კომპლექსებში არ გვხვდება [აფხაზავა 1979: 9].

დერგების ყურები სხვადასხვანაირია: ვხვდებით მომცრო ან მასიურ, ნახევარრკალისებურ, ოვალურგანივკვეთიან, ბრტყელ ყურებს. დერგის გვირგვინზე ზოგჯერ ვხვდებით ხუფის ჩასადგამ ამოზიდულ ღილვაკს და ასევე ღილვის გარეშეც.

დერგების სიმაღლე 40 სმ-დან 70 სმ-მდე მერყეობს, მუცლის დმ. 17-37 სმ; ძირის დმ. 8-14 სმ.

## § 3. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ახ.წ. I-III სს-ის ადგილობრივი კერამიკული ჭურჭლის მორფოლოგიურ-ტექნოლოგიური თვისებების მოკლე შეჯამება

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის ადგილობრივი კერამიკული ჭურჭლის ფორმობრივ-ტიპოლოგიური დახასიათების შემდგომ მოკლედ შევაჯამებთ მათ მორფოლოგიურ-ტექნოლოგიურ მხარეს:

დასავლეთ საქართველოს ახ.წ. I-III სს-ის კერამიკული ჭურჭლის დიდი ნაწილი მორგვზეა დამზადებული- მათზე შეიმჩნევა ვერტიკალური ან ჰორიზონტალური, წვრილი ან განიერი ღარები, რომლებიც მორგვის ტრიალის ანაბეჭდი უნდა იყოს. ხშირად გვხვდება ასევე ჭურჭლის ზედაპირის მოსასწორებელი იარაღით დამუშავების კვალიც, რის შედეგადაც ჭურჭლის ზედაპირი იფარება ფართო და მკრთალი ხაზებით. გვხვდება კონცენტრული, სუსტად გამოხატული ღარებიც.

დასავლეთ საქართველოს გვიანანტიკური ხანის კერამიკული ჭურჭლის დამახასიათებელი ორნამენტებია: ტალღისებური ორნამენტი (დამახასიათებელი მოტივია როგორც გვიანანტიკური, ასევე ადრეშუა საუკუნეების კერამიკული ჭურჭლისთვის); კონცენტრული წრეები; ტეხილხაზოვანი ორნამენტი; რომბული ბადე; წერტილხაზოვანი; წიწვოვანი ხაზები; ირიბი ნაჭდევები; ტოლმკლავა ჯვრები; ბაწრული რელიეფური ორნამენტი; კანელურები; რელიეფური სათვალისებური სპირალური ორნამენტი; წრიულ-კუწუბოვანი ვარდულები; სვასტიკით გამოყვანილი ორნამენტი; ოთხკუთხა ტვიფრვით გამოყვანილი მახვილი კუთხეები; წნეხვით გამოყვანილი ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზები; წნული, დანაძერწი ორნამენტი (ქვევრზე); სამეურნეო-სამზარეულო ჭურჭლისთვის დამახასიათებელია პირის კიდის შიგნიდან ირგვლივი ღარი ხუფისთვის.

აღნიშნული პერიოდის დოქების, ხელადების და ჩაფების გარკვეული ნაწილი ყელწიბოიანია, თუმცა, ყელზე წიბო არ არის ფართოდ გავრცელებული ორნამენტი დასავლეთ საქართველოს კერამიკულ ნაწარმში, აღმოსავლეთ საქართველოსგან განსხვავებით.

რიგ შემთხვევაში ორნამენტი დატანილია: რელიეფურად; ნაკაწრი სახით (წებელდა, საირხე); შტამპით (ქუთაისი); ტვიფრვით; წნეხვით; დანაძერწი სახით და სხვა. ზოგ შემთხვევაში ვხვდებით მოგლუვებულ, ნაპრიალებ და წერნაქით შეღებილ კერამიკულ ჭურჭელსაც.

გვიანანტიკური ხანის საქართველოს სამაროვნებსა და ნამოსახლარებზე გამოვლენილი თიხის ჭურჭელი წინა პერიოდთან შედარებით მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. აღნიშნული გარემოება შესაძლებელია იმის მანიშნებელიც იყოს, რომ გვიანანტიკურ ხანაში კერამიკას დაკარგული აქვს ესთეტიკური ფუნქცია და მხოლოდ პრაქტიკული ღირებულება გააჩნია, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია სასაქონლო წარმოების განვითარებასთან, როდესაც ხელოსანი სტანდარტულ პროდუქციას, ძირითადად, ბაზრისთვის ამზადებს.

გვიანანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს უმეტეს ნაწილში გამოვლენილი თიხის ჭურჭელი ტექნიკურად თუ მხატვრულად მდარეა აღმოსავლეთ საქართველოს თანადროულ კერამიკულ ნაწარმთან შედარებით. კერამიკული ნაწარმი არ არის მრავალფეროვანი, თიხა ნაკლებ პლასტიური და განულექავია, არათანაბრად, სუსტად გამომწვარი, რიგ შემთხვევაში მსხვილმარცვლოვანი ჩანართებით: თიხა შეიცავს რკინის ჟანგის მარცვლების მოზრდილ ჩანართებს; პიროქსენს; ოქროსფრად მბზინავ ქარსს; კაჟის, კვარცის, კირქვის მარცვლებს. გვხვდება სილისა და ქვიშის მინარევებიც. თუმცა დასტურდება ასევე კარგად განლექილი და გამომწვარი, წვრილმარცვლოვანი თიხის ჭურჭელიც. თიხა გამომწვარია მოწითალო-აგურისფრად, შავად, რუხად, მოწაბლისფროდ.

II ს-დან დასავლეთ საქართველოში შეინიშნება კერამიკული წარმოების ერთგვარი დაცემა და ფორმათა გაუბრალოება. აღნიშნული პერიოდის სამარხებში კერამიკული ჭურჭლის რაოდენობაც თვალშისაცემად იკლებს. არქეოლოგიური აღმოჩენები ცხადყოფენ, რომ თითოეულ სამარხში იშვიათია თითო ან ორი ცალის გარდა მათი აღმოჩენა. შესაძლებელია ვთქვათ, რომ დასავლეთ საქართველოში II-III საუკუნეები მეთუნეობის დაცემის პეროდია [ბრაგვაძე 1997:23]. თუმცა, მიუხედავად ამისა, გვიანანტიკური ხანის კერამიკული ჭურჭლის სხვადასხვაობა გვიჩვენებს, რომ ამ პერიოდში, დასავლეთ საქართველოში თიხის ჭურჭლის დამზადების რამდენიმე ცენტრი არსებობს [ფუთურიძე 1959:71].

გვიანანტიკური ხანის კოლხეთში გავრცელებული კერამიკული ჭურჭელი ტექნოლოგიური მახასიათებლის მიხედვით ორ დიდ ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ:

I ჯგუფის კერამიკული ნაწარმი დამზადებულია კარგად განლექილი და გამომწვარი თიხისგან, მორგვზე. ჭურჭელი დამზადებულია მოწითალო-მოჩალისფრო თიხით. ზოგიერთი მათგანი წითელი წერნაქით არის შეღებილი და ორნამენტირებულია. ამგვარი ტექნოლოგიური პროცესით დამზადებული კერამიკული ნაწარმი, უფრო ხშირად, კოლხეთის აღმოსავლეთ რაიონებში გვხვდება, რაც შესაძლებელია, ამ პერიოდში, აღმოსავლურ ქართულ (იბერიულ) გავლენებსაც დავუკავშიროთ.

II ჯგუფის კერამიკული ნაწარმი დამზადებულია უხეში, მინარევებიანი თიხით. გამოირჩევა კვარცის და ქარსის მაღალი შემცველობით. გამოწვის ხარისხი სუსტია, არათანაბარი და ამგვარად დამზადებული ჭურჭელი ადვილად შლადია. ამ ჯგუფის ჭურჭელი დამზადებულია მოშავო-მორუხოდ, მოყავისფროდ, მოწითალოდ გამომწვარი თიხისგან [ბრაგვაძე 2000].

აღმოსავლეთ საქართველოს გვიანანტიკური ხანის კერამიკული ნაწარმი, ძირითადად, მზადდებოდა სრულყოფილი ტექნოლოგიური პროცესით, თიხა გარგად განლექილი და გამომწვარია. სუფრის ჭურჭელი თხელკედლიანია და გარკვეული ნაწილი შეღებილია წერნაქით. კერამიკული ჭურჭლის ძირითადი ნაწილი გამომწვარია ღიაფრად, მოწითალო-მოვარდისფრო თიხისგან.

აღმოსავლეთ საქართველოში შავად გამომწვარი ჭურჭელი იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ახ.წ. I საუკუნის კომპლექსებში. აღნიშნული პერიოდის შემდეგ კი შავად გამომწვარი კერამიკა საგრძნობლად მცირდება და თითქმის საერთოდ ქრება.

არქეოლოგიური მასალის მიხედვით შეგვიძლია გამოვთქვათ საფუძვლიანი ვარაუდი, რომ გვიანანტიკური ხანის აღმოსავლეთ საქართველოში ერთიანი კულტურაა გავრცელებული და ეს კარგად ჩანს პირველ რიგში კერამიკულ ნაწარმზე დაკვირვების შედეგად.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მეთუნეობა საკმაოდ განვითარებული დარგი იყო დღევანდელ საქართველოს ტერიტორიაზე და კერამიკული ჭურჭლის დამზადებაზე, ძირითადად,

პროფესიონალი, შეასაბამისი ცოდნის მქონე ხელოსნები მუშაობდნენ. ცნობილია, რომ გვიანბრინჯაოს პერიოდიდან მოყოლებული, მეთუნეობა ცალკე დარგად არის გამოყოფილი და ამ დარგს, სავარაუდოდ, ცალკეული ოჯახები ან დასახლებული პუნქტები ემსახურება, რომლებიც უზრუნველყოფდნენ შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობასაც (თიხის დასამუშავებელი მოედნები, კერამიკის გამოსაწვავი ღუმელები, კერამიკული ჭურჭლით ბაზრის მომარაგება და ა. შ). სავარაუდოდ, ქვეყნის ყველა რეგიონში არსებობდა კონკრეტული სამოსახლოები, სადაც საუკუნეების გამნავლობაში მისდევდნენ მეთუნეობას და მათი პროდუქციით შემდგომში მთელი მოსახლეობა მარაგდებოდა.

ამრიგად, მიუხედავად კერამიკული ჭურჭლის გარკვეული დეგრადაციისა (თითქოს გვიანანტიკური ხანიდან კერამიკული ნაწარმი უფრო მარტივი და ნაკლები გულმოდგინებით დამუშავებული ხდება, მარტივდება ორნამენტაცია, ელინისტურ პერიოდთან შედარებით შესამჩნევად მცირდება ჭურჭლის წერნაქით მოხატვა და ა.შ.), რაც თითქოს გამოწვეული იყო გვიანანტიკური პერიოდიდან მთელს საქართველოს ტერიტორიაზე მინის და ლითონის ნაწარმის ფართო გავრცელებით, რომელმაც ძლიერ იმოქმედა კერამიკის მხატვრული დახვეწილობის დაცემაზე, თიხის ჭურჭელი მაინც ინარჩუნებს საკმაო მრავალფეროვნებას და რჩება ყოველდღიური მოხმარების უმთავრეს ატრიბუტად. კერამიკული წარმოება კვლავ წარმოადგენს ხელოსნური წარმოების ერთ-ერთ მთავარ დარგს და მას ვერ ცვლის ძვირფასი ლითონის ნაწარმი. ამის დამადასტურებელი უტყუარი ფაქტი არის ისიც, რომ გვიანანტიკური პერიოდის ძეგლებზე აღმოჩენილ ვერცხლის, ბრინჯაოს თუ მინის ჭურჭელს საგრძნობლად სჭარბობს კერამიკული ნაწარმი და ეს შეეხება არა მხოლოდ ამ პერიოდის რიგით ნამოსახლარებსა და სამაროვნებს, არამედ სოციალურად დაწინაურებული ფენისთვის განკუთვნილ სასახლეებსაც კი (დედოფლის გორის სასახლე, არმაზციხის სამეფო რეზიდენცია, ძალისის არქეოლოგიური კომპლექსი და სხვა), რაც კერამიკული ჭურჭლის პრაქტიკული თუ სარიტუალო გამოყენების აუცილებლობით იყო განპირობებული [კობერიძე 2015].

# დასკვნა

ნაშრომში განხილულია საქართველოს ტერიტორიაზე ახ.წ. I-III სს. დათარიღებულ არქეოლოგიურ კომპლექსებში აღმოჩენილი ადგილობრივი კერამიკული ჭურჭელი.

ახ.წ. I-III საუკუნეებით დათარიღებული ნაქალაქარების, ნასოფლარების, სამაროვნების არქეოლოგიურად შესწავლის პროცესში ყველაზე დიდი რაოდენობით სწორედ კერამიკული მასალა გვხვდება, რაც იმის მანიშნებელია, რომ ამ პერიოდშიც კერამიკა ინტენსიურად გამოიყენებოდა იმდროინდელი ქართველი ხალხის ყოფაში (მსგავსად წინა ეპოქებისა). ამას ხელს უწყობდა ის ფაქტორიც, რომ თიხის ჭურჭელი ხელმისაწვდომი იყო მოსახლეობის ფართო ფენებისთვის.

საქართველოს ტერიტორიაზე, გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე, აღმოჩენილია კერამიკული ჭურჭლის გარკვეული ფორმები, რომლებიც გამორჩეული მორფოლოგიური ნიშნებითა და არქეოლოგიურ ძეგლებზე იშვიათად აღმოჩენის გამო ცალსახად გამოიყოფიან ხშირად მოხმარებადი კერამიკული ნაწარმისგან. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მათი ნაწილი მაინც რიტუალური მიზნებისთვის იყო დამზადებული, ხოლო მეორე ნაწილს განსაზღვრული, პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა [კობერიძე 2015].

ისინი წარმოდგენილნი არიან ირმის (ხარ-ირმის) გამოსახულებიანი სასმისებით (რიტონებით); ორმუცლიანი ხელადებით; ამფორისკის და ასკოსისებური ფორმის ჭურჭლით; ვხვდებით ასევე ხელადებს სხვადასხვა ზოომორფული (გველი, ღორი) დანაძერწებით.

მათი იშვიათობა და აღმოჩენის კონტექსტი ამტკიცებს, რომ ისინი არ იწარმოებოდნენ სერიულად, არ გამოიყენებოდნენ ყოველდღიურ ყოფაში და მათ მხოლოდ განსაკუთრებული მიზნებისთვის ამზადებდნენ.

ახ.წ. III-IV სს-ით დათარიღებულ არქეოლოგიურ კომპლექსებში დადასტურებული ირმის გამოსახულებიანი სასმისები წარმოადგენდნენ სარიტუალო დანიშნულების ჭურჭელს. შესაძლებელია, ისინი, გამოიყენებოდნენ ასევე ძვირფასი, რიტუალური დანიშნულების სითხის შესანახადაც [კობერიძე 2019].

კვლევებით დგინდება, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებული გვიანანტიკური ხანის მოჭიქული კერამიკული ჭურჭელი წარმოადგენს იმპორტს პართიიდან და მესოპოტამიიდან, რის გამოც აღნიშნული ნაწარმი აქ ძვირად ფასობს და შესაბამისად არ არის ყველასთვის ხელმისაწვდომი. ამგვარი თიხის ნაწარმი, მისი სიძვირიდან გამომდინარე, ჩვენთან მხოლოდ სოციალურად დაწინაურებული ფენისთვის იყო ხელმისაწვდომი (ყოველ შემთხვევაში ამგვარი ვითარებაა ახ.წ. II-IV სს-ში), რაც თავისთავად ხსნის მოჭიქული ჭურჭლის აღმოჩენის იშვიათობის მიზეზს გვიანანტიკური ხანის საქართველოში.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის მოჭიქული ჭურჭელი თითქმის იდენტურია დურა-ევროპოსში (სირია) და სელევკიაში (ერაყი) აღმოჩენილ გვიანპართული პერიოდის, შედარებით დაბალი ხარისხის მოჭიქული ჭურჭლისა და შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ სწორედ ამ რეგიონებიდან ხდებოდა მათი იმპორტი საქართველოს ტერიტორიაზე სავაჭრო-კულტურული ურთიერთობების შედეგად.

რომაული ხანის მოჭიქულ, ორყურა ამფორისკებზე დაკვირვების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი ინარჩუნებენ ფორმების მდგრადობას საუკუნეთა განმავლობაში და მათში მნიშვნელოვანი მორფოლოგიური ცვლილებები არ შეინიშნება, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ისინი ერთი და იმავე მიზნით გამოიყენებოდნენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში და მათი ფუნქცია არ შეცვლილა. სავარაუდოდ, ამფორისკები გამოიყენებოდნენ ძვირფასი სითხის-სუნამოს შესანახად. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ზემოაღნიშნული ჭურჭელი ახ.წ. I-IV საუკუნეებით დათარიღებულ არქეოლოგიურ კომპლექსებში გვხვდება.

იბერიის ტერიტორიაზე, გვიანელინისტურ და გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიურ კომპლექსებში აღმოჩენილია კერამიკული ასკოსები, რომლებიც, როგორც ჩანს, ძვ.წ. I საუკუნეში იწყებს გავრცელებას და გვხვდება ახ.წ. IV საუკუნით დათარიღებულ ძეგლებზეც.

ასკოსებს როგორც საბერძნეთში, ასევე მახლობელ აღმოსავლეთშიც, ნელსაცხებლებისა და სუნამოსთვის იყენებდნენ. მათი ფორმა ისეთი ჭურჭლის მონაცემებს წარმოადგენს, რომლისგანაც სითხე წვეთ-წვეთობით უნდა გადმოდიოდეს (ზეთი, სუნამო თუ თაფლი).

ასკოსები, ამფორისკების მსგავსად, წარმოადგენდნენ სანელსაცხებლისთვის განკუთვნილ ჭურჭელს და მათ, როგორც ჩანს, როგორც საკრძალავ რიტუალში, ასევე ყოველდღიურ ყოფაში ჰქონდათ გამოყენება.

საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც ანტიკურ, ასევე ადრეულ და შემდგომ ხანებშიც აუცილებლად უნდა წარმოებულიყო სამედიცინო დანიშნულების კერამიკული ჭურჭელი, რომელთა დახმარებით შესაძლებელი იქნებოდა სამედიცინო სითხის მომზადება, შენახვა, გამოყენება და სხვა.

სავარაუდოდ, სამედიცინო დანიშნულების ჭურჭელი გამოირჩეოდა და შედარებით იშვიათად მზადდებოდა ყოველდღიურად გამოსაყენებელ კერამიკულ ჭურჭელთან შედარებით, თუმცა, შესაძლებელია, საჭიროების შემთხვევაში, ამ მიზნით, გამოყენებული ყოფილიყო ასევე ღვინის და წყლისთვის განკუთვნილი ხელადებიც.

გვიანანტიკურ ხანაში, სამედიცინო ჭურჭლის დიდ ნაწილს, სავარაუდოდ, მინის მცირე ზომის ამფორისკები წარმოადგენდნენ, თუმცა, ამ პერიოდში, მათზე ხელი არ მიუწვდებათ სოციალურად დაბალი ფენის წარმომადგენლებს, რის გამოც, მათ, ამ მიზნით ისევ თიხის ჭურჭელი უნდა დაემზადებინათ.

როგორც ჩანს, სამედიცინო დანიშნულების ჭურჭელს წარმოადგენდა გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი ორმუცლიანი ხელადები, რომელთა დიდი ნაწილი ბავშვების სამარხებშია დადასტურებული. სავარაუდოდ, ამგვარი დანიშნულებით დამზადებული ხელადების კორპუსის ასეთი მოყვანილობა საჭირო იყო სამედიცინო სითხის მოსამზადებლად ან შესანახად. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ ისინი მორფოლოგიურად არ იცვლება 10-12 საუკუნის მანძილზე, რაც მეტყველებს იმაზე, რომ მათი ფორმა პრაქტიკული გამოყენების აუცილებლობიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა დროთა განმავლობაში.

ახ.წ. I-III სს-ის არქეოლოგიურ ძეგლებზე მრავლადაა აღმოჩენილი სამეურნეო, სამზარეულო და სასუფრე დანიშნულების ადგილობრივი კერამიკული ჭურჭელი:

დოქები და ხელადები სუფრის ჭურჭელში ერთიანდება, რომლებიც წყლისა და ღვინისთვის იყვნენ განკუთვნილნი. ისინი მორფოლოგიურად და ფუნქციურად ერთი ტიპის ჭურჭელს წარმოადგენს და ერთმანეთისგან მხოლოდ ზომებით და მოცულობით შეიძლება გამოირჩეს.

აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილ ახ.წ. I-III სს-ის დოქებსა და ხელადებზე დაკვირვების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ მათი დამზადების დროს გარკვეული კანონზომიერებაა დაცული მათი კორპუსის ფორმის, პირის მოყვანილობის, ყურის მიძერწვის, ორნამენტირების და სხვა მორფოლოგიური ნიშნების ურთიერთმიმართების მხრივ და, როგორც ჩანს, ამ წესებს მკაცრად იცავდნენ მეთუნე ხელოსნები ამ პერიოდში. მაგალითად: სფერულმუცლიან დოქებს, რომელთა ტანიც რელიეფური კოპებით არის გაფორმებული, ყური ყოველთვის მიძერწილი აქვთ ან მხარზე, ან მხარზე და მუცელზე, ხოლო ყელწიბოიან დოქებს ყურის თავი, როგორც წესი, მიძერწილი აქვთ ყელზე - ზუსტად წიბოზე (III ს-ის ბოლოდან კი პირზე და მხარზე). სამტუჩაპირიან დოქებს ყური ყოველთვის პირზე და მხარზე აქვთ დაძერწილი. შედარებით იშვიათად ვხვდებით მსხლისებურტანიან დოქებს, რომელთა ტანი რელიეფური კოპებით არის გაფორმებული, ამგვარი დოქების უმეტესობა ყელწიბოიანია.

პირგადაშლილ, სფერულმუცლიან დოქებს ახასიათებს ორივე ორნამენტი (წიბო ყელზე და რელიეფური კოპებისგან შემდგარი სარტყლები მუცელზე), ხოლო სამტუჩა, სფერულმუცლიანი დოქების ტანი, როგორც წესი, გაფორმებულია წნევით ამოყვანილი რელიეფური კოპებით (უფრო ხშირად კოპების სამი რიგი გვხვდება). ასევე აღსანიშნავია, რომ სამტუჩა დოქებს არ ახასიათებს ყელზე წიბო. ამგვარი დოქები ხშირად დასტურდება ახ.წ. I-III სს-ის არქეოლოგიურ ძეგლებზე.

ჯამები ასევე სუფრის ჭურჭელში ერთიანდება. ისინი დასტურდება როგორც ნამოსახლარებზე-კულტურულ ფენებში, ასევე სამარხებშიც, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხელადებისგან და კოჭობებისგან განსხვავებით, ჯამები შედარებით იშვიათად გვხვდება სამარხეულ ინვენტარს შორის I-III სს-ში. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ელინისტური პერიოდის შემდგომ, დაკრძალვის წესში ხდება გარკვეული ცვლილებები. როგორც ჩანს, გვიანანტიკურ ხანაში საგრძნობლად შემცირებულია მიცვალებულისთვის საკვების ჩატანება.

სამეურნეო ჭურჭელში ერთიანდება ქვევრები, დერგები და ჭრაქები, რომელთა ფრაგმენტებიც მრავლადაა დადასტურებული გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიურ კომპლექსებში.

საუკუნეების მანძილზე ქვევრი გამოირჩეოდა ფორმების მდგრადობით და შედარებითი ერთფეროვნებით. ისინი, ძირითადად, გამოიყენებოდნენ ღვინის შესანახად. ზოგიერთ მათგანს სხვა სითხის და მარცვლეულის შესანახადაც იყენებდნენ. იმ ქვევრების ძირზე, რომლებიც მარცვლეულის შესანახად იყვნენ განკუთვნილნი, ზოგ შემთხვევაში გამოწვამდე, ზოგჯერ კი გამოწვის შემდეგ დატანილია გამჭოლი ნახვრეტები. ქვევრებში, სავარაუდოდ, ინახავდნენ ასევე მცენარეულ ზეთს, ხორცს და სხვა პროდუქტებს. როგორც ჩანს, სამეურნეო ყოფაში ამ ჭურჭელზე დიდი მოთხოვნა იყო. ქვევრის ნატეხები აღმოჩენილია უმთავრესად სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებში- მარნებში.

ქვევრები გამოყენებული იყო ასევე სამარხ ურნებადაც. სამარხ ქვევრებად, როგორც წესი, გამოიყენებოდა სამეურნეო დანიშნულების ქვევრები, რომლებიც უკვე აღარ ვარგოდნენ ღვინის, თუ სხვა პროდუქტების შესანახად. ამის ნათელი დადასტურებაა ქვევრსამარხების შიდაპირზე შემჩნეული ხეხვა-რეცხვის კვალი ან ასეთი ქვევრის პირებზე შერჩენილი კირის ხსნარის ნალესი რამდენიმე ფენად.

ქვევრების და მათში შენახული პროდუქტის მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე მიგვანიშნებს არამეული წარწერები, რომლებიც გაკეთებულია გვიანელინისტურ და გვიანანტიკური ხანის ქვევრის პირებზე. არამეული წარწერები სამი სახისაა: I- აღნიშნავს პიროვნებისადმი საკუთრებას; II- აღნიშნავს პროდუქტს, რომელიც ქვევრშია შენახული და III- წარმოადგენს რელიგიური ხასიათის წარწერებს. აღსანიშნავია, რომ არამეულწარწერიანი ქვევრები დასტურდება მხოლოდ ელიტარულ გარემოში (სამეფო სასახლეებში, ქალაქებში).

დერგი სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელს შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ფართოდ გავცელებული კერამიკული ფორმაა. ისინი გამოირჩევიან ფორმების მდგრადობით. უნდა აღინიშნოს, რომ გვიანანტიკურ ხანაში დერგები საკმაოდ ძუნწად არიან ორნამენტირებულნი, ხშირ შემთხვევაში კი მათი ტანი სადა რჩება.

დერგები, ძირითადად, გამოიყენებოდა სხვადასხვა მარცვლეულის, რძის პროდუქტების, შესაძლებელია რაიმე სითხის შესანახად. დერგების იმ ნაწილს, რომელთაც ყურები აქვთ მიძერწილი, როგორც ჩანს, მიწაში არ ფლავდნენ, მაგრამ უყურო დერგების მნიშვნელოვანი ნაწილი, სავარაუდოდ, მიწაში (ნაწილობრივ მაინც) უნდა ყოფილიყო ჩადგმული.

დერგები გამოიყენებოდნენ სამარხებადაც, სადაც, ძირითადად, მცირეწლოვანი ბავშვები იყვნენ დაკრძალულნი.

ჭრაქები სამეურნეო ჭურჭელში ერთიანდება და ხშირად გამოყენებადი კერამიკული ფორმაა ახ.წ. I-III საუკუნეებში. მათ იყენებდნენ როგორც დაწინაურებული, ასევე დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები სხვადასხვა ფუნქციის მატარებელი სივრცის განათებისთვის. ჭრაქებს ხმარობდნენ ასევე სხვადასხვა ხასიათის რელიგიურ და სახალხო წეს-ჩვეულებათა შესრულებისას ანტიკურ ხანაში. მათ სამარხეული ინვენტარის სახითაც ვხვდებით, სადაც მათი დანიშნულება საიქიოს გზის განათება შეიძლება ყოფილიყო.

თიხის ჭრაქები ფორმით ჯამ-ფიალებს ჰგავს. ნამოსახლარებზე დადასტურებული ჭრაქების ტუჩი, თავიანთი დანიშნულებიდან გამომდინარე, როგორც წესი, გამურულია ცეცხლისგან.

სამზარეულო დანიშნულების ჭურჭელში ერთიანდება ქოთნები, კოჭობები და ჩაფები. მათი ნატეხები მრავლად გვხვდება გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიურ კომპლექსებში.

ნამოსახლარებიდან მოპოვებული ქოთნების უმეტესი ნაწილი წარმოადგენს სადუღარ ქოთნებს- კერძის დასამზადებელ ჭურჭელს (ასეთი ქოთნები, როგორც წესი, გარედან შებოლილია ან ცალი მხარე აქვთ გამომწვარი ცეცხლისგან), მაგრამ ნაწილი, რომელთაც არ ეტყობათ ცეცხლზე ხმარების კვალი, შესაძლოა რძის ან სხვა პროდუქტების შესანახად გამოიყენებოდა.

გვიანანტიკური ხანის სამზარეულო კერამიკაში საკმაო რაოდენობით არის წარმოდგენილი ასევე ქოთნების თუ ქვაბქოთნების ხუფები. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ქოთნების სიმრავლე შესაბამისი ხუფების-სარქვლების გამოყენებასაც გულისხმობს.

კოჭობები ქოთნების მინიატურულ ვარიანტს წარმოადგენენ და ფუნქციურად, როგორც ჩანს, მათგან დიდად არ განსხვავდებიან. ისინი დასტურდება როგორც ნამოსახლარებზე, ასევე სამარხებშიც.

ჩაფები, ძირითადად, ღვინისა და წყლის შესანახად გამოიყენებოდნენ. ფორმით ისინი დოქის მსგავსია, თუმცა მათთან შედარებით ჩაფები უფრო დიდი ზომის და მოცულობის არიან. ისინი აუცილებელ ჭურჭელს წარმოადგენდნენ მარანსა და

სამზარეულოში. ჩაფების ფართო გავრცელება იწყება ახ. წ. III ს-დან და მათი დიდი ნაწილი ახ.წ. III-IV სს-ით თარიღდება.

ახ.წ. I-III სს. კერამიკული ჭურჭლის დიდი ნაწილი მორგვზეა დამზადებული: მათზე შეიმჩნევა ვერტიკალური ან ჰორიზონტალური, წვრილი ან განიერი ღარები, რომლებიც მორგვის ტრიალის ანაბეჭდი უნდა იყოს.

დასავლეთ საქართველოს გვიანანტიკური ხანის კერამიკული ჭურჭლის დამახასიათებელი ორნამენტებია: ტალღისებური ორნამენტი; კონცენტრული წრეები; ტეხილხაზოვანი ორნამენტი; რომბული ბადე; წერტილხაზოვანი ორნამენტი; წიწვოვანი ხაზები; ირიბი ნაჭდევები; ტოლმკლავა ჯვრები; ბაწრული რელიეფური ორნამენტი; კანელურები; რელიეფური, სათვალისებური, სპირალური ორნამენტი; წრიულ-კუწუბოვანი ვარდულები; სვასტიკით გამოყვანილი ორნამენტი; ოთხკუთხა ტვიფრვით გამოყვანილი მახვილი კუთხეები; წნეხვით გამოყვანილი ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზები; წნული, დანაძერწი ორნამენტი (ქვევრზე); წიბო ყელზე (დოქები,ხელადები, ჩაფები) და სხვა. ზოგ შემთხვევაში ვხვდებით მოგლუვებულ, ნაპრიალებ და წერნაქით შეღებილ კერამიკულ ჭურჭელს.

ორნამენტი დატანილია რელიეფურად, ნაკაწრი სახით, (წებელდა, საირხე) შტამპით (ქუთაისი); ტვიფრვით; წნეხვით; დანაძერწი სახით და სხვა.

გვიანანტიკური ხანის საქართველოს სამაროვნებსა და ნამოსახლარებზე გამოვლენილი თიხის ჭურჭელი წინა პერიოდთან შედარებით მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. დიდი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ფაქტი დაკავშირებულია სასაქონლო წარმოების განვითარებასთან, როდესაც ხელოსანი სტანდარტულ პროდუქციას, ძირითადად, ბაზრისთვის ამზადებს.

გვიანანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს უმეტეს ნაწილში გამოვლენილი თიხის ჭურჭელი ტექნიკურად თუ მხატვრულად მდარეა აღმოსავლეთ საქართველოს თანადროულ კერამიკულ ნაწარმთან შედარებით. ამ პერიოდის კერამიკული ნაწარმი არ არის მრავალფეროვანი, თიხა ნაკლებ პლასტიური და განულექავია, არათანაბრად, სუსტად გამომწვარი, რიგ შემთხვევაში მსხვილმარცვლოვანი ჩანართებით: თიხა შეიცავს რკინის ჟანგის მარცვლების მოზრდილ ჩანართებს; პიროქსენს; ოქროსფრად მბზინავ ქარსს; კაჟის, კვარცის, კირქვის მარცვლებს. გვხვდება სილისა და ქვიშის მინარევებიც. თუმცა დასტურდება ასევე კარგად განლექილი და გამომწვარი,

წვრილმარცვლოვანი თიხის ჭურჭელიც. თიხა გამომწვარია მოწითალო-აგურისფრად, შავად, რუხად, მოწაბლისფროდ.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ გვიანანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოში გავრცელებული კერამიკული ჭურჭელი ტექნოლოგიური თვალსაზრისით ორ დიდ ჯგუფად იყოფა:

I ჯგუფის კერამიკული ნაწარმი დამზადებულია გარგად განლექილი და გამომწვარი თიხისგან. ჭურჭელი დამზადებულია მოწითალო-მოჩალისფრო თიხით. ზოგიერთი მათგანი წითელი წერნაქით არის შეღებილი და ორნამენტირებულია. ამგვარი ტექნოლოგიური პროცესით დამზადებული კერამიკული ნაწარმი, უფრო ხშირად, კოლხეთის აღმოსავლეთ რეგიონებში გვხვდება, რაც, შესაძლებელია, ამ პერიოდში აღმოსავლურ ქართულ (იბერიულ) გავლენებსაც დავუკავშიროთ.

